

1610  
1987.85

ԱՐԵՎԵՆԻ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

# ԱՐԱՋՄԱՆ ՀԱՅ




საქართველოს წიგნის მთევარულობა საზოგადოება



„მიმდინარე“ მოგვითხრობს  
ციხეშია და ციხის შეძლებებზე,  
გიგანტთა პერსა და გიგანტის პერსი,  
ძირადი ციხის სამყაროში,  
ძველ ციხეებზე,  
სევალასევა ძველისა და მდიდარის  
ციხისმოყვარულებზე.

# ერთგული კულტური

85



სამიმდევრო განაცხად „საბაზო საქართველო“  
თბილისი — 1987


0001 + 002

002/  
7611  
002  
3 979

მოგორის

მთავარი ორგანიზორი  
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო საბჭო  
გუნდისა შვილი გურამ  
გვახარია ალექსანდრე  
რეანიშვილი რევაზ  
გაფავარიანი ელიანი  
მიჩამე გივი  
მინახევ ლევან  
ციხარულიძე ელიაზ  
სტუსუა ზაირა  
დელიშვილი პეტრი (ვ/მგ. მდივანი)  
ალიანი ვისანა  
ძიმიშვილი აკაკი  
ხულავა ვენერა  
ზოველიშვილი სოლომონ  
ჯავახაძე ვახტანი



მთავარი  
ირაკლი აბაშიძე



**ვ. ი. ლენინის „«სოციალ-დემოკრატიის» ორი ტაზტიკა  
 დემოკრატიულ რეპოლუციაში“**

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ექსპოზიციის ამშვენებს ვ. ი. ლენინის ნაშრომის „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ უნიკალური პრეცენტი გამოცემა, რომელიც 1905 წ. აგვისტოში დაიბეჭდა უენევაში 10.000 ეგზემპლარი ტირაჟით.

დადია ვ. ი. ლენინის ამ წიგნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. „სოციალ-დემოკრატიის ორ ტაქტიკაში“ დასაბუთებული ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკური დებულებები ბურუჟაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში შემოქმედებითად გამოიყენეს ევროპის მუშათა და კომუნისტურმა პარტიებმა, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა, რომელიც განვითარების ახალ გზას და-ადგენი შეორე მსოფლიო ომის შეძლევა.

ნაშრომის შექმნას წინ უსწრებდა მღელვარე რევოლუციური დღეები. რევოლუციაში 1905 წლის იანვარში დაწყებული რევოლუცია სწრაფად ისრდებოდა. მეფის თვითმმკრძალებულობის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატის მეთაურობით თანდაონობით ებმებოდა მაცების ახალ-ახალი ფენები.

ბოლშევიკებისა და მენშევიკების უთანხმოებას ორგანიზაციულ საკითხში დაემატა უთანხმოება ტაქტიკურ საკითხებზე ბურუჟაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. მათი თვალსაზრისი რევოლუციაში რუსეთის პროლეტარიატის, მისი პარტიის ამოცანებსა და საქმიანობაზე პრინციპულად განსხვავდებორთა ერთმანეთისაგან, რაც ნათლად გამოვლინდა რსდმპ III ყრილობისა (ბოლშევიკების შემადგენლობით) და მენშევიკების კონფერენციის გა-დაწყვეტილებებში.

რსდმპ III ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომელიც გულისხმობდა რევოლუციაში მასების რევოლუციურ ინიციატივას. პროლეტარიატის პეგემონის,



მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, ცარიზმის დამტკბას დამტკბას რაღებული აჯანყების გზით, ბურუუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას და მის გადაწრდას სოციალისტურ რევოლუციაში.

სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის რეზოლუცია მიღლ გამოთიშული ნაწილის — მენშევიკების კონფერენციაში. იგი რევოლუციაში ჰეგემონად მიიჩნევდა არა პროლეტარიატს, არამედ ლიბერალურ ბურუუაზიას, დემოკრატიული რესტურანტის დამყარებას არა შეიარაღებული აჯანყების, არამედ ბურუუაზიული რეფორმების გზით, არ სცნობდნენ გლეხობის რევოლუციურ როლს, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, წინააღმდეგი იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მონაწილეობისა დროებით რევოლუციურ მთავრობაში.

ამ პერიოდში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატიების სერია: „პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა და გლეხობა“, „რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა“, „სოციალ-დემოკრატია და დროებითი რევოლუციური მთავრობა“, „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“, რომლებშიც გადმოცემული იყო პარტიის სტრატეგიული გეგმის ძირითადი დებულებანი.

1905 წლის 20 ივნისს (3 ივლისს) გაზეთ „პროლეტარში“ (№ 6) გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია „მესამე ნაბიჯი უკან“, რომელშიც ტაქტიკურ საკითხებზე მენშევიკების ოპორტუნიზმის მითითებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ დაწვრილებით ეს ნაჩვენები იქნება ცალკე ბროშურაში, რომელიც უკვე იძევდება და გამოვა უმოკლეს დროში.

მაგრამ, ვიდრე აღნიშნული ბროშურა გამოქვეყნდებოდა, დაგბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატიები: „მესამე ყრილობა“, „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“, „სოფლის ლარიბებს“, „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა“, „სამი კონსტიტუცია, ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა“. „რსდმპ III ყრილობის რეზოლუციის პროექტი კავკასიის ამბების გამო“, „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ“ და სხვ.

1905 წლის ივნის-ივლისში, რსდმპ III ყრილობის შემდეგ ვ. ი. ლენინმა მუშათა დაიწყო წიგნზე „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

N. Lenin. Deux tactiques.

Цена: 4 fr. 25 cts — 1 mk. — 18 ch. — 25 cent.

Российская Социал-демократическая Рабочая Партия.

Пролетарии всіх странъ соединяйтесь!

Н. ЛЕНИНЪ.

Двѣ тактики  
соціальдемократії  
въ демократической  
революції.

Издание Центр. Ком. Р. С. Д. Р. И.

ЖЕНЕВА  
Tipographie Partia. 3, rue de la Colline 3.  
1905.

Чтение запрещено заимствование



წიგნის დაწერას წინ უსწრებდა დიდი მოსამართებელი შუშის მინისტრის ბა. ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ რევოლუციური აღმავლობის პირობებში აუცილებელი იყო მოქმედების მწყობრი რეკომენდაციები, დაფუძნებული წინა რევოლუციების გამოცდილებაზე, რუსეთის რევოლუციის თავისებურებათა გათვალისწინებით. თავდაპირველად ლენინმა მოხაზა წიგნის დასათაურების პირველდაწყებითი ვარიანტი, წიგნის გეგმა, კონსპექტები და ნასალები, შენიშვნები ცალკეულ საკითხებზე. მოიფიქრა წიგნის დასათაურების შემდეგი პროექტი:

„1. დამფუძნებელი კრების მოწვევის საკითხის სამი მიმართულება, 1—2 გვ.

2. როგორ განსაზღვრავენ სოციალ-დემოკრატები მომენტის ამოცანებს? რა საკითხებს აყენებენ სოციალ-დემოკრატები დამფუძნებელი კრების წინაშე. 3—6 გვ.

3. მესამე ყრილობის რეზოლუციები. მისი ოქმა და ა. შ. 6—20 გვ. სათაური 6—7 გვ.

დროებითი მთავრობის საკითხის მინიშვნელობის შესახებ 7—11 გვ. მისი მიზანი 11—16 გვ. მასში მონაწილეობა 16—19 გვ.

ქვემოდან 19—20 გვ.

4. კონფერენციის რეზოლუციები. საკითხის დაყენება. 1—2 გვ.  
I ნაწილი — 3—15 გვ.

რას ნიშავს ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება 3—15 გვ.

5. რეზოლუციის მეორე ნაწილი. რეზოლუცია და მებრძოლი სული. 15—20 გვ.

ურთიერთბრძოლის პროცესი 23—25. მონარქიზმის ლიკვიდაცია 25—26 გვ. დროებითი მთავრობის ამოცანები 26—31 გვ.

6. როგორ წავწიოთ რევოლუცია წინ. 31—40 გვ. დაგიდეთ „ოსვობოედნელობამდე“, დავრაზმოთ გლეხობა.

დასუსტდება თუ არა დემოკრატიული რევოლუციის გაქანება, თუ მას ჩამოსცილდება ბურჟუაზია? 133—156 გვ.

დასკვნა. შევძლებთ თუ არა გამარჯვებას? 157—182 გვ.“

ვ. ი. ლენინმა თავდაპირველად ამ ძირითად ქვესათაურებს დაუმატა ქვესათაური: „აზრები და შენიშვნები რსდმპ III ყრილობისა და გამოთიშული სოციალ-დემოკრატების კონფერენციის შესახებ“. მოგვიანებით ეს ქვესათაური მოხსნა, მაგრამ ამას წიგნის შინაარსი არ შეუცვლია.



ვ. ი. ლენინი წიგნის წინასიტყველობაში იღნიშნავდა, რომ უფრო მეტად უფრო უფრო განვითარება მარქსიზმის პრინციპების თველსაზრისით<sup>1</sup>.

ეს პრინციპები ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ რსდმპ III ყრილობის რეზოლუციაში ჩამოყალიბდა, მაგრამ უფრო განვითარა ამ ნაშრომში. ეს იყო მარქსისტული მოძღვრების განვითარების ახალი ეტაპი.

სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციის 80 წლისთავის შესახებ“ ვკითხულოთ: „რევოლუციის წლებში გამოილინდა ვ. ი. ლენინის, როგორც დიდი ოცნებეტიკოსის და პროლეტარიატის ბელადის შემოქმედებითი გენია, რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში დაიცვა და განვითარა მან მარქსიზმი ახალი რევოლუციური პირობების შესაბამისად... იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურებების, მისი მამოძრავებელი ძალებისა და სოციალისტურ რევოლუციად მისი გადაზრდის, პროლეტარიატის ჰეგემონიისა და კლასობრივი კავშირების სტრატეგიის, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის, აგრძელული და ეროვნული საკითხების გადაწყვეტის გზების, ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელი როლის. როგორც რევოლუციის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობის შესახებ ლენინის იდეები მოასწავებდა მარქსისტული მოძღვრების განვითარების ახალ ეტაპს“<sup>2</sup>.

1905 წლის იგვისტოში გაშეთ „პროლეტარში“ (№ 11) გამოქვეყნდა ცნობა, რომელიც იუწყებოდა, რომ უენევაში გამოვიდა ლენინის ახალი ბროშურა „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. იგი არალეგალურად გაერცელდა მოსკოვში და პეტერბურგში, პეტერბურგში, ბაქოში.

გამოჩენილი პროფესიული რევოლუციონერი, რსდმპ ოდესის კომიტეტის მდივანი ს. ი. გუსევი ვ. ი. ლენინს სწერდა: „თქვენი ბროშურა, ჩემის აზრით, თუ ეპოქას არ შექმნის, ყოველ შემთხვევაში ითამაშებს დიდ როლს. განსაკუთრებით მაცებს რევოლუციუ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 9, გ. 7.

<sup>2</sup> ვ. ი. „პრავდა“, 1925 წ. 3 იანვარი.



რი სულისკენეთება, რომლითაც ის არის გაუღენთილი და სამუშაოების გარკვეულობა და პოპულარობა<sup>3</sup>.

ვ. ი. ლენინის წიგნზე ძალიან დიდი მოთხოვნა იყო. ამიტომ იგი რუსეთში 1905 წლის ბოლომდე ორჯერ გამოიცა: პეტერბურგში — რსდმ ცენტრა და მოსკოვში — რსდმ მოსკოვის კომიტეტის მიერ. 1907 წლის ოქტომბერში ბეჭდებითი სიტყვის პეტერბურგის კომიტეტმა წიგნი აკრძალა, ხოლო წლის ბოლოს, დეკემბერში სასამართლომ გამოიტანა დადგენილება ამ წიგნის განადგურების შესახებ. ასეთივე დადგენილება გამოიტანა მოსკოვის სასამართლო პალატამაც.

1907 წელს ლეგალურმა პარტიულმა გამომცემლობამ „ზერნომ“ პეტერბურგის პარტიული ორგანიზაციის დავალებით გადაწყვიტა გამოეცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებული სამ ტომად საერთო სათაურით „12 წლის მანძილზე“, პირველ ტომში შევიდა „ორი ტაქტიკა“, რომელსაც ლენინმა დაურთო ტექსტებება შენიშვნები. ეს შენიშვნები შემდეგ შევიდა ვ. ი. ლენინის XV—XVI კრებულში. ტომი 1600 ეგზ. ტირაჟით დაიბეჭდა, მაგრამ ბეჭდებითი სიტყვის პეტერბურგის კომიტეტმა და ცენტურის მთავარმა სამმართველომ აღძრეს საკითხი ამ გამოცემის აკრძალვის შესახებ. წიგნს ყადალა დაადეს. გამომცემლობამ კრებულის ყველა ეგზემპლარი გადაიტანა არალეგალურ საწყობში და აქედან გააგრცელა მთელ რუსეთში.

1905—1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიული ლიტერატურის გამოცემას. აგრეთვე მიუთითებდა, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ გაშლილიყო პოლიტიკური ლიტერატურის თარგმნის, გამოცემისა და გავრცელების საქმე.

ვ. ი. ლენინი წერდა: „პარტიის ხელმძღვანელობა მოძრაობის ახლანდელი გიგანტური, უმაგალითო ზრდის დროს მხოლოდ პრესის საშუალებით შეიძლება“<sup>4</sup>.

ვ. ი. ლენინის ამ მოთხოვნას გამოეხმაურა რსდმპ კავკასიის კაშირის კომიტეტი. ჯერ კიდევ რსდმპ III ყრილობაზე მ. ცხაქაიაშ და ა. ჯაფარიძემ აღნიშნეს რსდმპ კავკასიის კავშირის ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის შესახებ, ყრილობის ოქმებში მოხსენიებულია ავლაბრის არალეგალური სტამბის მუშაობა.

<sup>3</sup> ურ. „პროლეტარსეა რევოლუცია“, № 12, 1985 წ.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 34. გვ. 403.

რსდმ 111 ყრილობაზე მიღებული თითქმის ყველა რეზოულუტი და პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინის შექმნა იყო დაწერილი, დაიბეჭდა ქართულ ენაზე ბოლშევიკურ პერიოდულ პრესაში.

როგორც ცნობილია, რსდმ მესამე ყრილობისა და მენტევიკების კონფერენციის შემდეგ, ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ აშეარა ბრძოლა გააჩაღეს მენტევიკებმა, მათ შორის ქართველმა მენტევიკებმაც. ამიტომ ვ. ი. ლენინმა წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ სპეციალური თავი მიუღვნა ქართველი მენტევიკების ტაქტიკური შეხეფულებების კრიტიკას.

საერთოდ, ქართული ლენინიანა მდიდარია ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობით.

ვ. ი. ლენინის მეცნიერული შრომების ქართულ ენაზე გამოცემას ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში ჩიეყარა საფუძველი. ვ. ი. ლენინის პირველი ნაშრომი ქართულ ენაზე მკითხველმა 1903 წელს იხილა.

ვ. ი. ლენინის შრომების პირველი მთარგმნელები იყვნენ გამოჩენილი ქართველი პროფესიული რევოლუციონერები მ. ცხაკაია, ი. სტალინი, ფ. მახარაძე, მ. ტოროშელიძე და სხვები.

„რსდმ კავკასიის კავშირის კომიტეტს განხრახული ჰქონდა ეთარგმნა და გამოეცა ქართულ და რუსულ ენებზე აღნიშნული წიგნი, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ კომიტეტმა შეძლო ლენინის დასახელებული წიგნი ფართოდ გაეცნო პარტიულ მუშაქებისათვის“<sup>5</sup>.

1905—1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის პროპაგანდის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური ტერიტორიურას.

რსდმ კავკასიის კავშირის ლიტერატურული ჯგუფის მიერ მარტო 1905 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს ბოლშევიკებმა გამოუშეს 280 ათასმდე სააგიტაციო ფურცელი და პროკლამაცია. სადაც პოპულარიზებული იყო ბოლშევიკური ტაქტიკური დეზტრუქციური რევოლუციაში.

<sup>5</sup> საქართველოს კომპარტიის ისტორიის საექსები, შრომების კრებული, № 16.



ავლაბრის არალეგალური სტამბის ჩხრეკის დროს ნაპოვნები დროებით სალების გასინჯვის ოქმში აღნიშნულია, რომ 1906 წელს სხვ პარტიულ ლიტერატურასა და დოკუმენტებთან ერთად აღმოჩნდა რუსულ ენაზე დაბეჭდილი ბროშურები, მათ შორის ვ. ი. ლენინის შრომა „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემა, 17 ეგზემპლარი<sup>6</sup>.

ვ. ი. ლენინი 1905—1907 წლებში თვალყურს აღდევნებდა კავკასიაში საგამომცემლო მუშაობას. იგი 1905 წელს რუსულ ენაზე გაზიეთ „ბორბა პროლეტარიატის“ პირველი ნომრის გამოსვლის გამო მხურვალედ მიესალმა კავკასიის კავშირის საგამომცემლო მოლვაწეობის გაფართოებას და უსურვა მას შემდგომი წარმატებები კავკასიაში პარტიულობის აღდგენის საქმეში.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე იბეჭდებოდა რსდმ3 კავკასიის კავშირის ორგანო — გაზიეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, და ვ. ი. ლენინის ამ ჰერიონში დაწერილი ნაშრომები: „მესამე ყრილობა“, „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“, „სოფლის ლარებებებს“, „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურა“, „სამი კონსტიტუცია ანუ წესი სახელმწიფო წყობილებისა“, „რსდმ3 III ყრილობის რეზოლუცია კავკასიის ამბების გამო“, „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ“. მათი პირველი გამოცემები ვ. ი. ლენინის მუზეუმშია ექსპონირებული, რომლებიც ვ. ი. ლენინის შრომის დედააზრის, რევოლუციაში მოქმედების მთავარი ტაქტიკური მოქმედების პროგრამას წარმოადგენს. აქვე საპატიო ადგილი უჭირავს ვ. ი. ლენინის წიგნის „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ პირველ გამოცემას, რომელიც სასწაულით გადაურჩა მრავალ მძვინვარე ქარტეხილს.

1918—1984 წლებში „ორი ტაქტიკა“ გამოაცა 230-ჯერ 11975,9 ათასი ტირაჟით რუსულ და სსრ კავშირის ხალხთა 63 ენაზე. ქართულად გამოიცა 5-ჯერ 34,0 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით.

<sup>6</sup> ავლაბრის არალეგალური სტამბა. მასალებისა და დოკუმენტების კრებული. სახელგამი. 1955, გვ. 88.

ԲՈՅԵ  
ԸՆԹՅԱՆԱՀԱ

---

Ռ

କବିତା ପରିଦର୍ଶକ ପ୍ରକାଶକାରୀ, ବାହୁମିଳାନ୍ଦୀ  
ଓ ରାଜିଶ୍ଵରର ପାଠ୍ୟଗାନର ଏବଂ ମରକିଳାଣରା.

ଅନ୍ତର୍ମାତ୍ର ପ୍ରକାଶ ନିଃରାଜିତ

କବିତା ପରିଦର୍ଶକ ପ୍ରକାଶକାରୀ  
ଓ ରାଜିଶ୍ଵରର ପାଠ୍ୟଗାନର ଏବଂ ମରକିଳାଣରା?

ନିଃରାଜିତ ପ୍ରକାଶ ନିଃରାଜିତ

## „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ სრულიად განსაკუთრებული

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ სრულიად განსაკუთრებული ძეგლია კიევის რუსეთის ლიტერატურაში. როგორც ბ. ბელინსკი აღნიშნავდა, „«ამბავი» არის მშვენიერი, სურნელოვანი ყვავილი სლავური ხალხური პოეზიისა, ყურადღების, ხსოვნისა და პატივის-ცემის ღირსი“.

ნაწარმოების ისტორიული საფუძველია ნოვგოროდ-სევერსკის მთავრის იგორ სვიატოსლავის ძის ლაშქრობა ყიქჩაყების შინააღმდეგ 1185 წელს. ეს ლაშქრობა რუსების დამარცხებით, იგორისა და მისი თანმხელები მთავრების დატყვევებით დამთავრებულა. ამ დამარცხებას მეტად მძიმე შედეგი მოჰყოლია. მატიანეთა ცნობით მანამდე ორ ერთი რუსი მთავარი ტყვედ არ ჩავარდნია ყიქჩაყებს და არ დაუკარგავს მთელი ლაშქარი მათთან ბრძოლაში. იგორის უილბლო ლაშქრობას ყივჩაყების გაატიურება, რუსეთის სამთავროებში მათი შესევა, ხალხის რბევა და ხოცვა-ულეტა გამოუწვევია.

იგორის საბედისწერო მარცხი რუს მთავართა განცალკევებისა და ქიმპობის შედეგი ყოფილა. იგორსა და მის თანამებრძოლებს ლაშქრობა მოუწყვიათ დიდი სამხედრო კავშირის გარეშე, მხოლოდ საკუთარი ძალებით, კიევის დიდ მთავართან შეუთანხმებლად. ნაწარმოების უცნობმა ავტორმა კიევის რუსეთის იმდროინდელი უბედურების ნამდვილი მიზეზი გვაჩვენა: მისი სამშობლო მოქლებული იყო სიმტკიცის უმთავრეს პირობას — ერთიანობას. ნაწარმოების მთავარი იდეა მთელი რუსეთის გაერთიანება, ანუ ქ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი შეიცავს რუსეთის მთავრებისადმი მიმართულ მოწოდებას გაერთიანებისაქენ, სწორედ მონლოლების შემოსევის წინ.

რუსეთის სიძველეთა მოყვარულმა და კოლექციონერმა, ეკატერინე II-ის დროინდელმა დიდებულმა, გრაფმა ა. ი. მუსინ-პუშკინმა XVIII საუკუნის 90-იან წლებში ქ. იაროსლავის მონასტერში

କଥକ କଥକ


ଦଗନ୍ଧଳିଲେ ଲୋଚନକଟକଳିଲେ  
ଦଗନ୍ଧଳ ଶ୍ରୀକଥାମନ୍ଦିରାଜରେ କିଲା  
ନାନ୍ଦାରୀରେ ଶବ୍ଦିଲିଲେ-ଶବ୍ଦିଲିଲେ

ତାଙ୍କୁମାନି

ଯନ୍ତ୍ରନ୍ତରୁକୁଣ୍ଠିତ ଶିଖିଲାଦିଲା

ନାନ୍ଦାରୀରୁକୁଣ୍ଠିତ ଶିଖିଲାଦିଲା

ଶବ୍ଦିଲିଲାଦିଲା



შეიძინა ხელნაწერი კრებული, რომელშიც სხვა ძველ ტექსტებთა განვითარება და მოვალეობა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. ეს იყო, როგორც ვარაუდობენ, XVI საუკუნის ნუსხა. ერთადერთი ხელნაწერი, ასე შემთხვევით ნაპოვნი, შემთხვევთვე დაღუპა. 1812 წლის მოსკოვის ხანძრის დროს დაიწვა მუსინ-პუშკინის მდიდარი პიბლიოთება და სხვა ხელნაწერებს შორის „ამბავის“ ტექსტიც.

არსებობს ამ ხელნაწერის 1800 წლის გამოცემა, რომელიც შოამზადა მუსინ-პუშკინმა თავისი მეცნიერი თანამშრომლების ნ. ნ. ბანტინ-კამენსკისა და ა. თ. ჩალინოვსკის დასმარებრთ. შეგრძნ უნდა გავრთვალისწინოთ, რომ XVIII საუკუნის დასასრულს ტექსტოლოგური მეცნიერება მთლიან იწყებდა არსებობს, არც ძველი ტექსტების შედევრის მეთოდით იყო შემუშავებული. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ნუსხა, რომელიც საფუძვლად დაედო გამოცემას, სამი საუკუნით იყო დაცილებული ორიგინალის შექმნის ჟრიოდს და შეიცავდა არა ერთი საერთაუდებლი გადაწერის შედევრად წარმოშობილ შეცდომებს. XIX საუკუნის 60-იან წლებში ეკატერინე II-ის არქივში აღმოჩნდა მუსინ-პუშკინისული ხელნაწერის პირი. მათი შედარებით შესაძლებელი გახდა რამდენიმე გაურკვევლი ადგილის აღდგენა.

ნაწარმოების აღმოჩნდნის შემდეგ ვიდრე დაღუპებოდა ერთადერთი ნუსხა, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ რამდენჯერმე ითარებონა თანამედროვე რუსულ ენაზე პროზად და ლიტერატურულ მაშინ ზოგიერთი გაუგებარი ადგილის კომენტირებით განისაზღვრებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლის გამოქვეყნების შემდევ გამოჩენენ სკეტიკოსები, რომლებიც უარყოფნენ ამ თხზულების კითხის პერიოდში შექმნის შესაძლებლობას და აცხადებნენ, რომ იყო ყალბადების ნუსხა. ზოგი ურწმუნო ინიაცი ეჭვისდა, თვით მუსინ-პუშკინი ან კარამზინი ერთ არ არიან ყალბის მქენიოთ.

უნდობლობა არც იმის შემდეგ დამცხალა, როცა მკვლევარმა კ. კალაიდვიჩმა 1813 წელს ფსკოვის ერთ-ერთ ხელნაწერზე იპოვა 1307 წლის მინაწერი, რომელიც „ამბავის“ ციტატი თუ არა, მისი ერთი ადგილის უშუალო გაცვლით შექმნილი ტექსტი იყო. ეს მინაწერი ქართულად ასე იყოთხება: „ამ მთავრების დროს ითხებოდა და იზრდებოდა ქშპობანი, ილუპებოდა ცხოვრება ჩეგნი ამ მთავრების ხელში და დამიანთა წლები მცირდებოდა“. შესატყუ-2. მწიგნობარი 85

მუსიკალური  
ტეატრის დაცვისა  
და განვითარების სამსახურის მიერ გამოცემის მიზანით

ვისი ადგილი „იგორის ლაშქრობის ამბავში“ ასეთია: „ითესებოლა  
და იზრდებოდა ქიშპობა, იღუპებოდა დაქდ-ბოგის მოდგმის მიუღიარება  
რუსების) სამკვიდრო; მთავართა შფოთში ხალხს სიცოცხლე უმცირ-  
დებოდა“. ფსკოვის ხელნაწერის მინაწერში, რომელიც სასულებრო  
პირს ეკუთვნოდა, ცხადია ირაა წარმართული „დაქდ-ბოგის“ ხერე-  
ბა; სხვა მხრით, უბრალო შედარებიდანაც ჩანს, რომ მის  
ავტორს უნდა სცოდნოდა „ამბავის“ ტექსტი: ორივე ნაწყვეტის ში-  
ნაარსი ერთია, გრამატიკული ფორმები — მსგავსი.



ქ. კალაიდოვიჩმა „ამბავის“ აღმომჩენს — მუსინ-პუშკინს წე-  
რილით მიმართა: „მე მსურს ვიცოდე, — წერდა იგი, — ყველა



წვრილმანი იგორის შეუდარებელი სიმღერის შესახებ. რაზე, რომ გარდა და როდის არის დაწერილი? სად არის ნაპოვნი? ვინ მონაწილეობდა გამოცემაში? რამდენი ეგზამპლარია დაბეჭდილი? აგრეთვე მის პირველ თარგმანებზე, რომელთა შესახებ ა. მალინოვსკისაგან მსმენია“.

მუსინ-პუშკინის პასუხი ამ შეკითხევებზე დღემდე ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად ნაწარმოების ოღონჩნისა და გარემონტინის საკითხებზე შექმნილ კამათში. სამწუხაროდ, ეს პასუხი არ არის ამომწურავი და ბოლომდე ნათელი:

„რაზე და როდისაა დაწერილი? — დაწერილია გაპრაილებულ ქალალზე. მატიანის ბოლოს, სიქმაოდ სუფთა ხელით. ხელისა და ქალალის მიხედვით უნდა მიეკუთვნოს XIV საუკუნის ბოლოს ან XV საუკუნის დასაწყისს. საღაა ნაპოვნი? — სასოლიაროსლავის მონასტერს, არქიერის სახლად გადაქცევამდე, მართავდა არქიმანდრიტი იოილი, კაცი განათლებული და სიტყვერების მოყვარული; შტატის გაუქმების შემდეგ, პირობის თამახმად, იგი მონასტერში დარჩა სიკვდილამდე. უკანასკნელ წლებში გაჭირვებაში იმყოფებოდა, და ამ გარემოების გამო ჩემმა კომისიონერმა შეიძინა მისგან ყველა რუსული წიგნი, რომელთა რიცხვში ერთი, 323 ნომრით, სახელწოდებით ქრონიკაფი, შეიცავდა მმავს იგორის ლაშქრობაზე. პირველ თარგმანებზე და ვინ მონაწილეობდა გამოცემაში? — ს. პეტერბურგში ჩემი სამსახურის დროს ამდენიმე წლის განმავლობაში ვარჩევდი ამ სიმღერას და ვთარგმნიდი ახლანდელ ენაზე; დედანში იგი თუმცა ნათლად იყო დაწერილი, მაგრამ გარჩევა მეტად ძნელი გახდა იმიტომ, რომ არ ჰქონდა არც პწყარის ნიშნები... არც სიტყვათა დაყოფა, და სიტყვებს შორის მრავალი იყო ისეთი; რომელიც უცნობია და ხმარებიდან გამოსული; უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მისი პერიოდებად დაყოფა, შემდეგ აზრის გამოტანა. რაც ძლიერ გამირთულდა; მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გავარჩიო, მაინც ვერ გაგბედე მისი დაბეჭდეა... მოსკოვში გაღმოსულის შემდეგ, ჩემდა გასაკვირველად. ა. თ. მალინოვსკისთან აღმოჩნდა, რომ თარგმანი მეტად გაუმართავი იყო და მისი დაჩინი შეგობრის 6. ნ. ბანტიშ-კამენსკის დაბეჭითებითი რჩევით, გადაუწყვიტე, მათთან ერთად შემედარებინა ეს თარგმანი დედანთან. საერთო რჩევით შევასწორე, რაც საჭირო იყო და მივეც დასაბეჭდად“.



ამ პასუხით უკმაყოფილო კალაიდოვიჩის კვლავ მიუმართებულია მუსინ-პუშკინისათვის. მაგრამ მუსინ-პუშკინმა ვერ გაიგო ტალაძი-დოვიჩის შეკითხვების უაღრესად მეცნიერული მნიშვნელობა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და დუმილი არჩია.

იმ პერიოდში „ამბავი იგორის ლაშქრობისას“ ეჭვით მიღება არ წარმოადგენდა კერძო მოვლენას. იყო ჯგუფი ისტორიკოსებისა და კრიტიკოსებისა, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ საერთოდ ძეველი რუსეთის ისტორიას (მაშინ ვერ კიდევ სათანადო შეუსწავლელს) და ოვლიდნენ, რომ კულტურის მხრივ იგი ძლიერ ღარიბი იყო. რაც შეეხება ამ ნაწარმოებს, აღნიშნავდნენ, რომ ძეველ რუსულ შეწერლობაში არ ძოიპოვება ლიტერატურული ძეგლი, რომელიც მხატვრული ღირსებებით რამდენადმე მაინც მიუახლოვდებოდა მას. ხოლო, მეორე მხრივ, „ამბავის“ ენის თვისებურებაზე თითქოს ვერ პოულობდა პარალელს ძეველი რუსული ძეგლების ენაში (რომელიც მაშინ აგრეთვე არ იყო სათანადო შესწავლილი). მოწინააღმდეგეთა ამგვარმა დამოკიდებულებამ სტიმული მისცა ნაწარმოების მრავალრიცხოვან მომხრეებს, რომლებმაც მუშაობა გაიხდეს ძეველი შეწერლობისა და ენის შესასწავლად, რის შედეგად გასული საუკუნის 40-იანი წლებისათვის საესებით ნათელი გახდა მოწინააღმდეგეთა შეხედულებების უსაფუძღლობა. ეს განსაკუთრებით გამოაშეარავდა მაშინ, როცა აღმოაჩინეს „ზაღონშჩინა“, რომელიც დაწერილია „ამბავის“ ძლიერი გავლენით და XIV საუკუნით თარიღდება.

პირველ ხანებში მეცნიერული მუშაობა ძირითადად ნაწარმოების ენის საკითხებზე წარმოებდა. იბეჭდებოდა შესწორებული ტექსტები, თარგმანები, გამოკვლევები. მათ რიცხვს მიეკუთვნება ი. პოეარსკის (1819), პ. ბუტკოვის (1821), ნ. გრამატინის (1823) და სხვათა ნაშრომები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ძეგლის შემდგომ კვლევას. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება „ამბავის“ შესწავლა ხალხურ შემოქმედებასთან კავშირში (მ. მაქსიმოვიჩი).

1836 წელს ნაწარმოებით დაინტერესდა ა. ს. პუშკინი. მან განიხილა ძეგლის უკოვსკისეული თარგმანი და შეუდგა გამოკვლევის წერას, რომელშიც ილაშქრებდა სკეპტიკოსების წინააღმდეგ პოეტის ნააღრევმა სიკვდილმა შეწყვიტა ეს საქმე.

1844 წელს დ. დუბენსკიმ გამოსცა ძველი მწერლობის ქეგლთა ენაზე მომზადებული „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ეს გამოცემა გარდა „ამბავის“ ტექსტისა და თარგმანისა, შეიცავს დაწვრილებით გრამატიკულ და ისტორიულ-ლიტერატურულ კომენტარს. ღუბენსკის მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ ნაწარმოები ჰეშმარიტი ლიტერატურული ტეგლია და არა ყალბადქმნილი ხელნაწერი. 1866 და 1868 წლებში იგი ორჯერ გამოსცა ნ. ტიხონრავოვმა, რომელმაც შეაჯერა ტექსტი მაშინ ახალადმოჩენილ ეკატერინესეულ ნუსხის და მრავალი საყურადღებო დასკვნა გააკეთა. მისი აზრით, დაღუპული ხელნაწერი XVI საუკუნის დასასრულს უნდა გადაწერილიყო.

1875 და 1877 წლებში გამოვიდა პ. ვიაჩესკისა და ეს. მილერის შრომები, რომლებშიც აეტორები ცდილობდნენ მოეძებნათ „ამბავში“ ბიზანტიური და ბულგარული ლიტერატურის გავლენის კვალი. ეს „შეხედულება ნაწილობრივ ა. ვესელოვსკიმც გაიზიარა“. მათ საპასუხოდ გამოიცა ა. პოტებნიას წიგნი „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. ტექსტი და „შენიშვნები“. პოტებნია ამტკიცებდა, რომ ნაწარმოები შექმნილია არა ბულგარული ან ბიზანტიური შაბლონის მიხედვით, არამედ დამოუკიდებლად. ავტორი ეცადა ნაწარმოების მითოლოგიური ელემენტების ახსნასაც, იგი თვლიდა, რომ ტექსტი მოდის შევი ხელნაწერიდან, რომელიც თვით აეტორის მიერ ან მისი კარნაზით იყო დაწერილი, შეიცავდა მრავალ მინაწერსა და შესწორებას, რაც აბნევდა შემდგომ გადამწერებს. ამ მოსაზრებათა გამო მეცნიერი ახდენდა ტექსტის ნაწყვეტიბის გადაადგილებას, რაც, მიუხედავად ზოგიერთი საინტერესო მოსაზრებისა, სუბიექტური იყო.

რეკოლუციამდელ მკვლევართა შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე ო. ოგანოვსკის, ა. სმირნოვის, ვ. ბარსოვისა და სხვათა ნაშრომები.

საბჭოთა პერიოდში „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ კვლავ დეტალური ისტორიულ-ფილოლოგიური ძიების საგანია. ამ მხრივ საინტერესოა ვ. პერეტცის, ა. შამბინაგოს, ვ. რუგას და მრავალ სხვათა გამოკვლევები. საინტერესო შრომა გასწიეს მთარგმნელებმა: ს. შერვინსკიმ, გ. შტორმმა, ნ. ზაბოლოცკიმ და სხვ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აყად. ა. ს. ორლოვის წიგნი „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, რომელშიც დადგენილია ძეგლის უახლესი ტექსტი, მოცემულია როგორც ენობრივი, ისე ისტორიულ-ლიტერატურული კოშენტარი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ნ. გუძის და განსაკუთრებით



დ. ლიხაჩოვის უკანასკნელ დროს გამოსული გამოკვლეული მოქმედის შესახებ.

დღესდღეობით ძეგლის შესწავლის ისეთი დონეა მიღწეული, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავარკვით მისი ლიტერატურული, ენობრივი და ისტორიული ხასიათი, თუმცა ზოგიერთი დაუზუსტებელი და საკამათო საკითხი ჯერ კიდევ რჩება.

ივორის 1185 წლის ლაშქრობის შესახებ შემონახულია მე-მატიანის ორი ჩანაწერი. ერთი მათგანი — უფრო ვრცელი — მო-თავსებულია იპატის მატიანეში, ხოლო მეორე — შედარებით მოკლე — ლავრენტის მატიანეში. ამ ჩანაწერთა საშუალებით შესაძლებელია აღვადგინოთ ის ისტორიული სურათი, რომელიც საფუძ-ლად დაედო „ამბავს ივორის ლაშქრობაზე“. აი, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ მატიანეთა მიხედვით ივორის ლაშქრობა:

1185 წლის 23 აპრილს, სამშაბათს, ნოვოროდ-სევერსკის მთავარმა ივორ სვიატოსლავის ძემ, მისმა შვილმა ვლადიმერმა პუტიალიდან, მთავარმა სვიატოსლავმა რილსკიდან, ჩერნიგოვიდან გამოგზავნილი კოვუების რაზმით („კოვუები“) — ადგილზე დასახლებული მომთაბარენი) დაიწყეს ლაშქრობა შორეული ველებისა-კენ, ყივჩაყების წინააღმდეგ, კიევის მთავარ სვიატოსლავთან წი-ნისწარი შეთანხმების გარეშე. ლაშქრობის დროს მდ. დონეცის ნა-პირებთან 7 მაისს მათ მოუსწრო მზის დაბნელებამ, რაც ძეელ რუსეთში უბედურების მომასწავებელ ნიშად ითვლებოდა. მაგრამ ივორმა განაგრძო ლაშქრობა. ქ. ოსკოლთან ივორი ორ დღეს ელო-და ძმას — ვსევოლოდს, რომელიც კურსკიდან მოდიოდა მასთან შესაერთებლად.

უეცარი თავდასხმა ყივჩაყებზე, რასაც ივორი ვარაუდობდა, არ მოხერხდა. რუსმა მზვერავებმა მოულოდნელად აცნობეს მას, რომ ყივჩაყები შეიარაღებულნი და ბრძოლისათვის მზად არიან. ივორის გაბრუნებას ურჩევდნენ, მაგრამ მთავარმა ეს არ ისურვა. პირველი შეტაკება რუსებსა და ყივჩაყებს შორის მოხდა მდ. სალ-ნიცოთან, ივორის ჭარი დაეწყო ექვს პოლკად, რომელთაც წინ მშვილდმოისარნი დაუყენეს. მაშინდელი ჩევეულების თანახმად, ბრძო-ლის დაწყების წინ, ივორმა ჭარს მიმართა სიტყვით: „ძმებო! ჩევნ თვითონ ვეძიებდით ამას, მაშ გავსწიოთ!“ ბრძოლა რუსების გა-

მარჯვებით დამთავრდა, ყიფჩიყნი უკუიქცნენ, იგორის ლაშქარი დავლა და ტყვები იგდო ხელთ.

მეორე დილით (იპატის მატიანის მიხედვით — სამი დღის შემდეგ) უკურად გამოჩნდა ყიფჩიყთა „ტყესავით ხშირი“ ლაშქარი, იგორის მცირე ჯარი დიდი საფრთხის წინაშე ომოჩნდა, მაგრამ მთავარმა არც ხსლა დაიხია უკან. მან კვლავ მიმართა სიტყვით თავის მეომრებს და ბრძოლა გაჩაღდა. სამ დღეს გრძელდებოდა სისხლისმღვრელი შეტაკება. იგორი ბრძოლაში დაიჭრა. გზამოქრილი მეომრები საშინელ წყურვილს განიცდიდნენ, კვირას, დილიადრიან, ჩერნიგოველი კოუების რაზმი შედრება და აირია. იგორმა ცხენი გააქცნა მათ მოსაბრუნებლად, ჩაჩქანიც გადაიძრო, რომ ეცნოთ რაზმელებს, მაგრამ მათი შეჩერება არ მოხერხდა. უკან დაბრუნებისას ისრის სატყორცნ მანძილზე თავისი პოლყისაგან იგორი დაატყვევეს ყიფჩიყებმა. მტრის მიერ შებოჭილი მთავარი ხედავდა, თუ რა გამწარებით იბრძოდა მისი ძმა ვსევოლოდი. იგორი ღმერთს სიკვდილს სთხოვდა, რომ ძმის დაღუპვა არ ენახა.

ტყვეობაში იგორი შედარებით თავისუფლად იყო და პატივისცემით სარგებლობდა. ყიფჩიყმა ლავორმა მას გაქცევა შესთავაზა. იგორმა რაინდული პირდაპირობით თქვა უარი ამ „სამარცხეინო გზის“ არჩევაში, მაგრამ, საბოლოოდ, გარემოებამ იძულა გაქცეულიყო: ლაშქრობიდან მობრუნებული ყიფჩიყთა ჯარი რუსი ტყვეების გაწყვეტის აპირებდა. გაქცევის დროდ სიღამო ხანი აირჩიეს. იგორმა ლავორთან კაცი გაგზავნა, რათა მას ცხენები დაეხვედრებინა მდინარის გაღმა. ყიფჩიყები, რომლებიც იგორს დარაჭობდნენ, სმითა და მხიარულებით იყვნენ გართულნი.

იგორმა ილოცა, შემდეგ ფრთხილად ასწია ყიფჩიყური კარვის კიდე და გარეთ გავიდა, გადალახა მდინარე, შეჯდა ცხენშე და გაუჩინარდა. თერთმეტ დღეს გაურბოდა იგორი მდევარს სასაზღვრო რუსულ ქალაქამდე. ნოვგოროდ-სევერსკში ჩასვლის შემდეგ იგორმა ჩერნიგოვი და კიევი მოიარა. იგი ყველგან დიდი სიხარულით შიოდეს.

ამგვარია ის ისტორიული საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდა პოეტური „ამბავი“.

დამარცხება იგორისა და მისი მეომრებისა, რომლებმაც დაცი სამხედრო კავშირის გარეშე წამოიშეეს ეს უიღბლო ლაშქრობა, რუსი მთავრების განცალკევებისა და მტრობის აშკარა შედეგი იყო.



რუსეთის ძალთა გაერთიანებისაკენ მოწოდება „ამშატენისადამისა“ ისმის არა დამსყრობლური მიზნებისათვის, არამედ ხალხის შშეცდობიანი შრომის დასაცავად მთავართა დამღუპელი ქიშკობისა და გარეშე მტრების თავდასხმებისაგან. მთელი ხალხის უბედურებასთან შედარებით წერილმანად და უბალრუკად მიაჩინია ავტორს მთავართა ურთიერთობების მიზნები. აღმუროთებით ლაპარაკობს იგი იმ მთავრებზე, რომლებიც თვით „ჰედლენნ თავიანთი ხალხის უბედურებას“. ამიტომ მომთაბარეთა თავდასხმებისაგან და მთავართა ურთიერთობების გამოწვეული ნერვებისა და გაპარტიების სურათები ნაწარმოებში კონტრასტულად იცვლება შშეიდობიანი გლეხური შრომის სურათებით.

ნაწარმოების ძირითადი მხატვრული სიხეა „რუსთა მიწა“. ავტორს იგი წარმოდგენილი იქვს როგორც ცოცხალი არსება მისი ისტორიული და სიერცობრივი სიდიდის შარავანდებით. იგორის მამაცი პოლკები „რუსთა მიწისათვის“ იბრძვიან. და სამშობლოსაგან დაშორებული მწარედ გოდებენ: „პო, შენ, რუსთა მიწა, მამულო, მთების გადაღმა ხარ დარჩენილი!“ იგორის განთქმულმა პაპამ ოლეგმა ავტორისაგან მიიღო საყვედურის გამომხატველი სახელი „გორისლავიჩი“ — „უბედურების ძე“, ნაცვლად მამის სახელის — სვიაზოსლავის ძისა, იმიტომ, რომ შინაურ ბრძოლებში მთავრების წინააღმდეგ მან გვამებით მოფინა მშვიდობირი მიწა და შშეიდობიანი ცხოვრება დაურღვია ხალხს. მთავრების ქიშკობის შედევად უამრავი მტრი შეესია „რუსთა მიწას“. სწორედ ამ მთავრებს მოუწოდებს ავტორი გაერთიანებისა და „რუსთა მიწის“ დაცვისაკენ.

ამრიგად, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ „რუსთა მიწას“ ეძღვნება. იგი ცენტრალური სიხეა ნაწარმოებში. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ცოტაა მსოფლიო ლიტერატურაში ნაწარმოები, რომლის სამოქმედო ასპარეზში ერთდროულად ყოფილიყოს მოქცეული ასეთი უზარმაშარი გეოგრაფიული სივრცეები: ყიზჩაყათა ველი („უცნობი ქვეყანა“), დონი, შავი და აზოვის ზღვები, კოლგა, როსი და სულა, დნეპრი, დონეცი, დუნაი, დასავლეთის დვინა, სტუგნა, ნემიგა, ჭალაქები — კორსუნი, თმუთარაყანი, კუვი, პოლოცი, ჩერნიგოვი, კურსკი, პერეიისლავლი, ბელგორდი, ნოვგოროდი, გალიჩი, პუტივლი, რიმოვი და სხვ. ამავე დროს ავტორი არ გამოყოფს რუსეთს მისი გარემომცველი ხალხებისაგან. გერმანე-

ლები და ვენეციულები, ბერძნები და მორავები რუსეთში მომდევნობის მიმდების მოწმენი და მეთვალყურენი ხდებიან, ხოლო ლიტელები და ფინელები, ყივჩაყები და სხვები რუსეთის ისტორიის მსელელობასთან არიან დაკავშირებული.

მოცულობით მომცრო „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ (შასში სულ 2875 სიტყვაა, რაც მცირედით მეტია ნაბეჭდი თაბახის ერთ მეოთხედზე) მეტად ფართოა თემატიკით და იდეებით, მდიდარია პერსონაჟებით, და მხატვრული სახეებით.

ნაწარმოების შთავარი გმირი იგორი დახასიათებულია როგორც შესანიშნავი მებრძოლი, უშიშარი მეთაური. მისი დევიზია: „უმჯობესია აგვეჩონ, ვიდრე შეპყრობილ ვიქენთ“. ამასთანავე ავტორი გმობს იგორის სეპარატიზმს, მის ცალმხრივ მოქმედებას, რომელმაც რუსეთი ცუდ დღეში ჩააგდო. მიუხედავად ამისა, ავტორი მანც თანაუგრძნობს იგორს. აღფრთოვანებული ტონითაა გადმოცემული იგორის ტყვეობიდან გაქცევის ამბავი, სამშობლოში დაბრუნებული მთავარი მზესთან არის შედარებული.

ნაწარმოების ცენტრში დგას კიევის მთავარი სვიატოსლავიც, მასთანაა დაკავშირებული ავტორის იმედი რუსეთის გაერთიანებისა. ნაწარმოებში არაერთხელაა ხაზგასმული სვიატოსლავის ავტორიტი. მიუხედავად იმისა, რომ იგი იგორსა და ესევოლოდს ბაძაშვილიდ ეკუთვნოდა, მათ მაგალ არის და ახელებული. თითქოს მშობლის მწარე საყვედლური გაისძის სვიატოსლავის სიტყვებში:

„ო, საყვაირელნო ძმანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, ბოიარნო მიწაწყლისა რუსეთისანო! ღმერთი შემაძლებინებდა იმ ბილწების დამარცხებას, მაგრამ თქვენ ვერ დააცხრეთ ახალგაზრდობა თქვენი და გაუღეთ მათ კარი მიწაწყლისანი; და იყოს ნება უფლისა; რამდენადაც წინად ვგავრობდი იგორზე, იმდენად ახლა მებრალვის იგი... ეპითეტები „მრისხანე“, „დიდი“ ხშირადაა დაკავშირებული სვიატოსლავის სახელთან, თუმცა სინამდვილეში იგი ერთ-ერთი რიგითი მთავარი იყო. მის სიტყვას ავტორი „ოქროს სიტყვას“ არქმევს და უშუალოდ მის შემდეგ გამოთქვამს მთავრებისადმი მიმართულ პატრიოტულ მოწოდებებს.“

სხვა მთავრები ნაწარმოებში დახასიათებული არიან იმის მიედვით, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებათ მათ საერთო-სახალხო საქმეში. ზოგს აღტორი ვგინატავს როგორავ გმირს რუსთა მიწისა, პიპერბოლურად აზვიადებს მის ძალას და ვაჟკაცობას, ხოლო სხვებს,

რომელიც არ იცავდნენ საერთო სახელმწიფო ბრივ ინტერესუმშისა მეტად მეტად მეტად მეტად.

შესაძიმნავადა წარმოდგენილი ნაწარმოებში იაროსლავნა, მეუღლე რეორისა. ეს არის ნაზი და ღრმა გრძნობების მქონე ქალი. დიდია მისი სიყვარული იგორისადმი, უსაზღვრო სევდა მოისმის მის გოდებაში იგორზე. იაროსლავნა მიმართავს მზეს, ქარს, დნეპრს და ყველას ევედრება, მფარველობა გაუწიონ მის სიყვარულ მეუღლეს.

ნაწარმოებში, რუსი ხალხის მტრებს — ყივჩაყებს არ შორდებათ ეპითეტი „ბილწნი“ (ისე, როგორც შემდგომ თათარ-მონლოდებს).

„ამბავის“ ყველა პერსონაჟი (დაწყებული ძეველი დროის მგოსან ბოიანიდან, დამთავრებული მოლაშქრებით) ლირიკული გრძნობითაა დახატული. მთელი ნაწარმოები, ყოველი სტრიქონი, ავტორის მღელვარე სულითაა გამსჭვალული. მისი ამოცანა სავსებით ნათელია: როგორმე ჩააგონოს რუს მთავრებს გაერთიანების უცილებლობა და ამით გადაარჩინოს სამშობლო გაპარტახებასა და განადგურებას.

„ამბავის“ აეტორი უცნობია. თვით ნაწარმოების მახედვით შეიძლება ვივარაულოთ, რომ იგი იყო ერის კაცი, დაახლოებული მთავრების სამხედრო გარემოსთან. და, შესაძლებელია, ლაშქრის წევრიც. მან კარგად იცის რუს მთავართა ურთიერთდამოკიდებულება, აწმყო და წარსული, ახსოვს მრავალ მთავართა სახელები, მათი კარგი და ცუდი საქმეები. მთავრების დახსიათებისას და ბრძოლების აღწერისას ავტორში იგრძნობა მებრძოლის, მეომრის ფსიქოლოგია. იგი თანაუგრძნობს იგორს მის სურვილში „შესვას დონის წყალი“ და „გატეხოს შები ყივჩაყთა მინდვრის ბოლოს“. მართალია, ავტორი იგორს უსაყვედურებს სეპარატიზმს, მაგრამ მაინც აღტაცებულია მისი ვაჟკაცობით. შესაძლებელია, იგი თვით ყოფილა მონაწილე ყივჩაყთა ველებზე ლაშქრობისა, რადგან შესანიშვანად იცნობს ველის ბუნებას, ბრწყინვალედ გადმოსცემს „დიდი მინდვრის“ პოეზიას. მაგრამ ის ნაწარმოებში აღწერილი ლაშქრობის მონაწილე არ უნდა იყოს: ძლიერ ხშირად უხვევს მატიანეთა თხრობის თანმიმდევრობას, არ გადმოსცემს ლაშქრობის დეტალებს. ავტორი იყო კიევის მთავრის — სეიატოსლავის ლაშქრის წევრი,



რაც იმით მტკიცდება, რომ ნაწარმოებში სვიატოსლავს დამოუმცირებულებას იღორისადმი: სვიატოსლავი განაწყენებული იყო იღორის თავდაიმედებულობით და ებრალებოდა კიდევ იგი. თუ დავუშვებთ, რომ იგტორი ერთ-ერთი მოლაშქრეთაგანიცა, ამით ჯერ კიდევ ვერ გავარკვეთ ზუსტად მის სოციალურ მდგომარეობის, რადგან XII საუკუნეში ლაშქრის წევრებად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მთავრები, ბოიარები და უბრალო გლეხები — „სმერდებიც“ კი.

მაგრამ, ვინც უნდა ყოფილიყო „ამბავის“ აეტორი, ცხადია, რომ იგი ჰუმანური ადმიანია, რომელიც თანაუგრძნობს მშობლიურ ხალხს ყველა უბედურებასა და გაჭირვებაში, კარგად იცის ხალხური ზეპირსიტყვიერება და განათლებული ლიტერატორია. იგი უნდა ყოფილიყო პროგრესულად მოაზროვნე ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, რომელსაც შეგნებული ჰქონდა სამშობლოს ინტერესები.

შეიძლება თუ არა დადგინდეს „ამბავის“ დაწერის ზუსტი თარიღი? როგორც მკვლევარნი ამტკიცებენ, შეიძლება, ისინი ასახელებენ 1187 წელს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ წლის შემდეგ მოხედარი ამბები ნაწარმოებში სულ არ არის ასახული, მაშინ, როდესაც მატიანები გაღმოგვცემენ იგორის შემდგომ ცხოვრებას. 1190 წელს იგორი მთავრად დამჯდარა ჩერნიგოვში და არაერთხელ ისევ ულაშქრია ყივჩაყების წინააღმდეგ. მეორე, ნაწარმოებში „ჩერნი მთავრების“ ცოცხალთა რიცხვში მოხსენიებულია იაროსლავ ოსმომისლი, რომელიც გარდაიცვალა 1187 წელს, ამდენად „ამბავი“ 1187 წელზე გვიან არ უნდა დაწერილიყო. მკვლევართა აზრით, არც ამ წელზე აღრე შეიძლება დაწერილიყო ნაწარმოები, რადგან იგი მთავრდება ახალგაზრდა მთავრების დიდებით. მათ შორის კი მოხსენიებულია ვლადიმერ იგორის ძე, რომელიც მხოლოდ 1187 წელს დაბრუნდა ტყვეობიდან. ამრიგად, მკვლევართა დასკვნით, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ დაიწერა 1187 წელს.

თვით „ამბავის“ აეტორი სხვადასხვა სახელს უწოდებს თავის ქმნილებას: სან „მოთხრობას“, სან „სიმღერას“, სან „ამბავს“, ქველად არც ერთ ამ ტერმინს არ ჰქონია ზუსტი მნიშვნელობა, ამიტომაც წინააღმდეგობასთან არა გვაქვს საქმე. აეტორი მართალი იყო ყველა ამ შემთხვევაში. ისე, როგორც სხვა გენიალური ნაწარმოები, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ სცილდება თავისი დროის განსაზღვ-



რული ჟანრების ფარგლებს: ამიტომაც უნაყოფოა ცდებრძოლა ზედამდებარებული როდ განისაზღვროს მისი ჟანრი. უნდა დღვინშოთ, რომ ცკელი რუსული ლიტერატურისა და თვით „ამბავის“ გამოჩენილი მქვლევარი აყად. ა. ს. ორლოვი მას გმირულ პოემას უწოდებდა.

ისტორიული თხრობა ნაწარმოებში შერწყმულია საგმირო ლირიკასთან. სამხედო მოთხრობების სტილის ელემენტები და მატიანეთა ტერმინები ხალხური ეპოსისა და ლირიკის მხატვრულ ხერხებთან არის გაერთიანებული. მატიანებსა და სამხედრო მოთხრობებს მოკუთვნება სამხედრო ტერმინოლოგიაც. ნათლად არის გამოხატული აგრეთვე ორატორული სტილის ცალკეული ელემენტები. მეორე მხრივ, ნაწარმოებში ვარბად ცლინდება ხალხური სტიქიაც. ამგვარი შეერთება ხალხური შემოქმედების ელემენტებისა მწიგნობრული ლიტერატურის ხერხებთან საუკეთესოდ შეეფარდება ნაწარმოების ეროვნულ მნიშვნელობას, მის ხალხურ ხასიათს.

მქვლევარებს არაერთხელ უცდიათ დაესაბუთებინათ „ამბავის“ ლექსური ბუნება. ჯერ კიდევ პირველმა გამომცემლებმა უწოდეს მას „გმირული სიმღერა“, ხოლო მომდევნო მეცნიერებმა სცადეს მისი ლექსად დაყოფა. მართლაც, ნაწარმოებში იგრძნობა რიტმი, მასში არის რითმების, ალიტერაციებისა და ლექსისათვის დამახასიათებელი რეფრენების კვალი, იგრძნობა საერთო მუსიკალური ხმოვანებაც. შინაარსის დალაგებაც, კომპოზიციაც უფრო მეტად პოეტური ნაწარმოების ტრადიციას შეესატყვისება, ვიდრე პროზაულისას. მაგრამ ყველა ცდა — მიეკვლიათ „ამბავში“ ესა თუ ის სალექსო სისტემა — უშედეგოდ დამთავრდა. აქაც, ისე როგორც ჟანრის განსაზღვრაში, შედეგს კერძოდ მიაღწიეს.

ნაწარმოების მთლიანობაში განხილვისას, მქვლევარი რწმუნდებიან, რომ მასში გაბატონებული ერთადერთი საწყისი ლირიკული საწყისია. ამიტომ „ამბავი“ უპირატესად ლირიკული თხზულებაა, გრანდიოზული საზოგადოებრივი და ეპიკური თემა მასში ლირიკული ხერხების გამოყენებით არის გადაჭრილი. „რუსთა მიწისადმია“ მიმართული ავტორის მთელი პირადი ლირიკული გრძნობა და განცდა. და სწორედ ეს ლირიკული საწყისი აქცევს „ამბავს იგორის ლაშქრობისას“ პოეტურ ნაწარმოებად და არა რითმების, ალიტერაციებისა და სალექსო რიტმის ელემენტები.

რეს მქვლევართა არაერთი თაობა მუშაობდა „ამბავის“ პოეტური გეგმის, მისი კომპოზიციის გამოსარკვევად, საბოლოოდ შეიძლება

დადგენა ერთი კომპოზიციისა, რომელსაც ასე თუ ისე ისიარებული არის თანამედროვე მეცნიერები.

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ სამ ძირითად ნაწილად იყოფა: პირველში აღწერილია იგორის ლაშქრობა, მეორე ეძღვნება სვიატოსლავს და შესამე — იგორის დაბრუნებას ტყვეობიდან.

პირველ ნაწილს წინ უძღვის ავტორის ფიქტურები იმაზე, თუ როგორ აღწეროს იგორის ლაშქრობა, ძველი მომღერლის, გრძნეული ბოიანის თუ „ახალი დროების ნამდვილი ამბის მიხედვით“. შემდგე ავტორი პოეტურად ახსიათებს ბოიანის, ასე ვთქვაო, მხატვრულ ხერხებს, სტილს და გადაწყვეტს თავისი გზით წავიდეს „ბოიანის გვზის გარეშე“. შესავალს მოსდევს პირველი ნაწილი, რომელიც იწყება ყივჩაყების წინააღმდეგ იგორის სალაშქროდ გამგზავრების აღწერით. მზის დაბნელება, რომელიც ლაშქრობის დასაწყისში მოხდა, ვერ ანელებს იგორის მეომრულ სულს, იგი უგულებელყოფს ზეცის ამ ნიშანს.

ამის შემდეგ სურათები სწრაფად იცვლება, იგორს შეუძლება ძმა ვსევოლოდი თავისი რაზმით. შემდეგ აღწერილია რუსთა ლაშქრის მსვლელობა ველზე, დაბნელებული მზის ჩრდილში, ღამით კი მხეცების ღმუილსა და ფრინველების ჩხავილში. იმავე დროს, დონთან თავს იყრიან ყივჩაყთა რაზმები, რომლებიც „უსიერი გზებით“ მოდიან.

მეორდება აეისმომასწავებელი ნიშნები (ველზე ყმუიან მგლები, ყივიან არწივები, „მხეცებს იწვევენ ძელებზე“), ავტორი წარმოსთვემს: „პო შენ რუსეთის მიწავ, მამულო, მოების გადაღმა ხირ დარჩენილი!“.

გრძელი ღამეა, ნისლიანი დილა თენდება. რუსების წითელფარგბიან ლაშქარის ველი შეუკრავს. პირველი შეტავება ყივჩაყებთან მთავრდება გამარჯვებით, რუსებმა ხელთ იგდეს დიდი ნადავლი, ლამაზი ქალები, ოქრო, აბრეშუმის ძეირფასი ტანსაცმელი:

„გათენების ხანს (მათ) გადათელეს (გაძფანტეს) ყივჩაყთა ბილწი პოლკები, გაიტაცეს (გააქროლეს) ყივჩაყების ლამაზი ქალები, მათთან ერთად ოქრო, აბრეშუმის ქსოვილები, ძეირფასი იტლასი (ნადავლი იმდენად დიდი იყო, რომ) ჭაობიან და ჭანჭრობ აღგილებზე ხიდებად დაპყარეს ტანსაბურავები, ლაბადები და ტყაპუჭები და ყივჩაყთა სხვა მოქარგულები. წითელი ღოოშა თეთრი ბაი-

რაღით და წითელი თული ვერცხლის ტარზე (მიართვეს) მამაც ცნობის ტოსლავიჩს (იგორს)!“.

დამტ ბრძოლის შემდეგ, ფრთხილი ძილი, გაურკვეველი მოლოდინი.

„ო, რუსთა შიშავ, მთების გადამდა ხარ დარჩენილი!“

იი, ქარმა უკვე მიაყარა ისრები ივორის მამაც პოლკებს, ყავჩაყთა ურიცხვი ჯარი შეესია მათ. რუსი მეომრების გმირობა გამოხატულია ვსევოლოდის მოქმედებაში:

„ფიცხელო ხარო, ვსევოლოდ! დგახარ შუა ბრძოლაში, სტკორცხნი მეომართ ისრებს, ფოლადის დაშნებს აგრეგინებ მუზარადებზე. საითაც კი გაჟენდები, ოქროს მუზარადით მოელვარე, იქით ყრია ყივჩაყების ბილწი თავები. გაჩეხილია ნაწრობი ხმლებით ავარიის მუზარადები შენს მიერ, ფიცხელო ხარო, ვსევოლოდ!“

ბრძოლის აღწერისას ავტორი იგონებს წარსულს, როდესაც „ქიშხობა ითესებოდა და ისრდებოდა, იყო შფოთი, ვარამი“, ნადგურდებოდა ხალხი. მაგრამ იმ დროსაც არავის უნახავს ასეთი საშინელი ბრძოლა. პოეტი კვლავ უბრუნდება ბრძოლის აღწერას და შესანიშნავი ექსპრესიული სურათით ამთავრებს მას:

„რა ხმა მესმის, რა რეკვა მესმის შორიდან ადრიან დილით? იგორი აბრუნებს გაქცეულ პოლკებს, რადგან ებრალება საყვარელი ძმა ვსევოლოდი. იბრძოლნენ ერთ დღეს, იბრძოლნენ მეორეს; შესამე დღეს, შუადღისას, დაეცა იგორის დროშები. ორი ძმა განშორდა ერთმანეთს სწრაფ კაილას ნაპირებზე. არ იყმარა სისხლიანმა ლეინომ, დაასრულეს ლხინი — ბრძოლა მამაცმა რუსებმა: დაათვრეს მძახლები, თვით კი დაეცნენ რუსთა მიწისთვის. ბალახი ჭკნება მათი საცოდაობით, ხეც კაეშნით მოსილი მიწაზე იხრება“.

კაილაზე დამარცხების სიმძიმეს ავტორი უკავშირებს მთავრების უწინდელი ურთიერთობის რღვევის ნიშნებს. ეს დუხშირი დრო განსახიერებულია ქალწულში, რომელიც თავისი გედისებური ფრთხების ფარგატით აღვიძებს მოგონებებს უკეთესი, ბედნიერი დროის შესახებ. მთავართა მეტოქეობამ შეასუსტა „რუსთა მიწის“ დაცვა „ბილწთა“ შემოსევებისაგან. მთავრებმა-ძმებმა ერთმანეთს დაუწყეს მტკიცება: „ეს ჩემია და ისიც ჩემია“, მცირე ამბებს აზვიადებდნენ, „ბილწნი“ კი ყოველი მხრით მოაწყდნენ სამშობლოს, მაგრამ მომხდარს რა გამოასწორებს? იგორის მამაცი ლაშქარი აღარ აღდგება, ტირიან რუსთა ცოლები, სევდამ და ნალველმა დაფარა მთელი რუსეთი.

საერთო გოდება და ურვა მით უფრო მძიმეა, რომ სულ მცირდება ნინათ რუსეთი ყივჩაყებზე გამარჯვებას ზეიმობდა. ავტორი იხსენებს კიევის მთავრის სვიატოსლავის შარშანდელ ბრწყინვალე გამარჯვებას, როდესაც მისმა ლაშქარმა გადაასწორა ყივჩაყთა მთები და ხრამები, აამღვრია მდინარეები და ტბები, ხოლო „ბილწი“ ყობიაყი სასტიკად დამარცხა. კონტრასტი წარსულ გამარჯვებასთან შედარებით კიდევ უფრო ილრავებს იგორის დამარცხებით გამოწვეულ სირცხვილსა და ვარამს. ყველა ქვეყნის ხალხები — ვენეციულებიც და გერმანელებიც. ბერძნებიცა და მორავიელებიც — ჰკიახვენ იგორს, ხოლო თვით იგი, მთავარი, მონად იქცა.

ამით მთავრდება „ამბავის“ პირველი ნაწილი.

მეორე ნაწილი კიევის მთავარს სვიატოსლავს ეძღვნება. შეს ჭერ კიდევ ორ შეუტყვია იგორის უბედურება, სიზმარშია, რომელიც კარგს არაფერს უქადის მთავრის სახელს. ესიზმრება, ვითომ შეი აბრეშუმის ქსოვილს აფარებენ, სთავაზობენ მოწამლულ ღვინოს „ბილწთა“ კაპარჭებიდან, მკერდზე იყრინ მარგალიტს — ცრემლის სიმბოლოს, მის სახლს კოჭი გამოსცლია, ხოლო მთელ ღამეს ყვავ-ყორნების ჩხავილი ისმისა.

ბოიარები უხსნიან სვიატოსლავს ამ სიზმარს, ეუბნებიან, რომ მთავრები კიალაზე ყივჩაყებთან ბრძოლაში დამარცხდებიან, რაც რუსეთისათვის ახალ უბედურებას, ყივჩაყების ახალ შემოსევას გამოიწვევს.

მაშინ დიდი სვიატოსლავი წარმოთქვამს „ოქროს სიტყვას“, როგორც უფროსი საგვარეულოში, საყვედურის სიტყვებით მიმართავს იგორსა და ესევოლოდს მათი აჩქარებისათვის ყივჩაყთა წინააღმდეგ გალაშქრებაში, დიდების პატივმოყვარულ სურვილში. იგი ჯეროვნად აფასებს მათ უსაზღვრო მამაკობას, მაგრამ მით უფრო მძიმე ასატანია მისთვის დიდი მთავრის ავტორიტეტისადმი ამგვარი უპატივცემულობა. „რა უქმენით ჩემს გერცხლის ჭილარას?“ — წარმოთქვამს სვიატოსლავი სევდით. მაგრამ დამარცხებამ ვერ შეუტყია მთავარს ძლიერი სული, იგი ძალის იკრებს და „ახალგაზრდავდება, როგორც შავარდენი გაზაფხულზე“. „ეს კი ორ არის უბედურება, — ამბობს სვიატოსლავი, — არამედ ის, რომ მე მთავრები ორ გამომყვებიან“. აქ მთავრდება სვიატოსლავის „ოქროს სიტყვა“, მისი საუბარი ბოიარებთან, რომელიც გამოხატავს



საყვედლურს ჩერნიგოვის მთავარ იაროსლავისადმი, რომ უბედურების, დაეხმარა იგორს, და იგრეთვე ოღწერს ქალაქ რიმოვის უბედურების, ყივჩაყთა მხრიდან დატეხილს.

ამას მოსდევს მგზნებარე მიმართვა რუსთის სხვადასხვა მთავრებისადმი, რათა გერთიანდენენ შტრების წინააღმდეგ, „რუსთა მიწის დაშტორებისათვის, მთავარ იგორის ჭრილობებისათვის“. პასუხი ამ მოწოდებაზე ნაწარმოებში არ ჩანს. „რუსთა მიწას“ დარჩენია მხოლოდ მოგონებანი დიდებულ წარსულზე, დაუბრუნებელ დროზე „ძველი ვლადიმერისა“, რომლის შთამომავლები ცალ-ცალკე მიღიან, „მათი დროშები სხვადასხვა მხარეს მიფრიდებენ“.

მესამე ნაწილი „ამბავისა“ დაკავშირებულია იგორის ტყეეობიდან დაბრუნებასთან. სეიატოსლავის სიტყვამ არ გამოიღო შედევრი, ვერ გაეცრთიანა მთავრები იგორის დასისხსნელად. იგორის ხსნა სხვა გზით ხდება. ამ ნაწილში წარმოგვიდგება იგორის ცოლის, იაროსლავნას, მაღალმხატვრული სახე.

ობლად ტირის იაროსლავნა ქალაქ პუტიგლას გალავანზე. იგი დასტირის ქმარს და მიმართავს ბუნების სტიქიურ ძალებს — ქარს, დნეპრს (წყალს) და მზეს, სოხოვს მათ დაეხმარონ იგორს: „ქარო, ქარბორბალივ! რისთვის მძვინვარებ ასე, ბატონო, რისთვის მოაფრენ მტრების ისრებს შენი მსუბუქი ფრთებით ჩემი ტრტიალის მეომრებზე? ნუთუ არ კმაროდა, შენთვის გექროლა მაღლა ღრუბლებში, გრწია გემები ცისფერ ზღვაზე? რისთვის გაანიავე. ბატონ. ჩემი სიამე ტრამალთა ბალახებში?...“ ასევე მიმართავს იაროსლავნა დნეპრს, რომელსაც სოხოვს „ფრთხილად გამოარწიოს მასთან იგორი“, და მზეს. ბუნების სტიქიამ თითქოს უპასუხა იაროსლავნას ვეღრებას.

შემდეგ ოღწერილია იგორის გაქცევა, თავდაპირველად გადოცემულია მღელვარება და შიში, რაც თანდათან საშშობლოში დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულში გადადის. დონეცს რომ მიაღწიეს, იგორი მიესალმება მღინარეს, რომელიც იფარავს მას გაქცევის დროს, დონეციც მისალმებით პასუხობს მთავრის. მთელი ბუნება თანაუგრძნობს და ეხმარება იგორს, ხოლო ყივჩაყების ხანებისადმი — გზაყისა და ყონჩალისადმი, რომლებიც იგორს მისდევენ. სრულიად გულვრილია. გზაყი და ყონჩალი იგორის შვილის, მათთან დარჩენილი ვლადიმერის ხედზე მსჯელობენ: მოკლან იგი თუ ყივჩაყი ქალისადმი სიყვარულით გადაიბრონ.

იგორი ბრუნდება სამშობლოში. „თავს უჭირს მხრების გარეუნე, მაგრამ ტანსაც უჭირს უთავოდ“. — ამბობს ეკორი, რითაც გამოხატავს „რუსთა მიწის“ ტეკილს იგორთან განშორების გამო.

„მაგრამ ისევ ბრწყინვას შე ცაზე, ხოლო მიწაზე — მთავარი იგორი. ქალიშვილთა სიმღერები დუნაიდან კიევამდე აღწევს. ქვეყნები ხარობენ, ქალაქები მხიარულობენ. თუ ძველ მთავრებს ვუმორეთ, ახალგაზრდებსაც უნდა ვუმღეროთ. დიდება იგორს სვიატოსლავის ძეს, ფიცხელ ხარს ესევოლოდს, ვლადიმერ იგორის ძეს! დღეგრძელ იყვნენ მთავრები და ლაშქარი ქრისტიანთა მოწინააღმდეგ ბილწებთან ბრძოლაში. დიდება მთავრებსა და ლაშქარის ამინ“.

ეს სტრუქტურა „ამბავისა“, რომლის გადმოცემის დროს ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა ძეგლის ზოგიერთი მხატვრული თავისებულება, გამოთქმა და ხერხი, მოწმობს ავტორის შესანიშნავ პოეტურ ოსტატობას...

ამრიგად, ნაწარმოების ცხვლა მხატვრული ელემენტი ერთ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს. მისი პოეტური სტილი სავსებით შეეფარდება ამ ძეგლის ხალხურ-პატრიოტულ და ისტორიულ-გმირულ შინაარსს. ეროვნულ მხატვრული ფორმა, ისე შინაარსი ერთ მთლიან შთაბეჭდილებას ქმნის და მხოლოდ დეტალური ინალიზის შედეგად (ისიც არა ყოველთვის) შესაძლებელი ხდება გამოვაცალებელთ ფოლკლორული ტლემენტები მწიგნობრულისაგან, ლირიკული — ეპიკურისაგან და პოეტური — პროზაულისაგან.

როვნრც იღნიშნული იყო, „ამბავს იგორის ლაშქრობისა“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველ რუსულ ლიტერატურაში.

მკლევართა აღიარებით, მას ერთ-ერთი პირველი ადგილი აქვს გმირულ პოემებს შორის, რომლებიც ეკროპაში შეუასეუნებში იქმნებოდა. ესაა სკანდინავური საგა, გერმანული „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ფრანგული „სიმღერა როლანდზე“ თუ სხვა.

„ამბავი“ ბევრით ემსგავსება ამ ნაწარმოებებს. რაინდული ლირსებებისა და სამხედრო ვაჟაცობის კულტით, რომლითაც შემკულია ნაწარმოების ცხვლა გმირი; ფორმით, ხალხურ შემოქმედებასთან სიახლოეთ, რომელმაც ეს პოემა მშობლიური ხალ-  
3. მწიგნობაზი 85



ხის ხშად აქცია. მაგრამ მრავალი თვისებით „ამბავი“ ტერმინზე გამოიჩინა მის მონათესავე ნაწარმოებთაგან. მაგალითად, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ გამსჭვალულია „ღირსების“ უაღრესად ჰუმანური გავებით, ვიდრე, მაგალითად, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, სადაც სამხედრო ძალა და ვერაგობა იწვევს უშიშნონ ხანძრებსა და სისხლის ღვრას. იგორის მოღაშქრენი კი, „ეძებენ რა თავისთვის ღირსებას და მთავრისათვის დიდებას“, ილაშქრებენ ყივჩაყებზე წმინდა მიზნით — „რუსთა მიწისათვის“.

„ამბავის“ ავტორი ფერდალურ-რაინდული ღირსების ვიწრო იდეალის მოღერალი კი არ არის, არამედ მოელი ხალხის ინტერესების გამომხატველია, ჰეშმარიტი სახალხო პოეტია. ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსი „ამბავში“ გამოხატულია გაცილებით უფრო ფართოდ და მთლიანად, ვიდრე აღნიშნულ პოემებში. „ამბავის“ ავტორის მიზანია შორეული და ხალობელი წარსულის სახეების საშუალებით მოუწოდოს ხალხთა ძალებს გაერთიანებისაკენ. ამგვარი მიზანი არ მდგარა სხვა პოემების ავტორების წინაშე.

დაბოლოს, „ამბავი“ გამოიჩინა სხვა შუა საუკუნეების პოემებისაგან რეალური ელემენტებით: მის სიუკეტში არ მონაწილეობენ ციური ძალნი, გადოქტული ხმლები, მოლაპარაკე ცხენები. მითოლოგიური სახეები და გასულიერებული ბუნება მხოლოდ პოეტური წარმოდგენებია და არა მოვლენათა მამოძრავებელი ძალა.

„ამბავის“ გავლენა ძველი რუსული ლიტერატურის განვითარებაზე უფრო ფართო და ღრმა იყო, ვიდრე ეს ჩენამდე მოღწეული ძეგლებიდან ჩანს. ორასი წლის შემდეგ მან ძლიერი გავლენა მოახდინა „ზადონშჩინაზე“, შემდეგ მისი საშუალებით ან, როგორც ვარაუდობენ, შეიძლება უშუალოდაც, — „თქმულებაზე მამას ბრძოლაზე“ და სხვ.

„ამბავისადმი“ ინტერესი ცხოვლად იღვიძებს მისი პირველი ბეჭდური გამოცემის დროიდან. ძეგლი მაშინ წარმოიშვა, როცა ველიკორუსებიც, უკრაინელებიც და ბელორუსებიც გაერთიანებული იყვნენ საერთო სამშობლო — კიევის რუსეთში. ამიტომ იგი ამ სამიერ მოქმე ხალხის კუთვნილებაა. 1803 წლიდან იწყება მისი თარგმანი ახალ რუსულ, უკრაინულ და ბელორუსულ ენებზე. ვ. უშკოვსკის ერთ-ერთი ადრეული თარგმანი ახლაც სა-



უკეთესობაზე. „ამბავის“ სათარგმნელად, როგორც იღვნიშნეთ, ეს მასალას პუშკინიც ამზადებდა. საუცხოო თარგმანი ქელისა შეასრულა ა. მაიკოვმა. XIX—XX საუკუნეებში „ამბავის“ მრავალი თარგმანი გამოქვეყნდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ გავლენას ახდენდა ახალი რუსული ლიტერატურის განვითარებაზეც. ეს გავლენა ჩანს უკვე რადიშჩევის და შემდეგ, — XIX საუკუნის დასაწყისის მრავალი მწერლის შემოქმედებაში, რომლებიც ისტორიულ თემებზე წერდნენ, პუშკინისა და მისი თანამედროვეების პოეზიაში /ჩნდება ბოიანის სახე (მაგალითად, „რუსლანსა და ლიუდმილაში“), „ამბავის“ გავლენა ვლინდება ა. ოსტროვსკის პიესაში „თოვლის ქალი“, ა. ბლოკის („ახალი ამერიკა“), ე. ბაგრიცის („ფიქრი ათანასეს შესახებ“) და სხვათა შემოქმედებაში.

„ამბავის“ თარგმნა იდრე დაიწყეს სხვა სლავურ და დასავლეთეუროპულ ენებზე. ნაწარმოები თარგმნილია ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, პოლანდიურად, უნგრულად. იგი ითარგმნა აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე.

ქართველმა მკვლევარებმა არა ერთი წერილი უძღვნეს „ამბავს იგორის ლაშქრობაზე“. მმ წერილებს შორის უნდა აღინიშნოს ს. დანელიას, ს. ჩიქოვანის, კ. ჭიჭინაძის, გ. ნატროშვილის და სხვათა ნაშრომები. მათში დასმულია ზოგიერთი საინტერესო საკითხი ნაწარმოების როგორც იდეურ-მხატვრული შესწავლის, ისე მისი ქართულად თარგმნის თვალსაზრისით და საქართველოს წარსულთან დაკავშირებით.

პროფ. ს. დანელიას ოთხი წერილი — „ძველი რუსეთის უდიდესი პოეტური ძეგლი“, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ და მისი შესწავლის ისტორია“, „ამბავი იგორის ლაშქრობისა და ქართველი ხალხის წარსული“, „ამბავის“ იგტორის მსოფლმხედველობა — როგორც მათი სათაურებიდანც ჩანს, შეიტანს მრავალ საინტერესო საკითხს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

წერილში „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ და „საქართველოს წარსული“ ს. დანელია ეხება იმ ურთიერთყავშირს, რომელიც არსებობდა, ერთის მხრივ, ძველ საქართველოსა და კიევის რუსეთს შორის, ხოლო მეორეს მხრივ, მათსა და ყივჩაყებს შორის.

მკვლევარი დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ყივ-

ჩაყების გადმოყვანის ცნობილ ფაქტს უკავშირებს ვლადიმერ შოთა ვარაუბა  
ნომახის მიერ ყივჩაყთა ხანის ოტროების განდევნას „ობეზშიია აფრიკა  
ნის კარებს იქით“. იყო თვლის, რომ რუსულ მატიანეებში ნახსენები  
ნის კარებს იქით“. იყო თვლის, რომ რუსულ მატიანეებში ათოვა  
და შარალანი ერთოდაიგრვე პირები არიან, „ხოლო მაშინ „იგორის  
ლშექრობის ამბავში“ ნახსენები ყივჩაყთა ხანი ყონჩაღი დავით  
აღმაშენებლის ცოლისძმა (გურანდუხტის ძმა). ამდენად, ასევნის  
მკვლევარი, საქართველოს დეფოფალი ჭურანდუხტი ყოფილა  
პუტივლის მთავრის ვლადიმერის ცოლის მამიდა, რადგან ივო-  
რის ქაუმა ვლადიმერმა ყონჩაღის ასული შეირთო“.

ს. დანელიას დასკვნით „ეს მატრიმონიალური კავშირი თა-  
მაშობდა იმ დროს არაუმნიშვნელო როლს ხალხთა ურთიერთგაც-  
ნობისა და დაახლოების საქმეში. და თუ 1184 წელს, თამარ მეფეს  
აბულ-ასანმა საქმროდ შესთავაზა რუსი თავადი გიორგი, ეს შე-  
საძლებელი იყო აღბათ იმიტომაც, რომ რუსეთის მთავრები სა-  
ქართველოს მეფეთათვის არ იყვნენ უცხო პირები უკვე დავით აღ-  
მაშენებლის დროიდან მაინც“.

წერილში, რომელიც შიძლვნილია „ამბავს“ შესწავლის ის-  
ტორიისადმი რუსეთში, ს. დანელია მოკლედ განიხილავს ნაწარმო-  
ების აღმოჩენისა და გამოქვეყნების საკითხებს და მისი მეცნიე-  
რული შესწავლის ეტაპებს, ახასიათებს სსვადასხვა მკვლევართა  
ღვაწლს ამ საქმეში, აკრიტიკებს იმ სკეპტიკოსთა შეხედულე-  
ბებს, რომლებიც უარყოფნენ ძეგლის ორიგინალურობას და  
მას ყალბადებინილად თვლიდნენ.

„ძეველი რუსეთის უდიდეს პოეტურ ძეგლში“ ავტორი ახასი-  
ათებს კიევის რუსეთის ისტორიულ-კულტურულ მდგრმარეობის,  
არჩევს ნაწარმოების იდეურ-მხატვერულ თავისებურებებს.

შეტად საინტერესო ს. დანელიას წერილი, მიძღვნილი „ამ-  
ბავის“ ავტორის მსოფლმხედველობის საკითხებისადმი.

შევლევარი ძირითად ამოცანად ისხავს გაარკვიოს, თუ ეინ  
იყო რელიგიური რწმენით ნაწარმოების ავტორი — ქრისტიანი,  
წარმართი თუ ქრისტიანი წარმართული თვისებებითა და ელემენ-  
ტებით. სწორედ ამ სამი შეხედულების გარშემო ჯგუფდებოდნენ  
ძირითადად ძეგლის მრავალრიცხვოვანი მკვლევარები „ამბავის“ ავ-  
ტორის რელიგიურ შეხედულებათა გარკვევისას.

ს. დანელია კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ნაწარმოების ავ-

ტორი ქრისტიანია, რადგან მისი ძირითადი შეხედულებანი ყველაზე დამატებული საკითხები, რომელსაც თავის პოტურ ქმნილებაში ეხება, „საესებით თავსდება ქრისტიანული მსოფლშეგრძნების კალაპოტში და არ შეიცავს წარმართობის ელემენტს“.

ამ ძირითადი თეზისის დასამტკიცებლად მკვლევარი შემდეგ ნაირად მსჯელობს:

„ნაწარმოების ავტორის მიერ წარმართული ღმერთების ყველა ხსენება და ბუნების მოცლენათა ფასულერება-განსახიერება აიხსნება არა მისი წარმართული რწმენის გამოვლინებით, არამედ იმ პოტური ხერხებით, რომელთაც ნიჭიერი ავტორი მიმართებს.“

სლავური მითოლოგია ნაწარმოებში გადადის მაღალ პოეზიაში, ამიტომ კარგავს მითოლოგიის ნიშნებს. ამდენად, ნაწარმოების ავტორი, თავის ამოცანას ხედავს არა წარმართული მითების თხზვაში, არამედ მაღალპოეტურ შემოქმედებაში.

„იგორის ლაშქრობის“ ავტორის ქრისტიანული მსოფლმხედველობა, ს. დანელიას აზრით, გამომდინარეობს არა ისეთი გარევული ამბებიდან, როგორიცაა პიროვნეული ღვთისმშობლის ტაძრის ხსენება, რომლისენაც მიემართება იგორი, რათა ილოცოს ტყვეობიდან თავის სასწაულებრივი გადარჩენის გამო, ან საეკლესიო ზარების გუგუნიდან, რომელიც გაისმის პოლოცკიდან კივეამდე. მკვლევარის აზრით „ამბავის“ ავტორის ქრისტიანობა გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ეს ამ დეტალებით ჩანს. იგი უნდა ვეძიოთ ავტორის მსოფლმხედველობის წყობაში, პოლიტიკური და ზნეობრივი ცხოვრების ძირითად პრობლემებთან მის თავისებურ დამოკიდებულებაში. ამ პრობლემებს მკვლევარი აკუთვნებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ავტორის დამოკიდებულება „ბილწ“ ყივჩაყებთან, ე. ი. სწორედ წარმართებთან, და აგრეთვე „ღირსების“ ავტორისეულ გაედას, რომელიც საესებით ქრისტიანულია და მკვეთრად უპირისპირდება ქრისტიანობამდე გაბატონებულ წარმართულ გაეგებას.

სხვა ჭართველ ავტორთა წერილები „იგორის ლაშქრობის“ შესახებ ძირითადად პოპულარული ხასიათისა და აშუქებენ რეცნიერებაში დადგენილ, ნაწარმოებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ იმ ნაწარმოებთა რიცხვს მიე-

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ის ნაწარმოები, რომელიც  
შველაზე ძლიერად გამოხატავს ამა თუ იმ ხალხის ეროვნულ თა-  
ვისებურებებს, და, საერთოდ, ეროვნულ თეისებათა პოეტური გან-  
სახიერებაა, დიდ მთარგმნელობით ოსტატობას მოითხოვს.

სწორედ ამგვარი ხასიათის ძეგლია „ამბავი იგორის ლაშქრო-  
ბისა“, რომელიც მჟიდროდ არის დაკავშირებული რუსი ხალხის.  
ძველ კულტურასთან, ყოფასთან, ენასთან, მსოფლმხედველობასთან.

ნაწარმოების ტექსტი მრავალ, მხოლოდ იმ ძველი დროისათ-  
ვის დამახასიათებელ ნიშანთვისებას შეიცავს; მისი ზოგიერთი აღ-  
ვილის სწორად წაკითხვა ჯერაც არ არის საბოლოოდ დადგენილი.

აქედან გასაცემი უნდა იყოს, თუ რა რთული ამოცანის წი-  
ნაშე იდგნენ მისი ქართველი მთარგმნელები.

ქართულად არსებობს ნაწარმოების ორი პოეტური თარგმა-  
ნი: სიმონ ჩიქოვანისა და კონსტანტინე ჭიჭინაძისა. ორივე თარგ-  
მანი მაღალი ღირსებისაა.

როგორც აღინიშნა, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ პროზითა  
დაწერილი. მასში ნათლად იგრძნობა რაღაც რიტმული წყობა,  
რომლის მთლიანად აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა. ახალ რუ-  
სულ ენაზე იგი, ჩვეულებრივ, ურითმო, თეთრი ლექსით ითარ-  
გმნება, თუმცა ხანდახან გვხვდება მაგალითები, როცა ტექსტი  
თარგმნილია სხვადასხვა ზომის გარითმული ლექსითაც. ურითმო  
ლექსით თარგმნეს ძეგლი ჯერ კიდევ ი. სერიაკოვა (1802 წ.),  
ნ. იაზიკიმ (1812 წ.), ი. ლევატსკიმ (1813 წ.), ვ. უკიოვსკიმ  
(1817 წ.), ნ. გრამატინმა (1823 წ.), მ. დელარიუმ (1839 წ.), დ.  
მინავემა (1846 წ.), ლ. მეიმ (1850 წ.), ა. მაიკოვა (1869 წ.),  
ნ. ალიაბეგმა (1873 წ.) და სხვებია.

არსებობს რათმული ლექსითი თარგმანებიც: ა. პალიცინისა  
(1807 წ.), ი. კოზლოვისა (1821 წ.), ვ. ზაგორსკისა (1824 წ.), ნ. ბერ-  
გისა (1846 წ.), ნ. ბერგელისა (1854 წ.) და სხვ.

დიდი მუშაობა ჩაატარეს საბორთა პოეტებმაც ამ ძეგლის  
თანამედროვე ენაზე გაღმოსაცემად. არსებობს ს. შერვინსკის, გ.  
შტორმის, ა. პროკოფიევის, ვ. სტელეცის, ნ. ზაბოლოცის და სხვე-  
ბის მაღალმხატვრული თარგმანები.

როგორც ვხედავთ, ქართველ მთარგმნელებს მდიდარი დამზადებული რე მასალა და ნაწარმოების ბევრი კარგად თარგმნილი ნიმუში ჰქონდათ თავის განკარგულებაში.

ჩვენი მთარგმნელების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ქართული ტექსტი ხელოსაა ორიგინალთან, შენარჩუნებულია ძეგლის თითქმის ყველა პოეტური ხერხი და გადმოტანილია თითქმის ყველა სახე. ეს გარემოება ორივე თარგმანს ერთმანეთთან ახლოებს, მძგვანებს კიდეც. მაგრამ განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს როგორც პოეტური ხერხების, ისე სიტყვიერი მასალის გამოყენების მხრივ.

როგორც ს. ჩიქვანის, ისე კ. ჭიჭინაძეს ორიგინალის გაღმოსაცემად ათმარცვლიანი ურითმო ლექსი აურჩევიათ. პირველს ჩვეულებრივი ათმარცვლიანი, ხოლო მეორეს — რუსული ხალხური ლექსის რიტმული წყობის შესატყვისად ქართული ათმარცვლიანი ლექსისათვის ყველგან დაქტილური (სამმარცვლიანი) დაბოლოება მიუცია. თუ ეს გარემოება, მთარგმნელის აზრით, თარგმანს რუსული ხალხური პოეზიის ნიმუშებს უახლოებს, ჩვეულებრივ ათმარცვლიან ლექსს, ყოველ შემთხვევაში, მეტი მოქნილობა გააჩნია და მთარგმნელიც არ არის იმდენად შეზღუდული აუცილებელი დაქტილური დაბოლოებით.

თარგმანის შესავალში კ. ჭიჭინაძე აღნიშნავს: „ორი სიტყვა ამ ნაწარმოებში „დივი“ და „დრუჟინა“, რომლებიც წმინდა რუსული ცნებებია, უთარგმნელად მივიღეთ. დავტოვეთ აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში მამის სახელწოდების რუსული ფორმა — სვიტოსლავიჩი, ოლგოვიჩი, იაროსლავნა და სხვა, კრისტიან ეს ფორმა, ერთის მხრივ, რუსულ კოლორტს აძლევს თარგმნს, რაც მნიშვნელო თვალსაზრისით მნიშვნელოვან მომენტად უნდა ჩითვალოს, და, მეორეს მხრივ, იგი, ჩვეულებრივ, სახელის მიეკრიბა იმარება და ამიტომ უმართებულო იქნებოდა მისი შეცვლა ქართული „ძით“ ან „ასულით“.

საწინააღმდეგოდ ამისა, ს. ჩიქვანი ყველგან წერს მამის სახელის ქართულ დაბოლოებებს „ძესა“ და „ასულს“, ხოლო „დრუჟინა“ „ლაშქრით“ შეცვლია. ამ ფორმებისა და სიტყვების სხვადასხვავარ ხმარებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს: უფრო სწორია კ. ჭიჭინაძის მიერ ხმარებული ფორმები, გარდა

„დრუჟინასი“, რომლის შეცვლა ქართული შესატყვევისთვის სებით კანონზომიერია.

ს. ჩიქოვანსაც და კ. ჭიჭინაძესაც კარგიდ დაუძლევიათ მრავალრიცხვანი დაბრუოლებანი. მათ მოგეცეს ქართული პოეტური ტექსტი, რომელიც ორიგინალის სტილისტურ თვისებებსაც შეიცავს და ქართულადაც ბუნებრივიდ ულერს. ს. ჩიქოვანის თარგმანი უფრო ლალია და ხალხური სტიქის მეტად შემცველი, მაგრამ კ. ჭიჭინაძის თარგმანსაც გააჩნია თავისებური ლირსებანი.

ამრიგად, ჩვენ ამ ღილმნიშვნელოვანი ძეგლის ისეთი პოეტური თარგმანები გვაძეს. რომლებშიც შეიძლება ვიგრძნოთ ორიგინალის თავისებურება და მაღალმხატვრულობა.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ეს თარგმანები მაინც ძეგლის პოეტურ გადამღერებას წარმოადგენენ და მიუხედავად მათი ლირსებებისა, ბუნებრივია, ცოტად თუ მეტად სცილდებიან ტექსტს და სავსებით გასავები მიზეზების გამო, არ წარმოადგენენ ზუსტ თარგმანს. ზუსტი, შეცნიერული თარგმანის საჭიროება კი მეტად სავარაუდო იყო. ამგვარი თარგმანი ჩვენ შევასრულეთ და პირველად 1958 წელს გამოვაწევყოთ.

## ბავშვებს — ჯიგის ჯაღოსხირი სამართლო

ესაუბრა ოთარ ხუციშვილი

— ჩვენს ქვეყანაში, სადაც უველაფერი კეთდება ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი, ვიდრე ბავშვი — ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალი. ეს კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა 1985 წლის ივნისში თბილისში გამართულ სსრ კავშირის გამსახურისა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საბავშვო ლიტერატურის განვითარების პროცესის გაატიურებას, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტას.

რესპუბლიკაში საბავშვო ლიტერატურის განვითარების, მის წინაშე მდგომი ამოცანების ახლო მომავალში გადაჭრის ბედი დიდად არის დამოკიდებული გამომცემლობა „ნაკადულზე“, სადაც თქვენ, ქალბატონხო ნონა, ნაყოფიერ საგამომცემლო-შემოქმედებით საქმიანობას ეწევით. გთხოვთ „მწიგნობარის“ მკითხველებს მოუთხროთ „ნაკადულის“ მიერ საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის ზრდისა და სრულყოფისათვის გაწეულ მუშაობაზე, მომავლის ამოცანებზე, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე.

— საყავშირო სხდომის თბილისში ჩატარებამ მართლაც რომ ფრთხები შეასხა რესპუბლიკის სამწერლო და საგამომცემლო საქმიანობას იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომლებიც მათ წინაშეა დასახული საბავშვო ლიტერატურის გამოცემის სრულყოფისათვის, მისი ხარისხისა და შინაარსის, ნორჩ მკითხველებთან დამზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

სხდომის მონაწილეთა გამოსვლებში ითქვა, რომ დღეს ძალზე საჭიროა საბავშვო ლიტერატურა გამოხატავდეს თავის



დამოკიდებულებას ნორჩების სოციალურ-საზოგადოებრივი განვითარებას ვისადმი, წარმოაჩენდეს პიონერული და კომეავშირული ორგანიზაციების როლს, არ ერიდებოდეს მწვავე პრობლემების გაშუქებას, მხატვრულად მკაფიოდ წარმოსახავდეს თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრებას, მთელ მის მრავალფეროვნებას.

შემოქმედებითი ძიების, საფუძვლიანი ანალიზის სულისკვეთება, თანამედროვე მოხარდის სულიერი სამყაროს ღრმა კოდნა — ყოველივე ეს უნდა მოსავდეს ქვეყნის მწერლობის შრომითს საქმიანობას.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ახლა 3 ათასზე მეტი დასახელების წიგნს 500 მილიონზე მეტი ტირაჟით იღებენ ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის ნორჩი მოქალაქენი. მხატვრული და საბავშვო ლიტერატურის წილად მოდის გამოშვებული წიგნების პროდუქციის საერთო მოცულობის 50 პროცენტზე მეტი. ლიტერატურა ნორჩებისათვის საინტერესოდ და მკაფიოდ ვითარდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ბევრი საბჭოთა საბავშვო მწერლის წიგნი თარგმნილია რამდენიმე ათეულ უცხოურ ენაზე, მინიჭებული იქნება საერთაშორისო ჯილდოები.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენთან არადამაკმაყოფილებელია საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის საქმე. მაგალითად, 1983 წელს საქართველოში გამოშვებული წიგნადი პროდუქციის საერთო მოცულობის მხოლოდ 9,9 პროცენტი შეადგინა მოხარდი თაობისათვის განკუთვნილმა გამოცემებმა.

ახლა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ბევრს ზრუნავს იმისათვის, რომ არსებითი გარდაქმნები მოხდეს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის საქმეში. პროგრამული გახდა ჩვენთვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება „საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ამ დადგენილების განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს 1990 წელს საქართველოში საბავშვო გამოცემანი წიგნების საერთო რაოდენობის 20 პროცენტამდე გავზიარდოთ. დღეისათვის უკვე მარტო „ნაკალული“ გოველწლიურად უშვებს 150-მდე დასახელების წიგნს, რომელთა სერტო ტირაჟი 2 მილიონ 800 ათასს შეადგენს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ საბავშვო ლიტერატურის იდეურ-პოლიტიკურ და მხატვრულ ღონებს.

საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, რომელიც ახლა რესპუბლიკაში გამოდის, აქტიურად უწყობს ხელს ნორჩი მკითხველის გონიერივი პორიზონტის გაფართოებასა და ესთეტიკურ იღზრდას, მოზარდ თაობაში მაღალი კომუნისტური იდეალების ჩამოყალიბებას, ცოდნისადმი მისწრაფებას, უცითარებს მას აღმშენებლობით შრომაზე მოთხოვნილებას.

— მაგრამ წიგნიც არის და წიგნიც. კარგად მოგეხსენებათ, დღეს ყველა წიგნი როდი იზიდავს მოზარდს. სულ უფრო მეტად დგება იმის პრობლემა, თუ როგორი სახით მივაწოდოთ წიგნი მას, რომ ის იყოს ბავშვისათვის მრჩეველიც, მეგობარიც, სათამაშოც და სიხარულის მომგვრელიც.

— სწორედ ასეთი წიგნი — წიგნი მეგობარი, წიგნი მრჩეველი არ ყოფნილათ ბავშვებს ჩვენს რესპუბლიკაში. მას შემდეგ, რაც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ზემოთ აღნიშნული დადგენილება, ჩვენთან იგრძნობა სასიცეთო ძრები. „ნაკადული“ და რესპუბლიკის სხვა გამომცემლობები აქტიურად ჩაებნენ მაღალმხატვრული საბავშვო წიგნადი პროდუქციის შესაქმნელად გაშლილ კეთილშობილურ მუშაობაში. ამ საქმეში ჩვენ აქტიურად გვიპრენ მხარს და გვეხმარებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ გამსახუმების ხელმძღვანელები, მოსკოვის, მინსკისა და როსტოვის პოლიგრაფისტები, რომლებიც ჩვენი შეკვეთით ამზადებენ ილუსტრირებულ წიგნებს ყველაზე პატარებისათვის, საბავშვო წიგნის კლასიკის განსაკუთრებულ მხატვრულ გამოცემებს — ოსკარ უაილდის, შარლ პეროს, მიხალკოვის და სხვათა წიგნებს.

— აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას დიდი ზრუნვა და ყურადღება მოზარდი მკითხველისადმი. გენიოსი მწერალი თავის მოთხრობებში ნორჩებს გამართული ლიტერატურული ენით მოუთხრობდა ბუნებისა და ბუნების შვილთა ზღაპრულ თავგადასავალს. ურთულესი სტილის მწერლები, საოცრად ნათლად და გამჭვირვალედ წერდნენ, როცა ბავშვებს უძღვნიდნენ თავიანთ ქმნილებებს. ამის თაობაზე აკი დავით გურამიშვილიც გვაფრთხილებდა:

„ამისთვის მე არ შევსძებვე, რაც დავრგე იგავთ ხე ველად, უფრო ადვილად აღვლიან ზედ ყრმანი დასარხეველად“.

— დიდ წინაპართა აჩევებსა და მოსაზრებებს გულისყურბნიშვილის  
ეკიდებინა ჩვენი მწერლები და გამომცემლები და ითვალისწინებენ  
კიდეც შემოქმედებით პროცესში. მწერლები ცდილობენ მაღალ-  
მხატვრული სახეების ძერწვით, ბავშვის მისწრაფებებსა და სულიერ  
სამყაროში წვდომით გადასცენ მყითხველს თავისი სანუკვარი სა-  
თქმელი. მათ მხარდამხარ შრომობენ მხატვრები და პოლიგრაფის-  
ტები. რომლებიც წიგნების მაღალმხატვრული გაფორმებით და  
ფერადი ილუსტრაციებით იზიდავენ ნორჩ მყითხველებს. მოზარდთა  
სულსა და გულს ახარებს წიგნები, რომლებიც გააფორმეს მხატვრე-  
ბმა ჯემალ ლოლუამ, თენგიზ სამსონაძემ, გურამ ლლონტმა, პატა-  
რებს მოსწონთ ლამაზად დასურათხატებული წიგნები: მორის  
ფოცხიშვილის „ენკი-ბენკი სიკლისა“, ხუტა ბერულავას — „ალერ-  
სიანი მზე“, ქართული ხალხური ზღაპარი „ნახევარქათამა“ და სხვ.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის ნაყოფია,  
რომ 1985 წელს ქაღალდის ფონდი ოვალსაჩინოდ გაეზარდა გამომ-  
ცემლობა „ნაკადულს“, ესე იგი ქართულ საბჭოთა საბავშვო მწერ-  
ლობას. ოფსეტური ბეჭდვის ქაღალდის ფონდი, მაგალითად, 160  
ტრინდან გაიზარდა 300 ტრინამდე, რამაც საშუალება მოგვცა საგრ-  
ძნობლად გაგვეუმჯობესებინა ნაბეჭდი პროდუქციის ხარისხი, პირ-  
ველად ჩვენს პრაქტიკაში გამოგვეცა ფერადი დასაკეცი წიგნები,  
ეგრეთწოდებული წიგნი-სათამაშოები, რაც ესოდენ იზიდავთ და  
მოსწონთ ჩვენს პატარა მკითხველებს.

— ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ბავშვებს დასაწყისი-  
დანვე სჭირდება კეთილი წიგნი, თანამოსაუბრე და თანამოაზრე  
წიგნი, რომელიც აზიარებს მას ყველა ადამიანურ სიკეთეს, ჩაუ-  
ნერგავს შრომის სიყვარულსა და პატივისცემას. მომავალში სულ  
უფრო მეტი როლი განეკუთვნება წიგნს სასკოლო რეფორმის გან-  
ხორციელებაში, რათა, როგორც სკაპ ცენტრალური კომიტეტის  
1985 წლის პარილის პლენუმზე თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, „შინაარსი-  
ანად მივუძგეთ ამოცანებს და კარდინალურად გავაუმჯობესოთ  
მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ხარისხი, მათი მომზა-  
დება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის“.

ეს მოთხოვნები და ამოცანები სრულიად ბუნებრივად დგება  
დღეს წინა პლაზე და ჩვენც ყველაფერს ვაკეთებთ მათი რეალიზა-  
ციისათვის, ბაეშვში შრომის სიყვარულის გაღვივება, მასში მშრო-  
მელი ადამიანის აღზრდა ყოველთვის აღელვებდათ და აღელვებთ

ჩვენი მრავალროვნული საბავშვო ლიტერატურის წარმომადგენლებს. ათასგზის სწორი იყო სერგეი მიხალკოვი, როცა საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის მთავარი მოცავად მიაჩნდა შშრომელი ადამიანის ერთიანი და მრავალსახოვანი იდეალის შექმნა. ამ იდეალის შესაქმნელად ჩვენი მწერლები იყენებენ მრავალ უანრს. გამომცემლები კი ცველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ასეთი ნაწარმოებები რაც შეიძლება ხატოვნად და სახიერად მივაწოდოთ პატარებს. ასეთი წიგნები ბავშვს შთაგონებენ, რომ შრომა ადამიანის უზენაესი ბედნიერებაა, ხოლო უქნარობა და მცონარობა — ყველა უბედურების სათავე.

მხედველობიდან არ გვრჩება ისეთი წიგნების დაგეგმვა და გამშვებაც, რომლებიც ეხებიან მოზარდის სამართლებრივი და ზნეობრივი აღწრდის პრობლემებს. მხატვრული ლიტერატურის მეშვეობით მიღებული მოქალაქეობრივი სიმწიფის გაკვეთილი ბავშვს ადრიდანვე ულვიძებს პასუხისმგებლობას, აღძრავს მასში სიბრალულისა თუ სიხარულის გრძნობებს. წიგნი მას სულიერად აღამაღლებს, ასწავლის სიმართლისათვის ბრძოლას, შთაუნერგაუს გმირულ თვისებებს.

— მავრამ, არის კიდევ ნორჩ მკითხველობან ურთიერთობის სხვა დიდმნიშვნელოვანი უბანი — ეს გახლავთ მათი მისწრაფებებისა და სურვილების, მოთხოვნილებათა და ინტერესების თქვენს მუშაობაში გათვალისწინება. ეს თუ არ კეთდება, წიგნი შეიძლება უინტერესო გამოვიდეს, პატარების სულსა და გულს ახლოსაც არ გაეცაროს. რა კეთდება იმისათვის, რომ მოზარდი ინტერესით მოეუღოდეს წიგნს?

— ეს მართლაც რომ მტკიცნეული საკითხია და აკი ვითვალისწინებთ კიდევ მუშაობაში. ნორჩ მკითხველთა სურვილებისა და ინტერესების დაკავშიროვილების მიზნით საბავშვო წიგნის სახლში წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ეწყობა ლიტერატურული დილა-სალამოები, შეხვედრები მწერლებთან, წიგნის ავტორებთან, გამომცემლებთან, საუბრები „მრგვალ მაგიდასთან“, წიგნის განხილვები, გამოფენები, შემოქმედებითი თათბირები, მკითხველთა კონფერენციები, ლექცია-საუბრები, საბავშვო წიგნის კვირეულები. ასეთ ღონისძიებებზე გამოთქმული ნორჩთა სურვილები, მოსაზრებები, წინადაღებები, აგრეთვე წიგნის სახლში ფოსტით გამოგზავნი-

ლი წერილები გულდასმით შეისწავლება და წარედგინებული დაულის“ ხელმძღვანელობას. ისინი შემდგომ მთელი ჩვენი საგამომცემლო საქმიანობის ორიენტირნი ხდებიან.

გარდა ამისა, საბავშვო წიგნის სახლს, რესპუბლიკის უკელაქამა და რაიონში შექმნილი აქვს საგუშაგოები, რომლებიც დაკომპლექტებულია პედაგოგებით, ბიბლიოთეკარებით, მეთოდისტებით. ისინი აღილებზე აწყობენ მრავალ საინტერესო ღონისძიებას, სწავლობენ მკითხველთა გაზრდილ ინტერესებს, რასაც ჩვენ საგამომცემლო გეგმების შემუშავებაში ვითვალისწინებთ.

შედეგებიც გვაქვს. უკანასკნელ წლებში „ნაყადულმა“ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თემატიკური დაგეგმვა მკითხველთა ასაკობრივი კატეგორიების ინტერესთა გათვალისწინებით, დიდი ყურადღება ეთმობა ქართული და რუსული კლასიკის, თანამედროვე ლიტერატურის, მათ შორის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის გამოშვებას. ჩვენთან ერთად გამომცემლობები „ალაშარა“ და „ირასთონი“ ყოველწლიურად გეგმვენ საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემას აფხაზურ და ოსურ ენებზე.

— უკანასკნელ ხანს ბევრი სამეცნიერო-პოპულარული, შემცნებითი ლიტერატურა გამოდის სერიებად, აღმანახებად, ხევა სახით, რაც მკითხველში დიდ დაინტერესებას იწვევს.

— დიახ, საბავშვო წიგნის სახლი გამოსცემს თეორიულ-კრიტიკული და კვლევითი ხასიათის წიგნებს საბავშვო ლიტერატურის პრობლემურ საყითხებზე, მონოგრაფიებს, სერიულ გამოცემებს — „ნორჩი თაობის მოამაგენი“, „გამოფენა სკოლაში“, „კლასიკოსები და თანამედროვენი“, „ისმინდე, სწავლის მძებნელო“, აღმანახებს „გეგილს“ და „ბუნების კარს“, ბიბლიოგრაფიებს, ალბომებს, პროპექტებს, ბუკლეტებს, წიგნში ჩასადებ ფურცლებს. წიგნის სახლმა მოამზადა და გამოსცა ჩვენი სახელოვანი მწერლების, კრიტიკოსების, საყმაწვილო ლიტერატურის მკლევარების წიგნები, რომლებმაც მკითხველთა მოწონება დაიმსახურეს.

აღმანახი „გეგილი“, რომელიც აღრეულ წლებში იცემოდა „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბისა“ და „საყმაწვილო ლიტერატურის“ სახელწოდებით, 1968 წლიდან გამოდის. იგი აშშქებს ქართული, საბჭოთა კავშირის ხალხთა, უცხოეთის საბავშვო ლიტერატურის პრობლემებს, განიხილავს საბავშვო პოეზიის, პროზის, დრა-46



მატურგიის, ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის საკითხებს. ეროვნული  
ახლახან დაწყო აღმანახ „ბუნების კარის“ გამოცემა და უკვე  
მყითხელთა მოწონება დაიმსახურა. ფერადი ილუსტრაციებით გა-  
ფორმებული ეს გამოცემა განკუთვნილია ნორჩი ნატურალისტები-  
სათვის, ბუნებისმეტყველებით დაინტერესებული ახალგაზრდა მყი-  
თხელებისათვის.

— სერიით „ნორჩი თაობის მოამაგენი“ გამოდის მონოგრაფიები,  
კრიტიკული და კელევითი ხასიათის წიგნები ქართველ მწერლებზე,  
ხოლო სერიით „გამოფენა სკოლაში“ — ცალკეული მწერლებისა და  
მხატვრებისადმი მიძღვნილი ილუსტრირებული აღბომები, რომ-  
ლებსაც თან ახლავს სასაუბრო ტექსტი.

აღმანახი „მთიები“, რომელშიც ბავშვებისათვის გასაგები ენით  
შუქლება საკითხები, მეცნიერულ-ტექნიკური ხაზით ავითარებს ყმა-  
წვილებს, ხოლო „ფრესკა“ ხელოვნების საკითხებს აშუქებს და დი-  
დად უწყობს ხელს მოზარდთა ესთეტიკურ აღზრდას.

„ნაკადულმა“ მოამზადა და სხვადასხვა წლებში გამოსცა მე-  
ტიდ საჭირო ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა: „ქართული საბავ-  
შვი წიგნი 1823—1920 წლებში“, „ქართული საყმაწვილო წიგნი  
1921—1945 წლებში“, „ქართული საბავშვო უურნალების ანალი-  
ტიკური ბიბლიოგრაფია 1924—1945 წლებში“. ასევე გამოვა „რე-  
კოლუციამდელი ქართული საბავშვო უურნალების ანალიტიკური  
ბიბლიოგრაფია“.

— მახსოვს, საყმაწვილო ლიტერატურის ნამდვილ ზეიმად იქ-  
ცა ოელავში გამართული საბავშვო წიგნის ფესტივალი. მოეწყო  
მწერლების გულახდილი საუბრები ნორჩ მკითხველებთან, გამოით-  
ქვა ბევრი გულწრფელი მოსაზრება, კეთილი სურვილები საბავშ-  
ვო ლიტერატურის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, იყო  
შენიშვნებიც.

— ეს მოსაზრებები და შენიშვნები ასახვას პოულობენ ჩვენს  
საგამომცემლო გეგმებში, მთელს ჩვენს საქმიანობაში. შენიშვნები  
და ნაკლოვანებები კი იმით იყო გამოწვეული, რომ, როგორც სა-  
ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართვე-  
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაშია აღნიშნული, რეს-  
პუბლიკაში წლების მანძილზე მცირდებოდა საბავშვო ლიტერატუ-  
რის გამოშევების მოცულობა, პოლიგრაფიული საწარმოები ვერ  
ითვისებდნენ გამომცემლობათა მიერ დაგეგმილ ლიმიტებს, დამა-

ქმაყოფილებელი არ იყო საბავშვო წიგნის მხატვრული და მომართული გრაფიული შესრულება.

ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. როგორც აღნიშნე, მოპოვებულია თვალსაჩინო შედეგები, მაგრამ გასაკეთებელი და საზრუნავი კიდევ ბევრია. მომავალში გათვალისწინებულია საბავშვო და საყმაწვილო წიგნების მოცულობის ყოველწლიური გადიდება, მათ შორის ფერადი წიგნების გამოცემა, პოლიგრაფიული ბაზის ტექნიკური განახლება, „ნაკადულის“ საავტორო პონორაზის ფონდის გადიდება, მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ გამსახურმი ქვეყნის ცენტრალურ გამომცემლობებში მოაწყობს რედაქტორთა, მხატვართა, პოლიგრაფისტთა, სხვა სპეციალისტთა სტაჟირებას. მომავალ სუთმლედში პიონერულ ქალაქ „მზიურის“ ტერიტორიაზე გამომცემლობა „ნაკადულისა“ და მისი საბავშვო წიგნის სახლისათვის აშენდება შენობა „საბავშვო წიგნის სასახლე“, აგრეთვე ფერადი ბეჭდვის სტამბა. ყოველივე ეს საშუალებას მოვცემს არსებითად გარდავქმნათ მთელი ჩვენი საგმომცემლო საქმიანობა, ნორჩი მკითხველი გავახაროთ მათთვის სასურველი ახალ-ახალი წიგნებით.

— ეისურვებთ ამ ეროვნულსა და უაღრესად მამულიშვილურ საქმის სასიქადულო წარმატებების მოპოვებას.

— გრადლობთ.

## ესე თავისებური ობელისია

„...ცოცხლობს სიმღერა და ცოცხლობს სიყვარული“.

(გიორგი ნაფეტეარიძის ფრონტული ლიტერატურული)

წიგნის ყდიდან გულგალელილი, მაღალშუბლა, მტკიცე ნების-ყოფის ბუნების მგზნებარე ჭაბუკის სურათი შემოგვყრებს. ეს გიორგი ნაფეტეარიძე, დიდ სამამულო ომში დაღუპული პოეტი, რომელსაც ქვეყნის სახსოვრად დარჩა მხოლოდ ლექსები, ჯარისკაცური დღიურები და ახლადშერთული მეუღლისადმი გამოგზავნილი, ჭმინდა სიყვარულის ცეცხლით და განშორების ტკივილით სავსე გარათები.

წიგნის ავტორია გიორგი ნაფეტეარიძის ყოფილი მოწაფე („მშობლიურ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა მეათე კლას-შენ“, გვამცნობს იგი თავიდანვე), ამჟამად ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ გიორგაძე. დიახ, ნამდაწაფარი იგონებს საყვარელ მასწავლებელს, ომში დაღუპულ პოეტ-ჯარისკაცს და მისი ნაეალმარის სულსა და გულში გვახედებს.

არა, მე რეცენზიას არ ვწერ ამ წიგნზე, რომელსაც ჰქვია — „ბრძოლის სიმღერა დარჩა მარადის“. ინტერესით წავიკითხე იგი და, როცა დავხურე, მომესურვა ავტორთან გულითადი გისატბრება, საჯაროდ ფიქრის განვითარება, იმ ფიქრის, ამ წიგნმა რომ აღმიძრა.

სტატისტიკოსებმა გულმოდგინედ აღრიცხეს, მეორე მსოფლიო ოშში რამდენი ფარავიანი თუ უფარაგო ადამიანი დაიღუპა, რამდენი სოფელი თუ ქალაქი დაინგრა, რამდენი მატერიალური სიმდიდრე განადგურდა, ვის რამდენი ზარალი მიაყენა ომშა, მაგრამ ვერავინ აღრიცხავს იმ გარდასული ომის ჭოჭოხეთში რამდენი ქეთილი ფიქრი დაიღუპა, რამდენი დაუწერელი ლექსი, მოოხორბა, რომანი თუ პიესა დაიწვა, რამდენი უთქმელი ნათელი აზრი, ხალასი სიბრძნე დაიმარხა უკალოდ, რამდენი სულიერი განძი დაიფერც-

Անդրեյ Մալիշև  
Հայութ Ամրազյան



Ետքառն!  
Հայութ, Ռուբեն, Օվանես,  
Հայրապետ, ուստի կու,  
Եղիշեցի ահաց գուշ ու,  
Ըստ այս, հայ ուրիշ.  
Տիկ այս-ուր պատաստ,  
Խոյած պատ օքու,  
Ես ոչ ուղարձե,  
Տախ առաջ,  
Եղանակ, ուստի կու!

Հայութ

ლა. არ არსებობს ამის აღმრიცხველი არავითარი გამომთვლელი მანქანა და მისი დაფენა მიახლოებითაც კი ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც ომში ყველას დაღუპვა ძალზე საწყენია, მაგრამ მაინც სულ სხვა, როცა ენერგიით აღსავსე, შთაგონებით დამუხტული ახალგაზრდა მწერალი იღუპება. ვინ იცის, რაც დადგინდება იმ ჯარისკაცთან ერთად, მით უმეტეს, როცა უკვე ნათლად ჩანს, რომ ეს ახალგაზრდა შემოქმედი ნიჭიერია, დიდი იმედის მომცემი, ორიგინალური კვრეტისა და აზროვნების მხატვარია, მანებილი მწერლური თვალით უყურებს ცხოვრების ავ-კარგს, ემზადება დიდი ტილოების შესაქმნელად. გიორგი ნაფეტვარიძეს „ფრიად თავისებური ტალანტი, დიდი მომავლის მქონე პოეტი და პროზაიკოსი“ უწოდა გამოჩენილმა მწერალმა გიორგი ნატროშვილმა და სავსებით სამართლიანად.

იი, ვინ დაგვეღუპა ომში! რაც უფრო მეტად ვგრძნობთ გოორები ნაფეტვარიძის ნიჭის ელვარებას, მით უფრო გვტკვა გული, რომ მისი ტალანტის შუქი ნააღმდევად ჩააჭრო იმის ნასროლმა ტყვიამ თუ ყუმბარამ.

მოგეხსენებათ, მავან მწერალს ცხოვრებაში არასდროს შევხედრივართ პირადად, მაგრამ როდესაც მის წიგნს წავიყითხავთ, იგი ზოგჯერ ნაცნობი და ახლობელი ხდება იმაზე მეტად, ვიდრე, ვთქვათ, შენს სახლშივე მცხოვრები ესა თუ ის მეზობელი.

ჩემთვის ამგვარი ნაცნობ-ახლობელია გიორგი ნაფეტვარიძე.

ამის მიზეზ-საფუძველი, აღბათ, ისიც არის, რომ ჩემი უფროსი ძმა, ვასილი, სწორედ გიორგი ნაფეტვარიძის ტოლი იყო, მისი კბილა. ჩემს უფროს ძმასაც შემოქმედის სული დაჲყვა. წერდა ლექსებსა და მოთხრობებს, ხატავდა კიდევაც. დასაფრცი რა არის, ომიდან შინ დაბრუნება რომ ღირსებოდა, აღბათ, ჩემზე მეტის გაქეთებას შეძლებდა, როგორც შემოქმედი. პოდა, მე თანაბარი გრძნობით განვიცდი ჩემი უფროსი ძმისა და გიორგი ნაფეტვარიძის დაღუპვას.

გიორგი ნაფეტვარიძეს აქვს ლექსი „ბოშები“. ეს ლექსი მოსწონს ოთარ გიორგაძეს და მეც მომწონს, კეშმარიტად ჩინებულია (სამწუხაროდ, ეს ლექსი ბოლო ხანს გამოცემულ წიგნში არ არის). ამ ლექსთან დაკავშირებით უნდა ვთქვა, რომ როდესაც იგი დაწერა პოეტმა, ცხრამეტი წლისა იყო მხოლოდ და ეს სიყრმის ლექსი საოცრად ღრმაა. თანაც მაღალია აქ როგორც პოეტური აზროვნე-

შის დერიტა, ასევე ლექსის წერის კულტურა, აი, ნიმუშიდ ჩენდცც

სამი სტროფი:

სად არ დადგმულა მათი კარგი,  
 რა არ უხახავთ ძმობს ტარიგებს,  
 სევდა, წუხილი გულშემზარავი  
 რომელ მოებში არ ჩამოარიგეს!..  
 ჰყითხეთ ბინდისას ცას და გარსკვლავებს!..  
 ჰყითხეთ დუნაის! ჰყითხეთ ტარებს!..  
 ჰყითხეთ დაკარგულ, ობოლ საფლავებს  
 და მათი ტანკვის მიზეზს გაიგებთ!  
 უსამშობლონი ბინას ეძებდნენ..  
 ბინას ეძებდნენ დაისრულები,  
 და უცნობ გზებზე. მორეულ მოებზე  
 მიმოღილნენ დაუსრულებლივ...

განა ამ სიყრმისდროინდელი ლექსითაც არ ჩანს, რა პოეტური ენერგიითაც შემოაბიჯა მან ქართულ მწერლობაში? მერე კი, მერე ხომ კიდევ უფრო გაიზრდებოდა, გაღრმავდებოდა და დაოსტატდებოდა! ხელავთ, რა პოტენციის შემოქმედი დაიღუპა იშვი?!

გიორგი ნაფეტვარიძე ფრონტზე უკვე საკუთარი თვალთახედვის, მრწამსისა და სულის მწერალი წავიდა, ამიტომაც იგი ომის სულსაც თავიდანეე მწერლის სულის თვალით ხედავდა. შემთხვევითი არ არის, რომ ქარისკაცი ფრონტის ჯოგოხეთურ ორომტრიალშიც ახერხებს უბის წიგნაკში ჩაინიშნოს მეომრული ცხოვრების დეტალები:

„ტილი ფეხად. იცი, რას ნიშნავს ძილი სიარულის დროს მწერივში? არა, არავინ არ იცის ეს. იცის მხრალოდ მან, ვისაც უძინია ასე. სიმღერა გზაზე, მანქანა, ცეცხლი, კოცონი, არმიელები. ძილი ისე, მინდვრად“.

იქვე ინიშნავს თავისი მომავალი მოთხრობებისა თუ რომანების გმირთა პორტრეტებსა და ბუნება-ხსიათს:

„მიშენეო. თუ გადავრჩი, ჩემი ნაწარმოების შესანიშნავი გმირი გახდება“.

„პოლიტხელს მივესალმე ორიგინალურად: დამავიწყდა, რა უნდა მეთქეა და თითი გავატყაცუნე. გაეცინა, მანაც გაატკაცუნა თითი, ეს რააო!“

„უკრაინელმა თავისი ცოლ-შვილის სურათი გვიჩვენა, ქალაქი დარჩა მტერს, ცოლ-შვილი დარჩა მტერს, მებრძოლი მოხალისედ

წავიდა არმიაში და ახლა ჯიბით ატარებს მთელ ოჯახს. ძალიან მჩა-  
ტე არ უნდა იყოს, თუმცა რამდენიმე გრამი თუ იქნება“.

„ჩემს ჯიბეში ყოველთვის შეიძლება პოვნა ხახვის, შაქრის,  
თუთუნის და შენიშვნების. აი, მთელი სიმღიდრე“.

მეუამად დაბეჭითებით ძნელია თქმა, გიორგი ნაფეტვარიძე  
რა ადგილს დაიკერდა არა მარტო ქართულ, მთელ ჩვენს მრავალ-  
ეროვნულ ლიტერატურაში როგორც პოეტი, მაგრამ იმის მიხედვით,  
რა მოთხრობები, ჩანაწერები და დღიურებიც დატოვა ოცდაოთხი  
წლის ქარისკაცმა, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ იმ ომში ქარ-  
თულ მწერლობას დაუკარგა მომავალი დიდი პროზაიკოსი.

როდესაც ოთარ გიორგაძე აანალიზებს გიორგი ნაფეტვარიძის  
შემოქმედებას, წარმოაჩენს, რა მართალია იგი, რა შთამბეჭდავე,  
რა ზუსტი... უკვე ჩამოყალიბებული, თითქმის დასრულებული  
მწერალია.

მე აქვე თამამად შემიძლია დავუმატო, რომ გიორგი ნაფეტვა-  
რიძე დღიურებსა, მოთხრობებსა და ფრონტიდან გამოგზავნილ ბა-  
რათებში იმდენად მართალია, აյ იმდენად უშუალო და ფიქრიანი  
კაცის ხედვაა, ადამიანის მზიან-ჩრდილიანი სულის იმდენად ლრმა  
ჭვრეტაა, უნებლიერ ექზიუპერი გვაგონდება და... იქვე გურამ  
რჩეულიშვილიც დგება. თითქოს გიორგი ნაფეტვარიძე მისთვის  
სრულიად უცნობი ფრანგი მფრინავის — ექზიუპერის აზრთა მო-  
ზიარე-მონათესავეცაა და ამავე დროს ქართველი გურამ რჩეული-  
შვილის წინამორბედიც — ისეთივე შეუპოვარი, თამამი, მაძიებე-  
ლი, მოვლენათა ახლებურად ნათელმხილველი. თითქოს მათ შორის  
უხილავი სულიერი ხიდი ძევს, დრო-უამისა და სივრცის მიჯნების  
დამარტივეველი.

ამიტომაც იქნებოდა უფრო ძვირფასი გიორგი ნაფეტვარიძის  
გადარჩენა, რომ ფრონტზე ნანახ-განცდილი, შემდგომ შემოქმედის  
სულის ქურაში ეწროო და ისე დაეწერა. შინ დაბრუნებული გი-  
ორგი ნაფეტვარიძე, მწამს, ნამდვილად შექმნიდა დიდ რომანს ომ-  
ზე, გაამდიდრებდა ჩვენს ლიტერატურას.

„დრობიშეჩეს მოგონება არა აქვს, საერთოდ მას არაფრის და-  
მახსოვრება არ შეუძლია. სამაგიეროდ აქვს სამართებელი, იპარ-  
სავს პირს, აქვს ოდეკოლონი და პუდრი, ისვამს სახეზე, იცის გა-  
ცინება თავისებური, უაზრო, პრიშიმბევეური.

ზემდეგი ხლებნიკოვი მოკლა დენმა.

მე პამლეტივით ვიღებ ხელში ზემდეგ ხლებნიკოვის ჭურაფისა  
დევ თბილ, ბალნიან თითსა და ვფიქრობ:

აი, აღარ არის კაცი. იგი მოკლა ტექნიკამ, რომელსაც ვერ მოს-  
თხოვ პასუხს. აღარ ისმის მისი ხმა, სადილის მაუწყებელი: კო-  
ლონნა, პო ჩეტირე სტანციის!

დევს იატაკზე, ჩუმად, უხმოდ, გაშავებული. შეიძლება აში-  
ნებდა ფრონტი, ან ფიქრობდა ომის შემდეგ შინ დაბრუნებაზე. ვინ  
იცის, საუბარი ძალიან დიდხანს შეიძლება ასეთ საგნებზე, მე ყვე-  
ლაფერს ვივიწყებ მის გარშემო, ვაქცევ მას ზურგს და ვიხედები  
წინ, მაგრამ, აი უცნაურობა! წინაც ხლებნიკოვის ლანდი წამომე-  
ჭიმა. ვხედავ, კაპიტანს როგორ აძლევს პატაკს და მიუხედავად იმი-  
სა, რომ სულითა და გულით უნდა აუღელვებელი იყოს, ხმა და ზე-  
აწეული ხელის ცერი მაინც უჟანქალებს“.

„მე უზარმაზარი ვარ ჩემს სიმცირეში. მუდამ იამაყებს ჯარის-  
კაცის ფარაზა, რომელიც ინახავს ჩემს გულსა და გონებას“.

„ამბობენ, შავი ზღვა პატარაა. საჩიმ ერთეულად რას მიიჩ-  
ნევთ, არ ვიცი. მე რომ მყითხოთ, დიდი და უძირო ყოფილა წყალი,  
რომელსაც შეუძლია დაახრჩოს კაცი“.

„მატროსები ისე ჰგავანან ერთმანეთს, როგორც წყლის წვეთე-  
ბი“.

გიორგი ნაფეტვარიძის ფრონტულ ჩანაწერებში ამგვარი ადგი-  
ლების ქებნა მყითხველს სულაც არ სჭირდება, მრავლად არის.

პოეტ-ჯარისკაცს სძულს ადამიანის მტერი — ომი, მაგრამ  
მან ისიც ჩინებულად იცის, რომ მარტოოდენ სიძულვილით ომს ვერ  
აუგებ ანდერძს, ვერ მოსპობ. ჯერ თოფ-იარალით უნდა დაამარცხო  
ის, ვინც შენს ქვეყანას ჯოჯოხეთური იმი მოახვია თავს.

ვიბრძივით, რომ ასეთი აღარ განმეორდეს, ვიბრძოლებთ, დავი-  
ხოცებით და შემდეგი თოობა, როგორც იტყვიან, ვაგვისხენებს,  
აღარ გაიმეორებს ამ სისაძაგლეს.

მებრძოლი გიორგი ნაფეტვარიძისათვის შემთხვევითი არც ის  
უნდა იყოს, ყირიმში „სევასტოპოლის მოთხრობებისა“ და „ომისა  
და მშვიდობის“ ავტორი რომ მოელანდა.

„საოცარია — ევროპის კულტურა! განა განადგურებისათვის  
იქმნებოდა ყველაფერი? უცნაურია ბედი კაცობრიობის. მსოფლიო  
ომის შემდეგ ნუთუ კიდევ უნდა დაეწყო კაცობრიობას ომი?

არაფერი არ მესმის, არაფერი არ ვიცი. საწყალი ტოლსტოის დანართისა და იტყოდა ნეტა, 1914 წელს ომში მოსწრებოდა და ახლაც ცოცხალი ყოფილიყო”?

თითქოს ახლაც ჩვენს გვერდით დგას გიორგი ნაფეტეარიძე და თანამედროვე ადამიანებთან ერთად სწუხს, ომში მსოფლიოს მის ახალი საფრთხე ემუქრება.

ომი ბევრ სიკეთეს ემტერება, წვავს, ანადგურებს, ყველაზე მეტად კი სიყვარულს ედუშმანება. მას ხომ სიძულვილის იარაღი უჭირავს ხელში, მაგრამ ომშე ძლიერია სიყვარული, საბოლოოდ ომი ვერ ანადგურებს, ვერ კლავს სიყვარულს, თუმცა მოსიყვარულე წყვილს კი ხშირად აცალევებს და აქვრივებს კიდევაც.

ოთარ გიორგაძის ნარკვევის ერთ-ერთი ღირსება ისიც არის, რომ აქ სწორედ ამგვარი ნააღმდევად დაქვრივებული, მაგრამ დაუმარტებელი, ბოლომდე წმინდად შენახული სიყვარულის ხსოვნის ამბავია წარმოჩენილი.

„არ შეიძლება არ მოიხიბლოთ და თან გულიც არ ჩაგწყდეთ, როდესაც პოეტისა და მისი მშევნეობი, „ტოლუპოვარი მეგობრის“ (ნათელა არჯვანიძის—ა. გ.) ხანმოკლე რომანს ეცნობით. მათი წმინდა და სიყვარული ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა, მაგრამ ეს ბედნიერება მაღლე გაქრა. მათ ქოხში ცეცხლი კარგად არც კი დანობულა, შთამომავლობა არ წარმოქმნილა, სიყვარულის ნექტარით სავსე თასი დაუცლელი დარჩა... აღსანიშნავია, რომ პოეტის ნაწერებში ხშირად მიმოქრის სული პერსონიფიცირებული მეულლისა, რომელიც ჩირალდანივით უნათებს გზას მებრძოლ შემოქმედს... ეს ხილვანი სულის სწორისა წარმოშობს იმ სასწაულებრივ ძალას, რომელსაც მფარველ ანგელოზად სახავენ ფარავებში გახვეული „მიწის ნაშობნი და მიწის ღვიძლნი“, მათ შორის პოეტიც ამიტომაც არის, რომ გ. ნაფეტეარიძის პროზა და ლექსი დიდებული ჰიმნია სიყვარულზე საერთოდ, და განსაკუთრებით მაიც ისეთზე, რომელსაც არამც თუ ომის ქარიშხალი, არამედ თვით სიკვდილიც ვერაფერს აკლებს“.

დიახ, ეს არის წყვილის მიერ ერთად გატარებული ხანმოკლე. უძეოდ გადაგებული სიყვარულის წიგნიც, იმ სიყვარულის, რომელსაც ომში ტყვია ესროლა, მაგრამ ვერ მოკლა. ომი კლავს მართალ და პატიოსან ადამიანებს, მაგრამ მათ წმინდა სიყვარულს კი — ვერა.



მე ყველას ვცემ პატივს, ვინც ომში დაღუპულ ჯარისკენ ივიწყებს, მით უმეტეს, ფარავიან მწერალს.

გიორგი ნაფეტვარიძე ახლა 70 წლისაც არ იქნებოდა, ივი კი 24 წლის ჭაბუკად დარჩა და... ამ ჭაბუკზე წიგნი დაწერა მისივე მოწაფემ, ამჟამად ჭარმაგმა მოწაფემ.

1942 წელს ყირიმში მზესაც კი სისხლი სდიოდა, ხშირად მთელი ბატალიონი, პოლკიც კი, ისე იღუპებოდა მოზღვავებულ მტერთან ბრძოლაში, ომის ჭოქოხეთური ცეცხლის ორომტრიალში, მოამბეც კი არავინ რჩებოდა. მაშინ ბევრს საფლავიც კი არ ეღირსა. ეტყობა, იმ ჭოქოხეთური ცეცხლის ორომტრიალში დაიღუპა გიორგი ნაფეტვარიძეც, განიგმირა ისე, რომ დღემდე ისიც ვერ გავიგეთ, სად მარხია მისი ძვლები. მარტოოდენ ომში დაღუპულ კალმოსანთა იმ საძმო მემორიალურ დაფაზე არგუნა ბედმა ადგილი, საქართველოს მწერალთა კავშირის ბალთან რომ არის გამოკრული.

დიახ, ჩვენ არ ვიცით გიორგი ნაფეტვარიძის საფლავი, მაგრამ თუ მიწა ინახავს ადამიანის სხეულს, მის სულს ხალხის ხსოვნა ინახავს და... ოთარ გიორგაძის წიგნი ფრონტზე დაღუპული პოეტი-ჭარისკაცის თავისებური ობელისკია, მისი სახელის ხსოვნის ობელისკი... თავისებური რეკვიემიცა დაუწერელ ლექსებსა, მოთხრობებსა და რომანებზე... ამავე დროს — 24 წლის ასაკში შეწყვეტილი შემოქმედი კაცის სიცოცხლის მრავალეამიერიცაა კალმით თქმული... წმინდა სიყვარულის საღლეგრძელოცა.

რითა შეგვიძლია ცოცხლებმა პატივი ვცეთ ფრონტზე დაღუპულები, ომიდან შინმოუსვლელებს? დატირებით? არა! ცრემლი მათ არ უხდებათ. პატივი უნდა მივაგოთ მხოლოდ გახსენებით და მათი პატარა თუ დიდი ღვაწლის წარმოჩენითა და დაფასებით. სწორედ ასეთია ოთარ გიორგაძის წიგნი — „ბრძოლის სიმღერა დარჩა მარადის“.

გაცხადდა პოეტის ფრონტზე დაწერილი სტრიქონები: „ცოცხლობს სიმღერა და ცოცხლობს სიყვარული“.

1985 წლის 25 დეკემბერს თბილისის მხატვრის სახლში გაიხსნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების — ქართველი, სომები, აზერბაი-ჯანელი მხატვრების ექსლიბრისების შეორე რეგიონალური გამო-ფენა. აქვე იყო წარმოდგენილი ჩრდილოეთ კავკასიის, მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა მხატვართა ნამუშევრები.



გამოფენა გახსნა და შესავალი სიტუაცია წარმოთქვა საქართ-ველის სსრ წიგნის მოცვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბა-შიძემ, სიტუაცით გამოვიდა აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე.



დამთვალიერებელთა კურადღებას იქცევდა უძველესი ქართველობის ექსლიბრისი, რომელიც XVIII საუკუნით თარიღდება. იგი ნიკოლოზ ჩახიკაშვილის ხელნაწერ წიგნებზე ახლახან აღმოჩინა მეცნიერებათა კანდიდატმა ია გახეჩილაძემ.

დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია გამოვლენაზე წარმოდგენილმა პირველმა სომხეურმა ექსლიბრისმა, რომელიც XIX<sup>1</sup> საუკუნის დასაწყისშია შექმნილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ქართველი მხატვრების — ლადო წილოსანისა და ლადო გრიგორიას ექსლიბრისებმა მხოლოდ აღიარება მოიპოვა.

ექსლიბრისით ახალგაზრდა მხატვრების განსაკუთრებული დაინტერესება შეინიშნება უკანასკნელ წლებში. აქ მრავლად იკო წარმოდგენილი მათი ნიმუშები.

მკითხველებს ვთავაზობთ რსუსრ მხატვართა კავშირის წევრის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ი. გ. მიამლინის (ლენინგრადი) წერილს:

#### ფირჩადი ექსლიბრისები

ექსლიბრისზე — წიგნის ნიშანზე დღეს კამთობენ წიგნის-მოყვარულნი და ამ წარმტაცი გრაფიკის თაყვანისმცემლები, ექსლიბრის ქმნიან მხატვრები და პოლიგრაფისტები, იგი მეცნიერთა შესწავლის საგანი გახდა. ყველანი მიღიან ერთ დასკანდა, რომ ექსლიბრისი მხოლოდ წიგნის დაცვის სიგელი კი არა (მასზე აღნიშნულია მფლობელის გვარი), არამედ ხალხის მაღალი კულტურის მაჩვენებელია. ამ მაღალი კულტურით განსაკუთრებით გამოიჩინევა ჩვენი ქვეყანა, რომელიც „იუნესკოს“ მონაცემებით, ყველაზე მკითხველი სახელმწიფოა მსოფლიოში. აი, ამიტომ იმსახურებს მოწონებას საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ინიციატივა ექსლიბრისების II რეგიონალური გამოფენის მოწყობისა და მხატვართა და წიგნის მოყვარულთა სემინარის ჩატარებისა. სემინარზე, გარდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მხატვრებისა, მოწვეული იყვნენ სპეციალისტები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან. აქ სინტერესო საუბარი გაიმართა გრაფიკის ამ მომხიბლავი სახეობის კოლოსალურ იდეურ-აღმზრდელობით და კულტურულ მნიშვნელობაზე.

ეს გულახდილი და გულთბილი საუბარი დროული და საჭირო იყო, მიტომ რომ ჩვენმა ქვეყანამ კულტურის ამ დარგშიც მოქლე დროში მოიპოვა ეტორიტეტი, რასაც მოწმობს ჩვენი ქვეყნის. მხატვართა მონაწილეობა წიგნის ნიშნის მსოფლიო კონკურსებში და მოპოვებული გამარჯვებები. საბჭოთა მხატვრების წარმატებები განპირობებულია იმით, რომ ისინი გვიჩვენებენ ჰუმანური, მრავალეროვნული ხელოვნების, ექსლიბრისის განვითარების ნათელ სურათს, რაც დაკავშირებულია წიგნთან. უკველია წიგნის ნიშანს თავისთავისად მხატვრული ღირებულება აქვს. როგორც დიდი საბჭოთა გრაფიკის ე. ა. ფავორსკი ამბობდა — „ესაა მხატვრის ხელოვნების სასინჯი ქვა“.

20—30-იანი წლების ექსლიბრისისტთა წარმატებები დაქვშირებულია ლ. გრიგოლის, ლ. წილოსანის. დ. ცაციშვილის (საქართველო), რ. ბედრისიანის, პ. კუზანიანის (სომხეთი) და მთელ რიგ სხვა ხელოვანთა სახელებთან, მაგრამ მათ თავდადებას ობიექტური მიზეზების გამო ყოველთვის არ უჭირდნენ მხარს. ამიტომ ექსლიბრის ახალი აღმავლობის პერიოდი 60-იან წლებზე მოდის. ახლა ამ საქმეში ებმება ენერგიული, ექსლიბრისით გატაცებული ახალგაზრდობა, მაგრამ... ამ ახალგაზრდობას ჯერ კიდევ ხშირად აყლია ცოდნა, გამოცდილება, დაოსტატება. კერძოდ, ამაზე მეტყველებს გამოფენის ბევრი ექსპონატი: ზოგიერთ ექსლიბრისს აშკარად ატყვია იდეური გაურკვევლობის, ანდა ჩვეული ბანალურობის კვალი, ზოგიერთი ექსლიბრისის კომპოზიცია დაუხვეწავია, ნახატი სუსტია, კარგად ვერაა შერჩეული შრიფტი, სტილისტურად არაა ერთიანი ზედმეტად მკაცრად ხომ არა გსჯით? არა, ნამდევილად არა, რამდენადაც ახალგაზრდულ ენთუზიაზმსა და ამოცანის სწორად გაეგებას სასწაულების მოხდენა შეუძლია. მაგრამ ამისათვის მათ ბევრი და სერიოზულად უნდა იმუშაონ, ეძიონ, თუ საჭიროა, ეჭამონ კიდეც. ეს რომ შესაძლებელია, ამაზე უდავოდ მეტყველებს როგორც ახალგაზრდა, ასევე საშუალო თაობის გამოცდილ მხატვართა ნაწარმოებები. მაგალითად, კანი კანიანის ექსლიბრისზე (მ. ბუდელოვის ნამუშევარი, ლითოგრაფია) თიხის ვაზის და ფუნქციების მოტივი ნათლად მეტყველებს მისი მფლობელის ინტერესებზე. უბრალოდ და ელეგანტურად აღვიქვამთ მუსიკის თემას უ- პაჭიბეკოვის სახლ-მუზეუმის ექსლიბრისზე (ა. ნ. მამედოვის ნამუშევრები). პ. მ. კუზანიანის ნამუშევრები (ს. გულოვრისა და



ლ. უიტომირსკის ექსლიბრისები) ცხადყოფს, რა ბევრი ჩამონამდებარება ლება აიღოს მხატვარმა ლამაზად დაწერილი ტექსტიდან. ქართული და სომხური დამწერლობის ძეგლები იმდენად თავისებური, ელე-განტური და ლამაზია, რომ მხატვრებს შესაძლებლობას აძლევს მუსიკალური გამოშახველობა მიანიჭონ მათ. მით უფრო საწყე-ნია, რომ ამ შესაძლებლობებს სათანადოდ არ იყენებენ.



ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ ექსლიბრისის შექმნაში მხატვრის გემოვნებას უდიდესი როლი ენიჭება, რომ აღარაფერი ეთქვათ იმაზე, რომ ექსლიბრისი ვერ ეგუება ბანალურობას. ასეთ-მა ექსლიბრისმა შეიძლება დაამახინჯოს თვით მნიშვნელოვანი თე-მაც კი მაგალითად, ზოგიერთი ახალგაზრდა ავტორი (ყველაზე



საუკეთესო სურვილებით!) თავის ექსლიბრისს უძღვნის კონკრეტული ტულ პიროვნებას, უცნობი ჯარისკაცის ხსოვნას, დიდ სამამულო ომში გამარჯვებას და ა. შ. მაგრამ ყოველი ჩანაფიქრი უნდა იყოს კომპოზიციურად სწორი და მხატვრულად მიგნებული. მაგალითი— სათვის ავილოთ ანა ახმატოვას ექსლიბრისი მიძღვნილი დიდ სა- მამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისადმი, პოეტი კი 1966 წელს გარდაიცვალა. მათ გვერდით რამდენად ბუნებრივად გამოი- ურება ექსლიბრისი, რომელიც ჩაფიქრებულია ბავშვებისათვის — „ოლია და ნინა ჭინჭარაძეების წიგნებიდან“ (ავტორი ნ. ფოფხაძე) ან ექსლიბრისი საქართველოს ლოტერატურული მუზეუმისათვის, რომელიც გვირჩევს კი 200 წლისთავისადმია მიძღ- ვნილი (ავტორი ნ. კანდელაკი).

როდესაც ექსლიბრისის ლაპონისმზე, სიზუსტეზე და მკაფიო- ბაზე ვლაპარაკობთ, მან არ უნდა შეგვაშინოს: კარგი ექსლიბრისი შეიძლება იყოს ლაპონურიც, და, პირიქით, ექსლიბრისში შეიძლება ასახული იყოს მთელი მმბავი, იყოს სიუჟეტური. დ. მ. მუფიტზადე თავის ოფორტში დაკმაყოფილდა წიგნითა და ორად-ორი ასოთი (ტ. სალახოვს ექსლიბრისი), მაშინ როდესაც ო. ბესედოვმა ვ. ენგურის ექსლიბრისში მოვითხოვ მთელი ნოველა თეატრის დღე- სასწაულზე, სადაც ყველაფერი — თეატრალური ნიღაბი, ყვავილები, შაანიბთა ხელები --- ექვემდებარება მხატვრულ გადაწყვეტას.

არის კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ ბალტისპირელი და ბელორუსი მხატვრებისაგან, რომელთა ექსლიბრისები აქ გამოფენილია გამოცდილების გაზიარების მიზნით. ლაპარაკია ექსლიბრისების ბეჭდვის ხარისხსა და ტექნიკის არჩევაზე. ფერადი ოფორტი, აქვატინატა. ორ-სამ ფერ- ში ბეჭდვა (ფერადი) ძალიან მდიდრულ იქს აძლევს წიგნის ნიშანს.

ყოველივე ეს მარტო სპეციალისტებს არ ეხება. ხელოვნებას რომ ეზიარო — გონება, სული და გული უნდა ჩააქსოვო, რაიმე რომ გაივო, გარკვეული ნაბიჭიც უნდა გადადგა წინ. ამიტომ მე ვისურვევებდი ამ გამოფენაზე გვენახა სტუდენტებიც. მოსწავლეებიც და ყველა, ვისაც უყვარს წიგნი და წიგნის შემოქმედნი. „წიგნ- ში გაფანტა უკუნი ირგვლივ, წიგნს კი დარაჯობს ნიშანი წიგნის“. — ამბობს პოეტი ჩვენი მხრით კი დავუმატებთ, რომ წიგნს ექსლი- ბრისი კიდევაც ამშვენებს და პროპაგანდასაც უწევს.

ამიტომ გამოფენამ, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორიც აშერქავებსის მხატვართა ნამუშევრების დათვალიერება, გვიცდა თავის საზღვრებს და მეგობრულად დაუთმო ადგილი თავის გვერდით მოსკოველი და ლენინგრადელი, უკრაინელი და მოლდაველი, ყაზახი და ბალტიისპირელი, უზბეკი და ბელორუსი ექსლიბრისის ოსტატთა ნამუშევრებს. ეს გამოფენა საზეიმო ღონისძიება კი არა, უფრო გამოცდილების, შემოქმედებითი მეგობრობისა და ურთიერთობის ნაყოფისმომცემი სკოლა იყო. იგი კარგად იყო ორგანიზებული და ჩვენ ყველანი მადლობას ვწირავთ მასპინძლებს, რომლებმაც ქართული სტუმართმოყვარეობა და საქმიანი, სამუშაო ატმოსფერო კარგად შეუხამეს ერთმანეთს. ეს კი ახალ ძიებათა და მიღწევათა საწინდარია, რომელსაც ჩვენ აუცილებლად ვიხილავთ : 1987 წელს ბაქოში აშერქავების შესაბეჭდი რეგიონალურ გამოფენაზე.

ଶୁଦ୍ଧଲୋକ ତଥା କବିତା  
— ରୂ —

ଶୁଦ୍ଧଲୋକ,  
ଓହଳାଙ୍କୁ



ଧୀଲେଖରୀଙ୍କ ମିତାମେଲି ପରିଚୟ  
ଶ୍ରେଣୀତିର ଏହି ପିଠାଗାନ୍ଧିତିକାଶି ମନ୍ଦିରାଳ୍-  
ମେଲି ପରିଚୟ ରହିଥାଏଇ ଛିନ୍ନି, ଏବଂ  
ମନ୍ଦିରାଳ୍ ଶ୍ରେଣୀ ପିଠାଗାନ୍ଧିତି—  
ମନ୍ଦିରାଳ୍ ପିଠାଗାନ୍ଧିତି ଏବଂ ମନ୍ଦିରାଳ୍  
ମନ୍ଦିରାଳ୍

୧. କୃତିକାଳ

## თალავალი მთინობარი ჩალები

აკაკი წერეთელი ამობდა: „თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწევლო, ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელნი, როგორც ბარომეტრი ტაროსისა“. ამ კეშმარიტების დადასტურებაა დიდი ისტორიის შემნებელი სხვადასხვა დროს მოღვაწეობა ქალებისა, რომელებიც მართლაც იყვნენ „ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელნი“.

თელავი ყოველთვის განთქმული იყო მამულიშვილი ქალებით, შაგრამ მათ შესახებ ცოტა რამ ვიცით. განსაკუთრებით საინტერესოა ერეკლე მეორის დროს თელავში მოღვაწე ქალების ცხოვრება. ზოგი მათგანი სახელმწიფო საქმიანობაშიც იყო ჩაბმული.

ცნობილია XVII—XVIII საუკუნეების მიზანზე მიღებაშე მარიამ-მაკრინეს შემოქმედებითი ცხოვრება. პოეტი-პიმნოგრაფი ქალის ერთი ნაწარმოები „მოწოდება კახელებისადმი სარწმუნოების მტკიცედ დაცვის შესახებ“ მე-20 საუკუნის დასაწყისში ხელთ ჰქონიათ, რომელიც შემდეგ დაკარგულა. საეპიაუდოა, რომ თელავშივე ქმნიდნენ თავიათ ნაწარმოებებს მარიამ ერეკლეს ასული (მეულე დავით ციცილვილისა), ქეთევანი — იოანე მუხრან ბატონის მეულე და თეკლე ბატონიშვილი, რომლებიც იყვნენ „ჩინებული მელექქეგბი“. თელავშივე საძიებელი XVIII საუკუნის ქალი მთარგმნელების, გადამწერ-კალიგრაფების, ბიბლიოფილების, მომლერლების თუ მსახიობების სახელები. თელაველი ქალების, ისე როგორც სხვა ქართველი ქალების, მზითვის სიებში ხშირად ისხენიება დედაწიგნები: „ვეფხისტყაოსანი“, „ქართლის ცხოვრება“ და სხვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივი საქმიანობისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩინენ როგორც თავადაზნა-ს. მწიგნობარი 85

ურთა, ისე დაბალი სოციალური წრიღან გამოსული თელაველში მუქალა და დაბალი და დაბალი.

1865 წელს თელავში გაიხსნა წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი გამოსული რომელის მოთავეც იყო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის რძალი ანა ბაგრატიონ-ჭავჭავაძისა. მისთვის ამ საქმეში დახმარება გაუწევია გრიგოლ ორბელიანს.

თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში ეზიარა მამულიშვილურ სიკარულს ბევრი კახელი ქალი. როგორც რ. საყვარელიძე შენიშვნას „თითქმის ყველა ქართველ ქალს, რომელთაც საშუალო განათლება ჰქონდათ მიღებული, თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული“.<sup>1</sup>

1882 წლის აგვისტოში აკაკი წერეთელმა კახეთში პირველი დამოგზაურა და, როცა ქალთა ონიშნული სასწავლებელი დაათვალიერა. შთაბეჭდილებებში ჩაიწერა: „სწავლება კარგად არის დაცუნებული. ეტყობა, რომ მოვლა და ყურადღება არ აყლია“.<sup>2</sup>

1884 წელს ელისაბედ ჩოლოვაშვილმა და ივანე როსტომაშვილმა დააარსეს გლეხ ქალთა სახალხო სკოლა, სადაც, როგორც გახეთი „დროება“ ონიშნავს, „მეცურჭლებების, მებალებების, მეფუქნების, ბაზაზების, და ერთი სიტყვით, ყველა ხელობის დაწოდების კაცთა შეიღები“ სწავლობდნენ<sup>3</sup>.

1895 წელს თელავში შეიქმნა „ქართველ ქალთა ამხანაგობა“. მასში შედიოდნენ: ბ. სულხანიშვილი (კომპოზიტორ) ნ. სულხანიშვილის და), ქ. ზერაფიშვილი, ა. და თ. პაატაშვილები, თ. ჩუბინაშვილი, ა. გურჯაძე და სხვ. მათ ხელმძღვანელობდა თვალსაჩინო პედაგოგი და სახოგადო მოღვაწე ილია ზარაფიშვილი. როგორც ივანე პაატაშვილის მოგონებაშია ონიშნული: „ქალთა ამხანაგობაში შესვლა ყველას შეეძლო, რაკი გადასახადი არ იყო დაწესებული. იგი სულ მაღა გაიზარდა. მასში შედიოდნენ როგორც „არის-ტოკრატები“, ისე ე. წ. „მოსახვევიანები“ (გლეხები)<sup>4</sup>. ამხანაგობის შესახებ გახეთმა „ივერიამ“ გამოიქვეყნა ბ. სულხანიშვილის სა-

<sup>1</sup> რ. საყვარელიძე, ქალთა პედაგოგიური განათლება XIX საუკუნის შეართველობის, თბ. 1958, გვ. 54.

<sup>2</sup> 4 წერეთელი, თხზულებაზი, ტ. 13, 1961, გვ. 313.

<sup>3</sup> გამ. „დროება“, 1884, № 178.

<sup>4</sup> გამ. „კოლმეურნის ხმა“, 1956, № 1.

ინტერესო წერილი, ოთველშიც ასახულია ქალთა ამხანაგობისაზე და ნიშნულება და სამოქმედო პროგრამა.<sup>5</sup>

ქალთა ამხანაგობის წევრები ბერე კარგ საქმეს აყეთებდნენ. მათ გახსნეს წიგნსაცავი, ჭრა-კერვის სახელოსნო.

ქალთა ერთმა ნაწილმა კი თელავში, „დელ გალავანში“, გახსნა ჭრა-კერვის უფასო სკოლა ღარიბი მოსახლეობისათვის. მართალია, ამხანაგობამ 5 წლაში გასტაა, მაგრამ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია თელავის კულტურულ ცხოვრებას.

თელაველი ქალები საქველმოქმედო მიზნით მრავალ მუსიკა-ლურ-ლიტერატურულ საღამოს მართავდნენ. შემოსავალი კი ხმარდებოდა ღარიბი მოსწავლეებს. წიგნსაცავის გამდიდრებას, ხელმოყდა სტუდენტებს.

თელავში მწიგნობრობით პოპულარული ყოფილა ივანე შიუკაშვილის ოჯახი. ამ საგვარეულოს ერთ-ერთი ფუძემდებელი ხოდაშნელი შიუკა ლალიაშვილი განთქმული ბერიკა-მესალამურე ყოფილა. ერთხელ ბერიკაობას შესწრებია მეტე ერეკლე და უმოზავს სალამურზე საუკეთესო დამკვრელის ვინაობა. შიუკა თავისთან მოუხმია. კიდევ დაუკვრევინებია საღამური და ისე მოსწონებია, რომ სასახლეში წაუყვანია ეკლესიის მგალიბლად და სასულიერო სასწავლებელშიც მიუბარებია. ქვემო ხოდაშნელი ლალიანები ასე გამხდარან შიუკაშვილები.

შიუკაშვილების ერთ-ერთი შთამომავალი — ივანე, ცნობელი პედაგოგი და მწიგნობარი ყოფილა. მას ახლო ურთიერთობა ჰქინდა ექვთიმე თაყაიშვილთან, და ხელნაწერი წიგნების შეკრებაში დიდი დახმარებაც გაუწევია. დიდი მეცნიერის არქივში დაცულია წერილი: „დიდად პატივცემულო ექვთიმე! ამ წერილის მომტანი გახლავთ ის მღვდელი, რომელმაც ჩემის შევინებით დაგითმოთ უფასოდ პატარა ტანის ქართული შესანიშნავი ხელთნაწერი სახარება ამ თარი წლის წინათ ზემოთ ნათქვამი იმისთვის დამჭირდა, რომ დღეს ამ წერილის მომტანს სჭირდება თქვენი შემწეობა“...<sup>6</sup> (1916 წლის 26 მარტი).

ივანე შიუკაშვილის შთამომავლები ჩვენი ეროვნული კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ. მაგალითად, ცნო-

<sup>5</sup> გა. „ივერია“, 1895, № 255.

<sup>6</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებთა ეკადემიის კ. კუკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1458.

ბილი ქართველი პედაგოგი და დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი, განერაცია  
დაგოგები თამარ და ეკატერინე შიუკაშვილები, თბილისის კ. სარა-  
ჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესო-  
რები ვანდა და ლეო შიუკაშვილები და სხვ.

ამ გვარის ერთ-ერთი გამოჩენილი მწიგნობარი ქალი იყო  
თამარ შიუკაშვილი (1876—1954). მას დაუმთავრებია თელავის წმი-  
ნდა ნინოს სასწავლებელი. 1903 წელს კი ჩარიცხულა პრაქტი-  
კანტად თელავის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იგი 1904 წელს  
იღებს მასწავლებლის წოდებას.



თამარ შიუკაშვილი

თამარ შიუკაშვილი 50  
წლის მანძილზე ასწავლიდა  
თელავის სკოლების დაწყე-  
ბით კლასებში. იგი იყო და-  
წყებითი და საშუალო სკო-  
ლების სახელმწიფო სამეც-  
ნიერო კომიტეტის მეცნიერ-  
კონსულტანტი. მისი საინ-  
ტერესო ნაშრომი თემაზე:  
„ანბანის წინა პერიოდი“ და-  
იბეჭდა 1941 წელს. თამარს,  
თელავში ერთ-ერთ პირ-  
ველს, 1939 წელს, მიენიჭა  
საქართველოს სსრ დამსახუ-  
რებული მასწავლებლის წო-  
დება და ლენინის ორდენით  
დაჯილდოება.

თამარს თეატრის მშენოთ-  
ვარე ცხოვრებაც იტაცებდა:  
მას ასლო ურთიერთობა  
პქონდა ლადო მესხიშვილ-  
თან, ვალერიან გუნიასთან,  
ალექსანდრე სუმბათაშვილთან, მიხეილ ჯავახიშვილთან და სხვ. თე-  
ლავის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში დაცულია  
მიხ. ჯავახიშვილის ოთხი წერილი, რომლის აღრესატი „მოდპიკის“  
საზოგადოების თელაველი ჩამარ შიუკაშვილია.

„მოდპიკის აგენტს ქ. თელავში ქალბ. თამარ შიუკაშვილს!

„ამასთან ერთად გიგზავნით ქართველთა დრამატურგებისა და კომპოზიტორთა საწოგადოების წევრთა სიას და გაუწყებთ, რომ მოდპიკის გამგეობის თანხმობით მათი ინტერესების დაცვა მინჭობილი გვაქვს მე და თქვენ — მოდპიკის აგენტები.

დაცვის ფორმაც და შინაარსიც ისეთივეა, როგორც მოდპიკში, ოღონდ ერთი განსხვავებით: ქართული საზოგადოების ანგარიშები უნდა ცალკე შეადგინოთ.

მოდპიკის რწმუნებული მიხ. ჯავახიშვილი

### „ქალბატონო თამარ!

გაუწყებთ, რომ თარგმანი პიესის „ქარიანი ქალაქი...“ (კირ-შონის), „სამი მსუქანი“ (ოლეშასი) და „პროტესტს ვაცხადებ“ (სლავინსკის) ეკუთვნის მოდპიკის წევრს ა. ბოკერიას, ამიტომ გთხოვთ იგი წევრთა სიაში აღნიშნოთ.

პატივისცემით მოდპიკის რწმუნებული მიხ. ჯავახიშვილი<sup>7</sup>

12. X. 29

მართალია, ზემოთ შოტანილი წერილები ერთ საქმეს ეხება, მაგრამ კარგად ჩანს. მიხ. ჯავახიშვილი როგორი ნდობითა დ პატივისცემით ეპურობოდა თამარ შიუკაშვილს.

აქვეა დაცული ვალერიან გუნიას ერთი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ქალბატონო თამარ! ეს არის ეხლა ჩამოვალ ქუთაისიდან და ვესწრაფი გიპასუხოთ თქვენს წერილზე. დიდად და-მდგალებთ, თუ შემატყობინებთ — ვის ვიშოვნით მანდ მოთამაშეთ „მეგობრობისათვის“. ამას წინ, აქ კოტე ჰელიძე ცყო და მირჩა, რომ თელავში მარტო ჩამოდიო.

ეხლა თქვენი რჩევა მეტირვება — მართლა მარტო ჩამოვიდე თუ სხვა ვინმე ჩამოვიყვანო. ამას გარდა ერთი წერილგენა იქ-მარებს თუ შეტი!

რა თქმა უნდა, მე უფრო მესიამოვნება ჩამოსულა მაშინ, რო-ცა თქვენი ძმა მანდ იქნება ჩამოსული.

<sup>7</sup> თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერები, № 6973.



დათგვო აწყურელს და კოტე შეილიძეს რომ ნახავდეთ, ცხადის მიზანით თაც რომ მოელაპარაკებოდეთ და საერთოდ გადაწყვეტავდეთ რას-მე, უკეთესი იქნება იქნებ თვითონ მანდაურ სცენისმოყვარეებმა იყისრონ საქმის მოწყობა.

ყოველივე ამის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია და მი-  
ტომ ძლიერ დამავალებთ თუ დროით შემატყობინებთ თქვენს დას-  
ტურს და ჩემას.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალაში და უღრმესი პატივისცემა:

ვალერიან გუ ნ ი ა, 1909 წ. 22 ივნისი.<sup>8</sup>

ეკატერინე შიუკაშვილმა დაამთავრა უენევის უნივერსიტეტის  
სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. უენევაში კაფე „პანდვიც-  
ში“ იგი ხშირად დასწრებია პატრონობას, სადაც გამოღილებენ ვ. ი.  
ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი, ა. ვ. ლუნაშარსკი და სხვ. ახლო ურთი-  
ერთობა პქონდა მიხეილ ჯავახიშვილთან, დაცით სულიაშვილთან  
და სხვ.

სტუდენტობის პერიოდში 1916 წელს, მოსკოვში ეკატერინეს  
და თამარს გაუცენიათ ალ. სუშბათაშვილი. იმ დროს მოსკოვის  
მცირე თეატრში „Ночной туман“-ის პრემიერა იყო. „ბილეთები  
ასად არ იშვებოდა — გადმოგვცემს ეკატერინე, — მე და ჩემი  
და იძულებული გავეცდით მიესულიყავით ალ. სუშბათაშვილთან და  
დახმარება გვეთხოვა. მივედით კიდევ კარგად მიგეიღო და დიღხანს  
გვესაუბრა. როდესაც გაიგო, რომ მე ეკროპაში ვსწავლიობდი, ვი-  
ცოდი ფრანგული ენა, შემცერება — შევიძლიათ თუ არა ფრანგუ-  
ლიდან თარგმნაო და გადმომცა უიულ ლემეტრეს წიგნი თეატრ-  
ზე“.

ეკ. შიუკაშვილს აღნიშნული წიგნი უთარგმნია რუსულ ენაზე,  
რისთვისაც „ლალატის“ აღტორს დიდი მაღლობა გადაუძლია და მა-  
ლე მისგან სკოლი წერილიც მიუღია: „დიდად პატივცემულო ეკა-  
ტერინე ივანეს ასულო, ძლიერ ნადლობელი ვარ თქვენი, ჩემი და  
ვალების თანახმად უიულ ლემეტრეს თეატრის საკითხებზე დაწე-  
რილ ფრანგული სტატიების თარგმნისათვეის. ეს შრომა გადმო-  
თარგმნილია ჩინებულად, მშვენიერი რუსული ენით ზედმიწევ-

<sup>8</sup> თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სელნაწერები, № 6973.

ნით სწორად. მე იმედი შაქვს, თქვენ უარს არ იტყვით შეძლებებიც  
ასეთივე თარგმანები გააკეთოთ ჩემი თხოვნით.

გულწრფელად თქვენი პატივისტცებელი იუუინი თავ. ს უ შ ბ ა თ თ ვ ი.

24 დეკემბერი, 1916 წ. მოსკოვი<sup>10</sup>

ეკატერინე შიუკაშვილი, რო-  
გორც ევროპული ენების საუკე-  
თესო მცოდნე, კონსულტანტობას  
უწევდა უცხო ენებით დაინტერე-  
სებულ ახალგაზრდობას. ეტიუ-  
რად თანამშრომლობდა საქართ-  
ველოში დაბეჭდილ ინგლისურ და  
ფრანგულ პრესაში. ინგლისურ  
გაზეთში „THE GEORGIAN  
MESSINGER“ 1919 წელს (№ 5)  
დაიბეჭდია მისი საყურადღებო წე-  
რილი სათაურით: „საქართველოს  
ქალები“. მომდევნო ნომერში კი  
იბეჭდება მიმართვა ინგლისელი  
ქალებისადმი.

ეკატერინე ინგლისელ ქალებს  
სწერს: „თქვენ ბრიტანეთის კუნ-  
ძულის ქალებო, გიგზავნით სა-  
ლაშს კავკასიონის მწვერვალები-  
დან, ნაზი იების სურნელს შევი  
ზღვის დაფნის გვირგვინოვანი სა-  
ნაპიროებიდან“... წერილი დიდი  
პათოსით არის დაწერილი და კარ-  
გად ჩანს მიზანდასახულობაც.

ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კი-  
დევ არ იყვნენ დამცხრალნი იმპე-  
რიალისტური წრეები და ახალი  
საშიროების წინაშე იყენებ-  
დნენ მსოფლიოს. ამიტომ წერი-



ეკატერინე შიუკაშვილი

<sup>9</sup> წერილი ჩვენ გამოვიდეთ 1967 წ. გაზეთში „ალაზნის განთიაღია“ (№ 67).

ლის ავტორი ინგლისელ ქალებს ახსენებს: „დაიმახსოვრეთ, უმაღლესი ფორმა, სამარეა ქალთა უფლებებისა, ჩვენ ვერ ვიქნებით იმათ გვერდით, ვისაც ომი სჭირდება. დიდი ომების პერიოდში ქალი შეფასებული იყო როგორც ჯარისკაცთა წარმოშობის წყარო“.

სწორედ იმჟამად, როცა ე. შიუკაშვილის წერილი გამოაქვეყნეს, პარიზში მიმდინარეობდა საზაფო კონფერენცია. ამიტომ ურჩევს იგი წერილში ინგლისელ ქალებს: „ჩვენთვის, ქალებისათვის უფრო შესაფერისი ხომ არ იქნებოდა მიგვემართა თხოვნით შევიღობის კონფერენციისათვის, შეიმუშაონ და დაუცვან პრინციპები, რომლებიც მომავალში ბოლოს მოუღებენ ომის ყოველგვარ შესაძლებლობას“. უფრო მეტიც, ე. შიუკაშვილი მოითხოვს, რომ ოლნიშნულ კონფერენციაზე ქალებს დაეთმოთ საგანგებო ადგილი.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ქალი მართალია, როცა წერს, რომ კონფერენციაზე: „ძლიერნი ამა ქვეყნისანი იქ ომზე კი არ უნდა მსჯელობდნენ, თუ ეს ეკუთვნის დედამიწის ორი ნახევარსფეროს პეგემონობა, არამედ იმაზე. როი ანგარიში გაუწიონ პატარა ერებს და მისცენ შესაძლებლობა თავისი საკუთარი წარმომადგენლობით ამცნონ ქვეყანას სატკივარი, მისცენ შესაძლებლობა აღიდგინონ დაკარგული, ფეხქვეშგათველილი უფლებები და ამ გზით საფუძველი ჩაუყარონ ხალხთა ნამდვილ ლიგას საზოგადო განიარაღებისა და მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში“.<sup>10</sup>

ეკატერინე შიუკაშვილის სახელთან არის დაკავშირებული თელავში საბავშვო თეატრალური დასის ჩამოყალიბება. მას ეკუთვნის არადენიმე წერილი თეატრის საკითხებზე და პიესები. რომელთა გარევეული ნაწილი იდგმებოდა თელავის თეატრში. საქართველოს სახალხო არტისტმა მარინე თბილეულმა 1972 წლის 29 მაისს თელავში თავის შემოქმედების საღამოზე განაცხადა: „ყოველთვის სიამოების გრძნობით ვიგონებ ჩემს საყვარელ შიუკაშვილების ოჯახს, სადაც პირველად ვიგრძენი სელოვნებისადმი სწრაფვა, სიყვარული 8 წლისა ვიყავი, როდესაც თელავის თეატრის სცენაზე ქალბატონ ეკატერინეს დაწერილ პიესაში, „ბებია ზამთრის გასამართლება“, ციფვის როლი შევასრულე. მას მოჰყვა პიესა „ყაბიდონა“ და ასე გავხდი „ცნობილი“ მსახიობი.

<sup>10</sup> „ცისკარი“, 1979, № 7, გვ. 136.

მე სცენაზე ფეხი ამაღლევინეს დებმა თამარ და ეკატერინე შიუკაშვილებმა. შიუკაშვილების შესანიშნავი ოჯახის წარმომადგენელი დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი კი შემდეგში მასწავლიდა სამწლიან სამსახიობო სასწავლებელში. მადლობა მათ, ვინც მე მაპოვნინა თეატრისაკენ მიმავალი გზა“.

ეკ. შიუკაშვილი მრავალმხრივ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. წერდა პიესებს, მოთხოვნებს, ნოველებს, ლიბრეტოებს, ნაკვესებს, ასცენირებდა ზოგიერთ პოპულარულ თხელებას და სხვ. მის კალამს ეკუთვნის მოხმოვნედებიანი პიესა „ატომის მეუე“, „ყაფლანის განძი“, „ოცენება“, „ყაბახი“ (ნ. ბარათაშვილის ცხოვრება), კომედიები „მთვარე და მისი ჩრდილი“, „კონკურსი“, „უკანასკნელი მაკენდორფი“, „ძალად გმირი“, „ბუნების იდუმალება“, „ჩვენი დროის გმირები“ (დიდი სამამულო ომის თემაზე) და სხვა. პიესად გადააკეთა ლ. ტოლსტოის ცნობილი რომანი „ანა კარენინა“, დაწერა პასტორალი „მზე გვიცინის“, „ყვავილნარში“. საბავშვო პიესები: „მართას შვილიშვილები“, „ყაბიდონა“, „ბებია ზამთრის გასამართლება“, ნოველები: „მარიკოს ოინი“, „ქობულეთში“, „ჭიბგირი“, „დალატი“, „ვიო-ორატორი“ და სხვები. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე პუბლიცისტური წერილი. განსაკუთრებული სიყვარულით წერდა თეატრზე.

1964-65 წლებში ეკ. შიუკაშვილისაგან ჩვენ ჩავიწერეთ შოვონებები, აქედან მკითხველს დოკაზობთ სამ ეპიზოდს:

„ჩვენი საუკუნის დასაწყისში უენევის უნიკერსიტეტში ვსწავლობდი. ჩემთან ერთად ლექციებს ისმენდნენ შემდეგში ცნობილი მწერლები მიხ. ჯავახიშვილი, დავით სულიაშვილი, გიორგი პლესანოვის ქალიშვილები და სხვები.

არასოდეს დამაგიწყდება 1909 წლის გაზაფხული, როდესაც ოლინიშნა უენევის უნივერსიტეტის დაარსების 350 წლისთავი. ყველა ერის სტუდენტთა გვაფს, ვინც კი აქ სწავლობდა, თავიანთი ეროვნული ცეკვები თუ სიმღერები უნდა წარმოედგინა. საუკეთესო პროგრამით წარსდექით ქართველი სტუდენტები. მაშინ აქ სწავლობდა დაახლოებით 100-შედე ქართველი. ზეიმს განსაკუთრებული ელფერი მისცა ქართველთა სასუქარმა. ეს იყო ქართველიშვილი-ცეკვა შდიდრულად გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც უნივერსიტეტის რექტორს პროფ. შოთას გადაეცით. სხვათა შორის, ეს წიგნი მე მქონდა წალებული თელავიდან. მოვილაპარაკეთ ამასა-

გებმა და ასეთი კარგი შემთხვევისათვის გამოვიყენეთ ეს ტერმინი.

სტუდენტები ხშირად ვიქრიბებოდით კაფე „პანდეინგის“ დარბაზში, საღაც ხშირად იმართებოდა შინაარსიანი საღამოები. მანსონს საღამოებზე მონაწილეობდნენ ვ. ი. ლენინი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, ვ. ვ. ბლუხანოვი, ქართველი ანარქისტი კომანდო გოგილია და სხვა.

ისიც კარგად მახსოვს, რომ (მგონი 1908 წელს) ლენინმა საუბარი ჩამოაგდო მარქსისტული ლიტერატურის გავრცელების საკითხებზე და მაგალითისათვის დასახელა ქართველი კომუნისტების საქმიანობა. ლენინმა დავით სულაშვილისაგან გადაცემული ორი წიგნი აჩვენა საზოგადოებას, რომელიც როგორც შევიტვეთ, ბათუმში იყო დატეჭდილი. მე სწორედ მაშინ გვიგვ, რომ ბათუმში სტამბა იყო და ასე წივნებს ბეჭდავდნენ.

ახლაც დღეი ინტერესით ვისენებ ერთ საოცარ ამბავს. 1910 წელს ლონჯანის ზრატში, საქურორტო სოფელ კლეიორში (სუფთა პარს ნიშნავს, როგორა ჰავას ჩვენს კოჭორს) ვისვენებდი.

დილა იყო, მე წყლის ასაღებად გამოველი. ის გამოჩნდა ჩემი დიასახლის, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა, დასევდიანებულმა ცრემლიას თვალები მომაბყრო და თითქოს მომისამძიმრა: „გუშინ რუსული მწერლობის მზე ჩესევნა, ოთ... როგორ მიყვარდა ტოლსტოი“. ეტავი როგორ გაიგო ასე მალე რუსეთში მომზღარი ამშავი კლეიორებულმა დიასახლისმა? — ვფრექრობდი მე.

იმავე დღეს საქართველოში მამაჩემთან წერილი გამოვგზავნება კონკრეტულ ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ ქართულ ურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები გამოვგზავნა. მართლაც მალე მომივიდა ქართული ურნალ-გაზეთები და მამის წერილი, რომელშიც მწერდა: „ბედნიერია მამა ვორსონოვი (ოპტინი, სავანის მოძღვარი), რომელსაც ტოლსტოის სიცდუმლო ზიარება შეუსრულებიარ“. მამა მღვდელი იყო და თავისი კოლეგის ამ ბედნიერი შემთხვევით კმაყოფილი.

მრავლის მომსწრე და მნახველმა ეკ. შიუკაშვილმა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში თავის საოგახო ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდი (ხელნაწერებთან ერთად) გადასცა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

ნინო შიუკაშვილმა, დამთავრა თუ არა ქალთა პირველი გიმ-  
 ნაზის სპეციალური პედაგოგიური კურსები, პედაგოგის დამღმი-  
 თ ჯერ ბოლებები, შემდეგ კი თელავში მუშაობდა მასწავლებლად.  
 შემდეგ მან გახსნა კერძო სასწავლებელი, მაგრამ ეს სასწავლებე-  
 ლი მაღლ დაიხურა ქართული ენისა და ლიტერატურის და  
 საქართველოს ისტორიის სწავლების გამო. თვით ნინო პოლიციის  
 მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ნინოს თელავში აღარ ედგომებოდა. იგი პეტერბურგში გა-  
 დავიდა თავის მეულლესთან, საზოგადოება „კახეთის“ წარმო-  
 მადგენელ, ილექტუალურ გოგნიაშვილთან ერთად.

პეტერბურგში, უკკოცესკის ქუჩაზე (№ 37) სოფლის მეურნეო-  
 ბის საზოგადოება „კახეთის“ განყოფილების გამგის ალ გოგნიაშ-  
 ვილის და ნინო შიუკაშვილის ოჯახში ხშირად იყრიბებოდნენ პე-  
 ტერბურგში მცხოვრები მოწინავე ქართველი მამული შეიღები —  
 ივანე და გიორგი გაგახიშვილები. მას ახლო მეგობრული ურთიერ-  
 თობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც იგრეთვე ბინაზე  
 სწვევია მას პეტერბურგში, ნინო შიუკაშვილი 1905-11 წლებში, პე-  
 ტერბურგში ცხოვრების დროს, არ წევეტდა კავშირს თავის მშობ-  
 ლიურ თელავთან და იგრეთვე, სხვადასხვა ფსევდონიმით თანამ-  
 შრომლობდა ქართულ ურნალ-გაზეთებში. იგი წერდა საბავშვო  
 მოთხრობებსაც.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გადაწყვეტი-  
 ლებით და ამ საზოგადოების თელავის განყოფილების დამაარსებე-  
 ლის, თამარ აბაშიძის მონაწილეობით 1911 წელს, სექტემბერში  
 თელავში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. ამ სასწავლებელს  
 ეძახნენ: „გორის სკოლას“ ან „გოგნიაშვილის სკოლას“, რომელ-  
 საც შემდეგ ი. ჭავჭავაძის სახელი მიაკუთვნეს. აქ, ნინოსთან ერ-  
 თად, პედაგოგიურ ასპარეზზე იღვწოდნენ ანა გაფანიძე-ზურაბიშვი-  
 ლი და ნინო ლაშხაური.

სკოლა საქველმოქმედო საღამოების, თეატრალური წარმოდ-  
 გნების, ტრადიციული „ილიათბის“ და „ნინოობის“ შემოსავლით  
 არსებობდა. ეს იყო ოთხ განყოფილებიანი დაწყებითი სკოლა, რო-  
 მელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შრომის სკო-

ლად გადაკეთდა და აქაც ერთხანს ასწავლიდა ნინო შიუკაშვილი<sup>11</sup> გოგნიაშვილისა.

ნინო შიუკაშვილი თანამედროვეთა და ნამოწაფარების გადმოცემით თელავში მრავალი სასიკეთო საქმის წამომწყები და ორგანიზატორი იყო. მან სკოლასთან შექმნა ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ჩამოაყალიბა ჭრა-კერვისა და ხელოსნობის წრეები, სადაც გაკეთილების შემდეგ მოსწავლეები ეუფლებოდნენ შრომის ჩვევებს. სკოლას ჰქონდა აგრეთვე საკუთარი ხელნაწერი ორგანო — „ჩვენი ეურნალი“.

1964 წლის მარტში 87 წლის ასკში გარდაიცვალა ნინო შიუკაშვილი. ნეკროლოგში ვკითხულობთ: „სამშობლოს წინაშე ვალშობდილი, ამაგდარი, სათნო და გულისხმიერი ნინო შიუკაშვილის ნათელი სახე მარადეამს დარჩება მისი მოწაფეებისა და აღზრდილების ხსოვნაში“.<sup>12</sup>

„ათანასეანთ სოფიო“ — ასე ეძახდნენ თელავში სოფიო ედიშერის ასულ ჩერქეზიშვილ-ეხევახიშვილისას. იგი მრავალი საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმის შეთაური იყო. მას მრავალ სასწავლებელში ჰყავდა სტიპენდიატები, როგორც გაზეო. „ხმა კახეთისა“ წერდა, 1913 წლის 2 ივლისს, როდესაც თელავში წერა-კითხვის გამაერტყელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების ინიციატივით ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა ჩატარდა, სოფიოს განყოფილებისათვის 1500 მანეთი შეუწირავს: 1200 მანეთის ხარჯზე საზოგადოებას თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში აღეზარდა ერთი ქალი, ხოლო 300 მანეთი მოხმარებოდა წერა-კითხვის გამაერტყელებელი საზოგადოების სკოლას.

მან დედობრივი მზრუნველობით აღზარდა ივანე ჯავახიშვილის დედა. შვილიშვილებიდან განსაკუთრებით გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა ივანესთან, სწავლის პერიოდში დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა მას.

ექიმ ნიკოლოზ ზაუტაშვილის ცნობით, რომელიც დღეს ცხოვრობს სოფიო ვახვახიშვილისეულ ბინაში, ჭერში უნახავს ივანე ჯავახიშვილის სტუდენტობის დროის წერილების ერთი დიდი დასტატა. მათი დარესატი ბებია „ათანასეანთ სოფიო“ იყო. მა ქაღალდებიდან სამწუხაროდ ერთ ფურცელსდა მივაკვლიერ, რომელიც არის

<sup>11</sup> გამ. „სახალხო განთლება“, 1964, № 14.

ქ. შ. წ. გ. საზოგადოების გამგეობის მიერ 1913 წელს შედგენილი აღრესი: „ლრმად პატივცემულო კნეინა სოფიო! ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა სიხარულით მოგმართავთ დღეს მოკლე სიტყვით, რომლითაც უნდა შეეხოს თქვენი მხურვალ: კულიდგან, კეთილ ადამიანობიდგან წარმომდგარს საშვილიშვილო საქმეს და ქველმოქმედებას.

უძველეს ხანიდან ჩვენს პატარა ქვეყანას უბედობა კვალში სდევდა და მხოლოდ შეუპოვარი გამჭრიახობით, მამაცური თავის დაცვით და თავგანწირვით, სამშობლოს სიყვარულით შეინარჩუნა თავისი არსებობა. ამ რთულ და გმირულ ცხოვრებას ჩვენი ერისას რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ მთელ მის მომდინარეობაში დედაკაცს დიდი ნაწილი უზიდნია ერის არსებობისათვის და ჩვენი სამშობლო ჩვეული გამხდარა ქალებისგან აყვავებისა...

აი, თქვენ, ქნ. სოფიო, გასძხეთ ქვეყანას, ისევ უკვდავი პოეტის უკადაგი სიტყვებით: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. ვევდრებით განვებას მოგანიჭოთ კიდევ ბევრი სიცოცხლე, რათა ჩეცულებრივი აღმანი ძეგლათ აღიმართო კაცთა წინაშე დიდი მოქმედების და საქმის მაჩვენებლად“.

სოფიო ვახეიშვილის პირად ბიბლიოთეკას ამშვენებდა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ალ. ყაჩბეგის, ვაჟა ფშაველას ავტოგრაფიანი წიგნები, იშვიათი კოლექცია ხელნაწერი სამკურნალო წიგნებისა, რომლებიც ყოველდღიურ ხმარებაში ჰქონდა თვით შწიგნობარ ქალს. იგი ხალხს კურნავდა ქპირელესად თაჭასი ქეთილშობილური თვისებებით და შემდეგ სამკურნალო წიგნები-



დან ამოკითხული წამლებით. მასვე შეუდგენია სამკურნალო ჭირის მხრი ხელნაწერი და ივ. ჯავახიშვილის ავტოგრაფიანი წიგნები დღეს სხვადასხვა ოჯახების კოლექციაშია დაცული.

XIX ს-ის 90-იანი და XX საუკუნის 20-იანი წლების თელავის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა თამარ ალექსანდრეს ასული გამგებიშვილი-აბაშიძისა. იგი ოჯახში, ხოლო შემდეგ წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში ეზიარა მამულიშვილურ სიყვარულს.

თელავში, ნადიკვრის უბანში დღესაც ახსოვთ გახვახიშვილ-აბაშიძის ლამაზად მოწყობილი კარ-მიდამო, რომელიც ცნობილ მეყვავილეს — მიხეილ მამულაშვილს დაუმშვენებია დეკორატიული ხეებითა და საუცხოო ყვავილებით. მას „ობლიაანთ კარს“ ეძახიან, რადგან თამარის მშობლები იდრე გარდაიცვალნენ. ამ ეზო-მიდამოს მიხედვით შექმნა ელენე ახლედიანმა შესანიშნავი ტილო „ობლიაანთ კარი“, სადაც მან ბავშვობის წლები გაატარა. ამ ოჯახის ხშირი სტუმრები ყოფილან ილია და ავაკი, რ. ერისთავი, ილ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი.

თამარ ალექსანდრეს ასულ ვახვახიშვილ-აბაშიძის ინიციატივით გერ კიდევ 1894-95 წლებში დაარსდა ჭრა-კერვის სკოლა, სადაც სწავლობდნენ უღარიბესი ოჯახის შვილები და როგორც ერთ წერილობით საბუთში ვკითხულობთ: „აბაშიძე იყო ამ სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ასწავლიდა საგნებს უსასყიდლოდ 6—7 წლის განმავლობაში“. ამ სკოლის ხილვით და მუშაობით აღფრთოვანებული აქ. წერეთელი 1879 წელს თელავში პოეტის პატივსაცემად გამართულ საღილზე წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: „ერთი მცირე რამ შევნიშნე თელავში, რომელმაც გული გამიმრთელა და აღმაფრთოვანა მომავლის იმედით. აქ, ახალგაზრდა ქალებს, ოჯახის შვილებს, ნაცვლად იმისა, რომ სხვებსავით მაღალ ფარდებში იფარფაშონ, ხელი მოუკიდიათ პატარა საქმისათვის. გაუმართავთ უსასყიდლოდ შკოლები ღარიბ-ობლებისათვის, სადაც ასწავლიან ხელსაქმნარს, მეოქანეობას, უცხო ენასთან ერთად მშობლიურსაც და დროის შესაფერისად და საკადრისად სწორ გზაზე აყენებენ მათ. ამისათვის არ ზოგავენ არც ხარჯს და არც შრომას, უეჭველია, რომ აქედან გამოვლენ ის დედები, რომლებიც ჩვენ გვენატრება, და მერე მათი გაზრდილი შვილებიც ლირსი

წევრები იქნებიან მომავალ, სა-  
ნატრელი ახალ-თაობისა“.<sup>12</sup>

როდესაც ცნობილი ქართვე-  
ლი მოღვაწე მიხ. გედევანიშვი-  
ლი შეუდგა ი. ჭავჭავაძის თხზუ-  
ლებათა შედეგენა-გამოცემის საქ-  
მეს, თელავიდან ერთ-ერთი პირ-  
ველთაგანი თ. აბაშიძე გამოეხ-  
მაურა და მატერიალური შემ-  
წეობაც გაუწია. ამის დამადასტუ-  
რებელია 1914 წელს დაბეჭდი-  
ლი პოეტის თხზულებათა მდიდ-  
რულად გამოცემული პირველი  
ტომის ერთი ეგზემპლარი, რო-  
მელიც თელავში გამოგზავნა ას-  
ეთი წარწერით: „პატივისცემისა  
და მადლობის ნიშნად მიერთვას  
ეს წიგნი ქალბატონ თამარა აბა-  
შიძისას იმ უანგარო და ენერგიუ-  
ლი შრომისათვის, რომლის წყალობით შესანიშნავი მწერლისა და  
დილებული მამულიშვილის შემოქმედების ნაყოფი მოეფინა საქარ-  
თველოს ყოველ კუთხეს, მასსა „<sup>14</sup> დღესა 1914 წ. დავშეთები  
თვეენი პატივისცემელი. მიხეილ გედევანიშვილი“.

თ. აბაშიძე 1903—1915 წლებში იყო თელავის ქალთა სას-  
წავლებლის საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრი,  
მას 1911 წელს მიუჰატიუებია ა. წერეთელი, 1913 წელს კი ვაჟა ფშა-  
ვილა. მოუწვია შეხვედრები ახალგაზრდა მგოსნებთან: ი. გრიშაშ-  
ვილთან, ს. ფაშალიშვილთან და სხვ.

როგორც ცნობილია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-  
რცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილება 1909 წელს  
შეიქმნა, რომლის დამფუძნებელთა შორის იყო თამარ აბაშიძე. იმ  
დამსახურებებიდან, რაც ამ განყოფილებას მიუძღვის თელავის კულ-  
ტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, მრავალი ფაქტია ცნობილი.



თამარ გახვანიშვილი-აბაშიძე

<sup>12</sup> კ. წერეთელი, თხ. ტ. 13, გვ. 298.

თადაცის მუშაობა და მაღლობის რესპუბლიკური მუზეუმი  
— ას აუდიტორია ადამიანის ას უსისახო და უსისული მომსახურება,  
არმის წყალის მისამართ შესრულებულ მუზეუმის და დაცულებულ მიმუშაული —  
შემდგარ მიმუშაულის ნაყოფი მოყვითას საქართველოს ყოფილ კუთხებს.

Dr. A. M. / დღეს 1914 წ.

დაცული აუდიტორია თადაცის მუზეუმის მიმუშაული

ჩევნ დავასახელებთ მხოლოდ ორიოდეს, რომელშიც აქტიური მო-  
ნაწილეობა აქვს მიღებული თამარი აბაშიძეს.

1911 წლის სექტემბერში გაიხსნა წერა-კითხვის გამივრცელე-  
ბელი საზოგადოების სკოლა, რომელსაც იღია ჭავჭავაძის სახე-  
ლი მიაკუთხნეს, 1915 წელს თელავის მაზრაში გაიხსნა ხუთი სამ-  
კითხველო და წიგნის მაღაზია, ყველა მათგანის სული და გული  
თამარი ყოფილა. ამ საზოგადოებამ იმდენად გაითქვა სახელი,  
რომ გაჩნდა შეწირულობანი, მაგ.: იღია ზარაფიშვილმა სახლი უან-  
დერძა, სოფიო წერქეზიშვილ-გახვახიშვილისამ 1.800 მანეთი შეს-  
წირა, ხოლო დიდი იღიასეული მამაპაპეული სახლ-კარი ყვარელში  
საზოგადოებამ შეისყიდა 5.344 მანეთად და საპატრონოდ გადასცა  
თელავის განყოფილებას.

თამარი აბაშიძე 1912 წელს თელავის ვაჟთა გიმნაზიის დაარსე-  
ბის კომიტეტის წევრი იყო. აქ იგი მოღვაწეობდა, როგორც მასწავ-  
ლებელი და მშობელი, აქ დაიბადა თელავში პირველი ნაბეჭდი გა-  
ზეთის გამოცემის იდეაც, რომელიც 1919 წელს მისი შვილის — და-  
ვით აბაშიძის რედაქტორობით განხორციელდა. თამარი 1925-27  
წლებში თელავის პირველი შრომის სკოლაში მუშაობდა.

1927 წლის სექტემბრიდან თამარი თავისი ოჯახით თბილიში  
გადავიდა. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა  
თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატს, მას გულთან ხელოს  
მიუტანია უსინათლოთა ბეჭი, შთააგონებდა მათ, რომ თქვენ შე-  
გიძლიათ ხალხისათვის სასარგებლო საქმეები აქეთოთთ. მართლაც,

ଅ. ୧୯୧୮୦୫

# ପାତାଳ ଆନନ୍ଦ ଶବ୍ଦବ୍ୟାକାରିତାତ୍ତ୍ଵବିଦୀ

ଶବ୍ଦବ୍ୟାକାରିତା ବ୍ୟାକାରିତା  
୧୯ ଉଚ୍ଚଲେଖନ ୩୦

ԱՅ-5 ՀԱՅԻ ՏԱՐ ՎԱՐ ՅԱՎԵՐԻ ԴԱՐԱՐԱՐԻ ԱՅԻ ՖՈՐՄ + Խ-5-5 Խ-30-6-0 ԷԼԵԿՏՐԱՋԵՐԻ

*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
ԴԱՅԵՐԻ	-	4	5	X	4	2	5	e	ձ	Ձ	Ձ	W		
ԲԱՅԵՐԻ	-	4	5	4	1	3	7	7	7	7	7	6		
ՀԱՅԵՐԻ	-	3	9	6	4	8	3							

ԳՅ-4 ՀՈՎՈ ՀԱՅԻ ԽԵԶՉՅԱ ՋԵՎԵՐԵՐԻ ՀՕԲ ՕՒԼ + Խ-5-6 Խ-30-6-0 ԷԼԵԿՏՐԱՋԵՐԻ

*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
ԴԱՅԵՐԻ	-	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	V	
ԲԱՅԵՐԻ	-				0	1	0	10	9	8				
ՀԱՅԵՐԻ	-	6				7	0	0	3	0	3			

Խ-5-6 ՀՈՎՈ ԽԵԶՉՅԱ ՋԵՎԵՐԵՐԻ ՀՕԲ ՕՒԼ + Խ-5-6 Խ-30-6-0 ԷԼԵԿՏՐԱՋԵՐԻ

*	*	*	*	*
*	*	*	*	*
*	*	*	*	*
ԴԱՅԵՐԻ	-	0	0	0
ԲԱՅԵՐԻ	-			0
ՀԱՅԵՐԻ	-			

0.00 - 0.00

Խ-5-6 ՀՈՎՈ ԽԵԶՉՅԱ ՋԵՎԵՐԵՐԻ ՀՕԲ ՕՒԼ + Խ-5-6 Խ-30-6-0 ԷԼԵԿՏՐԱՋԵՐԻ	1234567890
ԴԱՅԵՐԻ	
ԲԱՅԵՐԻ	
ՀԱՅԵՐԻ	

10600000 10000000

ՏԵՍակ. Բայերի ԽԵԶՉՅԱ ՋԵՎԵՐԵՐԻ ՀՕԲ ՕՒԼ + Խ-5-6 Խ-30-6-0 ԷԼԵԿՏՐԱՋԵՐԻ ՀԵՎԵՐԻ ՀԱՅԵՐԻ ԱՅԻ ՖՈՐՄ + Խ-5-5 Խ-30-6-0 ԷԼԵԿՏՐԱՋԵՐԻ

*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
ԴԱՅԵՐԻ	-	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ԲԱՅԵՐԻ	-													
ՀԱՅԵՐԻ	-													

ამ სკოლაში დიდალი სამუშაოები შესრულდა, ისინი წნავდნენ განვითარებს, აკეთებდნენ ჯაგრისებს, ქარგავლებს ქართულ ასოებს, შოთას და ილიას პორტრეტებს.

თამარ აბაშიძემ უსინათლო ბავშვებისათვის შეადგინა „ქართული ანბანი უსინათლოთათვის“, რომელიც სახელმწიფო გამომცემლობამ 1930 წელს დაეცნა. ეს პატარა სახელმძღვანელო ერთ-ერთი პირველი ცდა იყო ქართულ ენაზე და დიდი სამსახურიც გაუწია ქართველ უსინათლო ბავშვებს.

თამარ აბაშიძეს ვე ვკუთვნის საქართველოს ოუკა, რომელიც სპეციალურად უსინათლოთათვის შეადგინა.

1936 წელს თბილისში ჯერ კიდევ მხნედ მყოფი მამულიშვილი თამარ განვითარებისა-აბაშიძისა გარდაიცვალა. უსინათლო ქათველმა ბავშვებმა მასწავლებლის საფლავზე მიიტანეს თავიანთი ხელით მოწნული ყვავილების გვირგვინი ასეთი წარწერით: „თამარ მასწავლებელს, ჩვენს თვალისჩინს, მაღლერი უსინათლო ბავშვებისა-გან“. მეორე გვირგვინზე კი ეწერა: „თამარ აბაშიძეს თელაველები-საგან“.

თელავში, ლეონიძეთა ნაფუძარზე გაიზარდა დარია აბელიშვილი. აქ წმინდა ნინოს სასწავლებელში მიიღო მან პირველ-დაწყებითი განათლება. სახელოვანი მუზეუმის ვასილ ბარნოვის დამოძღვრილს ბავშვობაშივე ხელი მოჟეიდია კალმისათვის. მისი შეკრებილი ქართული ხალხური ზღაპრები და გამოცანები ხშირად ქვეყნდებოდა უურნალ „ნაგადულში“. იმიტომ იყო, რომ სროლებორმა მიხ. ჩიქოვანმა ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიაში სიგანგებოდ მოიხსენია მისი ღვაწლი<sup>13</sup>.

დარია აბელიშვილი 1893—1976 (წ.) XX საუკუნის 10-იან წლებში თელავის აქლოტურულ, ლიტერატურულ საქმიანობაში ქრისტიან ჩაეგა. იგი „ილიაობის“ ბოჭყობის სინიციატივო ჯგუფში იყო და, როდესაც თბილისში ქართულ გიმნაზიაში გადავიდა სასწავლებლად, დაუახლოვდა ჩვენი ლიტერატურისა და თეატრის ქურუმებს: აკაკის, ვაჟას, ეკ. გაბაშვილს, კოტე მაყაშვილს, ლადა. შესხიშვილს და სხვ. თბილისში არსებულ ერთ-ერთ ლიტერატურულ წრეში დ. აბელიშვილის მონაშილეობის შესახებ მწერალ გაბილინა ხოსტაშვილი (ირ. ევდოშვილის და) წერს, რომ დი-

<sup>13</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების, ისტორია, 1956, გვ. 307.

დანართის „აბელიშვილის ქალი დარიკი, რომელმაც კარგა  
რეფუტატი წაიკითხა ბარათაშვილის შემოქმედებაზე“...<sup>14</sup>

მდიდარი და საინტერესოა დარია აბელიშვილის არქივი და  
წიგნადი ფონდი. ზოგი მათგანი შთამომაცლობით გადმოეცა და ზო-  
გვეც თვითონ შეკრიბა. მის არქივშია დაცული თვალსაჩინო ქართ-  
ველი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის 40-მდე სიმღერის  
ნოტი და მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების უამს ქიზიყელი  
დამტირებელი ქალის აქუას ნატირალი, რომელსაც მთელი ორასი  
წილი ეძებდნენ მკლევარები.

ცნობილმა პოეტმა სიკო ფაშალიშვილმა თავისი ლექსების  
კრებული დარია აბელიშვილს ასეთი წარწერით უძლვნა:

„მე მახსოვს შეჲი კაი ქალობა,  
ნურც დამავიწყოს ის ტკბილი დღენი,  
როს გულში გაჩნდა გარდუვალობად  
ეს ძმური გულით მოძლეობი ძღვენი“.

#### 9. XII. 59.

დარია აბელიშვილს უმაღლესი ეკონომიკური განათლება პჟონ-  
და ერთხანს იგი მუშაობდა აზერბაიჯანში სხვადასხვა თანამდებო-  
ბაზე და შემდეგ საქართველოში სამტრესტის ორგანიზაციაში ცნო-  
ბილ ეკონომისტად ითვლებოდა. მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირ-  
ფასი იყო მშობლიური ლიტერატურა, თეატრი და განსაკუთრებით  
უყვარდა პოეზია. ზეპირად იცოდა ა. პუშკინის, ნ. ბარათაშვილის,  
ილიას, ვაჟას, გ. ლეონიძის, ს. ესენინის და ა. კალანდაძის ლექსები.  
ამის გამო ხშირად იტყოდნენ ხოლმე: „Душой поэт, судьбой  
МОИАХ“ და მართლაც მისი საქმიანობა სადაც არ უნდა ყოფილიყო,  
სამტრესტში, თელავის რუსულ საშუალო სკოლაში თუ საბუღალ-  
ტრო სასწავლებელში, ყველგან პოეტურ-მამულიშვილური საქმი-  
ანობით გამოირჩეოდა.

დ. აბელიშვილმა დიდი შრომა გასწია თელავში სელოსნური  
ამქრების საქმიანობის შესწავლის საქმეში. მის არქივში დაცულია  
ძვირფასი მასალები, რომლებშიც გადმოცემულია XVIII ს-ის  
80-იანი და XIX ს-ის 20-იანი წლების თელავის შინამრეწველობის  
შესახებ. ნაშრომი შეიცავს დერციკობის, დაბალობის, ხარაზობის,  
სირაჭობის, ჭონობის, მენახშირების, მანჯანიკობის აღწერილო-

<sup>14</sup> ბ. ხოსირაშვილი, მშობლიური სოფლიდან დედაქალაქში, 1964, გვ. 163.

ბას. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა შექრიბა ხელოსნობის უფრო ნოვორაფიული ნიმუშები, ფოტოები და გადასცა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. იგი თავის სიძეს, თელავის მუზეუმის ამავდარს, სანდრო მამულაშვილს მხარში ედგა მასალების შექრება-შესწავლის დროს. ხოლო თავის დროზე, როცა ვასილ ბარნოვი მუშაობდა „ამქრის მშვენებაზე“, უხვად ისარგებლა თავისი მოწაფის და აბელიშვილის ჩანაწერებით.

დარია აბელიშვილმა დაგვიტოვა მშვენიერი მოგონებები აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ვანო სარაჯიშვილის, ლადო მესხიშვილის, გიორგი ლეონიძის და სხვათა შესახებ. ამათგან ზოგი მასალა გამოქვეყნებული იყო თელავის რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის“ ფურცლებზე. აი, რას სწერდა მას 1968 წ. საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქტორია: „პატივუმულო ქალბატონო დარია! გვაპატიეთ, რომ დაგვიანებით გიპასუხეთ. თქვენმა წერილმა ძალიან გვასიამოვნა. ქართულ თეატრსა და ქართველ მოღვაწეთა შესახებ ბევრი წაგვიკითხავს, მაგრამ ის, რაც თქვენ გაგვიზიარეთ, კიდევ უფრო ავსებს ჩვენს ცოდნას ამ სახელმოვანი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. სრულიად მართლი ბრძანდებით, როდესაც „დალატის“ შესახებ წერთ. ვნანობთ, რომ ჩვენ არ გექონდა შესაძლებლობა გვენახა ნუცა ჩხეიძის ზეინაბი და ვალერიან გუნიას ოთარ-ბეგი. საგულისხმოა, აგრძელეთ თქვენი ნაამბობი ვაჟა ფშაველაზე, აკაკი წერეთელზე, ვასო აბაშიძეზე, და სხვებზე. კარგი იქნება თუ თქვენს მოგონებებს უფრო ვრცლად გადასცემთ თეატრალურ მუზეუმს.“

კარგად მახსოვეს ქალბატონ დარიკოს დრამატულად მოყოლილი მიმავი 1893 წელს განხაში ნ. ბარათაშვილის საფლავის მიეკუთვნება.

დარია აბელიშვილს პქონდა შდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობდნენ ნათესავები, მეზობლები, კოლეგები და თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეები — იოსებ გრიშაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, მიხ. საყვარელიძე, ლეონ მელიქეთ-ბეგი და სხვ.

მწიგნობარი ქალის არქივში ინახება ი. გრიშაშვილის რამდენიმე წერილი. ერთ-ერთ მათგანში კითხულობთ: „ძვირფასო დარიკო! მიყიდუ შენი გამოგზავნილი თელავში დაბეჭდილი წიგნები. კარგია, დიდი ჭილდოა ჩემთვის. კარგი იქნება თელავში დაბეჭდილ

(1890) „გიბის ლექსიკონსაც“ თუ მიშოვნი. რამდენიც უნდა დღვეულით ფასონ მიეცით, მე აგინაზლაურებთ. მანამდე კი გიგზავნი ჩემს „ლიტერატურული ნარკვევების“ წიგნს. ჰალალი ცოს, შენს აზრ-საც თუ მომწერთ, გაახარებთ მოხუცი პოეტის გულს, ძმური სიყ-ვარულით შენი სოსო.

1957 წელი, 17 ოქტომბერი.

ი. გრიშაშვილი მეორე წერილში კი ასეთი თხოვნით მიმართავს ქალბატონ დარიას: „და და ტებილო მოვონებავ! რატომ არა მწერ წერილებს. აქ რომ იყავი ხომ გთხოვე ლიტერატურული ბო-ჰემის შესახებად გამოგეხნავნა თელავის ლიტერატურული ცხოვ-რების ამბები. განსაკუთრებით აშულები მაინტერესებს. რა იქნა ჰა-ზირას ლექსების ხელნაწერები, რომლებიც სახზე დაკვრელ ვაუ-არაშვილს პქონია. იქნება ვარიანტებია ცნობილი ლექსებისა? ჩაი-წერე თუ ზეპირად ახსოვთ და გამომიგზავნე. მალე დაიძებულება ჩემი მესამე ტომი და გამოგიგზავნი.

ალერსით და ძმური სიყვარულით  
შენი სოსო . გრიშაშვილი.

ოთხმოც წელს გადაცილებული დარია აბელიშვილი ძველე-ბური ეშხით დადიოდა თელავის ქუჩებში და სიყვარულით შეპ-ყურებდა ახალ მშენებლობებს. გულში ინახავდა თბილ მოგონე-ბებს გარდასულ დღეებზე და მისი გადარჩენილი საგანძურიდან სათუთად მოვლილ წერილებს, ფოლიანტებს.

როსტომაშვილების ოჯახი თელავში მამულიშვილური საქმია-ნობით სახელგანთქმული იყო. ოჯახის უფროსის ი. როსტომაშვი-ლის მწიგნობრულ-პედაგოგიური საქმიანობა სპეციალური კვლე-ვის საგანიც გახდა. საინტერესო ნაშრომები დაწერეს პედაგოგიურ მეცნიერებათა კინდიდატმა ლამარა იანვარაშვილმა და ფილოლოვაის მეცნიერებათა კანდიდატმა შალვა მარკონაშვილმა.

ივანე როსტომაშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობაში მხარში ედგნენ ღირსეული მეუღლე ელისაბედ ჩოლოყაშვილი და შვილე-ბი. თითოეულ მათვასს თავიანთი საყვარელი საქმე პქონდა და გატაცებითაც ემსახურებოდნენ, მაგრამ ყველას ფიქრი თაქს დასტ-რიალებდა ქართულ წიგნს და მწიგნობრობას. როსტომაშვილების ოჯახის მესვეურის საფლავზე დიდუბეში დგას ორიგინალური ძეგ-

ლი, ქვაში გამოკვეთილი წიგნების დიდი წყება, რომელიც სიმღერების ლურად გამოხატავს ამ დიდი მამულიშვილის მწიგნობრულ საქმიანობას (ძეგლის ავტორია იაკობ ნიკოლაძე).

ელისაბედ ჩოლოყაშვილს მზითებული მოპყვა „გეფხისტყაოსნის“ და „ეისრამიანის“ ხელნაწერი წიგნები. მას ჩაბარეს საპატიონოდ თავიანთი თხზულებების ხელნაწერები აღ. ყაზბეგმა და ი. დავითაშვილმა. შემორჩენილია ჩვენი ხალხის ერავული მეგობრის ბარჭორი უორდობის წერილები, რომელთა აღრესატია ელისაბედ ჩოლოყაშვილ-როსტომაშვილისა. მან დაგვიტოვა საინტერესო მოვნებები გარდასულ დღეებსა და შექვედრებზე.

ცნობილია, აგრეთვე როსტომაშვილების ქალიშვილების — ბაბილინა და ინასტასია როსტომაშვილების დამსახურება ქართული თეატრისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ტახო როსტომაშვილი ცყო თელავის თეატრალური დასის წევრი. გვერდი კიდევ პატარა ბავშვმა იყნოს სცენის საოცარი სურნელება, თავისი ბედი დაუკავშირა რა სახელმისამართის რეესიონის სანდრო ახმეტელს და გათხოვების შემდეგ მედაგოგიურ სარბიელზეა. ივი ჯავალგან წიგნის ქვემარიტი პროპაგანდისტი იყო.

ბარბარე როსტომაშვილი-კორონოვისა კი იგანე როსტომაშვილის უფროსი ქალიშვილი იყო. იგი დაიბადა 1883 წელს.

თელავში წმინდა ნინოს სახელმისამართის დამთავრების, შემდეგ ივი ჩაირიცხა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის მოწაფედ, სადაც სითეატრო ხელოვნებას ქადაგილნენ სტანისლავსკი და ნიკოლოვიჩ-დანჩენკო. ბ. როსტომაშვილი 1905 და 1917 წლების რევოლუციის მშფოთვაზე დღეებში მასკოვში ცხოვრობდა და ბუნებრივია, პროგრესული იდეების შემნე იჯახურ წრეში განტლილ ქალიშვილს ამაზე დიდი შთავონება რაღა უნდა ჰქონდა. პეტერბურგის მუზეუმში და მისი სახლი მოსკოვში ცხოვრობდა პროფ. გერენის ბინაში, რომელიც იმ ქარიშხლიან დღეებში პარიზში გაიქცა და მისი სახლი რევოლუციურად განწყიბილი ახალგაზრდობის საკრებულო ადგილად გადაიქცა. აქ ხშირად დაიარებოდნენ მოსკოვში მცხოვრები ქართველი სტუდენტები: ოლღა მირზაშვილი, ტახო კანდელაკი, ძმები ალიოშა და სამსონ წუწუნავები, ილია ხილესლი. შალვა შოთაძე და სევები.

ბარბარე როსტომაშვილი და მისი თანამშებრძოლები თავდადებით იძრდოდნენ მოსკოვში, ბოვისლაგსკის შესახვევში, სადაც ბარიკა-

დების აღსამართავად ბაბომ თავისი პინის ივეჭიც კი გამოიყენა. ხოლო წითელი დროშისათვის დაჭრეს მისი წითელი იძრეშუმის კაბა.

ბარბარე როსტომაშვილი მონაწილეობას იღებდა 1905 წელს მუშა რევოლუციონერის ნ. ბაუმანის დაკრძალვაში. ცარისმის სულის შემცუთველი პოლიტიკის დროს კი ბაბო როსტომაშვილი თავის მეუღლესთან, რევისორ ს. კორონოვთან ერთად ქ. სოხუმში მიემგზავრება, სადაც თან წამოიღეს რევოლუციური ლიტერატურა და გაავრცელეს ქართული მუშებს შორის.

არანავლები თავდადება გამოიჩინა საცხოვრებლად მოსკოვში დაბბუნებულმა ბ. როსტომაშვილმა 1917 წლის რევოლუციის დროს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლამარა იანვარაშვილი ასე იღწერს ერთ ეპიზოდს: „შეიარაღებული ბრძოლის დროს ბ. როსტომაშვილის ბინის ფანჯრებზე რევოლუციონერებმა დადგეს ტყეიამფრქვევები, თვით ბ. როსტომაშვილი მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში, რევოლუციონერებს ამარავებდა ტყვია-წამლით, დაჭრილებს უხევედა ჭრილობებს.“

ბ. როსტომაშვილის ხელმძღვანელობით თელავში 1904 წელს დაიდგა ქ. წერეთლის „პატარა კახი“ პიესაში პატარა კახის როლს თამაშობდა თვით ბარბარე, ხოლო ტურფას როლში გამოდიოდა ტახო როსტომაშვილი.


თითქმის სამოცი წლის მანძილზე ბ. როსტომაშვილი საქართველოს და რუსეთის თეატრების სცენაზე ასრულებს 100-ზე მეტ როლს, სოფ. ლალისყურის და ფშავლის მცხოვრებლებს ახლაც კარგად ასსოვთ 50-იან წლებში ბ. როსტომაშვილის ხელმძღვანელობით სოფლის კლუბებში დრამატული წრეების მიერ გამართული წარმოდგენები, აგიტაციურული ბრიგადების კონცერტები, წიგნების გამოფენები, მისი მწარი იყო. მშრომელ ხალხში ოეატრისა და შაატვრული ლიტერატურის სიყვარულს დანერგვა.

პერსონალური შენსიონერი ბ. როსტომაშვილი გარდაიცვალა 1968 წელს ქ. სოხუმში. მადლიერმა დედულებმა სოფ. ლალისყურებმა გადმოასცენეს იგი და დღი პატივით დაკრძალეს სოფალში, სადაც მოედინება ბარბარეს რუდუნებით გამოყვანილი წყაროს წყალი, რომელსაც „ბარბარეს წყაროს“ ეძახიან.

## ტიპის მიღია

საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მესამე ყრილობის დალეგატები, მიწვეული ამხანაგები ყრილობის მუშაობის დაწყებამდე თუ შესვენების დროს ინტერესით ათვალიერებდნენ კინოს სახლში მოწყობილ სხვადასხვა თემატურ გამოფენას, სტენდს, ნახატს... ერთ-ერთ სტენდს ასეთი წარწერა ამშვენებდა: „პიბლიოფილ პავლე ბერეკაშვილის იშვიათი წიგნები“. დამთვალიერებლები გარკვეულ წუთებს აყოვნებდნენ ამ სტენდთანც. მათ ყურადღებას იძყრობდა „მანანა“-ს 1852 წლის გამოცემა, იგანე ყიფიანის მიერ გადმოკეთებული ნ. ნეკრასოვის „იოანე სარდალი“, რომელიც გამოცემულია ქუთაისში 1912 წელს, კარლოს ევალდის „ბელურა ჩიორაძე“ (ზღაპარი) — გამოცემული 1915 წელს, „ავგაროზის“ (1914 წ.), „ველხისტყაოსნის“ გ. ქართველიშვილისეული გამოცემა (1888 წ.), მ. კელენჯერიძე — „უკანასკნელი ღლენი იმერეთის გამოსახულისა“ (1903 წ.), „ცხოვრება წმინდა გიორგისა“ (1904 წ.) და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მათგანს სახელმწიფო ბიბლიოთეკების კატალოგებშიც ვერ შეხვდებით.

გრიგოლ მანსვეტაშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილი წიგნი „მიკლე გამარტება ლიტურგიისა“ 225-ე ნაბეჭდი წიგნია ქართულ ენაზე. იგი ამჟამად 133 წლისაა და, რა თქმა უნდა, იშვიათობას წარმოადგენს, 1852 წელს გამოცემული „მანანა“ წარმოადგენს ვინმე გაქრისტიანებული ლეკის ქრისტიანული სარწმუნოების ადმი ხოტბის შესხმას, რომელიც მას დავით გარეჯის მონასტერში შეუთხზავს, გამოსუწერია იესე დავითის ძე ჩუბინოვს და დაუბეჭდავს ვინმე ბენედიქტე ბარკალაიას. შალვა დადიანის რევოლუციური სულისკვეთებით გაუღენთილი პიესა „როს ნაღიმობდნენ“ დაბეჭდილია რეაქციის დროს, 1912 წელს ბათუმში ე. მახარაძის სტამბაში. ეს დიდი გაბედულება იყო იმ დროისათვის. წიგნის ერთი ცალი მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთე-



### პავლე ბერეკაშვილი

კაში მოიპოვება. შელიტონ კელენჯერიძის „უკანასკნელი დღენი იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა“, რომელიც გამოცემულია ქუთაისში 1903 წელს, გვაცნობს ცნობილი მეცნიერისა და სიუკულესი მოღვაწის გაბრიელ ქიქოძის ცხოვრების ბოლო ბერეკოდას. 1910-იან წლებში ქუთაისში ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა დაბატის სტამბა „ძმობა“, რომელშიც ადმინისტრაციული წიგნი დაიძებულია. მა წიგნებიდან პ. ბერეკაშვილის ბიბლიოთეკაში შეგიძლიათ იხილოთ. ა. ასათიანის „ექვთიმე ბედერულის“ (1911 წ.), დაცულია მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, ვ. პეტეგოს „მორიელ ეპისკოპოზი“ (1911 წ.), დ. ბერეკაშვილის ნათერგმნი. ეს განლავთ პეტეგოს თარგმნის ცდა პ. ბერეკაშვილის მოგვიანის მიერ: ბიჩერ-სტოუს „სამი მოთხრობა“ (1912 წ.), თარგმნი დ. ნოვის. ესა ბიჩერ სტოუს პირველი თარგმნი ქართულ ენაზე, რასაც შემდეგ მოჰყვა „ბიძია თომას ქოხის“ თარგმნი. ს. წერეთელი — „გამბედავი აშხანგი“ (1913 წ.) დაცულია მხოლოდ სახარო ბიბლიოთეკაში. ვერც ერთი ბიბლიოთეკის თა-



რომელ ვერ შეხვდებით ისეთ წიგნებს, როგორიცაა პ. ევალდის „ლურა ჩიორაძე“ (1915 წ.) გადმოკეთებული დ. ლუნდუას მიერ, ნ. ნეკრასოვის „იოანე სარდალი“ — გადმოკეთებული ივანე ყაზავანის მიერ 1912 წელს.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთვითან დავა-  
შირებით გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოეწ-  
ყო სამამულო ომის წლებში გამოცემული წიგნების რესპუბლი-  
კური გამოფენა ბიბლიოფენითა პირადი ბიბლიოთეკებიდან დევი-  
ზით: „წიგნებიც იბრძოდენ“. ტყიბულელი ბიბლიოფილი ამ გა-  
მოფენაზე წარსდგა პირადი ბიბლიოთეკის „ხელობელსაგოგმანე-  
ბი“ წიგნებით, რომელთა რაოდენობა 30-მდე აღწევდა, რისთვი-  
საც დაგილდოვდა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბ-  
ლიკური გამგეობის მფრი. ამ გამოფენაზე ყურადღებას იპყრობდა  
პ. ბერეკაშვილის წიგნები: ქუთაისის ბედინსტიტუტის შრომების  
შემთხვე ტომი (1942 წ.), რომელიც მთლიანად მიღვნილია ომის  
თემისადმი. გაზიეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ 1944 წელს გა-  
მოცემული წიგნები „ჩვენი გმირები“ და „სამამულო ომის სახე-  
ლოვანი მეობარნი“ ასახავენ სამშობლოსადმი თავდაღვების მისა-  
ხად მაგალითებს, ხ. ბერულივას „სამშობლოს სიყვარული“ (1944 წ.)  
პოეტის პირველ წიგნს წარმოადგენს. პატრიოტულის თემაზე ხალ-  
ხური ლექსიებს კრებულია „ჩარცე რენის პერანგი“ (1942 წ.),  
კრებულში „ქართველი პოეტები წითელ არმის“ (1942 წ.) თავმო-  
ყრილია ქართველი პოეტების ლექსიები, რომელიც ეძღვნება ხაბ-  
ჭოთა არმიის გმირობას, მის დიად ვანმათავისუფლებელ შისრის.

„პიტლერი სსრ კავშირის წინააღმდეგ“ (1941 წ.) ავტორი ერნესტ  
პერი ცნობილი იყო როგორც ინგლისელი უურნალისტი. მას გა-  
მაღლებით ეძებდნენ პიტლერელები, რათა მოესპოო, მაგრამ ვერსად  
იპოვეს, პრესამ ამის წინათ მყითხველებს აცწყა. რომ ფსევ-  
დონის ამინფარებული ავტორი არის ცნობილი საბჭოთა პუბლი-  
ციკო, სსრ კავშირის მწერლთა კავშირის წევრი სიმონ ნიკოლო-  
ზი, რე როსტოკი.

თათოვეულ იშვილთ წიგნს თავისი შეძენის ისტორია აქვს. ომის  
წლებში ბაზარზე 100 მანეთად იყიდებოდა ქართველი შეილისეული  
„ვეფხისტყაოსანი“. ა. ბერეკაშვილმა დაუნანებლად მისცა ეს თანხა  
წიგნში.

ერთხელ მეზობელთან შენიშნა, რომ ქალები აბრეშუმის ჭის  
ვასაფენად ლასტებზე უურნალ „მწყემსია“ და „ივერიის“ კომპ-

ლექტების ფურცლებს აწყობდნენ. მათ ნაცელად პ. ბერეკაშვილმა მართვილი შპს მარტინ დასაფენად. მას შევრი წიგნი უპოვა მარტლატურაში და გადაურჩენია.

წიგნის თავდავიწყებამდე სიყვარული მას მამის — პლატონ გავლენით ბავშვობიდანვე მოსდევს, მეოთხე კლასის მოწავლემ უკვე საფრთხელი ჩაუყარა პირად ბიბლიოთეკას. დღეს ამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 10 ათას ეგზემპლარს აღემატება. თითოეულ წიგნს სულიერ არსებისავით დაპირის, ელოლიავება. ათეული წლების მანძილზე შეძენილი წიგნები საკუთარი ხელით „ხურჯინ-მოკიდებული“ აქტონდა სოფელ კურსების პრართზე, მამაპაპი-სეულ სახლში. დღილობრივმა თვითნასწავლმა კარიკატურისტმა

ა. ჯაშმა სწორედ ხურჯინმოკიდებულ მისი მეგობრული შარ-ჟი შექმნა, რომელსაც პირველად „მწიგნობრის“ მკითხველებს ვთავაზობთ.

კურსებიდან მისამართი შეიცვალა — სოფელ ორპირში, ბარში დამკვიდრდა, სადაც საშუალო სკოლის დირექტორობა მიანდეს. ახლა კი იმ აღმართიდან ქვევით, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ნაწილ-ნაწილ ეზიდება წიგნებს პირადი ბიბლიოთეკის მკითხველების, თუ „საკუთარი“ შეკვეთით. ძნელია ტერიტორიულად მოშორებული პირადი ბიბლიოთეკის ორ ნაწილიად გაკოფა ოჯახური პირობების გამო, მაგრამ პავლე ამ სირთულესაც სძლევს. მას უწიგნოდ ეერასოდეს ნახავთ. უცნობის ხელში წიგნს რომ შენიშვნას, მოურიდებლად ჰკითხავს, სად



ა. ჯაშმა. პ. ბერეკაშვილისადრი მოდლენილი მეგობრული შარ-ჟი.

შეიძინეთო. შემდეგ ტირაუის მიხედვით დაადგენს არის თუ პრიზ საჭირო „სასწრაფო ზომების მიღება“ მის შესაძენად. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება — სასწრაფო ზომების მიღების მიუხედავად, წიგნის გამყიდველებიც სასწრაფო ზომებს იღებენ დეფაუიტური წიგნების სარეალიზაციოდ და წიგნის ნამდვილი ტრაფიალი სასურვლი წიგნის გარეშე რჩება. ვიმკითხველი კი ოთახის ინტერიერის დასამშენებლად გადაუშლელად მიუჩენს წიგნს მუდმივ ადგილს თაროზე.

„სული გასუქდეს ბევრად სჯობს, ვიდრე გასუქდეს ლეშია“ — სახალხო მასწავლებლის ლადო ბზვანელისადმი მიძღვნილი ლექსიდან ვაჟა-ფშაველის ეს სიტყვები მოიგონა ჩვენთან საუბარშე პ. ბერეკაშვილმა და თან დასძინა: სულის სანოვაგე წიგნია, წაკითხული წიგნი, რომელიც მაქსიმალური უკუგებით ემსახურება ადამიანებს და არა თაროზე უმოძრაოდ დატყვევებული.

პ. ბერეკაშვილი ადრე გავითარავდა. ომის მძიმე წლებშია თავისი დაღი დასვა ადამიანებს, ხოლო ბავშვებს დაუკარგა ბავშვობა. პ. ბერეკაშვილმაც ომის დროინდელი მექანი ცხოვრების სკოლა გაიარა. სკოლის შემდეგ მუშაობდა კოლმეურნეობასა და საკუთარ ეზოში, ხოლო ზაფხულის ხეატის დროს დამზადების პუნქტში, რეინიგზაზე ან მათეთრა თიხების მაძიებელ გეოლოგიურ პარტიაში. ოფლის ღვრა, რაც სამასიოდე გრამი პურის მიღების გარანტის იძლეოდა, მთლიანად იყავებდა მთელ დროს თამაშისა და გართობის გარეშე. შემდეგ სტუდენტობისას რამდენჯერ ყოფილა, რომ პურის ფულიც წიგნში მიუცია. არადა წიგნები მაშინ ძლიერ ძვირი ლირდა — 50-70 მანეთი. ა, ასეთი რუდუნებით, გატაცებით აგრძელებდა წიგნებს, იცხებოდა თაროები, ფართოვდებოდა ცოდნის არე.

რომელი დარგისა და სახის ლიტერატურას არ შეხვდებით მის ბიბლიოთეკაში. აქ მრავლადა მარქსისტ-ლენინისტის კლასიკების ნაწარმოებები, ქართული, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის თხზულებათა სრული კრებულები, ლექსიკონები, ესეები, ცნობარები, ენციკლოპედიები, „ვეფხისტყაოსნის“ 20-მდე გამოცემა, ქართული პერიოდიკის კომპლექტები, განვითარები ფილოსოფიის, პედაგოგიკის მეთოდიკის, ისტორიის, ხელოვნების, ლიტერატურის თუ მედიცინის სფეროდან. სპორტულ ლიტერატურისაც თავისი აღვილი აქვს მიჩნეული და თეატრალური დადგმე-

შის პროგრამებისა და საგასტროლო მოგზაურობის ბუკლეტის გვერდის კი. ხელი იშვიათობას წარმოადგენს „კაპიტალის“ პირკელი გამოცემა.

ბიბლიოფილს ბევრი წიგნი ხშირად მეორედ და მესამედ წა- უკითხავს, ასეთებია ელინური მითები, მიხეილ გაგახიშვილის რო- / მანები, კონსტანტინე გამსახურდიას, ბალზაკის, შექსპირის, სტენ- დალის ნაწარმოებები, ვაჟა, აქაკი, ილია, გალაკტიონი, ძალიან- მოსწონს ლ. გოთუას „გმირთა ვარამი“ და შ. რიარეგიბის „დათა- თუთაშეია“. ყოველდღიურად ადევნებს თვალს თანამედროვე პრო- ზისა და პოეზიის ნიმუშებს.

პირადი ბიბლიოთეკის ერთ-ერთ თარის ამშვენებს წარწერა: „ავტოგრაფებიანი წიგნები“. გულმისამწევლომი წარწერები აქვს გაკეთებული პ. ბერეკაშვილისადმი საჩუქრად მიძღვნილ წიგნებს; „ნიკიტა და შემოქმედ პედაგოგს პ. ბერეკაშვილს“, „წიგნის ტრფი- ალს“, „შესანიშნავ ცედაგოგი და ლიტერატურის“, „კარგი სკოლის კარგ ხელმძღვანელს“, „მასწავლებელთა მასწავლებელს“, „კარგ ორ- განიზატორს, გულისხმიერ პიროვნებას“, „პედაგოგისა და უზრნა- ლისტს“. ასეთი და სხვა მსგავსი ეპითეტებით შეუმციათ წიგნის მინდია პროფესორებს ა. თოფურიას, ნ. მეტადაქეს, ო. ტაბიძეს, მ. კეთილაძეს, ო. გორგაძეს, ლ. სანიკიძეს, ფურნალისტ დ. გვდე- ნიძეს, ლოცენტრებს შ. ბაკურაძეს, დ. ჯანელიძეს, შ. რეპეჩიძეს, ვ. ქელბაძიანს, ა. ცირეკიძეს, პოეტებს: გ. გორგანელს, ლ. ნუცუბი- ძეს, ა. არაბულს, ვ. ხორნაულს, ლ. სტეილიას და სხვებს.

ერთხელ მარქსს პკოხეს: „თქვენი საყვარელი საქმიანობაზა- მან უპისუხა: „წიგნების ქვეჭა“. როგორც ყველა ბიბლიოფილს; პ. ბერეკაშვილსაც უყვარს წიგნების „ქვეჭა“ — ეს იქნება საეუ- თარ, საჯარო თუ რიგით ბიბლიოთეკებში. წიგნიან მეორედ და მესამედ შეხვედრას ვოლტერი ქველი მღვიმებრის ნახვის აღარებდა და მანი არის პეშმარიტების მარცვალი. მით უმეტეს ყველა წიგნს. როგორც ადამიანს, თავისი ბედი აქვს და მის გასხვება სია- მოვნებით ავსებს წიგნისმოყვარულს. მისთვის საყვარელი გამო- ნათქვამებია: „წიგნი სულის სანოვაგეა“, „კარგი წიგნი ძვირფასი საგანმურა“, „ადამიანები აზროვნებას ვადაეჩვევიან, როდესაც კითხვას თავს ანებებენ“.

პ. ბერეკაშვილს საერთო მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩ- ნა პირადი ბიბლიოთეკის წიგნებმა რაც შეიძლება მეტი სიხარუ- 94

ლი მოუტანოს ადამიანებს, მისი მოწოდებაა სხვებსაც უწილადლენი განვითარება  
მსაცელო ლიტერატურის, კულტურის სიმდიდრით მიღებული სი-  
ხარული. ამიტომაც ცდილობს პირადი ბიბლიოთეკის წიგნები ხელ-  
მისაწვდომი გახადოს სხვებისთვის. სიამოვნებით, გულუხვად  
სთავაზობს თავის წიგნად სიმდიდრეს, საუნგეს მეგობრებს, კო-  
ლეგებს, მისწავლებს, სტუდენტებს, მეცნიერ მუშაკებს, კოლ-  
ეგურნეს თუ მუშა-მოსამსახურეს. მისი ბიბლიოთეკის აქტური  
შეითხველები არიან პედაგოგები: ა. არსენიძე, ჩ. დადიანი, შ. ჯინ-  
ჯიხაძე, სტუდენტები ნ. ბუხაძე, მ. ჯინჯიხაძე, ი. კეთილაძე, მოს-  
წავლები: მ. ლორონაძე, ნ. ბასილაძე, გ. ქლიბაძე, შ. კეთილაძე,  
მეცნიერი მუშაკები: ა. ბრეგაძე, ო. დათუაძე, შ. ბაკურაძე და  
სხვები. სტუდენტებს სასარგებლო დამარება გაუწია ისეომა წიგ-  
ნებში, როგორიცაა ა. ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერება“ (პირ-  
ველ და მეორე წიგნი), ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძ-  
ვლები“, ლ. გვერდის „ქართული ენის სინტაქსი“, „პედაგოგიკა“  
(ღ. ლორთქიფანიძის რედაქციით), „მეცნიერული კომუნიზმი“ (ავ-  
ტორთა კოლეგიტივი), დიდი სამამულო ომის ვეტერანმა ა. არსენი-  
ძემ წაიკითხა უკკოვის, შტემენკოს და იყოვლევის მოენებები და  
მემუარები, პედაგოგმა დ. ბაკურაძემ ქ. კახაძის „მსოფლიო ტაშს  
უკრავს“ და „ტრიუმფი გრძელდება“. სხვა რაიონში მცხოვრებმა  
გ. ანთლავამ წაიკითხა ლ. სანიკიძის „უქარქაშო ხმლების“ ოთ-  
ხივე წიგნი. პ. ბერეკაშვილს კავშირი აქვს დამყარებული ცნობილ  
ჰიბლიოფილთან, ხალხური სიტყვიერების შემკრებთან ვარ ხორ-  
ნაულთან.

— ბევრი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მას საჭირო წიგნი ფოს-  
ტოთ გაუგზავნი ცალკეული აღრესატებისთვის. მისი წიგნები თავის  
ყოფილ მისწავლებთან ერთად საბჭოთა არმიის რიგებში „გადის  
სავალდებულო სიმსახურს“. წიგნის შერჩევასთან ერთად ეს ხომ  
დამატებითი ძეირთვის ღროის დახარჯებსთან არის დაკავში-  
რებული, მაგრამ შეშმარტი წიგნისმოყვარული ამ ღროსაც პოუ-  
ლობს.

— „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფისთა ბრძნობისა“, —  
წერდა უკვდავი რუსთაველი. მართლაც და რისი მაქნისია წიგნი,  
ცოდნა, თუ ის არ გამოყენე პრაქტიკულ საქმიანობაში, ცხოვრე-  
ბაში. ღვაწლმოსილი პედაგოგის საქმიანობაში მართლაც ერთ-  
მანეთს ერწყმის, ავსებს და ამდიდრებს წიგნი და პრაქტიკა. ვინ

მოთველის რამდენი ადამიანისათვის, ახალგაზრდისათვის ურჩევებულის გამოყენების შეძენა, რამდენისათვის ჩაუხერგავს კითხვის ჩვევები და კულტურა. მისი ინიციატივით ასობით წიგნი ვრცელდება არა მარტო სკოლაში, არამედ ოპბირის სასოფლო საბჭოს, ქალაქის ზონის მასშტაბით, და არა მარტო ვრცელდება — მისი თაოსნობით ასობით წიგნი შეგროვდა და გაეგზავნა მოსკოვის ქართულ ბიბლიოთეკას, ციმბირელ ნაგორობმომპოვებლებს, პლატუნელ მოსწავლეებს, ქობულეთის პიონერთა ბანკის დამსვენებლებს და სხვ.

3. ბერეკაშვილი წიგნის ბაზარზე გამოსვლამდე პრესის საშუალებით ეცნობა ამა თუ იმ წიგნის ანოტაციას და ამის მიხედვით რჩევას აძლევს ნაცნობებს თადარიგი დაიჭირონ მათთვის საჭირო წიგნების შესაძენად. საგულისხმოა ასეთი ფაქტიც: როდესაც იგი მაღაზიაში წიგნებს იძენს, იქ დამსწრეებიც იმავე წიგნებს ყიდულობენ, რადგან დარწმუნებული არიან, რომ პავლე არ შეცდება წიგნის არჩევაში.

სასკოლო, საბავშვო და სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაკები წიგნადი ფონდებით ბიბლიოთეკების დაკომპლექტების დროს ყოველთვის ითვალისწინებენ პ. ბერეკაშვილის აზრს, მის საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

50-იან წლებში სასკოლო ბიბლიოთეკები ლებულობდნენ „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას“. ამჟამად კი „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასაც“ არ ლებულობენ. ენციკლოპედია ხომ თაობებისათვის არის განკუთხნილი და რატომ უნდა ჩაიკეტოს იგი ბინებში? — გულისტკივილით აცხადებს პ. ბერეკაშვილი, — რატომ არ დაუგზავნეს სკოლებს „წითელი წიგნი?“ ვინ, თუ არა მოსწავლე ახალგაზრდობამ უნდა გაიცნოს და დაიცვას საქართველოს ფლორა და ფაუნა?

პ. ბერეკაშვილი აქტიურად მონაწილეობს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქართველო და პირველადი ორგანიზაციების, წიგნის მოყვარულთა კლუბებისა და ბიბლიოთეკების ყოველდღიურ საქმიანობაში. არჩეულია წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ტყიბულის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის წევრად. ხშირად გამოდის მათ მიერ მოწყობილ ლონისძიებებშე. ან კიდევ ივტორია, ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით მომზადებული ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციებისა, იუმორისტული ლექსებისა. 1985

წელს ტყიბულში გამართულ წიგნის ზეიმზე დამსწრეთა წინაშე გამოიცხადა პ. ბერეკაშვილმა მეტად საყურადღებო საკითხები დაყენა. მან აღნიშნა: კარგი იქნება თუ გამოიცემა სასაჩუქრო დიდი ფორმატის წიგნები, რომლებსაც საწარმო-დაწესებულებებში ვადასცემენ თვითონ კოლექტივის წევრებს ქორწინების, დაბადების ღლის, პენსიაში გაცილების და სხვა თარიღების აღსანიშნავად. ამის პირადი მაგალითი პ. ბერეკაშვილმა თვითონ უჩვენა საზოგადოებას. სკოლის ნახევარს აუკუნოვან იუბილეზე პენსიაზე გასულ მასწავლებლებს გადასცა აცტოგრაფიანი წიგნები.

ქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაარსებიდან რვა წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა პ. ბერეკაშვილი ქალაქ ტყიბულის ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანების გამგეობას, რომელმაც მრავალი შემოქმედი შემოიკრიბა თავის გარშემო, მოაწყო გარჩევები წიგნებისა ლ. ავალის „ახალი ჰორიზონტი“, რ. ჯაფარიძის „მძიმე გვარი“, ს. ჭიქაძერიძის „თუ შენ ღარჩები“, რ. გვეტაძის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები პოეტებთან, მწერლებთან და კრიტიკოსებთან (ლ. სანიკიძე, ლ. ნუცუბიძე, დ. გვილარიძე, გ. გორგანელი, ზ. კუხიანიძე, ა. უორეოლიანი). გამოუშვა ხელნაწერი უურნალები: „ჰიმნი ოქტომბერს“, „ლენინს უმღერიან“ და სხვა. შემოქმედებითი „სენი“ პავლემ თავის შვილებს რუსუდანსა და რამაზაც გადასდო. მათი ლექსები და ნარკვევები ხშირად იბეჭდება. წიგნის ღრღი მოყვარულია მისი მეუღლე ანრო ცირკეკიძე, მან ჯერ კიდევ 1966 წელს დაიმსახურა პრიზი „ვეფხტისტყაოსნის“ ზეპირად კითხვაში, ხოლო ამას წინათ საქართველოს რადიომ გადასცა მის მიერ ზეპირად წაკითხული პოემის რამდენიმე თავი.

პ. ბერეკაშვილი ხშირად კითხულიბს ლექციებს წიგნმცოდნეობისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკითხებზე, მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მონაწილეობს წიგნების გარჩევასა და განხილვებში, ლიტერატურულ გასამართლებაში. მსმენელთა მოწონებით სარგებლობს მისი ლექციები: „გელათის აკადემია“, „ვეფხტისტყაოსნის“ ხელნაწერები“, „ქართული ლენინიანა“, მისი, როგორც ლექტორისა და პროპაგანდისტის მუშაობა განზოგადებულია ვ. კიჭარავას წიგნში „პარტიული განათლების სისტემა მოქმედებაში“ და გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე.



რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში ქვეყნდება მისამართულობრივი ცენტრები ახალ წიგნებზე, ნარკევები, სტატიები თუ მიმოწილვები მწერლების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, ადგილობრივი შემოქმედებითა საქმიანობის შესახებ და სხვ. ორპირის საშუალო სკოლის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირებისადი ორგანიზაცია, ორმლის წევრიც თვითონ არის, ერთ-ერთი მოწინაური. ამ ორგანიზაციაში იგი წიგნის სიცოცხლის გახანგრძლივებასაც უწყობს ხელს. მოსწავლეებმა მისი რჩევა-დარიგებით ასობით დაზიანებულ, გაცვეთილ წიგნს უმკურნალეს სასკოლო, საბავშვო და სასოფლო ბიბლიოთეკებში. ამასთანავე ცალკე წიგნად აკანძეს პრესაში გაგრძელებებით გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი სტატიები.

წიგნის მგზნებარე პროპაგანდისტი არჩეული იყო წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მესამე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატიდ. დაჯილდოებულია წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საკავშირო, რესპუბლიკური და საქალაქო გამგეობების დაპლომითა და სიგელებით. მან მონაწილეობა მიიღო პირადი ბიბლიოთეკების საკავშირო დათვალიერება-კონკურსში და წიგნის მოყვარულთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალური გამგეობის საპატიო სიგელიც დაიმსახურა.

მარტო ამით როდი ამოიწურება პ. ბერეკაშვილის მოღვაწეობა.


სამ ათეულ წელზე მეტია, რაც იგი მომავალ თაობას ქართული ენისა და ლიტერატურის ნუგბარს აწევდის. შემოქმედებითი ძიება, წვა, ახალი პედაგოგიური მეთოდის დანერგვა, დაბრკოლებებისა და სიძნელეების გადაღახვისათვის ბრძოლა, გამარჯვების რწმენა და იმედი ყოველთვის თან ახლაցს ცხოვრების რთულ გზაზე. შემთხვევითი როდი იყო, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ პ. ბერეკაშვილის მუშაობის გამოცდილების შესახებ ნაშრომი ცალკე ბროშურად გამოსცა. მასწავლებელთა მეოთხე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატმა ეს დიდი შემოქმედებითი შრომით, შესაშური გულმოდვინებით დაიმსახურა. იგი ხმირად მონაწილეობს რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვაში, ადგალობრივ და რესპუბლიკურ პრესაში აქვეყნებს წერილებს, ლიტერატურულ გამოკვლევებს, კრიტიკულ სტატიებს, შენიშვნებს, წინადადებებს. ამასთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ დავალებებსაც ასრულებს. წლების მანძილზე არჩეული იყო სახალხო დეპუტატთა სასოფლო

საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, მისი ინიციატი-  
ვით სოფლის ცენტრში მოსწავლეები უვლიან შინმოუსვლელთა  
მემორიალს, სკოლას გაუკეთდა ცენტრალური გათბობა, გაიყვანეს  
სასმელი წყალი, დაარსდა მუსიკალური და ქორეოგრაფიული სტუ-  
დიები, შემოღებულია ავტოსაქმის სწავლება.

3. ბერეკაშვილი არის პარტიის ტყიბულის საქალაქო კომი-  
ტეტის, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, პროპაგანდისტი, სსრ  
კავშირის უურნალისტთა კავშირის წევრი. იგი მრავალი სიგელის  
და „სახალხო განათლების  
წარჩინებულის“ სამკერდე  
ნიშის ორგზის მფლობელია.

სკოლა, რომლის დირექ-  
ტორად 18 წელია მუშაობს,  
მრავალჯერ გამოსული გა-  
მარჯვებული საკავშირო და  
რესპუბლიკურ შეჯიბრებებ-  
ში. იმ სკოლაში პირველად  
რესპუბლიკაში დაარსდა  
პროფესიული ჯგუფები  
სოფლის მეურნეობის ფარ-  
თო პროფესიის სპეციალო-  
ბით. მძღოლები და ტრაქ-  
ტორისტები სკოლამ უქმე  
გასულ წელს მოუმზადა მე-  
ზობელ კოლმეურნეობებს.  
სკოლის კურსდამთავრებულ-  
თაგან ყოველწლიურად ათო-  
ბით ახალგაზრდა აგრძელებს  
სწავლას უმაღლეს სასწავ-  
ლებლებში. სასკოლო რე-  
ფორმის მოთხოვნათა შესაბამისად სკოლაში გათვალისწინებულია  
გაიზარდოს პროფესიული სწავლების ჯგუფების რაოდენობა.

მიღწეული წარმატებები იმ უძილო ღამეების შედეგია, წიგნთან  
მეგობრობაში რომ ატარებს 3. ბერეკაშვილი. ის წიგნთან ასეთ-  
სავე მეგობრობას მოითხოვს თავისი აღსაზრდელებისაგან, ყველა



ნაცნობისაგან, ეამაყება კიდევაც ამ „მოთხოვნას დაქვემდებრებულებულ“ ადამიანთა რიგების ზრდას რომ ხედავს.

წიგნია პ. ბერეკაშვილის ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, სიხარულისა და ტკივილის მოზიარე. ამიტომაც ქომაგობს არაჩვეულებრივი სიყვარულით, გატაცებით შეგროვებულ წიგნებს. მისთვის ყველაზე დიდი ჭილდოა ახალგაზრდობის, ხალხის სიყვარული, როგორც ერთი სწავლული ამბობს, სიყვარული, რომელსაც ვერავითარი თვალთმაქცობით ვერ დაფარავ იქ, სადაც არის და, ვერ გამოაჩენ იქ, სადაც არ არის.

გ. ლებოკი ამბობდა: კარგი წიგნების კოლექცია იგივე უნივერსიტეტია. პ. ბერეკაშვილის სახელობის ასეთი უნივერსიტეტი დღემდე ათასობით მკითხველმა დაამთავრა და მომავალში კიდევ უთვალავი დაამთავრებს.

## პაცი ჯაფოსერი ლაპარით...

ქართველი კაცი ოდითგანვე ეთაყვანებოდა წიგნს. ბენიაშინ გოგოტიშვილმაც წიგნი აირჩია თავის კერპად და დღემდე ერთვულად ემსახურება მას.

იგი ოზურგეთის მაზრის სოფელ საღვთოში (ამჟამად მახარაძის რაიონის სოფ. ზემო ნატანები) დაიბადა მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში. მკვირცხლი და დაუდეგარი ბიჭუნა იმთავითვე გამოირჩეოდა საზრიანობითა და გამჭერიაზი გონიერით. მამამ, ულარიბერძა გლეხებაცმა, ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ შვილებისათვის განათლება მიეცა. სოფლის ამწვანებულ გორაქებზე სირბილით გულნაკერები ბიჭუნა საღამოობით გაკვეთილების მომზადებაში გართულ უფროს დაძმებს მიუჯდებოდა და სულგანაბული უგდებდა ყურს. შეიდი წლისამ დამოუკიდებლად გადაფურცლა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ და ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუქრის ნამბობი“ სტრიქონ-სტრიქონ ჩაიყითხა გაუწაფავი თვალით. სწორედ ამ დღიდან შეიგრძნო წიგნის სიყვარული და ღრმად ჩაინერგა გულში.

სოფლის შეიდწლიანი სასწავლებლის ქამთავრების შემდეგ ბ. გოგოტიშვილმა სწავლა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა. შემდეგ კი ახალგაზრდა პედაგოგმა ხულოს რაიონის (ამჟამად უზახევის რაიონი) სოფელ უჩამბას მიაშურა კომკავშირული საგზურით. მისვლისთანავე ჩაებ, აქტიურ კომკავშირულ და საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში: მუშაობდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეებში, თანამშრომლობდა გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანში“. იყო პროპაგანდისტი, მონაწილეობდა დრამატულ წრეებში. მისი უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით დაიდგა სოფ. უჩამბაში კარლო კალაბის პიესა „როგორ“. ამ პროიოდში იგი გაიტაცა ლიტერატურუ-

ლმა მოღვაწეობამ, პედაგოგიურ საქმიანობას თავი მიანება და შე-  
 ზაობა დაიწყო გაზეთ „საბჭოთა აქარისტანის“ რედაქციაში.

მაგრამ სწავლის გაგრძელების სურვილი არ სავანებდა ნიჭიერ  
 ჰებუქს და მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფი-  
 ლოლოგია-ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ცოდნას  
 მოწყვერებულ ახალგაზრდას ერთი წუთითაც ვერ ნახავდით უსაქ-  
 მოდ, ბიბლიოთეკაში ათენებდა და აღამებდა. ამ დროიდან გაუჩნ-  
 და საკუთარი ბიბლიოთეკის შექმნის სურვილიც. მძიმე დრო იყო,  
 ცხოვრება ჭირდა, მაგრამ ბენიამინი უკანასკნელი გროშებით წიგ-  
 ნებს ყიდულობდა და მათ კითხვაში ათენებდა ზამთრის გაუსაძლის  
 გრძელ ღამეებს. სწორედ წიგნის ფურცლებიდან გადმოღვრილი  
 შუქი უნათებდა მომავალი ცხოვრების გზას.

დიდმა სამამულო ომმა ბ. გოგორიშვილს სტუდენტობის წლებ-  
 ში მოუსწრო და ისიც უყოფმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველ-  
 თა რიგებში. ბრძოლით გაიარა მოლდაუეთი, უნგრეთი, რუმინეთი,  
 იუგოსლავია. ომის დამთავრებას აქსტრიის ალპებში შეხვდა. ერთ-  
 გული მეგობარი წიგნი იმ მძიმე დღეებშიც არ გაუშვია ხელიდან.  
 წამით რომ მიწყდებოდა ქვემეხების გრიალი და ტყვეიბის ზუზუ-  
 ნი, ჯარისკაცური ზურგჩანთიდან იღებდა წიგნს და თავდავიშუება-  
 ში ჩაძირული ფიქრით მშობლიური საქართველოს სანახებში დაა-  
 ბიჯებდა.

მის პირად ბიბლიოთეკაში ინახება ფურცლებგახუნებული,  
 კიდევებშემოცრეცილი გალავტიონის ლექსიბის წიგნი „ოქრო აქა-  
 რის ლავგარდში“, რომელიც ბენიამინს თბილისიდან გაუგზავნა  
 მეგობარმა ქალმა ავსტრიის დაბა ერზენცესში. 1946 წელს ნაომარი  
 წიგნი მფლობელთან ერთად დაბრუნდა საქართველოში, და დღეს  
 საპატიო აღგილი უჭირავს ბიბლიოთეკის წიგნის თარიზე.

პატივცემული ბენიამინის ბიბლიოთეკის სიამაყეა : 1945 წელს  
 გამოცემული მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“. ამ წიგნს უჩვეულო  
 ისტორია აქვს.

იდგა 1946 წელი, იგონებს ბენიამინი, ბუქარესტის ქუჩაში შემ-  
 თხვევით შევხვდი ქაცს, რომელიც 32000 ლევად პყიდდა მ. შოლოხო-  
 ვის „წყნარ დონს“. მე წამსვე აღმეძრა სურვილი წიგნის შეძენისა,  
 მაგრამ საკმაო რაოდენობის თანხა არ აღმომაჩნდა. დაგლონდი, აშკა-  
 რად მეკარგებოდა დიდი ხნის ნანატრი წიგნის შეძენის შესაძლებ-  
 ლობა, ჩემს გვერდით მყოფი ფრონტელი მეგობარი დამეხმარა.

ფული მასესხა და წიგნი შევიძინე. ვერ წარმოადგენთ რა სიხარული განვიცადე მაშინ, მთელი ღამე თვალი არ მომისუჭვავს, სანთლის შუქზე ვკითხულობდი და როგორ ღამათენდა თავზე, ვერც კი გავიგე. მხოლოდ მაშინ ამოვისუნოვე თვისუფლად, როცა უკანასკნელი გვერდი ჩავიკითხე და წიგნი დავცურე. შემდეგ ეს წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა, წიგნებს მონატრებული მებრძოლები ხარბად კითხულობდნენ მას.

სამშობლოში დაბრუნებული ომგადახდილი ვაჟკაცი მუშაობას იწყებს მშობლიურ სოფელში — ზემო ნატანების საშუალო სკოლაში, ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ სკოლის ორგანიზატორად, ამასთანავე ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

მაღალჭერიან ნათელ ოთახში ჭერამდე აზიდულან წიგნებით სავსე კარადები, აქ, როგორც იტყვიან, წიგნის სამფლობელოა, სამუშაო მაგიდაზეც წიგნები აწყვია. თაროებზე პროფესიული ოსტატობით არის დალაგებული წიგნები. რომელი დარგის და რა სახის ლიტერატურას არ შეხვდებით აქ: საზოგადოებრივ-პოლიტიკურს, სასოფლო-სამეურნეოს, სამედიცინოს, ტექნიკურს, მხატვრულს. ცალკე განყოფილებები აქვს დათმობილი საბჭოთა ენცილოპედიის, ლიტერატურული და ფილოსოფიური ენცილოპედიების ტომებს, საზღვარგარეთული და რუსული ლიტერატურის კლასიკოსებს, ქართველი კლასიკოსების თხზულებათა სრულ გამოცემებს, ნელოვნების ამსახველ ფოტოალბომებს, საიუბილეო გამოცემებს.

ზენიამინ გოგოტიშვილის ძვირფასი რელიქვიაა 1892 წელს ოზურგეთში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ შოთას პორტრეტითურთ, 1911 წელს სანქტ-პეტერბურგში დასტამბული „ღვთისმეტყველება“, 1921 წელს თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „დასავლეთ საქართველოს ძელი საეკლესიო საბუთები“ (სიგალ-გუგრები), 1926 წ. „ვეფხისტყაოსანის“ კავაბაძისეული გამოცემა ზიჩის ილუსტრაციებით.

თაროზე ლამაზად ჩამწრივებული ავტოგრაფიანი წიგნები, რომლებიც მისთვის სხვადასხვა ღრის უჩუქებიათ და ბიბლიოფილს დიდი რუდუნებითა და მზრუნველობით განულაგებია თა-

რომე. აქ არის აკაკი შანიძის „მორთოლოგია“, გამოკვლევაზე მოტლაცია თა და შვიდთა მნათობთათვის“, ლევან კვაჭიძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, „ქართული ენა“, იოსებ ნინეშვილის „ცისარტყელას ჰიშკარი“, მურმან ლებანიძის „რჩეული“, ილია მაისურაძის „ქართული გვარსახელები“, რუთა ბეროძის „ლექსიკი“ და სხვ.

მეტად საინტერესო და საყურადღებოა ბიბლიოფილის არქივი. აქ დაცულია პირადი წერილები მწერლებთან ურთიერთობიდან, ხელნაწერები, 1939 წლის „საბჭოთა ხელოვნება“ (№ 12), რომელიც მთლიანად ეძღვნება ი. ბ. სტალინს, აგრეთვე პერიოდიდან ამოკრებილი მასალები ლიტერატურის, ენისა და ისტორიის საკითხებზე. აქვე „ლიტერატურული საქართველოსა“ და „სახალხო განათლების“ სრული კომპლექტები, გრძა ომის წლებისა.

ახალგაზრდობის წლებში ბ. გოგოტიშვილს ახლო მეგობრობა ჰქონია შალვა რადიანთან და მის მეუღლესთან ქეთევან ირემაძესთან. „მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, — იგონებს ბენიამინი, — ხშირად დავდიოდი შალვა რადიანთან ბინაში და ჩემს ნაცოდვილარს ვუკითხავდი. ერთ დღეს რაღაც დაგწერე და მიუღუტანე. საწერ მაგიდაზე ხელნაწერები ელაგა. დამაინტერესა და ახლოს მივედი. ეს იყო აბატი პრევოს „მანონ ლესკოს“ ქართული თარგმანი, რომელზეც ქეთევანი მუშაობდა. თარგმანს ეპიგრაფად წამდლვარებული ჰქონდა გალაკტიონის ლექსი. შალვამ რომ დაინახა ხელნაწერებს ვფურცლავდი, მაგიდას სიცილით მომაშორა და მითხრა: აქ ქეთევანის სამფლობელოა და მხოლოდ მუზები ბატონობდნონ. შემდეგ ეს თარგმანი ცალკე წიგნად გამოიცა და ქეთევანმა მეც მისახსოვრა. ომის წლებში ბევრი წიგნი დამეკარგა. მათ შორის აბატი პრევოს ქეთევანისეული თარგმანიც. შემდეგ დიდხანს ვეძებდი, მაგრამ ვეღარ ვიპოვვე“.

ბიბლიოფილის მეხსიერებდან არასოდეს ამოიშლება 40-იანი წლების თბილისი თავისი ეგზოტიკური, ბოკემური ცხოვრებით. თბილისის ქუჩებს დღემდე შემორჩათ გალაკტიონისა და ტიციანის. პაოლო იაშვილისა და ტერენტი გრანელის, მირზა გელოვანისა და ლადო ასათიანის ნაფეხურები, მათი მოელვარე პოეზიის ნატიფი სურნელი.

— ვმეგობრობდი გალაკტიონთან, — კვლავ მოგონებებიში მომზადების იძირება ბიბლიოფილი, — ზეპირად ვიცოდი მისი ლექსები, ხშირად პოეზიაზე კამათით გართულებს თავზე დაგვთენებია ილექტუროვის ბაღში. ეხლაც, მძიმე ავადმყოფობის დროს, ჩემი ყველაზე საყვარელი საკითხავია გალაკტიონის მოელვარე და ბობოქარი შემოქმედება, მისი ლექსები სულიერად მამშვიდებენ და მხნეობას მმატებენ.

ბიბლიოფილს ახლო ურთიერთობა და ხშირი მიმოწერა აქვს ჩვენი ერის სახელოვან მოღვაწეებთან — იყაყი შინიძესთან, ლევან კვაჭაძესთან, მურმან ლებანიძესთან.

მისი პირადი ბიბლიოთეკით ხშირად სარგებლობენ თანასოფლელები, სტუდენტები, მოსწავლეები, პედაგოგები.

ექვს ათეულ წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, თვალციმციმა ბიქუნამ რომ პირველად გადაფურცლა იყობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. წლებმა წაიღეს ახალგაზრდული შემართება და გულის ჭაბუკური ძერა, მაგრამ წიგნის სიყვარული არ განელებია. დღესაც ისეთივე გატაცებით კითხულობს მათ, როგორც ჭაბუკობის წლებში.

მთელი თავისი ცხოვრება, ცოდნა, სიყვარული, გამოცდილება ბ. გოგოტიშვილმა მომავალი თაობის აღზრდის უკეთილშობილეს საქმეს მოახმარა. ამიტომაც ღირსეულად დაფასდა მისი ღვაწლი — 1972 წელს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა, ხოლო 1984 წელს — მასწავლებელ-მეთოდისტისა.

ბ. გოგოტიშვილის ცხოვრების გზა, ეს არის გზა იდამიანისა, რომელსაც წიგნები ულამაზებენ ცხოვრებას. ბევრი თავისი აღზრდილი აზიარა მან წიგნის სიყვარულს, ბევრი მათგანი მისი ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარია. იგი დღესაც დაუშრეტელი ენერგიით ემსახურება სიყვარულ საქმეს. წიგნისა და მშობლიური ლიტერატურის სიყვარულს ასწავლის მომავალ თაობას, აცნობს ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და მშობელი ერის სულიერი კულტურის სავანძურს. იგი ამაეუ დროს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა სოფელში. მისი ინიციატივით ხშირად ეწყობა ღონისძიებები წიგნის პროპაგანდის საკითხებზე, შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები, პატივცემული ბენიამინი

პოლიტგანათლების ქსელის პროპაგანდისტიცაა, კითხულობს ციფრებს და ა. შ.

ყოველივე ეს კი წიგნის სიყვარულის ნათელი შუქით არის გაცისკროვნებული. ამიტომაცაა, რომ მისი ცხოვრების ერთი დღე მეორეს არ ჰვავს, ყოველი დღე სიახლით — ახლად გამოცემული წიგნის შეცნობის უზომო სურვილით არის აღსავსე.

სიტყვა ბიბლიოთეკა, რაც ბერძნულად სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს „წიგნის კარადას“ (biblio — წიგნი, theke — კარადა), დღეს, აღბათ, მთელი პლანეტის ყველმა მცხოვრებმა იცის. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ მსოფლიოში პირველი წიგნსაცავი იყო ბაბილონში ოცდამეერთე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს იყო თიხის ფირფიტების კოლექცია. ხოლო პირველი წიგნის „კერძო“ კოლექცია ძველ საბერძნეთში პქნდა არისტოტელეს, რომელიც მან შექმნა 334 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ტომას ჯეფერსონის კოლექცია, რომელშიც 6457 წიგნი იყო, საფუძველი გახდა იმერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკისა, რომელიც ვაშინგტონში შეიქმნა 1814 წელს ადგილობრივი ბიბლიოთეკის ძირფესვიანად გადაწვის შემდეგ. დღეს იგი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბიბლიოთეკად ითვლება.

ყველაზე უცნაური ბიბლიოთეკის მფლობელი იყო აბდულ კასი? იჩმაილი (938—985 წწ.) სპარსეთის დიდგაზირი. იგი 117 ათასი წიგნისაგან შედგებოდა, რომლებიც ანბანის მიხედვით განლაგებული იყო 400 ძელების კუზზე, ისინი ყოველთვის თან მიყვებოდნენ თავიანთ მბრძანებელს, სადაც უნდა გამგზავრებულიყო იგი.

დროთა განმავლობაში მსოფლიოში ყველგან იზრდებოდა ბიბლიოთეკებისა და ლიტერატურის მოყვარულთა რაოდენობა. მაგრამ უძველეს დროშიც გვხვდებოდნენ ისეთი „მწიგნობარნი“, რომლებიც თუმცა იძენდნენ, მაგრამ არასოდეს არ კითხულობდნენ წიგნებს. ჯერ კიდევ სენეკა დასცინოდა „წიგნებით თავმომწონეებს“, რომლებიც თავიანთი სასახლეების კედლებს ტომებით ამკობდნენ. მათ ახლაც როდი ჰყავთ ნაკლები მიმბარველები. ასეთ „ბიბლიოფილთა“ რაოდენობა, სამწუხაროდ, იზრდება. „გაზომეთ რამდენი იარდია ეს წიგნის თაროები და სწორედ იმდენივე წიგნი შეიძინეო. შოოქროვილ წიგნებზე ფული არ დაინანოთ! მე დიდებული თავმოსაწონი მჭირდება!“ აშკარად აცხადებდა საღეჭი რეზინის მეფე,

მილიარდერი უილიამ რიგლი, როდესაც თავის მდივანს ახალგვეულა  
ბული ბინის ავეჯით გაწყობაზე აძლევდა მითითებებს. 

მრავალი მკითხველი, რომლებიც სარგებლობენ ბიბლიოთე-  
კების მიერ მინიჭებული პრივილეგიებით, არასერიოზულად ექი-  
დებიან თავიანთ მოვალეობებს, „ივიწყებენ“ რა წიგნის თავის-  
დროულად დაბრუნებას. მაგალითად, წიგნის — „ლიტერატურის კუ-  
რიოჩები“ შემდგენლების მონაცემებით, რომელიც ამ ცოტა ხნის  
წინ გამოვიდა ნიუ-იორქში, ამ მხრივ ცუდ დღეში იყო ცინცინა-  
ტის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. 1823 წელს მკითხველის მიერ  
წაღებული წიგნი 145 წლის შემდეგ, 1968 წელს დაუბრუნა ბიბ-  
ლიოთეკას, მაგრამ არა თვითონ „გულმავიწყმა“ წიგნისმოყვარულ-  
მა, არამედ მისმა შვილიშვილის შვილმა, როდესაც წიგნის სარგებ-  
ლობისათვის ჯარიმა 22646 დოლარამდე ავიდა.

ვინმე ნიუ-იორქელ ადეოკატს, რომელსაც მკითხველის წიგნა-  
კიც კი არ აღმოაჩნდა, დაბნეულობის გამო... დაავიწყდა 15 ათა-  
სი წიგნის დაბრუნება ნიუ-იორქის საჯარო ბიბლიოთეკისათვის. ამ  
ფაქტს შემთხვევით წაწყდნენ მეხანძრები, რომელიც ხანძარს  
აქრობდნენ ამ სახლის ზემო სართულზე და ამისათვის მის ბინაში  
შევიდნენ. მათ რომ დაინახეს იატაკიდან ჭერამდე აღმართული წიგ-  
ნის მთები, შეეკითხნენ, რად სჭირდებოდა ამდენი წიგნი, რაჩეც  
მან ლაჟონიურად უპასუხა: „მიყვარს წიგნის კითხვა“.

წიგნის კითხვისადმი ასეთი გზნება შეშურდებოდა, ალბათ, სერ  
რობერტ უოლპოლს (1676—1773), ინგლისის პოლიტიკურ და სა-  
ზოგადო მოღვაწეს, რომელსაც მთავრობის შემადგენლობიდან გა-  
დადგომის შემდეგ სამსახურებრივი მოვალეობანი აღარ აწუხებდა. ერთხელ იგი მივიდა ბიბლიოთეკაში, აიღო წიგნი, კითხულობდა  
რამდენიმე წუთს, შემდეგ გვერდზე გადადო. აიღო მეორე, გადა-  
ფურცლა და ადგილზევე დადო. აიღო მესამე, მაგრამ მალე, ისიც  
თაროზე აღმოჩნდა. ძველი ჯენტლმენი ატირდა და, ქვითინს ძლიერ  
იყავებდა, წაიჩითხიდა: „ისე დიდხანს ვიყავი დაკავებული პოლი-  
ტიკითა და ბიზნესით, რომ წიგნის კითხვის გემოვნებაც კი დავკარ-  
გე... რაღა ვქნა ახლა მე?“

# ପରେଶାନ୍ତ



దిక్కునీటిల్ల కాల్చాడ తెలుగురూపుల్లిల్ల  
పట్టించుకొని, ఇదుసాధణిల్లిన కిందికించు  
సాధనాభింబాయ పూళుకుండ ఉండిపోని వినెల్ల<sup>o</sup>  
పిల్లంఘరుల్లి పురుషుల్లి. మిస్ హింద్రోజు-  
కుంబాస సాంఖ్యయాని ఏర్ తెంచుల్లి, కుండా-  
సాంప నింట ఈసంపుల్లిల్లి ఆధిక్యాధిక్యా...  
సాక్షికరితిల్ల ఎన్నాయ శ్రావణుల్లిపుల్లిల్లి  
,,మాక్కాక్కారూతీస్“ తెంచిటి.

నొక్కినొ ఇదుసాధణిల్లిన పూళాసప్పు  
ప్రథించుకునీల్లి ఉన్నించుకుంచుతిల్ల ఏర్-  
మాసాప్పాంతమంచుకుంచుల్లి కాపాయ్కుం.

## ფრაგმენტი მუზეუმის არქივიდან

რადიანი ფსევდონიმია, ნამდვილი გვარი კი შეწირული, მაგრამ ის უფრო ჰყავს ფსევდონიმს. ნამდვილმა გვარმაც განაპირობა თითქოს ერთგულება საყვარელი საქმისაღმი, მშობლიური მწერლობისაღმი. აյი იოსებ გრიშვალისაც ასეთი წარწერით უჩიუქებია პორტრეტი 1936 წელს: „პოეზიისათვის შეწირულს შალვა რადიანს“. მერე ერთად გადაუღიათ სურათი.

აქ გიორგი ლეონიძესთან, ს. ჩიქოვანთან, რ. გვეტაძესთან, ვ. გაფრინდაშვილთან, ა. გაშერელისთან, გ. ცეცხლაძესთას, გალაკტიონთან გადაღებული სურათებიც არის და გალაკტიონისაგან ნაჩქარი პორტრეტებიც. ერთ მათგანზე გულითადი წარწერაა: „ჩემს ძეირფას ძმას, ჩვენ ოქრო შალვას, გალაკტიონი ... 1934 წელი“.

ამ ოთახის კედლებზე ცოცხლდება შალვა რადიანის ბავშვობა, ყრმობა და სიქაბუქე, აქ სათუთად არის შენახული მისი სულის ფურცლები, რაც სიცოცხლის ფასად უღირდა მის პატრონს და მართლაც უძვირფასესი განძია.

„ღმერთმა მაშოროს სიმღიდრე  
 ლუქმა კი მომცეს დღიური,  
 მისთანა რამე არ მინდა,  
 რაც არ იქნება ღვთიური“ —

ვკითხულობთ აკაკის ხელნაწერს. ეს სიტყვები შალვა რადიანის მრავალსაც გამოხატავს. წლითიწლობით უგროვებია მას ჩვენი კლასიკოსების თუ თანამედროვე მწერლების ხელნაწერები: ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“ უცნობი ნუსხა, რაფიელ ერისთავის მიერ გალექსილი „თამარიანი“, „ნობათი“, კნეინა მარგარიტა წულუკიძის ლექსიზი: „ჩემო კრიალოსანო“ და „ახალი წელიწადი“, ერეკლეს ასულის ქეთევანის ლექსი; ეპისტოლური მემკვიდრეობა, ავტობიოგრაფიები, რომლებიც თვით შალვა რადიანის



ଶାଲ୍ପା ରାଧିନ୍ଦ୍ର

თხოვნით დაუწერიათ ეკ. გაბაშვილს, ან. ერისთავ-ხოშტარიას, მარჯანიშვილს, ეკალაძეს, გ. ლეონიძეს, ი. გრიშაშვილს, გალაცტიონს, კ. გამსახურდიას, აქვეა ტ. გრანელის დის მიერ მოწოდებული ბიოგრაფიული ცნობები პოეტის შესახებ.

ყოველი წიგნი რელიგიია: „გულითადი, ძმური სიყვარულით ჩვენს ახალ თაობაში სანიმუშოს, პუნქტუალურს, ჯენტლმენს, შრომისმოყვარე კაცს, რომელმაც „რაპპული“ ცოდვები ტომებით გამოასწორა“ — ამ წარწერით მიუძღვნა კ. გამსახურდიამ „მთვარის მოტაცება“.

„შალვა რადიანს — თანამებრძოლს, ნიშნად ულრმესი პატივისცემისა, გალაცტიონ ტაბიძე“ — ვკითხულობთ 1943 წელს გამოცემული წიგნის „მამულო სიცოცხლეო“ თავფურცელზე.

„შალვა რადიანს, „არსენა მარაბდელის“ რედაქტორს, ლმობიერ ადამიანს და ულმობელ კრიტიკოსს“, 1933 წ. 3/11—წაუწერია მიხეილ ჯავახიშვილს „არსენას“ პირველი გამოცემის ცალზე. რადიანი ამ რომანის შექმნის მომსწრე და გამოქვეყნების ხელშემწყობია. ნაწარმოების ბეჭდვა 1926 წ. დაწყებულა „მნათობში“, მაგრამ მაღალ შეუწყვეტიათ. „როდესაც მე მივედი ხელმძღვანელად, განვაგრძე მისი ბეჭდვა“. — ამოვიკითხე ფოლიანტებში.

თუმცა შ. რადიანმა „რჩეულ წერილებში“ და უკანასკნელ წიგნში „მოგონებები, წერილები“ ჩინებულად გამოკვეთა ქართველ მწერალთა პორტრეტები, მაგრამ კიდევ რამდენა სანუკვარი მასალა დარჩენია, რამდენი უცნობი ფურცელი — ლექსი, წერილი თუ სწრაფი ჩანახატია საქალაქეებში, რომლებიც გულისყურითა და ცოდნით დაუხარისხებია მის ოჯახს. ეს ფურცლებიც წიგნებად უნდა იქცეს (აყი კარგახანია არსებობს საგანგებო დადგენილება საშტომეულის გამოცემის თაობაზე).

როცა ამ არქივს ეცნობით, თვალნათლივ ცოცხლდებიან ის ადამიანები, ვისი სიყვარულითა და შთავონებითაც შესდგომია ჰაბუკი შალვა რადიანი ლიტერატურულ მოღვაწეობას, ან ვისაც შეხვედრია თავის ცხოვრების გზაზე: ესენინი, მაიაკოვსკი, გოლცევი, ბაკანი, პასტერნაკი, გორკი (რომლის შესახებ მოგონებები კრიტიკისის სიკვდილის შემდგომ გამოქვეყნდა), ანდრეი ბელი (ი), ერთი შტრიხი 1929 წლის კოჯრის შეხვედრიდან: „ანდრეი ბელი ფიზიკურად და სულიერად უკვე მოტეხილი იყო“), ნიკოლოზ ტიხონოვი, პანაიტ ისტრატი, ლუდვიგ რენი, იოანეს ბეჭერი, შირვანზადე ა. მწიგნობარი 85

და ისააკიანი... ორტურ ლაისტი, ალფრედ კურელა. უკვე შემცუცი ლაისტი ჭაბუკი შალვას გერმანულის შინამასწავლებელი ყოფილა.

ასე იკვეთება პორტრეტი არა მარტო კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნისა, არამედ აქტიური მოღვაწისა და მწერლობის მეგობრისა, ქართველ მწერალთა ნამდვილი გულთამბილავისა. სამაგალითოა მისი მუშაობის მეთოდი: იგი თავს უყრის არა მარტო საკუთარ, არამედ სხვათა ნაღვაწაც. ინიშნავს თარიღებს, მოვლენებს, საინტერესო, დამახასიათებელ შტრიჩებს. ფრესკებივით აღიბეჭდა მის მესაიერებაში ნიკო ნიკოლაძისა და ვასილ ბარნოვის ხატება, მოწიწებით ახსენებს დ. კლდიაშვილის, შ. არავეისპირელის სახელებს თავის ავტობიოგრაფიაში და აღნიშნავს: „მე-19 საუკუნის ამ მოღვაწეებს თავისებური სურნელი შემოჰქონდათ მე-20 საუკუნის 20—30-იანი წლების ქართულ ლიტერატურაშიც“.

საინტერესოა ისიც, რომ თავის ცხოვრების აღწერაში შალვა რადიანი დიდ ადგილს უთმობს ვანო სარაჯიშვილის დაკრძალვასა და იმ განცდებს, რაც გამოუწვევია ჭაბუკიას მასში „დაისსა“ და ვანოს მალხაზს — ი, თურმე რატომ ჰქვია მის პირმშობ მალხაზი!

ისეც „დაისზე“: „დიდი ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1924 წლის 11 ნოემბერს, ამ წელს, 26 ნოემბერს გამოვიდა ქუმისაშვილი“.

საერთოდ, შალვა რადიანი გამოირჩევა თეატრის დიდი სიყვარულით და ყურადღებით. იგი იკვლევს წარსული საუკუნის თე-ატრალურ ცხოვრებასაც და თანამედროვე თეატრის ჭირისუფალი-ცაა. მის არქივში თეატრის ისტორიისათვის ფრიად საყურადღებო მასალებიც მოიძებნება...

...ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს პირისპირ ვზივართ და ჩეეული ღიმილით მიამბობს იმას, რაც ახლა ფანქრით ნაწერ გაყვითლებულ ფურცლებზე ამოვიკითხე და რაც ბენენუტო ჩელინისა და ალფრედ მიუსეს მაგალითისამებრ, თავის ცხოვრების შუა გზაზე დაუწერია. ალბათ ჩუმჩუმად ეღიმებოდა, როცა სიყმაწერილეს იხსენებდა:

...არცთუ ისე მცირე რამ მინახავსო და მართლაც, რამდენი სიხარული და ტკივილი განუცდია. მას მოუსმენია მთვარიან ღამე-ში გალავტიონის ახალი ლექსები და მტკვრის გაღმა-გამოლმა უხე-ტიალია პოეტთან ერთად, მის ხელში გაუვლია სარედაქტოროდ და საკომიტაროდ ქართველ კლასიკოსთა თუ თანამედროვე მწერალთა



არაერთ წიგნს და რაოდენ საერთგულო საქმედ მიაჩნდა ეს, ამონაბილი ერთი ამოძახილიდანაც გასაგებია: 1934 წელს ტიკიანის ლექსეგი შემოზღვის რომ გამოსულა შ. რადიანის წინასიტყვაობით — „გადავარჩინე წიგნიო“ მიუწერია ტიკიანის საღმოს მოსაწევე ბარათზე უკვე 60-იან წლებში. იქვეა გამოსვლის გეგმა და რამდენიმე შტრიხის: „ტიკიანი, ჭრელი, ჰერიანი თვალები, ფართო სახე, ჩამოშვებული და სწორად შეკრეპილი ომები, მძიმე და ფართო ნაბიჯები, ცოტა-თი მიყრუებული ხმით მოსაუბრე, განსაკუთრებით ლექსების კითხვისას, პიგავში მუდამ მიხაյის ყვავილით. მსუქანი.

— ის დღე დღედ არ მიმაჩნია, ჩემს სახელსა და გვარს რომ ვერ ამოვიყითხავ გაზეთშიო.

ტიკიანის ლექსები უპირატესად გამოხატავენ შინაგან წვას, შინაგან ტრაგიკულ ხმებს“.

ბევრი საყურადღებო დეტალია მიხეილ ჯავახიშვილზე, აი, თუნდაც ეს: ანტონოვსკაიასთან შეხვედრის შემდეგ ერთად მოდიან მწერალთა კავშირიდან — „ჩემი ერისათვის რომ სამსახური გამე-წია, გადავწყვიტე კვლავ დავბრუნებოდი მწერლობას“, — უთქვამს მაშინ ჯავახიშვილს.

საგანგებოდ აღნიშნავს იმ ამბავს, თუ რაოდენ ბევრი მისცა მის ჯავახიშვილს „ივერიის“ რედაქციის სკოლამ, რომ სწორედ გაზეთი წერტინის მწერალს.

„მიხეილ ჯავახიშვილი წერდა ძალიან სწრაფად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, ლამაზი, მსუბუქი, გაქანებული ხელწერით, წერა მას შეეძლო ყოველგვარ პირობებში, ყოველგვარ გარემოში, ხშირად ისე ხდებოდა, რომ ეს ფურცლები, რომლებიც ასეთ შეუფერებელ, უხერხულ ვითარებაში იყო დაწერილი, გამოდიოდა უფრო დატვირთული მხატვრულად, უფრო მეტი სიახლის მატარებელი იყო თავისი სახეებით და სიუჟეტის ბუნებრივი განვითარებით. წერის ამ სიმსუბუქეს მან მიაღწია არც თუ ისე იოლად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მანამ ამას მიაღწევდა იგი, მან გაიარა ხანგრძლივი და მძიმე შრომა გაზეთის მუშაკისა, რომელსაც სწრაფად უნდა გეცა პასუხი ყოველდღიურობის საჭირბოროტო მოთხოვნებზე“.

შ. რადიანის დაკვირვებულ თვალს არაფერი გამორჩენია. კ. გამ-სახურდიას შესახებ როცა წერს, მის წინააღმდეგობრივ და ცვა-

ლებად ხასიათს აღნიშნავს. ხან უკიდურეს სიამაყეს, ხანაც სასაცული ლომდე მისულ თავმდაბლობას.

„წამიერად გაჯავრდებოდა ან იფეთქებდა, იგი ადვილად იყი-წყებდა პატივისცემასა და მოკრძალებას, ხებოდნა ავი. ამავე დროს იგი იყო ძლიერი ლიტერატურულ შრომაში და უჩვეულოდ ჭიქი“.

1940 წელს ქართველ მწერალთა ერთი გვუფი კიცვში გაემგზავრა შევჩენკოს იუბილეზე: „ვიყავით — გამსახურდია, დადიანი, ლეონიძე, მარიჯანი, ქეთო ირემაძე, მე და სხვები. ამ მოგზაურობისას ყველას ყურადღება მიიქცია ზანდუქმა, რომელიც თან პქონდა წამოღებული გამსახურდიას. თურმე ეს ზანდუქი ყველგან თან დაჟონდა, „ამ დედისეული ზანდუქით მოვიარე მთელი ეგრძობაო“— გვითხრა.

1940 წელს ისევ ქ. გამსახურდიასთან ერთად მოსკოვში ყოფნას იგონებს კრიტიკოსი: სტუმრებიან ქ. ზელინსკის, რომელსაც შემდგომ დაუწერია რეცენზია „მთვარის მოტაცებაზე“, ხოლო 1944 წლის ზაფხულში მწერალთა კაცინირში გამართულ დისკუსიაშე მასვე, შელოვსკისა და გოლუბევს გაუკრიტიკებიათ „დავით აღმაშენებელი“, გამსახურდია თურმე „ამას არ მოელოდა და ძლიერ იყო შეწუხებული“.

ახლა თვით კონსტანტინე გამსახურდიასაც მოვუსმინოთ: „მე პირადად აგრე ვფიქრობ, ცოცხალი მწერლის ბიოგრაფიის გამოქვეყნება მაინცადამაინც სასურველი არაა, მაინც მოვაწვდით ზოგ ცნობას:

მე დავიბადე სოფელ აბაშიში 1891 წელს მოელს ქვეყანაზე უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირად, რომელსაც პქვია ზანა. ეს მშვენიერი კამკამა მდინარე გამოღის სოფლის ერთ კიდეში და მისსავე ბოლოში ერთვის აბაშას. „ზანას“ სახელის გამო ხშირად დაფიქრებულვარ ხომ არ არის ეს ჭანების სახელი, ბერძნულად „ზან“.

„ძლიერ მიყვარდა ეს მდინარე, იგი მამაჩემის საქმაოდ ვრცელ მამულებში გაღიოდა, მის ბეჩოებში ხშირად დამიჭერია წავი, თევზი და კიბორჩხალები. ამ მდინარის პირად მივეჩვიე თევზაობასა და ნადირობას, მისტიური შიშით მავსებდა მისი მოშავო ტალღების დუღუნი შებინდებისას“.

ქ. გამსახურდია იხსენებს ცხენის ქურდების თავდასხმას, მამის ყიფინას ყაჩაღების მიერ ატეხილ სროლაზე — „ეს იყო პირველი



გამოეთილი უშიშრობისა, რომელიც მივიღე ჩემს ცხოვრებაში თავად უროვნებული მამაჩემი აზნაური იყო. მიუხედავად ამისა, თავად უროვნებდა და ულიდა სანაქებოდ მოწყობილ მეურნეობას“.

უკვე დაბრძენებული მწერლის მეხსიერებაში ცოცხლდება მისი პირველი მასწავლებელი — სოფლის დიაკონი ევგენ ქოიავა, რომელიც ისე ყვარებია, რომ ჩუმად ვოცნებობდი მეც დიაკონი გავმხდარიყვავი, რათა ჩეენი სოფლიდან სხვაგან წასვლა არ დამტკრებოდა.

„თითქმის ძალით წაგიყვანა მამაჩემმა მე და განსვენებული ჩემი ძმა ივანე და ძეველ სენაკში ქართულ სკოლაში მიგვაბარა. მე საოცრად მომენატრა ჩემი ზანა, ჩემი ბადეები, ფაცერები, ან-კესპი, ცხენები და ძალლები, განვაზრახე ჩემი ძმა და ერთ მშვენიერ დღეს გავიქცეცით სკოლიდან. ახლა უკვე მტკიცედ გადავწყვიტი: ქართული კარგად ვიცი, დიაკვნობას ეგვი იყოფა და შინ დავრჩები-მეოქვი. მეორე დღესვე შეგვაგდეს ცხენებზე და ისევ წაგვათრიეს სენაკში. ამ სკოლის დასრულების შემდევ მიმაბარეს ქუთაისის გიმნაზიაში“.

დადი მადლიერებით ისსენიებს ნიკო ჭანაშიას, არსენ წითლიძის, სილოვან ხუნდაძის, ანდრია ბენაშვილის, იოსებ ოცხელის სახელებს. ოცხელი იყო დირექტორი და მან უშველა, 1911 წელს კონსტანტინეს და მის ამხანაგებს შავრაზმელი მასწავლებელი კუსტანივიჩი რომ უცემიათ ქართული ენის შეურაცხყოფისათვის, რისთვისაც დაუჭირიათ და კინაღამ არხანგელსკის გუბერნიაში გადაუსახლებიათ.

შემდეგ 1912—19 წლებში ევროპის ქალაქები და ის, ვინც ზანასთან განშორებას არ აპირებდა და დიაკვნობას ნატრობდა, ბერლინში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს მიიღებს. შემდეგ უკვე სამშობლო, თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობა, 1940-იან წლებში კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობა.

სტუდენტობის დროს გაუცვნია ცნობილი მწერლები თომას მანი, ა. ფრანსი, გამოუქვეყნებია ბერლინში რამდენიმე ლექსი უურნალ „აზალ აღმოსავლეთში“, აგრეთვე 2 წიგნი გერმანულ ენაზე (ერთი ამერიკაში გავრცელებულა დადი ტირაჟით).

„განსწავლისა და მოგზაურობათა მოთავების შემდეგ ვიყავი რედაქტორი და თანარედაქტორი უურნალ-გაზეთებისა: „პრომე-



თე“, „ილიონი“, „საქართველოს სამრეკლო“, „ლომისი“, „უწყებისადან ლი სიტყვა“.

ასე უხსნის გულს მწერალი კრიტიკოსს, ასე სწავლობს კრიტიკოსი ადამიანთა ბუნებას, შემოქმედის ცხოვრებასა და ხასიათს. იგი ა. ფრანსის მოძღვრების ერთგულია: „ჩვენ არასოდეს არ მოგვწყინდება ვიკითხოთ მემუარები და დღოურები, იმიტომ რომ არასოდეს არ შეიძლება მოვწყინდეს ადამიანთა შესწავლა“.

...ამ, პატარა ნოველა ერთი ცნობილი პოეტის ავტობიოგრაფიიდან, რომელშიც აღწერილია მისი ოჯახის მიერ გამოვლილი დიდი სიღაუსტირე, ხელნაწერი თავებადაა დაყოფილი და დასათაურებულია. ამ მონაკვეთს ეწოდება „ვაჭრობის ნიჭი“... ერთ შუვენიერ ღღლეს ყმაწვილებმა დედა სამუშაოზე რომ დაიგულეს „გამდიდრება“ გადაწყვიტეს იმ ორიოდე დედლით, საჩუქრად რომ მიუღიათ სოფლიდან. ქათმები უნდა გაეყიდათ, აღებული თანხით კი კვერცხები ეყიდათ და მოგებაც ენახათ. უფროსის „კომერციული გამჭრიახობა“ უმცროსს ჰქუაში დაჯდომად, აუღათ მოზრდილი კალათა, ჩაუსვამთ ფეხებგაჯრული ქათმები და გზას გადგომიან. მალე კვერცხებით საგსე კალათით მობრუნებულან ბაზრიდან და ქუჩა-ქუჩა დაუწყიათ ძახილი „კვერცხი-კვერცხიო“, მაგრამ მსურველი არ გამოჩენილა: ორი შაურისა ძლიერ გაუსაღებით. დალლილ-დაქანცულებს სახვალიოდ გადაუდვიათ გაჭრობა და შუა აღმართზე ჩამომსხდარან.

„დავსხედით ქვაფენილზე და შევუდექით დარჩენილი კვერცხების „დარბააისლურ“ თვლას. როცა მთლად ამოვცალეთ კალათა და ის იყო უკანვე უნდა ჩაგვეწყო, ქვეშიდან როგორლაც გამოეცალა ერთი კვერცხი და დანარჩენიც ხრიალ-ხრიალით წავიდა თავევე. ასე მარცხით და საბოლოო „გაკოტრებით“ დასრულდა ჩვენი ახლად ფეხადგმული ვაჭრობა და ნუგეშისცემის მაგივრად საშინელი გულისწყრომა მივიღეთ სახლში“.

ვინ იყო ეს ორი ბიჭი, ასე ნააღრევად რომ უცდიათ ბედი და ჩაფუშვიათ ჩანაფიქრი? გიორგი ქუჩიშვილი და მისი უმცროსი ძმა დავით თურქოსპირელი, რომელსაც ამავე ბიოგრაფიაში, დიდი მადლიერებით მოიხსენიებს პოეტი, მის გულშემატკიცრობას და მზრუნველობას უსვამს ხასს: „ან არალეგალურ წრეში მუშაობდა, ან წიგნს კითხულობდა, რითაც ჩემზე დადგებით გავლენას ახდენდა. იგი ხელმძღვანელობას მიწევდა გათვითცნობიერებაში, წიგნების

“შერჩევაში, ლიტერატურულ საკითხებში და სხვ. ერთი სიტყვით, გამოიყენეთ მთელ ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ჩემი მრჩეველ-დამრიგებელი მასწავლებელი იგი იყო. მან ჩემზე ადრე, 1905 წლს დაიწყო მწერ-ლობა“. ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „1905 წლიდან დ. თურდოს-პირელის ინიციატივით ჩვენსავე ბინაზე შაბიროგრაფზე ვგეჭდავ-დით ახალგაზრდათა ორალეგალურ უურნალებს“ („ჩვენი დროშა“ და „მახვილი“), რომლებშიაც ვათავსებდით თვითმშერობელობის სა-წინააღმდეგო ლექსებს. მართალია, მათი ტირავი 40 ცალს არ აღე-მატებოდა, მაგრამ კითხვით დიდძალი ახალგაზრდობა კითხულობ-და“. აქვეა ტრაგიკული ამბავი „დედის დაკარგვა“, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძის „თავსათრიან დედაკაცს“ მოგაგონებთ და შეგ-რავთ.

ასე უზიარებენ უველაზე ინტიმურ ამბებსაც კი თავის უმცროს მეგობარს ქართველი მწერლები, ბევრი მათგანის პირველი მესა-იდუმლე ყოფილა შალვა რადიანი.

გიორგი ქუჩიშვილის ავტობიოგრაფია 1933 წლითაა დათარი-ლებული. ახლა სხვა ჩანაწერიც ვნახოთ: „ი. გრიშაშვილს ვთხოვე დაწერა თავისი ვრცელი ავტობიოგრაფია“, აი, ფრაგმენტები აქ „აღსარებიდან“.

„პაპაჩემი — დავით მამულაშვილი გურული ვლეხი ყოფი-ლი. ბატონს გამოქცევია და ორთაჭალაში მებაღედ დამდგარა. აქ დაქორწინებულა ვინმე ლამაზ „იაგუნდაზე“ და ჰყოლია ცხრა ქალ-ვაუი, მამაჩემი გრიგოლი (გრიშა) მესამე შვილი ყოფილა.

მე ქართული ანბანი პირველად დედაჩემა დამასწავლა. ამის შემდეგ მიმაბარეს ქართულ გიმნაზიაში, რომელიც მამის სიკვდი-ლის გამო არ დამიმთავრებია. მიყყავი თვითგანვითარებას ხელი.

ბაგშვილიდანვე გამიტაცა თეატრმა, ჯერ კიდევ 15—16 წლის ბიჭი ვიყავი, როცა რამდენიმე ვოდევილი დავწერე: „ტიძოთეს ლელვი“. „ბოიკოტი“, „გაფიცვა“, „ლოთები ორთაჭალაში“ და სხვ. ჩემს უბანში მე თვით შევქმნი თეატრი, რომლის ავან-ჩავანი სულ მე ვიყავი.

პირველად ლექსებს შეკვეთით ვწერდი საფლავის ქვებზე („ეპიტაფიებს“), მერე, როცა ასაკში შევედი, სატრუქიალო ლექსები ამომეტევა. ჩემი უბნის რევოლუციონერების გავლენით გატაცებუ-ლი ვიყავი სამოქალაქო მოტივებით, მაგრამ აღმათ ჩემი უანრი არ იყო და ამ თემამ თავი დამანება, მაინც დამრჩა ამ ციკლიდან რამ-



დენიმე ჩემებური კარგი ლექსი... ამ ხანებში გამოვიცი ორი საზოგადო სარგებლის „ვარდის კონა“ (1905) და „ფანტაზია“ (1907).

1908 წ. ვალერიან გუნიამ მიმიღო სუფლიორად ქართულ თეატრში. აქ გავიზარდე, აქ დავვასუკაცდი ყველანაირად: წაყითხულმა პიესებმა (მათ შორის ნათარგმნებმა) დღიდად განმავითარეს. უნივერსიტეტი არ მომცემდა იმდენს, რამდენიც ქართულმა თეატრმა მომცა.

„მე ვარ პოეტი „ლიტერატული ლექსების აზალი ოსტატი“ (შალვა, შენოვის ვამბობ).

და ცოტა ქვემოთ ისევ „რეპლიკით“:

„მე ვარ კარგი დეკლამატორი (ასე ამბობენ და შენც დასწერე რა გენალვლება, დე, დარჩეს ისტორიაში ჩემი ლექსთა კითხვა);

ერთი სიტყვით, რასაც ხელს ვკიდებ, ყველაფერს პირნათლად ვასრულებ... ვარ ცნობილი, როგორც ქართული თეატრის მემატიანე“. აქვეა მინაწერი: „წელს ოთხი ათეული წელი შემისრულდა. თავს მაგრად ვგრძნობ და კიდევ რამდენიმე წიგნი მაქვს პუზურში“...

ასეთი ღიმილიანი და ამავე დროს გულშრფელობით აღსაესეა დანარჩენი მონაცვეთიც.

მსგავსი უშუალობა და ნდობა გამოსჭვივის გრიშაშვილისავე პირადი ბარათებიდან, რომელთაგან ერთ-ერთის ციტირებაც აქ საჭიროდ ჩავთვალეთ, რადგან გრიშაშვილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ესეც ხომ ისტორიაა!

„ლექსი დაბეჭდილი ვნახე, ფულიც მივიღე, მაგრამ ერთი ხანა რომ ამოგილიათ, მეყინა, მთელი ლექსი თუ ნაკვეთადაა გაყოფილი და თითო ნაკვეთში ხუთ-ხუთი ტაებია: ეხლა კი მთელი ლექსი დაკოჭლდა და არც გადასვლები აქვს. ხომ იცი, მე ლექსს შევპრავ ხოლმე და ვცდილობ, შევკუმშო ერთ მთლიან ჩქუქრთმად, ერთი თხოვნა მაქვს, გამოდის კრებული „ძველი და ახალი ტფილისი“, მწერალთა კავშირმა შემატყობინა, შენც ხორ კომისიის წევრად არჩეულიო. ჩემს ჩამოსვლამდე ვინ იცის, სტამბაში გადასცენ მასალა, აშკარაა, ჩემი ლექსიც იქნება. გეთაყვა ის კუპლეტი ჩიუმატე და ისე გადაეცი, ან შენ გადააკეთე, შენც ხომ პოეტი ხარ!“

ით, ასეთი ძმური დამოკიდებულებაა კრიტიკოსსა და მწერალს შორის, რაც სწორედ სამაგალითო და საარაკოცა!

„...გალაკტიონი ფლობდა დიდ პოეტურ კულტურას, გარდა მშობლიური პოეზიისა, მისთვის ზედმიწევნით ნაცნობი იყო ფრანგუ-

ლი, რუსული, ინგლისური, იტალიური და გერმანული პოეზიის წარმომადგენელთა ლექსებს იგი ფრანგულ ენაზევე წარმოთქვამდა“. ასე ახასიათებს მკვლევარი და მეცნიერი მეგობარ პოეტს თავის ბოლო წიგნში და იქვე იხსენებს: „ხშირად ვსაუბრობდით გოეთეზე და ეკერმანზე... ერთხელ ვთხოვ ვრცლად დაეწერა თავისი ბიოგრაფია და მიბასუხა: „კი, ძამიკო — ყველაფერი გაკეთებული მაქვს, თუ ტომად მაქვს დაწერილი ჩემი ცხოვრება. მე ვეგობდი“...

ახლა არა მარტო ავტობიოგრაფია, არამედ სხვადასხვა დროს ნაჩქარი 200-მდე ლექსი (შეკინძული) სარადიანო საგანძუროში ძევს და ბევრ ცხოვრებისეულ თუ პოეტურ დეტალს ახლებურად გვაჩერებინებს: ეტყობა, გალაკტიონს შალეა რადიანი თავის ეკერმანად მიაჩნდა! და მართლაც, რადიანი იყო მეგობარიც და მისი წიგნების რედაქტორიც, კრიტიკოსიც, რომელმაც გამოაქვეყნა არა ერთი შერილი მასზე, როგორც ჩენში და რუსეთში, ასევე საზღვარგარეთ. თითქმის ერთმანეთს დაემთხვა გალაკტიონის ყოფნა პარიზში 1935 წლის ივნისში „როს ინახულა მან ერსალი და ტრიანონი...“ (მშერალთა და კულტურის მოღვაწეობა I მსოფლიო ანტიფაშისტურ კონგრესსზე რომ იყო, სადაც სიტყვითაც გამოვიდა) და ფრანგულ უურნალში „ინტერნაციონალური ლიტერატურა“ დაბეჭდილი სტატია შ. რადიანისა გალაკტიონზე, როგორც ახალი საქართველოს უდიდეს პოეტზე (1935 წ. № 2, გვ. 106—111), ლექსის ნოვატორზე და ვიტტორზე.

პოეტი მარლო მოხიბლულა გალაკტიონის ერთ — ტიხონოვის ნათქვამი ჩაუწერია შ. რადიანს: „რა შთავონებული სახე აქვს, ალბათ ნამდვილად დადი პოეტიაო“. იგი შემდგომშიც არაერთ შერილს მიუძღვის გალაკტიონს და ხასს გაუსვამს მის იშვიათ ნიჭს — ლექსის მთხველობას და მუსიკოსობას; მსჯელობს მასზე, როგორც პოეტ-მუსიკოსზე (ასე ახასიათებდა ჩაკოვსკი ფეტს, როდესაც მის სიტყვებზე რომანსები დაუწერია).

„რჩეული შერილების II ტომში (1972 წ.) გალაკტიონის პოეზიის ავტობიოგრაფიულ ხასიათსაც მიანიშნებს კრიტიკოსი და მთავრებად მისი ლირიკის აღსარებით მხარეს ეხება: „სულიერი მდგომარეობის დღიური უწოდა პოეზიას დიდმა გოეთემ. როდესაც დაკვირვებით კითხულობ გ. ტაბიძის ლექსებს, უშუალოდ შედიჭარ მისი ფიქრების სამყაროში“.



გალაკტიონის სიკცილის შემდეგ გამოქვეყნებულ მოგრძელებებისა ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია ისტორია ლექსისა წარწერა შიგნებ „მანონ ლესკო“, რომელიც მწერალ ქეთევან ირემაძის თხოვნით დაუწერია პოეტს საგანგებოდ აბატ პრევოს რომანის ქართული თარგმანისათვის.

...ფურცელ-ფურცელ შემონასული ჩანაწერები უთუოდ ხორცუ შეისხამდა მემუარებში. ეს უანრი რომ განსაკუთრებით იზიდავდა შ. რადიანს, ჩანს ამ მასალის ხასიათიდან, რაც ერთ მუხეულმად ღირს: გალაკტიონის მეგობრობა გიორგი ქუჩიშვილთან, მათი ერთად ცხოვრება და მოგზაურობა გურიაში, რაც სარჩულად დაედო გალაკტიონის „გურიის მთებს“.

კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელი...

მის თვალშინ გაიარა ამ დიდი პოეტის ცხოვრებამ და იგი ხედავდა, როგორ გახდა გალაკტიონი თანდათან კარჩაკეტილი, „ყოველთვის სადღაც მიეჩარებოდა, ლაპარაკობდა მიკლედ და ყველას არ უხსნიდა თავის გულს. ახლოს არ უშევებდა. ცოტა ყავდა მეგობრები“. ჭავაწყვდი სწრაფ ჩანაწერს ერთ ფურცელზე ისევ გალაკტიონზე: „ვერის ხიდზე იდგა პოეტი, მტკვარს ჩასჩირებია და ქვითინებს — ქეთევან ირემაძის სიკცილი გაუგია იმ საღამოს — ჩემი ქალიშვილი გარდაიცვალა, ჩემი საყვარელი ქეთევანია — გულწრფელად განიცადა თურმე მისი დალუპვა, ვისი შთაგონებითაც შექმნა ლექსი დეგრიესა და მანონის სევდიან რომანზე“.

— „მემუარი“ — ეს არის მოთხოვნა იმაზე, რაც ვინახავს, ან მოგისმენია წარსულში — თითქოს მიპასუსა შეკითხვაზე იდუმალმა ხმამ — ე. ი. ის, რაც განუცდია ადამიანს და არა ის, რაც შექმნილა ლიტერატურული წყაროების მიხედვით.

ამ მემუარებში შევიდოდა ის ერთი უცნაური ამბავიც, რომელსაც გაშლიდა კიდეც შალვა რადიანი. ახლა კი ასე ფრაგმენტიად დარჩება და დღეს-ხვალ თუ ორიოდე კაცის მეხსიერებას მაინც შემორჩენია, მალე აღარავის ეხსომება — ზღაპარივით კია:

„გიონ საგანელი — ობერაში „ლაქმეზე“ ვნახეთ. გვითხრა ამერამ ვიყლავ თავსო: თქვენ თუ იცნობთ გაფრინდაშვილის ლექსს „ბოჭემის მონოლოგი“, მე იმ ლექსის მიმდევარი ვარო. იმ ღამეს მართლაც მოიკლა თავი. ტანზე საცვალიც არ ეცვა. როდესაც სა—

საფლაოზე შიასვენებდნენ, თითქოს სძინავდა და ამიტომ მთელ ხუთ დღეს ექლესიაში იყო დასვენებული, რომ იქნებ ვაცოცხლდესო".

...ტერენტი გრანელივით მიუსაფარი კაცი ყოფილა... თითქოს-და ტველი ოპერის ან ბალეტის ლიბრეტოს ნაწყვეტია, ალბათ ამი-ტომაც გამახსენდა, უკანასკნელად ბატონი შალვა „შიზელზე“ რომ ვნახე...

...თითქმის მისტიკაში გადავდარდი. ახლა ბარათები მიდევს წინ და მათი წყალობით მესმის ეკატერინე გაბაშვილის, დავით კლდიაშვილის, ვალერიან გუნიას, ნიკო ლომოურის, ეფემია მესხის ხმები. გამიტაცა კალიგრაფიული ნაირსახეობის სახვითმა მხარემაც. სხვადასხვა დროის მოღვაწეთა წერის კულტურის თავისებურებამ! ხელნაწერიც ხომ ადამიანთა სულის ანაბეჭდია; ფსიქოლოგთათვის იგი ისეთივე რუკაა ილბათ ადამიანის სულიერი გეოგრაფიისა, როგორც ჭირომანტისათვის ხელის გულის დახლართული ხაზები. ასე ვფიქრობდი ჩემთვის ხელნაწერებში ჩაფლული და დიდიხნის დადუმებულ ბარათებსა და ლექსებს ხმამაღლა ჰკითხულობდი.

...თქმა არ უნდა, ყოველივე, რაც მოვიხილეთ და რაც შალვა რადიანის ლიტერატურულ მემკეიდრეობას შეადგენს, აუწონელი განძია. მარტო რაფიელ ერისთავისეული „შალვა-თამარიანის“ ხელნაწერი რად ღირს! სპეციალისტთა აზრით, ეს პოეტური ვარიანტი უთუოდ საგულისხმო და გასათვალისწინებელია რ. ერისთავის პოემის უფრო ღრმად შესწავლისათვის.

ამ პოემიდან არის ეს სტრიქონებიც. ილალბეღზე რომ ამო-ვიკითხე ხელნაწერების გახსნისას: „მან უბასუხა ღიმილით: არ მიშოენია სახელი, შალვას მიხმობენ ყველანი, მაგრამ არა მყავს მძრახველი“-ო ...და ასე შეპირების შალვა რადიანის ნათელ პიროვნებას.

## ნოდარ ჭალაღონია

### ნოვალაშვილი

გადაშლილი ეტრატია  
 სამარხები: მცხეთის, ვანის,  
 ისტორიის ტვირთი მიაქვს  
 წლებს მიწიდან ამოტანილს.

ქვეყნის მატიანედ იქცა,  
 რაც წლებს სისხლით უწერია  
 ნოქალაქის ძველი მიწაც  
 მისი ერთი ფურცელია.

ისიც წინაპრების ხმაა,  
 მათი ფიქრით დანაღმული,  
 ისიც „ქართლის ცხოვრებაა“  
 ჩვენს მიწაში დამარხული.



# ଯୁଦ୍ଧକାଳ ରୀତି ଓଡ଼ିଆ



ჭიდების ცოდნა უზორის მნახა ააფი-  
ციციციას, გოგობას მოგნაცს, ციც-  
ნის დასთის და ყისუს გააღმიავი-  
ნოს.

სულხან-საბა ლიბერლიანი

## მასშტაბის მიზანის და დანიშნულება

ექსლიბრისის — წიგნის ნიშნის მნიშვნელობა და დანიშნულება კრიტიკული ცნობილი წიგნის მოყვარულისათვის.

ამ მინიატურული გრაფიკული ნაწარმოების ისტორია უძველეს ხანაში იწყება.

ცნობილია, რომ ძველ ეგვიპტეში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVI საუკუნეში, მე-18 დინასტიის ფარაონს ამენპის III-ს პენდა ქაშანურისაგან დამზადებული ფირფიტა — ბიბლიოთეკის მფლობელის ნიშანი. ეს ფირფიტა ამჟამად გამოფენილია ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში, სადაც 200 ათასზე მეტი ექსლიბრისია დაცული.

დასაცლეთ ევროპაში ექსლიბრისის შემოღების დასაწყისად XVI საუკუნე ითვლება. იგი გერმანიაში იღებს სათავეს, იქედან გავრცელდა სხვა ევროპულ სახელმწიფოებში და მათ შორის პოლონეთშიც.

მხატვრული შესრულებულ მინიატურულ წიგნის ნიშანს თავისი განვითარების ისტორია აქვს. თავდაპირველად ექსლიბრისი იხატებოდა ხელნაწერ წიგნებზე, კოდექსებზე დეკორატიულად გაფორმებული გერბის, ემბლემის სახით და იგი პროტოექსლიბრისის სახელითაა ცნობილი. შემდეგ ჩნდება სუპერექსლიბრისი — მონოგრამის სახით შესრულებული წიგნის ნიშანი თავსდებოდა წიგნის გარეკანზე. თანამედროვე ექსლიბრისი კი, როგორც ცნობილია, გრაფიკული ხერხით სრულდება. მასზე გამოისახება წიგნის მფლობელის გვარი, რაიმე ემბლემა, დევიზი, გერბი ან მონოგრამა.

არსებობს ექსლიბრისის შესრულების სხვადასხვა ტექნიკა: ქსილოგრაფია, ლინოგრავიურა, ოფორტი, აგტოლითოგრაფია, ტუშით შესრულებული, რომელიც შემდეგ ცინკოგრაფიული წესით მრავლდება.



ამ ბოლო ხანებში წიგნზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, იზრდება ექსლიბრისის პოპულარობაც, იზრდება ინტერესი წიგნთან შემოქმედებითი დამოკიდებულებისა და პირადი თუ სახელმწიფო ბიბლიოთეკებისათვის ექსლიბრისების შექმნისა. ეს მინიატურული მხატვრული ნაწარმოები დიდ ხელოვნებას მოითხოვს, იგი ერთი საერთო კულტურის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც თავისი თრიგინალური ფორმისა და ფართო მნიშვნელობის წყალობით საერთაშორისო მეგობრობის საშუალებადაც კი შეიძლება იქცეს.

სწორედ ამ პატარა გრაფიკულმა ნამუშევრებმა დაამეგობრა ორი ქვეყნის — საქართველოსა და პოლონეთის ექსლიბრისის მოყვარულები, რაც ამავე დროს ამ ქვეყნებს შორის კულტურულ კავშირსაც ნიშნავს.

ამ მეგობრობის ინიციატორები არიან დები — თამარ, ნინო და ბარბარა კანდელაკები. დები მათ პოლონელი ჰყავდათ და ორივე ქვეყანა — საქართველოც და პოლონეთიც თავიანთ სამშობლოდ მიაჩნიათ. დები თბილისში გაიზარდნენ, ნინო და ბარბარა კანდელაკები დღესაც თბილისში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, ქალბატონმა თამარმა კი ვრცელიაველი ჭაბუკი აირჩია ცხოვრების თანამგზავრად და ამჟამად პოლონეთში ცხოვრობს.

დები კანდელაკების ინიციატივით შექრებილია პოლონელი მხატვრის ჩესლავ როძევიჩის ექსლიბრისების კოლექცია, რომელიც საჩუქრად გადაეცა ექსლიბრისების მოყვარულთა კლუბის შექმნის ინიციატორსა და ხელმძღვანელს შორის ლაზარეს ძე პოლიაქს.

თავის მხრივ ბორის პოლიაქმა ჩესლავ როძევიჩს მადლობის ნიშნად თავისი კოლექციიდან გაუგზავნა 110 ექსლიბრისი — სართველ მხატვართა ნამუშევრები.

ასე ჩაისახა იდეა, საქართველოსა და პოლონეთში მოწყობილიყო ექსლიბრისების გაცვლითი გამოფენები, რაც უფრო შეაკვშირებდა ამ ქვეყნების წიგნისმოყვარულებს და ხელს შეუწყყობდა მათი კულტურის უკეთ შესწავლის.

მალე ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა პოლონური ექსლიბრისის გამოფენის მოწყობა თბილისში.

ექსლიბრისის მოყვარულთა კლუბის თავმჯდომარის ბორის პოლიაქის ინიციატივითა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების დახმარებით 1978 წლის სექტემბერში „საქწიგნის“ მაღაზია „საუნ-

უფრო „მოეწყო პოლონური ექსლიბრისის პირველი გამოფენა, სადაც ისტორიული წარმოდგენილი იყო 2 მხატვრის, პოლონელი ჩ. როძევიჩისა და თბილისელი ნ. კანდელაკის 40 წიგნის ნიშანი, შესრულებული პოლონურ თემებზე, ამ გამოფენამ ერთ თვემდე გასტანა და მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამან განაპირობა იმავე ექსპოზიციის მეორე გამოფენის მოწყობა ოფიციერთა სახლში.


პოლონური ექსლიბრისის მესამე გამოფენა უფრო ფართო პროგრამით 1979 წლის 7 ივლისს გაიხსნა კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. ჩ. როძევიჩის მიერ შესრულებული 80 ექსლიბრისის გარდა გამოფენილი იყო პოლონული მხატვრების %, ვასნევსკის, ა. სუხანეცის, ა. კანდიურას, ჩ. კელმასა და სხვების ექსლიბრისები. აქვე იყო გამოფენილი სამი ქართველი გრაფიკოსის — თამარ და ნინო კანდელაკებისა და მარგარიტა თუშმალიშვილის მიერ პოლონურ თემაზე შესრულებული 17 ექსლიბრისი.

იმავე კომპოზიციით გამოფენები მოეწყო ქუთაისში 1981 ემში და ტაშკენტში.


პოლონელი მხატვრების მიერ შესრულებულ ექსლიბრის ახასიათებს, უპირველეს ყოვლისა, მაღალი კულტურა, რეალი ხაზები, დეკორატიულობა, ღრმა შინაარსი. მათში მხატვრულ დაა ასახული ერის კულტურა, ისტორიული ძეგლები. მრავალი ექსლიბრისი მიძღვნილია მეცნიერების, მუსიკოსების, პოეტებისა და სხვა შემოქმედი ადამიანებისადმი. ხშირად მხატვარი მიმართავს სიმბოლურ გადაწყვეტას. მრავალგვარია შესრულების ტექნიკაც. აქ ნახავთ როგორც ქსილოგრაფიას, ასევე ოფორტს, ლინოგრავიურას, ავტოლითოგრაფიას, ტუშით შესრულებულს და სხვა.

ჩ. როძევიჩის მიერ შექმნილ ექსლიბრისში, რომელიც თავის ქალიშვილს რენატკას მიუძღვნა, ვხედავთ სტილიზებულ ფარშავანგს, მშეიდობისა და სიყვარულის სიმბოლოს. იგი გამოირჩევა შესრულების მანერით, ლამაზი ხაზებით. მეორე ექსლიბრისშე ვხედავთ რაიონული ფაბრიკის ბიბლიოთეკის შენობას, რომლის პირველ პლანზე გამოსახულია სტილიზებული ბუ — ცოდნის, სიბრძნის სიმბოლო. მესამე ექსლიბრისშე მოჩანს ორი ქალიშვილი, ერთს 9. მწიგნობარი 85

EX-LIBRIS







ხელში ვიოლინო უჭირავს,  
მეორეს კი მწერლობის სიმ-  
ბოლო — უზარმაზარი სტი-  
ლიზებული ფრთა ამშვენებს.

აქეც იყო შარმოდგენი-  
ლი თამარ კანდელაკი-ფრი-  
ჩის მიერ თავისი პირადი  
ბიბლიოთეკისათვის შესრულე-  
ბული ექსლიბრისი (ლი-  
ნოგრაფიურა), რომელზედაც  
გამოსახულია ქალაქ ვროც-  
ლავის ერთ-ერთი ძრეწერ-  
ტურული კუთხე, ადგილი  
სადაც ამეამად ცხოვრობს მხატვარი. კომპოზიციის მარცხენა მხა-  
რეს კი მოთავსებულია წიგნი და ფუნქცია — მხატვრის პროფესი-  
ია და მისწრაფების მაჩვენებელი.

ნინო კანდელაკის მიერ შესრულებულ ექსლიბრისში, რომე-  
ლიც მან მხატვარი ჩ. როდევიჩს მიუძღვნა, წარმოდგენილია ქ. ვროც-  
ლავის ძეველი კულტურის ძეგლი. კომპოზიციას ივებს წიგნები და  
ფუნქციები, ქვემოთა ნაწილს კი ქართული ორნამენტი ამშვენებს.

ნინო კანდელაკმა შექმნა აგრეთვე ექსლიბრისი სამი მხატვარი  
დისათვის; იგი ორი ქვეყნის მეგობრობის სიმბოლოა, რაზეც მიუ-  
თითებს აქ აღმოჩნდილი ორი ქანდაკება — „ქართვლის დედა“ და  
„სირენა“, რომელიც ვარშავის გერბად ითვლება. ორივე ქანდაკე-  
ბა სამშობლოს მტრისაგან დაცვის სიმბოლური გამოხატულებაა.  
ნინო კანდელაკის მიერაა შექმნილი აგრეთვე კომპოზიტორ რე-  
ვაზ ლალიძისადმი მიძღვნილი ექსლიბრისი. აქ შავ ფონზე ვხდავთ  
ქალიშვილს ჩინგურით ხელში, ხოლო ქვემოთ — ნოტებს ლალიძის  
სიმღერაზე „თბილისო“.

მხატვრის ნამუშევრთა უმეტესობა შესრულებულია ტეშით  
და ავტოლითოგრაფიულად.

პოლონერმა ექსლიბრისებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა  
დამთვალიერებლებსა და ხელოვნებათმცოდნეებზე. დასანანია, რომ  
გამოფენის კატალოგი არ გამოცემულა.

ასეთივე დიდი წარმატება ხდა წილად ქართველი მხატვრების  
ექსლიბრისების გამოფენებს პოლონეზში, რომელთა ორგანიზატო-  
რი იყო მხატვარი ჩ. როდევიჩი.





პირველი გამოფენა გაიხსნა 1979 წლის მარტში ქ. ვარდიშვილის გის სამხატვრო გალერეაში, სადაც ექსპონატებული იყო 27 ქართველი მხატვრის 110 წიგნის ნიშანი. გამოფენას კიდევ უფრო მეტ ელფერს მატებდა თამარ კანდელაკი-ფრიჩის 14 გრაფიკული ნამუშევარი (გრავიურა, აკვარელი, გუაში), რომლებზეც დიდი სიუკარულით იყო აღმოჩენილი საქართველოს ზოგიერთი ლამაზი კუთხე. გამოფენას მეტ ლაზათს მატებდა ქართული მელოდიები, რომლის ფირფიტები სპეციალურად გამოფენისათვის წაიღის თბილისიდან. ქ. ვარდიშვილის წინა იქნა გამოცემული გამოფენის კატალოგი, რომლის თითო ეგზემპლარი სამახსოვროდ გადაეცა ყველა მონაწილეს.

ქართველი მხატვრების ექსლიბრისებრის გამოფენა ასეთი ფართო ექსპოზიციით პირველად იყო დემონსტრირებული საზღვარგარეთ. გამოფენამ იმდენად დააინტერესა პოლონელი ექსლიბრისის მოყვარულნი, რომ იმავე წლის აპრილში, პოლონეთში საბჭოთა კავშირის დღეებთან დაკავშირებით, ახალი ნამუშევრებით შევსძული გამოფენა გაიხსნა ვროცლავის საქალაქო ბიბლიოთეკაში.

აქ წარმოდგენილი იყო ქართველ მხატვარ-ექსლიბრისისტთა სამივე თაობა. უფროსი თაობა წარმოდგენილი იყო ქართველ მხატვარ-ექსლიბრისისტების ძლიერი ჯგუფით, რომელშიც შედიოდნენ ქართული საბჭოთა ექსლიბრისის პატრიარქი ლადო წილოსანი. სახელოვანი მხატვრები — ლადო გუდიაშვილი, ლადო გურიგოლია, დავით ციციშვილი, ლადო ქუთათელაძე, ნიკოლოზ ჩერნიშვილი. მათ არაერთი გრაფიკოსთა თაობა აღნიარდეს. ბევრი მათგანი დღეს გამოჩენილი მხატვარია.

ლადო წილოსანის სახელთანაა დაკავშირებული ქართული საბჭოთა ექსლიბრისის ისტორია. იგი გრაფიკის ამ უანრში პატრიარქადა აღიარებული.

გრაფიკოსთა ახალი თაობა ომის შემდეგ დაინტერესდა ექსლიბრისით. ესაა მხატვარი ენთუზიასტების დიდი ჯგუფი, რომელთაც მრავალ გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთაც. პერიოდულ პრესაში მრავალი წერილი გამოქვეყნდა და ცნობილი გახდა მხატვარ-გრაფიკოსთა სახელები. ესენია ნ. მასტიცეკია (1903—1972), ვ. ბელეცკია (1914—1976), ი. თუმანიშვილი, ნ. ფოფხეძე, ნ. კანდელაკი, მ. თუშმალიშვილი, მ. ქუთათელაძე, თ. გუგუშაშვილი, ი. ბრანოვერი, თ. კანდელაკი-ფრიჩი და სხვ.

ამ თაობის მხატვართა ნამუშევრებში ასახულია თანამედროვე გეობა, ისინი წარმოადგენენ გრაფიკულ ნოველებს, მოგვითხრობენ ჩვენი ქვეყნის კულტურაზე, ტრადიციებზე, გვაცნობენ მშრომელ ხალხს, მეცნიერებს, ექიმებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, მსახიობებს, მწერლებს, პოეტებს...

მათ მიერ წარმოდგენილ ექსლიბრისებში იგრძნობა საბჭოთა რეალიზმი, სტილიზაცია, სიმბოლური გადაწყვეტა, იუმორი.

6. ფოთხაძის მიერ ლ. ტინიანოვისთვის შესრულებულ ექსლიბრისში მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფონზე მოხანს ლენინის სახე, წინა პლაზზე წიგნები აწყვდა. ექსლიბრისი ძლიერია თავისი შინაარსით, დახვეწილი, შეკრული კომპოზიციით (ლინგვისტურა).

ტროფესორი ლადო ქუთათელაძე დველი თბილების მოყვარულია, სწორედ ამიტომ თამარ კანდელაკ-ფრიჩმა მას მიუძღვნა ექსლიბრისი, სადაც კომპოზიციის ცენტრშია ანჩისხატის ეკლესია, მის გვერდით კი — გამხმარი ფანტასტიკური ხე, იგი შექმულია ქართული ორნამენტით. მხატვრის ჟაველა ექსლიბრისის შესრულების ტექნიკა ლინოგრავიურაა.

ირინა თუმანიშვილის ექსლიბრისებში, უმეტესწილად იუმორი იგრძნობა, მყაფიოდ არის გამოხატული წიგნის ნიშნის მფლობელის ხასიათი ან მისწრაფება. მაგალითად, საქართველოს ისტორიის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-მუშავის, ყოფილი მოცეკვავის 6. ლორობერიძის ექსლიბრისზე დიდი სიყვარულით არის შესრულებული მოცეკვავი ქალის სილუეტი. შესრულების თავისებური სტილით გამოიჩინა მ. თუშმალიშვილის ექსლიბრისები, მიძღვნილი მეცნიერებისა და მუსიკოსებისადმი. შესრულების ტექნიკა ქსილოგრაფია, ლინოგრავიურა და ტუში. ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორის გ. სანიკიძის ექსლიბრისზე თეთრ ფალურ ფონზე შავ ფერში გამოსახულია სიბრძნის სიმბოლო — ბუ.

მ. ქუთათელაძის მიერ შესრულებული ექსლიბრისები გამოიჩინა ლაქონურობით, ლამაზი დახვეწილი ხაზებით. ადვილად იყითხება მისი შინაარსი, მფლობელის პროფესია, ხასიათი ან გარაცება. ექსლიბრისები უმეტესწილად ტუშითაა შესრულებული. მხატვარ ნელი ჩიქოვანისადმი მიძღვნილ ექსლიბრისზე შავი პა-

ლიტრის ფონზე ფუნქციით გამოსახულია ძველი ქართული ეკლესია ერთ-ერთი მოტივი.

მხატვარ თ. გუგუშაშვილის გრაფიკულ ნამუშევრებში უფრო ხშირად ვხვდებით ბუნებას, საქართველოს ზოგიერთ კუთხეს.

ახალგაზრდა მხატვრების მესამე თაობის წარმომადგენელი, რომელიც გრაფიკის ამ უანრითაც დაინტერესნენ, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ექსლიბრისის გამოფენებში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. სამსონაძე, ნ. მუმლაძე, კ. თოდუა, ტ. თუმანიშვილი, ა. რიგინაშვილი, ნ. ჯიქია და სხვები. მათი ექსლიბრისების შესრულების ტექნიკა უფრო მეტად გრაფიურაა, გვხვდება ოფორტი და ტუშიც. ნამუშევრებს ახასიათებს რომანტიულობა, ფილოსოფიური გადაწყვეტა, მაგრამ უფრო მეტად გვხვდება თანამედროვე თემებზე შექმნილი ექსლიბრისები.

ქართველი ექსლიბრისისტების ნამუშევრები გამოფენილი იყო ჩ. როევიჩის მიერ პოლონეთში მოწყობილ კიდევ სამ თემატურ გამოფენაზე. გამოფენებისათვის გამოცემულ კატალოგებში და ბუკლეტებში აღნიშნულია ქართველი მხატვრების გვარები.

ამ გამოფენებიდან პირველი 1978 წლის ნოემბერში გაიხსნა ქ. ვროცლავში. აქ წარმოდგენილი იყო ქვედა სილეზიის უძველესი ძეგლების თემაზე შექმნილი ექსლიბრისები.

მეორე გამოფენა, რომელიც ქ. ვროცლავში 1978 წელს მოეწყო, მიეღოვნა ბავშვთა საერთაშორისო წელიწადს.

მესამე გამოფენა 1980 წლის მარტში ქ. გდინიაში გაიხსნა საზღვაო სკოლის ბიბლიოთეკაში მისი დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით, მას „საზღვაო ექსლიბრისის გამოფენა“ ეწოდებოდა.

ქართველი წიგნის მოყვარულების სურვილია, რომ წიგნის ნიშნის საშუალებით გაფართოვდეს კულტურული კავშირები არა მარტო ამ ორ ქვეყანას შორის, არამედ სხვა ქვეყნებთანაც, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომ ექსლიბრისი, როგორც კულტურის ელემენტი, უფრო ხშირად იქნეს გამოყენებული ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის სიმბოლოდ.

ԱԵՐՎՃՈՐԵ  
ԱՅՀՈԼՅՈՒ  
ՏԵՇԵՐԵ



მცოდნილობი პრელაზი უპილიძე  
ხელნაწერი ღოყვანილობი — ჩაიხა  
მრავალი 3 300 ფილ ავოდვილი  
ქვეშ იმეორებულის ცხრილი — ინა-  
ხია ერმიტაჟი.

## ფიგნის დიდი ფორუმი

მსოფლიოს ხალხების ცხოვრებაში თვალსაჩინო კულტურული და ეკონომიკური ხასიათის მოვლენად იქცა მოსკოვის წიგნის მეხუთე საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა, რომელიც კვლავ ჩატარდა კეთილშობილური დევიზით — „წიგნი — მშეიღობისა და პროგრესის სამსახურში“.

უკვე ამ ფაქტიდანაც ჩანს თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დღეს წიგნს, ბეჭდვით სიტყვას. რომელმაც უნდა შეასრულოს დესპანის როლი ხალხების კულტურულ ფასეულობათა გაცვლის, ურთიერთგაებისა და ურთიერთგამდიდრების საპატიო საქმეში.

სწორედ ამიტომაც გამოიწვია არნახული ინტერესი 1985 წლის სექტემბერს მოსკოვში მოწყობილმა გამოფენამ, რომელმაც თავისი მასშტაბებით ბევრად გადააჭარბა არა მარტო თავისიც წინამორბედ, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი ხნის ისტორიის მქონე ყველა წიგნის გამოფენას.

მოსკოვის ფორუმში მონაწილეობდა მსოფლიოს 102 ქვეყნის სამი ათასამდე გამომცემლობა, საგამომცემლო გაერთიანება, ფირმა და სააეტორო უფლებების სააგენტო. ლამაზად გაფორმებულ სტრუქტურებში წარმოდგენილი იყო თანამედროვე მსოფლიოს უმდიდრესი წიგნადი პროდუქტია ორასი ათასზე მეტი ექსპონატის სახით.

წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე თხუთმეტი. მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა ეკონომიკური ურთიერთდაბარების საბჭო, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, იუნესკო, ჯანმრთელობის მსოფლიო ასოციაცია და სხვა.

მშენებელი ექსპონატიცია პქონდა წარმოდგენილი საქართველოს ჩესპუბლიკას, ეროვნული სტილით გაფორმებულ მიმზიდველ გარემოში ლამაზად იყო განლაგებული საქართველოს ყველა გამომცემლობის მიერ დასტამბული ოთხასი საუკეთესო წიგნი:



## საქართველოს დელეგაცია გამოცენა-ბაზრობის დაფინანსირებისას

პოლიტიკური, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, აღმოჩნდი, სახელმძღვანელო თუ თარგმნილი წიგნები.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა მსოფლიო სტანდარტების დონეზე გამოცემულმა აღმომებმა: „გელათი“, „სვანეთის ცის ქვეშ“, „შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი“, „ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა“, „ძველი საქართველოს ვერცხლი“, „დავით კაკაბაძე“ და განსაკუთრებით 1985 წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულმა და იაპონიის პოლიტიკულ ბაზაზე დაბეჭდილმა უაღრესად საინტერესო აღმომმა „ქველი თბილისი“.

გამოფენა-ბაზრობაზე მიღწეული წარმატება და ქართული წიგნის ფართო პოპულარობა გარკეცეულად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს წიგნის ექსპოზიცია, ერთსულოვანი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელს გამოფენაზე. მეტად დიდი იყო მისდამი ინტერესი და შეიძლება ითქვას, რომ ქართული წიგნი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამომცემლებისა, თუ წიგნის-მოყვარულების ხელიდან ხელში გადადიოდა.

წარმატება განაპირობა იმ გარემოებაშაც, რომ მოსკოვის მუზეუმის  
ხუთე გამოფენისათვის მზადება დაიწყო უკვე 1983 წელს, წიგნის  
საერთაშორისო ბაზრობის დამთავრებისთანავე.

განვლილი პერიოდის მანძილზე საქართველოს სსრ გამსახუ-  
მის, საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური  
სააგენტოსა და რესპუბლიკის წამყვანი გამომცემლობების — „საბ-  
ჭოთა საქართველოს“, „მერანის“, „ნაკადულის“, „ხელოვნების“,  
„განათლების“ ძალებით ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ  
და გერმანულ ენებზე დაისტაბა 140 დასახელების სარეკლამო  
ფურცელი ქართველი აეტორების საუკეთესო, ღირსეულ ნაწარმოე-  
ბებზე.

ყველაფერი ეს საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების სა-  
აგენტოს — ეაპის საშუალებით დროულად დაიგზავნა მსოფ-  
ლიოს 70-მდე ქვეყანაში, რომლებიც არიან საავტორო უფლებების  
საკითხზე უწევის მსოფლიო კონვენციის მონაწილენი.

ასე რომ, ჩვენს საზღვარგარეთელ პარტნიორებს საშუალება  
ჰქონდათ წინასწარ გაცნობოდნენ მოკლე, შთამბეჭდავ რეზიუმეებს  
ჩვენი აეტორების წიგნების შესახებ და გარკვეულწილად შეერ-  
ჩიათ მათთვის სასურველი ლიტერატურა. მართლაც, ჩვენს დელე-  
გაცასთან ხშირად მოდიოდნენ უცხოეთის გამომცემლობათა წარ-  
მომადგენლები და გვთხოვდნენ მათთვის საჭირო წიგნს თუ მო-  
მავალში გაცნობის მიზნით მოწოდებულ წიგნზე ოფციონის შესახებ  
ხელშეკრულების გათორმებას.

ქართველი აეტორების რეკლამისა და პროპაგანდის საქმეში  
დიდი დახმარება გავიწია საბჭოთა კავშირის საავტორო უფლე-  
ბების სააგენტომ. სადაც მსოფლიოს ხალხთა ხუთექვეს ენაზე გა-  
მომავალ უსრნალებში, ბიულეტენებსა და ასობით დასახელების თე-  
მატურ ბუკლეტში სისტემატურად იბეჭდებოდა მაღალ დონეზე  
მომზადებული მასალები რესპუბლიკის აეტორებისა და მათი ახა-  
ლი, საუკეთესო წიგნების შესახებ.

ამავე დროს, 1984—1985 წლებში, ძირითადად გამოფენიდან  
გამოფენამდე განვლილი დროის მანძილზე საზღვარგარეთის ქვეყ-  
ნების გამომცემლობების თუ საავტორო უფლებების სააგენტოე-  
ბის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს  
სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკის სააგენტოს მიერ უც-  
ხოეთში გაიგზავნა ქართველი აეტორების ოთხასი წიგნი, იგრეთვე



გამოფენა-ბაზრობის ერთი კუთხე

მრავალი ხელნაწერი და კვალიფიციური სპეციალისტების მეტ მომზადებული პრეარედები, რასაც ძირითადად ახორციელებდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი საჩედაქციო კოლეგია. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ასეთი ორგანიზაცია ერთადერთია საბჭოთა კავშირში და მას ქმედითი საშუალებები გააჩნია მკვეთრად შეუწყოს ხელი ქართული წიგნის, ძირითადად მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდას მთელ მსოფლიოში.



წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობის დაძაბულ მუშაობის განვითარების  
შპსი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სსრ დელეგაცია-  
რომლის შემაღენლობაშიც შედიოდნენ საქართველოს სსრ გამსახ-  
კომის, საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური  
სააგენტოსა და წამყვანი გამომცემლობების ხელმძღვანელები.

ჩევნს დელეგაციას გამოფენა-ბაზრობის მუშაობის შევიდი  
დღის მანძილზე ჰქონდა ორმოცდათზე მეტი საქმიანი მოლაპარა-  
კება უცხოელ პარტნიორებთან. ამის გარდა ხდებოდა მრავალი  
ქვეყნის, მათ შორის ერთი განვითარებადი ქვეყნის ექსპოზიციის  
დათვალიერება, ოფციონებისათვის მოწონებული წიგნების შერ-  
ჩევა, კოლეგების გაცნობა და მეცნიერული კონტაქტების დამყარება.

ბევრ სიახლესა და სასიხარულო მოვლენასაც ჰქონდა ადგილი.

წიგნის გამოფენის გახსნის დღესვე ჩევნთან მოვიდა საბჭოთა  
კავშირის საავტორო უფლებების სააგენტოს მუდმივი წარმომად-  
გენელი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ს. დუნინი და  
პოლონეთის მეორე კულტურულ-ინდუსტრიული ცენტრის, ქალაქ  
ლოდის ცნობილი გამომცემლობის ხელმძღვანელობის თხოვნით სა-  
ქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარეს ვ. ბაქრაძესა და მე  
გადმოვცა სპეციალურად მოსკოვის წიგნის დიდი ფორუმისათვის  
გამოცემული მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზის სერიანი-  
ანი ანთოლოგიის პირველი ეგზემპლარები.

ეს არის ორმოც საავტორო თაბაზზე მეტი მოცულობის  
ტომეული, რომელიც სახლვარებარეთ გამოცემულ პოეზიის ყველა  
სხვა ანთოლოგიასთან შედარებით უფრო სრული და მრავლისმომ-  
ცველია. დასაწყისში უწვევად არის წარმოდგენილი ქართული ხალ-  
ხური პოეზია, შემდეგ კი მთელი ქართული პოეზია რუსთაველიდან  
და ჩანსრუსამიდან დღევანდველობამდე. სულ შეტანილია 82 ავტორის  
საუკეთესო პოეტური ნაწარმოებები.

ავევ უნდა შევნიშნო, რომ ქართული პოეზიის ანთოლოგია  
საუცხოო ოპერატიულობითა და, რაც მთავარია, გულწრფელი  
სიყვარულით გამოიცა.

ამ ერთი წლის წინათ საბჭოთა კავშირის საავტორო უფლე-  
ბების სააგენტოს დელეგაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად  
პოლონეთს ვერვით. ვიყავით ქ. ლოდის გამოცემლობაშიც და  
იქ ვნახეთ ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელიც ჯერ კიდევ  
ხელნაშერების სახით არსებობდა და თარგმნა-დალაგებაც არ იყო



მოთავებული. და აი, მოკლე ხნის მანძილზე ჩვენი პოლიტიკური მეცნიერების მონდომების შედეგად გამოიცა ქართული პოეზიის ბრწყინვალე ტომეული, რითაც საქართველო-პოლონეთის ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში კიდევ ერთი დიდებული ფურცელი ჩაიწერა.

ჩვენთან მოვიდნენ სლოვაკიის ლიტერატურული სააგენტოს „ლიტას“ წარმომადგენლები და გადმოგვცეს ცნობილი გამომცემლობა „სლოვენსკი სპისოვატელის“ მიერ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის ორტომეული. წიგნის მარცხენა მხარეს მოცემულია რუსული ტექსტები, ხოლო მარჯვენა მხარეს — თარგმანები. წინასიტყვაობის ავტორია გამოჩენილი სლოვაკი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, სლოვაკიის კულტურის მინისტრი მიროსლავ ვალეკი.

აქვთ მინდა შევნიშნო, რომ საქართველოში ბოლო წლების მანძილზე მ. ვალეკის სამი პოეტური კრებული გამოვიდა: 1980 წელს ლირიკულ-პუბლიცისტური პოემა „სიტყვა“, 1983 წელს საბავშვო ლექსების წიგნი „ცირკის კარი იღება“, ხოლო 1985 წელს ლექსებისა და პოემების კრებული „აკრალული სიყვარულის“ სახელწოდებით:

საბჭოთა პოეზიის ინთოლოგიის ორტომეულის გამოცემა საზღვარგარეთ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა იმითაც, რომ მასში გამოვვეყნებულია გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის ნაწარმოებების პოეტური თარგმანები.

ჩვენთან საუბარში სლოვაკიის ლიტერატურული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მატეი ანდრაშმა თქვე: „მეტად სასიხარულოა, რომ ასე ნაყოფიერად ვითარდება საქართველო-სლოვაკიის ლიტერატურული ურთიერთობანი. ჩვენთან მეტად პოცულარულია ქართული ლიტერატურა, ქართული წიგნი. სლოვაკი მყითველი იცნობს კონსტანტინე ლორთვითანიძის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, ნოდარ დუმბაძის, ანა კალანდაძის, ჭაბუა ამირეგიბის, არჩილ სულაკაურის, გურამ ფანჯიძის, თამაზ და ოთარ ჭილაძების, მორის ფოცხიშვილის, თამაზ ბიბილურის და სხვათა წიგნებს. მათ სიამოვნებით კითხულობენ და ჩვენ სიამაყით გვინდა მოგახსენოთ, რომ უახლოეს მომავალშიც ასა ერთი ანთოლოგია და ქართველი ავტორების წიგნი გამოვა, თეატრებ-



ში დაიდგმება საუკეთესო დრამატული ნაწარმოებები, ინსცენირებული ბები გადაიცემა ტელევიზიითა და რადიოთი, ამასთან ერთად, ქართულ ლიტერატურას ფართოდ დაეთმობა უურნალ „რევიუ სვეტოვოი ლიტერატურის“ ფურცლებიც.

ლიდი ბრიტანეთის, კერძოდ, ლონდონის ცნობილი გამომცემლობის „ტემპზენდ ჰადსონის“ დირექტორმა ვერნერ გუტმანმა გვითხრა: „ჩემს გამომცემლობაში რამდენიმე წლის შინათ გამოვიდა ორი საინტერესო წიგნი: ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ ლანგის „ქართველები“ და პროფესორების რ. მეფისაშვილისა და ვ. ცინცაძის „ძველი საქართველოს არქიტექტურა“. ორივე წიგნმა ფართო მოწონება დაიმსახურა მთელს ინგლისურენოვან სამყაროში. მე კვლავაც დიდი სიამოვნებით გამოვცემ წებისმიერ წიგნს ძველი საქართველოს კულტურული ცხოვრების შესახებ. ძალზე შიხარია ისიც, რომ საქართველოში გამოვა ჩვენი გამომცემლობის შიერ დასტამბული ორი წიგნი: ა. ბურჯესის „ერნსტ ჰემინგუეი და მისი სამყარო“, დ. დაიმესის „რობერტ რენსი და მისი სამყარო“. ამით ჩვენი საგამომცემლო კონტაქტები კიდევ უფრო განმტკიცდება“.

უნგრეთის საავტორო უფლებების სააგენტოს „არტისიუსის“ დირექტორის მოადგილემ მარტონ ბაჟომ აღნიშნა: „უნგრეთში გამოცემულ ნებისმიერ ქართულ წიგნს მკითხველი არ აკლია. ჩვენში კარგად არის ცნობილი თხუთმეტ საუკუნეზე უხნესი ისტორიის მქონე ქართული ლიტერატურა, მისი განვითარების ფრიად ნაყოფიერი გზა, ტრადიციები და თანამედროვე პოტენცია, რაც ყველა ჩვენთაგანს ღრმა მოწიწებით აესებს. ჩვენი ხალხების ლიტერატურული და მეგობრული ურთიერთობა საქმიანდ მაღალ დონეზე მიმდინარეობს და ახალ სიმაღლეს აღწევს. ჩვენ იმედი გვაქვს უფრო ფართოდ გავაცნობთ უნგრელ მკითხველს ქართული კლასიკური ოუ თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს“.

მოსკოვის წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე გაწეულმა მუშაობამ სასურველი შედეგიც გამოიღო — საქართველოს დელეგაციამ ხელი მოაწერა 42 საექსპორტო კონტრაქტს, რომელთა მიხედვითაც ქართველი ივტორების ნაწარმოებები გამოიცემა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. გაფორმდა იგრეთვე 31 საიმპორტო ხელშეკრულება და ჩვენს რესპუბლიკაში მათ საფუძ-10. მწიგნობაზი 85



ველზე უახლოეს ორ წელიწადში უცხოელ ავტორთა ახალი წიგნები გამოიცემა.

ამავე დროს დამზადდა 43 საექსპორტო შეთანხმება ოფციონის შესახებ ჩვენი მწერლების და მეცნიერების საყურადღებო ნაწარ-მოებებზე და 28 საიმპორტო ოფციონი საზღვარგარეთის ავტორთა წიგნებზე, ყველაფერი ეს — 144 კონტრაქტი და ოფციონი ერთ-ერთ საუკეთესო შედეგად იყო აღიარებული საკაშირო მასტებით.

ახლა კი გვინდა საქართველოს წიგნისმოყვარულთა მრავალ-რიცხოვან არმიას გავაცნოთ ქართველი ავტორების ის წიგნები, რომლებიც უკვე გამოდის საზღვარგარეთ ან უახლოეს დროში იქ-ნება დასტურებული.

პარიზის გამომცემლობა „პუბლიკასიონ ორიენტალისტ დე ფრანსი“ გამოსცემს შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფენტურისან-სა“ და „ქართულ ხალხურ ზღაპრებს“. ორივე წიგნი ქართულიდან ფრანგულად თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ, ხოლო მხატვრულად გაა-ფორმა რუსულან ფეტეიაშვილმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტი“ გამოსცემს მიხეილ გავახიშვილის რომანს — „ძვაჭი კვაჭანტირაძეს“ და იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილი-სის ლიტერატურულ ბოჰემას“.

ვარშავაში გამოდის თანამედროვე ქართული პოეზიის ან-თოლოვია, რისთვისაც ცნობილი უურნალი „პოეზია“ თავის ორ ნომერს აერთიანებს და დადგენილ ტირაჟსაც საგრძნობლად უმა-ტებს.

ქართული თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია გამოდის ბულ-გარეთშიც.

თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიები გამოვა ჩე-ხოსლოვაკიასა და ბულგარეთში.

სლოვაკიაში იბეჭდება ახალგაზრდა ქართველი მწერლების მოთხოვნების კრებული.

გრიგოლ აბაშიძის რომანს „ლაშარელა“ ვამოსცემს უნგრეთის გამომცემლობა „ევროპა“.

ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“ იბეჭდება სლოვაკიის უურნალ „რევიუ-სკეტოვოი ლიტერატურაში“ და გერმანიის დემოკრატიუ-ლი რესპუბლიკის „ფოლკ უნდ ველტის“ მიერ მომზადებულ კრე-ბულში „უკანასკნელი საუბარი“. ნოდარ დუმბაძისავე მოთხოვნას



„ქანკებს“ სტამბავს. ინდოეთის გამომცემლობა „არნოლდ ჰეინემფარენარ გენერალური“.

ჭაბუა ამირეკიბის „დათა თუთაშების“ დიდი ტირაჟით გაშოაქვეყნებს ბუდაპეშტის გამომცემლობა „ევროპა“.

გურამ ფანჯიკიძის „რეკვერემი“ დაიბეჭდება სლოვაკიაში, გამომცემლობა „სლოვენსკი სპისოვატელში“, ხოლო მისი რომანი „მეშვიდე ცა“ უნგრეთში.

არჩილ სულაკაურის მოთხრობების კრებულს საერთო სათა-შრით „სიყვარულით აესებულნი“ გამოსცემს ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობა „ლიდოვე-ნაკლატელსტვი“. მისსაც რომანს „ლუკას“ დასტამბავს პოლონეთის გამომცემლობა „ქსენუკა ი ვედზა“.

მორის ფოცხიშვილის საბავშვო პოემები გამოვა ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში.

ოთარ ჭილაძის „რენის თეატრი“ გამოიცემა ბულგარეთის გამომცემლობა „პარტიზანტში“, უნგრეთის „მაგვიოტეში“, სლოვაკიის „სლოვენსკი სპისოვატელში“, პოლონეთის „ქსენუკა ი ვედზაში“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „ფლოკ უნდ ველტში“.

თინა ღონისეულის „რიგით ანდრეი მარიანინს“ დაბეჭდავს ბულგარეთის გამომცემლობა „ნაროდნა კულტურა“.

ქვე გამოვა გურამ დოჩიანაშვილის მოთხრობების კრებული. ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობა „ლიდოვე ნაკლატელსტვიში“ გაგემოიცემა გურამ გეგეშიძის რომანი „ხმა მლალადებლისა“, ხოლო იგივე რომანი — სლოვაკიის ქ. ბრატისლავის „სლოვენსკი სპისოვატელში“.

ჩეხოსლოვაკიაში დაიბეჭდება თამაზ ბიბილურის რომანები ჟურნი კითხულისა“, „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“.

ბულგარეთის გამომცემლობა „ოტეჩესტვოში“ დაისტამბება გურამ პეტრიაშვილის „პატარა ქალაქის ზღაპრული ისტორიები“.

ნუგზარ შატაიძის მოთხრობები გამოქვეყნდება ინდოეთში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამომცემლობა „ბიოლაუ“ ბეჭდავს პროფესორ რევაზ ყარალაშვილის მონოგრაფიის „პერმან პესეს რომანის სამყარო“. ამავე ქვეყნის გამომცემლობა „დე გრიუდერში“ დაისტამბება აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა და პროფესორ ვიაჩესლავ ივანოვის გახმაურებული წიგნი „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“.



ინდოეთში გამოვა აკადემიკოს თეიმურაზ ლოლაძის გრაფია „საჭრელი ინსტრუმენტების სიმკვრივე და გაცვეთამდგრა-დობა“.

საზღვარგარეთ საქმაოდ ფართოდ გავიდა თანამედროვე ქარ-თული დრამატურგიაც. ყველა სოციალისტური ქვეყნის თეატრებში დაიდგმება ან ტელევიზითა და რადიოთი გადაიცემა გიორგი ნახუცრიშვილის, ნოდარ დუმბაძის, თამაზ ჭილაძის, ოტია იოსე-ლიანის, ალექსანდრე ჩხაიძის, აკაკი გიშვაძის, გიორგი ხუხაშვილის, გურამ ბათიაშვილის, ლაშა თაბუკაშვილისა და შადიმან შამანაძის პიესები.

ამავე დროს ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულებები ოფციონის შესახებ ქართველი ავტორების 46 წიგნზე, როგორც ცნობილია, ოფციონი კონტრაქტის წინაპირობა ანუ მოსამზადებელი სამუშაოა და მათი საშუალებით უნგრეთში, ბულგარეთში, გერმანიის დემოკ-რატიულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, პოლონეთში, ინდოეთში, ინგლისში, შვეციაში გამოსაცემად მომზადდება ქართველი მწერლებისა და შეცნიერების ნაწარმოებები; მათ შორის უნდა დაესახელოთ კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ხუტა ბერულავა, რევაზ ჯაფარიძე, გიორგი ციციშვილი, სერგი ჭილაძა, შოთა ნიშნიანიძე, ჯანსულ ჩარქვიანი, რევაზ ჭეიშვილი, გურამ ფანჯიკიძე, თამაზ ჭილაძე, გურამ რჩეულიშვილი, რეზო ამაშუკელი, გივი კარბელაშვილი, მიხეილ ქვლივიძე, ელადიმერ ალფენიძე, თამაზ გოდერძიშვილი, აგრეთვე მეცნიერების წარმომადგენლები პ. ზაქარაია, ლ. ალექსიძე, გ. ბაქრაძე, გ. ხუნწარია, ნ. კირვალიძე, ი. გერსამია და სხვები. ჩვენი და საზღვარგარეთელი პარტნიორების მუშაობა ახ-ლო მომავალში სწორედ მათი ნაწარმოებების შესწავლის და, მოწონების შემთხვევაში, გამოცემას დაეთმობა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ექსპოზიცია იყო ერთ-ერთი ყველაზე ინტერნაციონალური ექსპოზიცია. აქ ქართველი ავტორების გვერდით წარმოდგენილი იყო რუსი, აფ-ხაზი, ოსი, სომეხი და აზერბაიჯანელი ავტორების წიგნებიც.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ, გაფორმებული ხელშეკ-რულებების თანახმად ბულგარეთში გამოვა აფხაზეთის სახალხო პოეტის ბაგრატ შინქუბას ლექსები, აგრეთვე ცნობილი აფხაზი პოეტის ივანე თარბას ლექსები, ჩეხოსლოვაკიაში იდგმება ალექსი

არღუნისა და ელადიმერ ლინისკის პიესები, პოლონეთში გამოვჭიდათ 1840 წელს ლოზვიცის ნაწარმოებები. ცნობილი აფხაზი მწერლის „შალოდია“ აფინგალის რომანით „ჭრილობა“ დაინტერესდნენ სლოვაკიისა და ბულგარეთის გამომცემლობები.

საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნების ავტორთა მრავალი საინტერესო წიგნი გამოვა, რითაც ჩვენი მეგობრული კონტაქტები და შემოქმედებითი თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება. ასეთი საქმიანობა კი დიდად შეუწყობს ხელს კულტურულ ღირებულებათა გაცელის საპასუხისმგებლო პროცესს, ქართველი ივ-ტორების ფართოდ გასვლას საერთაშორისო სარბიელზე.

„გედი ქართლისა“ — ქართული კულტურის  
 პროპაგანდისტი

ქართულ-საზღვარგარეთული კულტურული ურთიერთობანი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იღებს სათავეს. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდა ქართულ-ევროპული კულტურული, მეცნიერული და ლიტერატურული კონტაქტები XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან. აქ უპირველეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ აკადემიკოსი მარი ბროსე, ქართველოლოგის მამამთავარი ეგროპაში. ფრანგ მეცნიერს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიის, ხელოვნების, ლიტერატურისა და ფოლკლორის შესწავლის საქმეში. წლების განმავლობაში იქვლევდა ქართული კულტურის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, აქვეყნებდა საკუთარ ნაშრომებს, ფრანგულ ენაზე თარგმნიდა ქართველი მეცნიერებისა და მწერლების ნაშრომებს და აცნობდა ცივილიზებულ ევროპას. მარი ბროსე იყო პირველი ქართველოლოგი, რომელმაც 1832 წელს დაწერა გამოკვლევა „ვეფხისტყოსანზე“ და ქართულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა ნაწყვეტები პოემიდან.

მაგრამ ბოლო დრომდე ქართველოლოგის არ გააჩნდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც საქართველოსთან დააკავშირებდა ქართული კულტურის შემსწავლელ უცხოელ მეცნიერებს. ღვაწლმოსილმა ინგლისელმა მეცნიერმა, ფუნდამენტური წიგნის „საქართველოს ისტორიის“ ავტორმა ვ. ე. ალენმა და ა. გუგუშვილმა 1935 წელს ლონდონში დააარსეს უურნალი „გორგია“, რომლის სულ სამი ნომერი გამოვიდა. 1937 წლის შემდეგ უურნალი აღარ გამოსულა, რაც მოახლოებულმა მსოფლიო ომმა განაპირობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კალავ დადგა დღის წესრიგში ასეთი სახის ბეჭდვითი ორგანოს შექმნის საკითხი.

1948 წელს პარიზში მოლვაწე კალისტრატე სალიამ და ნინო ქურციაშვილმა დააარსეს ქართველოლოგიური უურნალი „ბეჭი

ქართლისა“, რომელიც 1957 წლამდე ქართულ ენაზე გამოდიოდა და იყო მცირეფორმატიანი უურნალი, რომელსაც კითხულობდნენ მხოლოდ პარიზელი ქართველები, ფრანგულენოვანი სამყაროსათვის კი მიუწვდომელი იყო. უურნალში იბეჭდებოდა როგორც ლიტერატურული, რაც პოლიტიკური ხასიათის წერილები. ეგი ცოწყვეტილი იყო მშობლიურ ქვეყანას, სწორად ვერ აშუქებდა ქართულ სინაზდვილეს, ადგილი ჰქონდა დაბნეულობასა და შეცდომებს. შემდეგში მთ გაითვალისწინეს ეს გარემოება და 1957 წლიდან უურნალი გახდა სამეცნიერო, გადიდდა ფორმატი, ყოველწლიურად გამოდიოდა 360-გვერდიანი ტრანსკრიფციული „რევიუ დე ქარტველოლოგი“.

უურნალს აფინანსებდა საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-კულტურული ცენტრი. მისმა რედაქციამ საქმიანი კონტაქტები დამყარი მშობლიურ ქვეყანასთან და საზღვარგარეთის გამოჩენილ ქართველოლოგებთან. ეს იყო შემობრუნების პუნქტი საზღვარგარეთის ქართველოლოგიისა და კაცებისოლოგიის ბეჭდვითი საერთაშორისო ორგანიზმის შექმნის ისტორიაში. უურნალის სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები: რ. ლაფონი, უ. გარიტი, ი. ასფალგი, ფრ. გრაფენი, დ. მ. ლანგი, ირ. მელიქოვი, შ. მერსეი, უ. მელიორი, გ. პეჩი, კ. ჰ. შმიდტი და ჰ. ფოგტი.

რომა ქართველმა პატრიოტმა, კ. სალიამ და ნ. ქურციაშვილმა არ დაზოგეს თავიანთი ცოდნა და ენერგია იმისათვის, რომ უურნალი გამხდარიყო ავტორიტეტული მთელ მსოფლიოში. უურნალის დამარსებელთა დიდი დამსახურება ნათლად არის წარმოჩენილი საზღვარგარეთელი მეცნიერების ერთობლივ წერილში, რომელიც მიეძღვის პროფ. კალისტრატე სილიას დაბადების 70 წლისთვის იუბილეს. მა წერილში ვკითხულობდთ: „1971 წლის 28 აგვისტოს „რევიუ დე ქარტველოლოგის“ („ბეჭდი ქართლისას“) დირექტორ-დამარსებელს პროფესორ კალისტრატე სილიას დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით უურნალის სამეცნიერო საჭიროს საჭიროდ მიაჩნია, პატივი სცეს და ღვაწლმოსილ პროფესორს კვლავაც ხახგრძლივი მოღვაწეობა უსურვოს. ჩაც ესოდენ მნიშვნელოვანია ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის შესწავლისათვის საზღვარგარეთ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ, ქართველოლოგიით სერიოზულად დაინტერესებულთა რიცხვი საზღვარ-



კალისტრატე სალია და მისი მეუღლე ნინო ქუჩიშვილი

ვარგარეთ უმნიშვნელო იყო. საქართველო არ იყო მსოფლიო ას-  
პარეზზე წარმოდგენილი ისე, როგორც მის ისტორიას, წარსული-  
სა თუ დღევანდელობის კულტურულ სიმდიდრეს შეეფერებოდა.  
დღეს მდგომარეობა მკეთრად შეიცვალა. რაც დრო გადის, უფ-  
რო მეტი და მეტი ევროპელი თუ ამერიკელი მეცნიერი სწავლობს  
ქართულ და კავკასიის სხვა ხალხთა ენებს, ლიტერატურას, ისტო-  
რიასა და ხელოვნებას. ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლება  
მრავალ უნივერსიტეტში. მეცნიერული კვლევა-ძიება კავკასიური  
ენების დარგში ყველგან ვითარდება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი

როლი შეასრულა უურნალ „ბედი ქართლისას“ რედაქტორმა, რომელიც წლეულს ზეიმობს თავისი დაბადების 70 წლისთავს. 15 წლის წინათ, ამ ბეჭდებით ორგანოს საფუძველი რომ ჩაეყარა, მან შეძლო უურნალის ირგვლივ შემოეკრიბა ყველა ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, დაემყარებინა აუცილებელი კონტაქტები, რომლებიც თითქმის არ არსებობდა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ წარმოებულ კვლევა-ძიებას შორის და გაეღვიძებინა მეცნიერთა ინტერესი ამ ლეგენდარული და მომხიბლავი მხარის ცივილიზაციის უველა ასპექტის შესწავლისადმი.

კალისტრატე სალია განუშვებეტლივ ზრდიდა უურნალის მოცულობას, სრულყოფდა მის მხატვრულ გაფორმებას და განამტკიცებდა მეცნიერულ დონეს. დირექტორმა 64-ვერდიანი უურნალი გადააქცია საერთაშორისო სახელის მქონე დიდ სამეცნიერო გამოცემად, რომელიც მეცნიერულ სამყაროში აღიარებულია როგორც საზღვარგარეთის ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის აუცილებელი ბეჭდებითი ორგანო.

კალისტრატე სალია ეკროპისა და მექრიყის სამეცნიერო წრეებს აცნობს იმ მეცნიერულ მუშაობას, რომელიც წარმოებს საქართველოსა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აყალებიებსა და უნივერსიტეტებში, ჩრდილო კავკასიის ინსტიტუტში. ამ ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერები თანამშრომლობენ უურნალში, სადაც რეგულარულად ქვეყნდება მათი ნაშრომების მიმოხილვები და ბიბლიოგრაფიერი.

უნდა აღინიშნოს თვით კალისტრატე სალიას მნიშვნელოვანი შრომები საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე. ჩვენმა კოლეგამ და მეცნობარმა ამ წარმატებებს მიაღწია თავისი შესანიშნავი ერთგულებითა და დაულალავი ენერგიით, საფრანგეთის ეროვნული, სამეცნიერო-კულტურული ცენტრის დახმარებით, რის გამოც მას მაღლობას მოვახსენებთ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ იუბილარის მეულლის ნინო სალიას დამსახურებაც. ნინო სალია პირველი დღეებიდანვე დიდ დახმარებას უწევს უურნალს, ამასთან უურნალის ფურცლებზე აქვეყნებს სტატიებს. ორივე მოღვაწე მძიმე, მაგრამ ღირსეულ შრომას ეწევა ულილესი თვითვანწირვის ფასად, მათ უფლება აქვთ მიიღონ მაღლობა სამეცნიერო სამყაროსაგან, მათი მშობლიური ქვეყ-

ნისაგან, რომელთაც გულმოდგინედ და ერთგულად ემსახურქანისა და სტატიის ხელს აწერენ დასავლეთ ევროპის; ვამოჩენილი მეცნიერები რენე ლაფონი, უერარ გარიტი, იულიუს ასფალგი, ფრანსუა გრაფენი, დავით მარშალ ლანგი, ირენ მელიქოვი, შარლ მერსეი, გერბარდ მელიტორი, გერტრუდ პეჩი, კარლ-ჰორსტ შმიდტი და პანს ფოგტი.

„რევიუ კარტველოლოეის“ დიდ ავტორიტეტზე შეტყველებს მის შესახებ ქართველი და საზღვარგარეთელი მეცნიერების მოსაზრებანი. ფრანგი მეცნიერი რენე ლაფონი წერს: „ვარ ლინგვისტი და 1957 წლიდან ვთანამშრომლობ უურნალში „რევიუ და კარტველოლოეი“. მე შემიძლია შევადასო, თუ რა დიდ დახმარებას უწევს უურნალი ენათმეცნიერებს არა მხოლოდ ქართული და ქართველური ენების, არამედ მთლიანად კავკასიური ენების შესწავლის საქმეში. უურნალი ადგილს უთმობს აგრეთვე გამოკელებებს, რომლებიც ეხება ამ ენათ ურთიერობას სხვა ენებთან, სახელდობრ, ბასკურთან. აქვეყნებს საუკეთესო წერილებს საქართველოს მეცნიერულ, ეკონომიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაზე, აგრეთვე კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაზე.“

1966 წლის სექტემბერში დაახლოებით ერთი თვე დავყავით თბილიში, სადაც ვიგრძენი თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ლინგვისტები და, საერთოდ, ქართველი ინტელიგენცია ამ უურნალს. ეს უურნალი არის ორგანო, რომელიც კავშირებს ყველის. ვინც საქართველოსა და მის გარეთ, დასავლეთ ევროპაში მეცნიერულად სწავლობს კავკასიის ხალხთა ენასა და ლიტერატურას. ჩენ მაღლობას მოვახსენებთ კალისტრატე სალიასა და მის მეუღლეს ნინო ქურციკაშვილ-სალიას ამ უურნალის დაარსებისათვის, დღეს მთელი ობიექტურობით რომ აგრძელებენ უურნალის გამოცემას<sup>1</sup>.

გირმანელი მეცნიერი, ინის უნივერსიტეტის პროფესორი, გერტრუდ პეჩი, უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ფუძემდებელია. იგი წერს, რომ „ქართველოლოგიურმა უურნალმა შეამჭიდროვა სხვადასხვა ქვეყნის იზოლირებული ქართველოლოგები. ამ საქმეში

<sup>1</sup> „რევიუ და კარტველოლოეი“, ტომი XIX, 1971, გვ. 7-8. გადმოხმადა გაზ. „სამშობლომ“, № 11, 1971, 11 იქნის, ფრანგულიდან თარგმნა სერგო თურნავაშვილის.

<sup>2</sup> იქ 30, გვ. 82.

დღიდი დამსახურება პროფ. კ. სალიას და მის მეუღლეს ნ. სალიას  
ექუთვნით“<sup>3</sup>.

ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის  
საპატიო დოქტორი, პროფ. ჰანს ფოგტი წერს: „35 წელია, რაც  
ქართულის კვლევა დავიწყე. წინათ ამ დარგში მომუშავეთა ჩა-  
მოთვლა ხელის თითებზე შეიძლებოდა, ახლა მდგომარეობა ძირ-  
ფუსვიანად შეიცვალა. დღეს ქართულითა და სხვა კავკასიური ენე-  
ბით დაინტერესებულია მრავალი ენათმეცნიერი. უურნალმა მნიშ-  
ვნელოვანი როლი შეასრულა ამ მცმილეულებით. მან მიიზიდა ევ-  
რობის გამოჩენილი მეცნიერები, დააკავშირა ისინი საბჭოთა კავ-  
შირთან, კერძოდ, თბილისელ ენათმეცნიერებთან. ვუერთდები ყვე-  
ლას, ვინც პატივს სცემს და წარმატებას უსურვებს უურნალს. ჩვე-  
ნი პატივისცემა და მადლობა პროფ. კ. სალიას და ქალბატონ ნინო  
სალიას, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუტვით უურნალის დაარსება-  
სა და რედაქტირებაში<sup>4</sup>.

პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორი შარლ მერ-  
სიე ერთ-ერთ თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ 15 წლის მან-  
ძილზე გამოქვეყნებულ მასალებს თუ შევაჯამებთ, განციფრებული  
დაგრჩებით მისი შინაარსის სიმდიდრით. პროფესორი სთხოვს რე-  
დაქციას სისტემატურად გამოქვეყნდეს მასალები საქართველოზე.

უურნალს მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა მეცნიერებმა.

ბ. ულენტი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ პროფ.  
კალისტრატე და ნინო სალიებს დიდი წელილი შეაქვთ ქართული  
კულტურის მსოფლიო ასპარეზზე გატანის საქმეში.

პროფ. ი. მეგრელიძე სამირთლიანად წერს: „ნინო და კალე  
სალიებს უურნალის დაარსებისათვის ძელზე მცირე სახსრები ჰქონ-  
დათ, მაგრამ მონდომებამ, ზოგიერთთაგან მხარდაჭერამ, რედაქტო-  
რის საერთო განათლებამ და ორგანიზაციულმა უნარმა სიძნელეები  
გადალახა, უურნალი სისტემატურად გამოდის... საერთოდ კი ორ-  
განო ისეთი აკადემიურია და ქართველოლოგისა და კავკასიის-  
მცოდნეობის დარგებში იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ 1962  
წლიდან მას ნაწილობრივ საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-  
კვლევითი ცენტრი იფინანსებს.

<sup>3</sup> „რვეთ დე კარტელოლოება“, გ. XXVIII, 1971, გვ. 82.

<sup>4</sup> ი ქ ვ ე.



კალისტრატე სალია დაიბადა 1901 წლის 28 აგვისტოს ცუმურაშვილის სის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფ. ჯგალში (ამჟამად წალენჯიხის რაიონის სოფ. ლარა). დაამთავრა ჯგალის ორქლასიანი სასწავლებელი, შემდეგ ზუგდიდის დაწყებითი სასწავლებელი და 1916 წელს შევიდა ხაშურის გიმნაზიაში, რომლის დასრულების შემდეგ ბრუნდება მშობლიურ სოფელში და შვიდკლასიან სკოლაში მასწავლებლობს. 1919 წელს მისი ინიციატივით დაარსდა დაწყებითი სკოლა მედანის უბანში და ჯგალის სასოფლო კოოპერატივი მეპაიეთა ანგარიშზე.

1920 წელს კ. სალია უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტია, 1922 წელს მიღის ბერლინში. აქ იგი ჩაირიცხა უნივერსიტეტთან ასეუბულ გერმანული ენისა და ლიტერატურის თანამდებობის მსოლოდ ხეთში დამთავრა. მე ხეთს შორის იყვნენ კალე და კიდევ ორი ქართველი. შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 1924 წელს გადადის პარიზში და ამთავრებს სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს. 1927 წელს წარმატებით იცავს ბაკალავრის დიპლომს. პარიზში კალისტრატე ვაეცნო რუსეთიდან 1924 წელს ჩამოსულ ნინო ქურციკაშვილს. შეუღლების დღიდან ისინი ერთად ეწევიან მეცნიერულ და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

იქვე უნდა აღინიშვნოს, რომ კალისტრატე სალია თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ყოველთვის როდი იდგა სწორ პოზიციებზე. იყო პერიოდი, როდესაც მის ცხოვრებაში იდგილი ჰქონდა შეცდომებს, დაბნეულობას, გაუგებრიბას... ნამდვილ მეცნიერულ მოღვაწეობასა და ქართველი ხალხის და სამშობლოს სამსახურს, შეიძლება ითქვას, სათავე დაედო იმ დღიდან, როდესაც 1957 წელს მისი ხელმძღვანელობით „რევიუ და კარტველოლოგის“ ნომერი გამოვიდა<sup>5</sup>.

უურნალის მიზანდასახულობის, მისი მრავალმხრივობისა და ჰეშაბრიტად მეცნიერული ხასიათის ნათელსაყოფად მოკლედ შევხებით ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებს, რომ-

<sup>5</sup> ი. მეგრელიძე, „კალისტრატე სალია“, „სამშობლო“, 1971, 13 აგვისტო.

# BEDI KARTLISA

revue de kartvélologie

VOL. XLII

ÉTUDES GÉORGIENNES ET CAUCASIENNES

PUBLIÉE AVEC LE CONCOURS

DU CENTRE NATIONAL

DE LA RECHERCHE SCIENTIFIQUE

მეცნიერება  
ისტორიული 1985  
ეთნოგრაფიული  
სოფია  
ამინისტრი  
ს. კარავაშვილი  
Paris 1984

„ბედი ქართლისას“ ბოლო ნომრის გარეკანი

ლებიც წლების განმავლობაში იქცევდებოდა ამ უურნალის კულტურული ძეგლები.

მეითხეველის ყურადღებას იქცევს პროფ. კ. სალიას სტატიები, რომელიც უურნალში ქვეყნდებოდა ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე; რუსთაველზე, გურამიმევილზე, ნ. ბაჩათაშვილზე, გრ. ორბელიანზე, ალ. ჭავჭავაძეზე, ილია ჭავჭავაძეზე, ავაკი წერეთელზე, რ. ერისთავზე, გ. ერისთავზე, ალ. ყაზბეგზე, გ. ტაბიძეზე, ი. აბაშიძეზე, გ. აბაშიძეზე, ტ. ტაბიძეზე, კ. გამსახურდიაზე, დ. კლიაშვილზე, გ. ლეონიძეზე და სხვ.

თავის ვრცელ სტატიაში „ქართული ლიტერატურა“, რომელიც დაიბეჭდა 1963 წლის XV ტომში, პროფ. კ. სალია უცხოელ მეითხეველს მოუთხრობს ქართული ლიტერატურის განვითარების გზებზე მეტუთ საუკუნიდან დღემდე. როგორც ნაშრომშიან ჩანს, მკვლევარს ბევრი უცხოური და ქართული წყარო შეუსწავლია. ავტორი უპირველეს ყოვლისა მსჯელობს ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხებზე. ამავე დროს ქეროვან ყურადღებას აქცევს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების გზებს.

კ. სალია ლაპარაკობს ნ. ბაჩათაშვილის პოეზიის მსოფლიო მნიშვნელობაზე, ორიგინალობასა და კეთილმყოფელ გავლენაზე, რაც მისმა შემოქმედებამ მომდევნო პერიოდის პარტებზე მოახდინა. „ნიკოლოზ ბართაშვილი, — წერს იგი, — ახალ ქართულ ლიტერატურაში ყველაზე თვალსაჩინო და ყველაზე ორიგინალური წარმომადგენელია რომანტიზმისა. მისი შემოქმედება წარმომადგენს ახალ ეტაპს ქართული პოეზიის განვითარებაში, იგი ნოვატორია ვერ-სიფიკაციის დარგში. ნ. ბაჩათაშვილმა გაამდიდრა პოეტური სამყარო ახალი იდეებით, პოეზიაში შემოიტანა სიახლე და ორიგინალობა“.

საფრანგეთში ქართველოლოგის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ხალხის დიდ მეგობარს პროფ. რენე ლაფონს (1899—1974). მან მრავალი ნაშრომი გამოიქვეყნა უურნალის ფურცლებზე. ყურადღებას იქცევს მისი ვრცელი გამოკვლევა „ქართული ენის უკეთ შესწავლისათვის“, რომელიც დაიბეჭდა უურნალის ოთხ ნომერში (1958—1963). ავტორი მიზნად ისახავს ფრანგ ზალხს გააცნოს ქართული ენის სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა. ლაფონს მიაჩნია, რომ ქართულ ენს მარტო საფრანგეთში კი არ უნდა იცნობდნენ, არამედ ნოელ ევროპაში, რადგან ქართული ენა ძალიან ლამაზი, ლიტერატურით მდიდარი ენაა. რომლის საშუალებით

თამაშად შეიძლება იდამიანის ყველა გრძნობისა და იდეის გამოხატვა. იგი წერს: „ამერიკან ძალიან საჭიროა, რომ ქართული ენა გახდეს ცნობილი არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში, რადგან იგი ამას იმსახურებს“.

რენე ლაფონი დიდი ინტერესით გამოეხმაურა არნოლდ ჩიქობავას ფუნდამენტურ წიგნს „იბერიულ-კავკასიურ ენათა სწავლების ისტორია“. „იმისათვის, რომ გავიგოთ, — წერს ლაფონი, — თუ რა დიდი მეცნიერული მუშაობა წარმოებს ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს დედაქალაქ თბილისში, საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ, უნდა წავიკითხოთ არნოლდ ჩიქობავას ახალი წიგნი, „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“. ლაფონი აღნიშნავს, რომ არნოლდ ჩიქობავა უყურადღებოდ არ ტოვებს კივებისური ენების არცერთ ჯგუფს, წესრიგში მოჰყავს მთელი სამეცნიერო მუშაობა და უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ზოგადი და ისტორიული ენათმეცნიერების განვითარებას.

უურნალის 1973 წლის XXXI ტომში გამოქვეყნდა რენე ლაფონის რეცენზია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტიურ ნაშრომზე „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, სადაც იგი წერს: „წიგნში წარმოდგენილია ძალიან მდიდარი მასალა, რომელიც ერთხელ კიდევ შეახსენებს ქართველებს მათ მოვალეობას, როგორ უნდა დაიცვან თავიანთი მშობლიური ენა. რა თქმა უნდა, ნაშრომი ენათმეცნიერთა ინტერესს აღძრავს. მასში წარმოდგენილი სტატიები ბევრ სასაჩვენებლო რჩევას აძლევს მქითხველს. მეორე მხრივ წიგნი ძალიან შთამაგონებელია ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს“.

ქართველობოვის განვითარებაში საზღვარგარეთ დიდი წვლილი შეაქვს ბელგიელ მეცნიერს, პროფ. უერარ გარიტს, რომელმაც გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ნაშრომები ქართული ლიტერატურის საკითხებზე: „სინა მთის ქართული ხელნაწერები“, „ქართული ლიტერატურა და შუასაუკუნეების კულტურის ისტორია“, „კორნელი კაეკილიძის ნაშრომების ბიბლიოგრაფია“, „ავაკა უინიძის ნაშრომების ბიბლიოგრაფია“, „აკაკი შანიძე ქართველობოვის მამამთავარი“, „ძეველი ქართული ენის ძეგლები“ და სხვ.

პროფ. კ. სალიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „უერარ გარიტმა უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას. პროფესორი დაუღალავად, განსაკუთრებული სიყვარულით, ზუსტი მეცნიერუ-

ლო მეთოდებითა და პუნქტუალობით ეწევა მეცნიერულ მუშაობას, მტკერს აცლის ღიღმდე უცნობ ხელნაწერებს, აცნობს მათ უცხო-ელ ხალხს და ამით დიდი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის პრობლემების შესწავლის საქმეში".<sup>6</sup>

ექვე უნდა შევნიშნოთ, რომ პროფ. კ. სალია დიდ ყურადღებას აქცევს საზღვარგარეთ მომუშავე ქართველოლოგებს, უწევს სა-თანადო კონსულტაციებს ქართული კულტურის ამა თუ იმ საკითხზე.

1970 წლის 30 მარტის ერთ-ერთ წერილში პროფ. კ. სალია ამ სტრიქონების აცტორს სწერს: „ძალიან გამიხარდა, რომ ყერარ გა-რიტხედაც გინდათ წიგნი დაწეროთ. როგორც უკვე გაცნობეთ, მან დიდი ღვაწლი გასწია ქართული კულტურის წინაშე... უცხო მკვლე-ვარს მოვლა უნდა, ამ მხრივ ჩვენ დიდი მუშაობა გავწიეთ, ხოლო თქვენი მხრივ მათთვის განსაკუთრებული ყურადღების მიერცაა საჭირო, იგი ქართული ლიტერატურის უდიდესი მკვლევარია და-სავლეთში“.

პროფ. უ. გარიტი 1950 წელს ამერიკელ მეცნიერებთან ერ-თად იყო სინას მთაზე, სადაც დაკყო 26 თებერვლიდან 11 მაისამდე. ბეღგიელ მეცნიერს, როგორც ამერიკის ექსპედიციის წევრს, უფ-ლება პქონდა სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში გადაე-ღო ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმი. ამ საუნჯემ მიზიდა მსოფ-ლიოს გამოჩენილი მეცნიერები: ქართველოლოგები, კავკასიონლო-გები, ბიზანტიოლოგები, ორიენტალისტები და სხვანი. ამ მიზნის შესასრულებლად პროფ. უ. გარიტი ბევრი დაბრკოლების გადაახ-ვა მოუხდა; 75 დღის განმავლობაში უდიდესი მუშაობა შეასრულა, შეისწავლა აღმოსავლური ფონდები და გადაიღო მიკროფილმები, რომელთა საერთო სიგრძე 35 კილომეტრს აღწევს, განსაკუთრებული ამაგი დასძლო ქართულ ხელნაწერთა შესწავლის საქმეს. შეისწავლა აქ არსებული 85 ქართული ხელნაწერი, დათარიღებული X—XI საუკუნეებით. აღწერა ქართული ხელნაწერები, თარგმნა ფრანგულ-ლათინურ ენებზე და დაურთო კომენტარები. ნაშრომმა მსოფლიოს მეცნიერთა ინტერესი აღძრა.

უ. გარიტი აღნიშნავს, თუ მისი ნაშრომი ოდნავ სამსახურს მა-ინც გაუწევს სპეციალისტებს, თავს ბედნიერად ჩათვლის, რად-გან წლების განმავლობაში გაწეულმა შრომამ უქმად არ ჩაიარა.

<sup>6</sup> „რევიუ დე კარტველოლოგი“, VI ტ. 1959 წ.

„ქართული ეკუნიკურის“ დავალებით 1957 წელს ქ. გარიტი მონაცილეობაში სუეცის ექსპედიციაში, რათა გაეგო, რა მდგომარეობა იყო: ისრა-ელის ოკუპაციის შემდეგ მონაცილება და ბიბლიოთეკებში. ამ ორი ექსპედიციის შედეგად ქ. გარიტი ჩამოიტანა ძვირფასი ფო-ტოსურათები და დოკუმენტები. გამოსცა სინას შთის ხელნაწერთა აღწერილობა. ქართულ ტექსტს თან ერთვის ლათინური თარგმანი. ამით მან ქართული ხელნაწერები მისაწვდომი გახდა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ბიზანტიოლოგების. პატროლოგებისა და სახარების მსახურთათვისაც, რომელთაც ქართული ენა არ ეს-მოთ.

საინტერესოა ქ. გარიტის ნაშრომი აკაკი შანიძეზე. მკვლევარი დიდ ადგილს უთმობს ქართველი მეცნიერის ნაშრომების ანალიზს, სადაც ჩანს, უცხოელმა მკვლევარმა როგორ ზედმიწევნით იცის ქართული ენა და ლიტერატურა, ღრმად შეუსწავლია ქართველი მეცნიერებისა და მწერლების ნაშრომები. იგი ხახს უსვამს. აკაკი შანიძის დამსახურებას და ამბობს: „აკაკი შანიძემ ნახევარი საუკუნის მეცნიერული მუშაობის პროცესში დიდი სახელი მოიხვეჭა ენათმეცნიერებისა და ქართული ფილოლოგიის ყველა დარგში... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი შანიძე არის პიონერი ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის ყველა დარგში. მისთვის არაფერია უცნობი ისეთ დარგებში, როგორიცაა თანამედროვე ქართული ენათმეცნიერება, ძველი ქართული ტექსტების გამოკვლევა და გამოცემა, პალეოგრაფია და ეპიგრაფია, ენის ეტიმოლოგია და ისტორია, ქართული და ქართველური დიალექტოლოგია (ლაზ-მეგრული და სვანური), ლექსიკა, ალბანოლოგია, პოპულარული ლიტერატურა და ფოლკლორი, ქართული ენისა და ლიტერატურის პე-დაგოგიკა<sup>7</sup>.

ურნალში სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი ჰანს ფოგტი, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით მუშაობს მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემებშე. იგი მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში აღიარებული ქართველოლოგი და კავკასიოლოგია. მას დღემდე გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე ღილაკი აღინიშნა: „ქართული ენის გრამატიკა“, „ქართული გრამატი-

<sup>7</sup> პროფ. ერიარ გარიტი, „აკაკი შანიძე — ქართველოლოგის მამამთავარი“, „რევიუ დე კარტეგელოლოგი“, 1968, ტ. XXV.

ქის ესკიზი“, „ვოკალური მონაცვლეობა ქართულ ენაში“<sup>162</sup>, გათა სისტემა ძევლ ქართულში“, „ი. სტელინი ენათმეცნიერების შესახებ“ და ბევრი სხვა.

ჰანს ფოგტმა თვირდანცე შესანიშნავდ შეისწავლა ქართული, სომხური, უბისური, კავკასიური ენები, მათ შორის ძევლი ქართული (მასწავლებელი ილია აბულაძე), მეგრული (მასწავლებელი მაკარ ხუბუა), სეანური (მასწავლებელი ვარლამ თოფურია).

ჰანს ფოგტმა 1971 წელს ოსლოში ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნი „ქართული ენა“, რომლის წინასიტყვაობაში წერს: „მე ვისარგებლე აკაკი შანიძის ნაშრომებით, ნაშრომს საფუძვლად დაედო მის მიერ 1942—43 წლებში გამოცემული გრამატიკის პრინციპები და 1955 და 1962 წლებში გამოცემული გრამატიკები. მე მეცნიერისაგან, რომელიც ჩემი მასწავლებელი იყო და დღეს კი მეგობარია, დიდად ვარ დავალებული, თითქმის მთელ წიგნში მისი გავლენა ჩანს, თვით იქაც კი, სადაც მისი შრომებიდან პირდაპირ ციტატა არ მომყავს და აგრეთვე იქაც, სადაც მე სხვა თვალსაზრისის ვარ, ვიღრე ჩემი მასწავლებელი“.

აღნიშნული წიგნი ეძღვნება პროფ. ილია აბულაძის ხსოვნას.

მკვლევარი უცხოელ მკითხველს აწევდის ზოგიერთ ცნობას ქართული ენის შესახებ. იგი წერს, რომ ქართული ენა არის ერთად-ერთი ენა, რომელსაც აქვს განუწყვეტილი ლოტერატურული ტრადიცია ჩვენი წელთაღრიცხვის მეტუთე საუკუნიდან დღემდე“. განიხილავს ძევლი და ახალი ქართულის განვითარების ეტაპებს, წარმოაჩენს ამ საქმეში ი. ჭავჭავაძის. აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის დიდ დამსახურებას.

ჰანს ფოგტის წიგნი დაწერილია საკულტური ობიექტის კარგი ცოდნით. წიგნმა სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნდა მრავალი რეცენზია, რომელთა ავტორებმა მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს. „პროფ. ჸ. ფოგტმა, — წერს რენე ლაფონი, — ძალიან კარგად შეასრულა დასახული მიზანი, არავართველ ლინგვისტებს გააცნო ქართული ენის სტრუქტურა. წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ქართულ, კავკასიურ და ზოგად ენათმეცნიერებას. პირადად ჩვენ დიდი ინტერესით წავიკითხეთ წიგნი, რომელმაც მომავლა დღეები, რომლებიც ჰანს ფოგტთან ერთად გავატარე თბილისში 1966 წლის სექტემბერში ქართველ

მეცნიერთა შორის, საქართველოს დიდი ეროვნული პოეტის, შოთა რუსთაველის 800 წლისთავის დღესასწაულის დროს“.

უურნალის ფურცლებზე სხვადასხვა დროს სტატიებს აქვთ ნებდნენ უცხოელი ქართველოლოგები პაინც ფენრიხი, იულიუს ასფალგი, ჰერტრუდ ჰეჩი, კარლ-ჰორსტ შმიდტი, ვინფრიდ ბოედერი, მიშელ ვან ესბროკი, რობერ ტრიომფი, იან ბრაუნი, ლაიონ ტარდი, იერომირ იედლიჩკა, რობერტ სტივენსონი, ქეთრინ ვიგიანი, დევიდ მარშალ ლანგი, ჯორჯ ჰიუიტი, რუთ ნოიკომი, იოლანდა მარშევი, ლეა ფლური და სხვანი.

უურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ მეცნიერები საქართველოდან: კ. კეკელიძე, გ. წერეთელი, ა. შანიძე, გ. ბერიძე, ალ. ბარამიძე, ა. ჩიქობავა, შ. ძირიგური, შ. ამირანაშვილი, თ. გამყრელიძე, ი. შეგრელიძე, ი. ძმინაშვილი, გ. ბუაჩიძე, ი. ქვეთარაძე, ა. გამერელია, ა. კიზირია, ს. თურნავა, გ. იმედაშვილი, ს. სერებრიაკოვი, ა. მაჭიმეტოვი, ქ. ლომთათიძე, ა. მარტინოსოვი, ბ. ფოჩხუა, გ. ბედოშვილი, ს. ცარშვილი, გ. შარაძე, ს. ყუბანენიშვილი, ე. ხინთიბიძე, ი. ტაბაღუა, გ. თოფურია, ღ. ფანჩულიძე, ს. წულაძე, ი. აბაშიძე და ბევრი სხვა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს საზღვარგარეთ ქართველოლოგის განვითარების საქმეში, ბევრი უცხოელი ქართველოლოგი აღისარდა მათ ნაშრომებზე.

მოკლედ მიმოვისილავთ 1975—1977 წლების ნომრებს, რომლებიც ნათლად ჩანს უურნალის დაზი წვლილი, რომელიც მან შეიტანა ქართველოლოგთა შემჭიდროების საქმეში.

1975 წლის ნომერი იხსნება დად. ა. ჩიქობავის სტატიით „რენე ლაფონი ბასკოლოგი-კავკასიოლოგი და თანამედროვე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ამოცანები“. იგი მიმოიხილებს პროფ. რ. ლაფონის მთავარ ნაშრომებს და აღნიშვნას: „მთავარი ამოცანა ქართველი კავკასიოლოგებისა ისა, რომ შეკვეთით იბერიულ-კავკასიური ენების შეცნერული ასტორია... ამ დარგში წარმატებანი გვაქვს, მაგრამ თანამიმდევრული მუშაობა ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიდის. ამ მხრივ საჭიროა მეტი უურადლება. საქმე ისაა; რომ დღეს გვანალიზოთ ბასკოლოგებთან ერთად მუშაობის საფუძველი. ბასკურ-კავკასიური ენების საკითხებზე“.

უურნალის დამარტებული ნინო სალია თავის წერილში-მკითხველს აცნობს აწ განსვენებული აკად. შ. ამირანაშვილის ცხოვრებასა

და მოღვაწეობას. ავტორი ლაპარაკობს ქართველი მეცნიერის ნაშრომების უდიდეს მნიშვნელობაზე. აგრეთვე შ. ამირანაშვილის იმ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა დაცვისა და მსოფლიო ორენაზე გატანის საქმეში.

შემოქმედი და მეცნიერი გასტონ ბუაჩიძე მიმოიხილავს ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის დარგს და ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებს.

უურნალში დაბეჭდილია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის გასტონ ბუაჩიძისეული ფრანგული თარგმანი. საყურადღებოა თარგმანის სიზუსტე, მთარგმნელს შესაფერისი შესატყვისებით გადმოულია ფრანგულ ენაზე დედნის რიტმი და საზომი. იმ თარგმანში დედნის შესაბამისად ყოველი სტროფის ტაქტი გარითმულია.

ყურადღებას იქცევს გერმანული მეცნიერი ქალის, პროფ. გერტუდ პეჩის რეცენზიები სამი ქართველი მეცნიერის ნაშრომებზე, ესენია: პროფ. შოთა რევიშვილის „ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობაზი“, პროფ. მარიამ ლორთქიფანიძის „XI საუკუნის დასასრულის და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორია“, და ვ. ბარდაველიძის „აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციულ-საზოგადოებრივი საკულტო ძეგლები“.

ევე უნდა შენიშნოთ, რომ 1975 წელს გამოიცა „რევიუ დე კარტველოლოგის“ სპეციალური ნომერი ინგლისურ ენაზე. ამ ნომერში გამოქვეყნებულია ძირითადი ცნობები საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ქართული ლიტერატურის, ხელოვების საკითხებზე იმ მიზნით, რომ უცხოურ ენციკლოპედიათა, ლექსიკონთა და სხვა ამგვარ პუბლიკაციათა ავტორებს ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეთ ქართული ცავილიზაციის შესახებ. „დიდი ხანია შემჩნეული გვაქვს, — ნათვამია ამ სპეციალური ნომრის შესავალში, — რომ მრავალ პუბლიკაციაში საქართველოს ისტორიულ წარსულს არ უკავია სათანადო აღვილი. უფრო სერიოზულია ის გარემოება, რომ ხშირად დამახინჯებულად არის წარმოდგენილი მასალები საქართველოს შესახებ. ამგვარ მცდარ ინფორმაციათა თავიდან ასაცილებლად და დასავლეთის სამყროსათვის ქართული ცივილიზაციის უკეთ გაცნობის მიზნით ვაჭვეყნებთ ჩვენ ამ გამოცემას“.

სტატია საქართველოს გეოგრაფიის შესახებ დაწერილია ნინო სალიას მიერ, რომელსაც ამ მიზნით გამოუყენებია საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „საქართველოს ატლასი“, „საპჰოთა საქართველო“, ა. ნ. ჯავახიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“ და სხვა.

საქართველოს ისტორიის მოქლე კურსი დასაბამიდან დღემდე დაწერილია პროფ. კ. სალიას მიერ. ნარკვევს თან ერთვის ქართველ მეფეთა გენეალოგია და ბიბლიოგრაფია ქართულ და უცხოურ ენებზე. ასევე პროფ. კ. სალიას მიერ არის დაწერილი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოქლე კურსი. ქართველ საბჭოთა შრე-ჩალთაგან მოცემულია ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის ცხოვრება-შემოქმედება. ნარკვევი ქართული ხელოვნების შესახებ უკუთვნის აყად. ვახტანგ ბერიძეს, ქართული ხალხური მუსიკის შესახებ—პარიზის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეს ივეტ გრიმოს, პროფესიონალური მუსიკის შესახებ — გრიგოლ ჩხიფაძეს, ალნიშნული ნომრისათვის მასალების დიდი ნაწილი ფრანგულიდან ინგლისურად თარგმნა მწერალმა და მთარგმნელმა ქეთრინ ვივიან-მა. ქ. ვივიანი ამ უურნალის ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდა საინტერესო სტატიებს ქართული ლიტერატურის საკითხებზე. მრავალი სტატია მიუძღვნა „ვეფხისტყაოსანს“, თარგმნა იგი ინგლისურად და მაღალი შეფასება დაიმსახურა. ასევე მრავალი სტატია აქვს გამოქვეყნებული პროფ. დევიდ მარშალ ლანგს.

1976 წლის XXIV ტომი იხსნება დიდი ქართველი მწერლის კ. გამსახურდიას შთამაგნებელი ფოტოსურათით, რომელიც გადაღებულია სკეტიცხოვლის ფონზე. მწერალი ზის სკამზე და გასცერის მიდამოს. სურათს ქვემოთ აყინდს მწერლის სიტყვები ფრანგულ და ქართულ ენებზე: „ყველაფერი, რაც შემიქმნია ჩვენი ქრის სახელოვანი წარსულის სადიდებლად, განკუთვნილია ჩვენი ხალხის დღვენდელი დღისა და მისი მომავლისათვის, რომლის მედაფდაფედ და მეაბჯრედ მომაქვს კიდეც თავი.“

უურნალის რედაქტირა იქვე უცხოელ მკითხველს აუწყებს, რომ 1975 წლის 17 ივლისს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი რომანისტი კონსტანტინე გამსახურდია.

საყურადღებოა ახალგაზრდა ქართველოლოგის, ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურის სპეციალისტის დონ ბერნარ უტიგის ბიბლიოგრაფია-მიმოხილვები და რეცენზიები. მან ვრცელი რეცენზია მიუძღვნა აკაკი შანიძის გამოკველევას „ეტლთა და შვილთა

მნათობთათვის“ (ასტროლოგიური თხზულება), რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის.

რეცენზიაში იგი იღნიშნავს, რომ აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ 1924 წელს გამოსცა „თარგმანები ქებისა ქებათათისაც“, რომელიც წარმოდგენილია XII საუკუნის ხელნაწერში მხედრული ასოებით. „დღეს ეს დაულალვი მკვლევარი კვლავ დაუბრუნდა იმავე ხელნაწერს და გამოსცა პატარა „ასტროლოგიური თხზულება“... ეს არის ბრწყინვალე ნაშრომი თავისი ილუსტრაციებით და ვრცელი გამოკვლევით“.

უტიო ეხმანება აგრეთვე ვახტანგ მეექვსის დაბადების 300 წლისთვეს. იგი უცხოელ მკითხველებს აუწყებს, რომ თბილისის ხელნაწერთა ინტიტუტში მოეწყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა დღიდან სახელმწიფო მოღვაწისა და მწერლის ვახტანგ მეექვსის დაბადების 300 წლისთვეს, ე. მეტრეველმა და ვ. ბერიძემ შეადგნენს აღბომი, სადაც ოფალსაჩინოდაა წარმოდგეხილი ვახტანგ მეექვსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მთავარი ღოვანენტები. აქვთ აღვნიშნავთ, რომ პროფ. ბ. უტიო იკვლევს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ეფრემის ტექსტები და სირიული ნაწარმოები (პატერიკი), ძველი ქართული ლექციონარი და ლიტურგიკული ხელნაწერები. მასონანავე მუშაობს ძველი ქართული ენის ლექსიკონის უდაგნაზე.

მეტად სიგულისხმოა ჩიქაგოს უნივერსიტეტის პროფესორის ჰივარდ არონსონის გამოკვლევა „ბრუნვისა და სუბიექტის სემანტიკური ანალიზი ძველ ქართულში“.

პროფ. კ. სალიას სტატიაში ვახტანგ მეექვსის დაბადების 300 წლისთვათან დაკავშირებით გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: საქართველოს სამეფოს დაშლა XVII საუკუნეში, ხალხის ბრძოლა თურქებისა და ირანელების წინააღმდეგ. ვახტანგ მეექვსე და მისი ბრძოლა ქვეყნის განთავისუფლებისათვის სპარსეთის გავლენისაგან, სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია საფრანგეთში ლუდოვიკ XIV-სთან, მეფე ვახტანგის მიმოწერა თავის ელჩთან, ლუდოვიკ XIV-თან და რომის პაპთან.

1977 წლის ნომერი იხსნება აკაკი შანიძის პორტრეტით, მას ამშვენებს წარწერა „დაბადების 90 წლისთავის გამო“. აქვე მოთავსებულია თვითონ აკაკი შანიძის წერილი უცხოეთში მცხოვრები ქართველებისადმი. ქართველი მცნიერი ახალგაზრდა უცხოელ

თანამეშამულებს მოუწოდებს ქართული წერა-კითხვის შესწავლა-საკენ. იუბილარს მისასალმებელი სიტყვით მიმართავს რედაქცია და სამეცნიერო საბჭო.

შ. ძიძიგური, გ. რამიშვილი და კ. პ. შმიდტი თავიანთ წერილში უცხოელ მკითხველებს მოუთხრობენ დიდი ქართველი მეცნიერების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

საყურადღებო ი. გრიმოს სტატია „ქართული კოკალური შუსიკა, უღრადი დოკუმენტები, შექრებილი და დაწერილი სიჩართველოში“, რომელიც ვატორის მიერ 1967 წელს საქართველოში ქართული ხალხური მუსიკის შესწავლა-შეჯამებას წარმოადგენს.

მ. დუბირერი თავის სტატიაში ეხება შულგარეთში ქართულა კულტურის კერის ბაქეოგოს მონასტრის ისტორიას.

დ. ბ. უტიეს სტატიაში გაანალიზებულია „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, „მრავალთავი“, ი. აბულაძის „თხზულებანი“, ი. იმნაიშვილის „სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი“, ზ. სარჯველაძის „სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები“, ალ. ლორიასა და ნ. გურგენიძის „საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში“. გარდა ამისა, აქ დაბეჭდილია თვითონ ბერნარ უტიეს გამოკვლევა „თბილისური ხელნაწერი A — 249“. პროფ. ე. მეტრეველს მკვლევრისათვის მოუწოდებია აღნიშნული ხელნაწერის მიკროფილმი, საიდანაც გაუკეთებია ფოტოპირები და დაუწერია საყურადღებო გამოკვლევა, რომელიც უსათუოდ მკვლევართა ინტერესს გამოიწვევს.

ახალგაზრდა ქართველობის, ბელგიელი მეცნიერის მიშელ ვან ესბროკის გამოკვლევაში „ლიდას კვლესიის ისტორია ორ ქართულ ტექსტში“, ჩანს, რომ კარგად შეუსწავლია ეს ძეგლი ძეგლი და მას V—VI საუკუნეებს მიაკუთხნებს. უნდა აღინიშნოს, რომ ესბროკი 1975 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ქართული ჰომილიები“. პროფ. ე. მეტრეველი წერს: „მიშელ ესბროკის ნაშრომი, პირველი მონოგრაფიაა ქართულ მრავალთავებზე. ეს ნაშრომი შესანიშნავად წარმოგვიჩნენს ამ ძეგლის დიდ მნიშვნელობას არა მხოლოდ ძეგლი ქართული ლიტერატურული და ბატრისტიკული ლიტერატურის, არამედ პროტობიზანტიურის შესწავლის საქმეში“<sup>2</sup>.

უკრნალში ფართოდ არის წარმოდგენილი აწ განსვენებული მწერლის, მეცნიერისა და მთარგმნელის—სერგი წულაძის მიერ ფრან-

<sup>2</sup> „რევიუ და ქარტეველოლოები“, ტ. XXXV, 1977.



გულ ენაზე თარგმნილი ქართული ლიტერატურის ნიმუშები ეყრდნობა უკუნიდან დღემდე — „წამება წმინდისა დელფილისა შუშანჩერისა“, „თამარიანი“, „აბოს წამებაა“, ვაჟა-ფშაველას, ვ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ი. აბაშიძისა და გრ. აბაშიძის ლექსები.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ცნობილი უნგრელი ქართველო-ლოგის პროფ. ლ. ტარდის გამოკვლევა — „იოპან შიონერისა და მის მიმდევართა მიერ შედგენილი რუკების უნგრულ-ქართული ას-კეტები XVI საუკუნის პირველ ნახევარში“.

ასევე საყურადღებოა პროფ. პოვარდ არონსონის გამოკვლევა „ქართული ბრუნვის ფუნქციის ფორმალური კორელაციები“, მიძღვნილი ქართული ენის საკითხებისადმი. აქევე უნდა შევნიშნოთ, რომ პროფ. პ. არონსონი 1977 წლის დეკემბერში იყო თბილისში, ბინაზე ეწვია თავის მეგობარ პროფ. ი. იდოროვ გვარჯალაძეს, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია ქართული ზმინის საკითხებზე და დამსწრე ქართველ მეცნიერთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. როგორც პროფ. ლ. ღლონტი აღნიშნავს, ქართული ენის სახელმძღვანელო, რომელიც პროფ. არონსონს დაუწერია უცხოელი სტუდენტებისათვის, შედგენილია საქმის კარგი ცოდნით და ღად დახმარებას გაუწევს ქართული ენის უცხოელ შემსწავლელთ.

უურნალში მრავალი სტატია აქვს გამოქვეყნებული თვალსაჩინო ინგლისელ მეცნიერსა და მთარგმნელს — პროფ. რობერტ სტივენსონს. მას ინგლისურ ენაზე თარგმნილი აქვს „ამირან-დარევანიანი“, რომელსაც თან ახლავს უაღრესად სერიოზული ხასიათის გამოკვლევა და შენიშვნები. 1977 წელს იუნესკოს დაკვეთით რ. სტივენსონმა ამერიკაში გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური პროგრამისათვის თარგმანი, რომელსაც წამდლვარებული აქვს მისი გამოკვლევა და დართული აქვს სამი ნარკვევი რუსთაველის პოემის ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხზე. თარგმანში იშვიათი სიზუტოზ ირის გადატანილი „ვეფხისტყაოსნის“ აზრები და მხატვრული სახეები“. „რევიუ დე კარტეველოლოკის“ ფურცლებზე პროფ. რ. სტივენსონმა რამდენიმე სტატია მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე თარგმნის საკითხებს, კერძოდ, განიხილავს პოემის სახომისა და რითმის, მეტაფორებისა და სპეციფიკური რეალიების ინგლისურ შესატყვისებს.

უურნალის უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 1984 წელს, დასრულდა ივი 1984 წლით. ივი იხსნება საქართველოს მეცნიერების 168

რებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკად. ე. ხარაძის წერილით, რომელიც გაუგზავნა უურნალ „ბედი ქართლისას“ რედაქტორ-გამომცემელს პროფ. ქ. სალიას იმასთან დაკავშირებით, რომ 1983 წლის 13 ოქტომბერს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საბატიო წევრად. აქვე მოთავსებულია პროფ ქ. სალიას საბასუხო წერილი, რომელშიც მაღლობას უხდის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას სერი დაფასებისა და ნდობისათვის.

აქვე დაბეჭდილია აკადი შანიძის წერილი, რომელშიც ავტორი ქ. სალიას ულოცავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საბატიო წევრად არჩევას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

ნოდარ დუმბაძის წერილი „ნათელი სახე“ ეხება აწ განსვენებულ მეცნიერსა და მწერალს პავლე ინგოროვას, მის დიდ დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე.

აკად. ვ. ბერიძე თავის გამოკვლევაში „ქართული არქიტექტურა გარდამივალ ბერიოდში (VII საუკუნის შუა წლები და X სულუნის მეორე ნახევარი)“ ეხება გარდამივალ ბერიოდში ქართული არქიტექტურის განვითარების ეტაპებს.

პროფ. მიშელ ვან ესბროკი გამოკვლევაში „ტრაქტატი დესექტის“ განიხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ლეილა დათიაშვილის ნაშრომს „თედორე აბუკურას ტრაქტატები და დიალოგები თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ“, პროფ. მიშელ ვან ესბროკი თავის მეორე წერილში ეხება 1983 წელს თბილისში გამართული მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობას. მზექალა შანიძის სტატიაში „ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი იოანე ოქროპირისეულად მიჩნეულ პომილიათა კრებულში“ აღწერილია თონიური ხელნაწერი № 6, რომელიც დღემდე არ ყოფილა დაწვრილებით აღწერილი. ავტორის მიერ გამოვლინებულია 17 თხზულება, რომლებიც იოანე ოქროპირს მიეწერება და რომლებიც დღემდე ქართულ თარგმანებში ცნობილი არ იყო.

პროფ. ქ. სალია თავის გამოსათხოვარ სტატიაში „ქართული ლიტერატურა“ — განიხილავს ქართული ლიტერატურის განვითარების გზებს მეხუთე საუკუნიდან დღემდე.

თ. სანიკიძე განიხილავს უფლისციის ისტორიას.

ა. ევე მკითხველის ყურადღებას იქცევს სხვა მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული სტატიები ხელოვნებისა და ლიტერატურის მიშ-

ენელოვან საქითხებშე, ასეთებია: ც. ქურციკიძისა და ნ. ქაჯიაშვილის „შედგენილობისათვის“, გ. ნინუას „ფსევდო მაკარის თხზუჭებათა ქართული ვერსია“, ს. დიუფრენის „სანთლის გამოსახულება მირქმის სცენაში ქართულ მხატვრობაში“, ლ. მაგაროტოს „სპარსელი მხატვრის ქაჯარის გვლენა ლ. გულიაშვილის ნახატებში“, მ. დერიბერეს „საქართველოს საუნკენები და ისტორია“, მისი მეორე ნაშრომი „ბაირალი და მონლოლთა ჭვარი საქართველოში“. ჰ. ლიჩინის „ვენეციური ხელნაწერები სულთან მურას საქართველოში მესამე ლაშქრობისას“ (XV საუკუნე), მ. ინაძის „კოლხეთის ბერძნება კოლონიზაცია“, ნ. კაგაბაძის „ავსტრია-საქართველოს კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობანი“, ნ. ტიერის „ქართული მხატვრობა თურქეთში“, მისივე მეორე სტატია „პროტო-ბიზანტიური საცეცხლური ლაგურკის ეკლესიაში (ხელოვნების განძეულობის შესახებ სვანეთში)“, ზ. კიგნაძის „ქართლის მოქცევის ფოლკლორული ვარიანტები“, კ. ჰიჩინის „კავკასიელი ალბანელები და არაბეთის სახალიფო VII—VIII საუკუნეებში“, ბერნარ უტიეს „არსებობდა თუ არა ძველ ქართულში სიტყვა „რია“? ლ. მაგაროტოს „მანიფესტები უურნალ „ცისფერ ყანწერში“.

საუკურადლებოა ოლდენბურგის (გფრ) უნივერსიტეტის პროფესორის ვინფრიდ ბოედერის რეცენზიები სათაურით „წიგნები საქართველოდან“, რომლებშიც ავტორი ეხება აკაკი შანიძის, სერგი ჯიქიას, ალექსანდრე ლლონტის, ნათელა ქუთელიას, მერი დამენიას ნაშრომებს. ჩვენი გერმანელი კოლეგა, ქართული კულტურის დიდი მეგობარი, თავის რეცენზიებში ამჟღავნებს ძველი და ახალი ქართულის კარგ ცოდნას, გვაძლევს აღნიშნული ნაშრომების ღრმა მეცნიერულ ანალიზს. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი მეცნიერების ნაშრომებს, ამავე დროს აკეთებს ზოგიერთ შენიშვნასც.

ამრიგად, 1957 წლიდან 1984 წლის ჩათვლით, 27 წლის განმავლობაში გამოვიდა უურნალის 42 ტომი. მან დიდი როლი შეასრულა საზღვარგარეთული ქართველობობის განვითარების საქმეში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კალისტრატე და ნინო სალიებს მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა აქვთ, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ წიგნებს. მათ არც ბიბლიოფილის წმინდა ვალი

დაივიწყეს — პირადი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ჩართონ ზოგადობრივ სარგებლობაში. პირადი ბიბლიოთეკის საუკეთესო ნაწილი — 1400 წიგნი საჩუქრად გადასცეს ქართველ ხალხს. მათ შორის მრავალი წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ქართველ მეცნიერებს ისეთი უნიკალური წიგნები, როგორიცაა: „ექტა სანქტორუმის“ 69 ტომი, რომელშიც თავმოყრილია შუა საუკუნეების პაგიოგრაფიულ ძეგლთა უმეტესი ნაწილი, იმანე ოქროპირის თხზულებათა 20 ტომი, გრავილ ნოსელის 8 ტომი, ეკლესიის ისტორიის, ძევლ ბერძნ ძვერალთა და ფილოსოფოსთა თხზულებანი, ფილოლოგიისა და ლიტერატურის ლექსიკონები და მრავალი სხვა.

სამწუხაროდ უურნალის რედაქტორ-გამომცემლებს კალისტრატე და ნინო სალიებს ჯანმრთელობა ხელს არ უწყობთ განაგრძონ უურნალის გამოცემა. მაგრამ საზღვარგარეთის ქართველოლოგებმა, პარიზში გამართულ თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გააგრძელებენ „ბედი ქართლისას“ ტრადიციებს. 1985 წელს უურნალი გამოვიდა სხვა სახელწოდებით „Revue des études géorgienne et caucasiennes“. (ქართული და კავკასიური ეტიუდების უურნალი).

**რედაქციის განვითარება:** ეს სტატია მზად იყო დასაბეჭდად, რომ პარიზიდან მივიღეთ სამწუხარო ცნობა, 1986 წლის ივნისში, 84 წლის ასაკში კალისტრატე სალია გარდაიცვალა.

## ლუიჯი მაგაროთი — გალაკტიონის მთარგმენტი

ამ ცოტა ხნის წინათ, გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტუმბა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პატარა კრებული. იგი ორენოვანია — ქართულის პარალელურად დაბეჭდილია იტალიური თარგმანები. კრებული ლამაზად არის გაფორმებული (მხატვარი გ. ლომიძე).

როგორც ცნობილია, თავისი შემოქმედებით, იდეური სიღრმთა, განუმეორებელი მაღალმხატვრულობითა და კიდევ უფრო ძნელად, სათარგმნი პოეტური ხერხებითა და ნიუანსებით, გალაკტიონი „უთარგმნელი“ მგოსნების კატეგორიას განეკუთენება ძნელია გალაკტიონის პოეტური მეტყველების სხეა ენაზე თარგმნა, რადგან ამ შედევრების აულერებისათვის საჭიროა მისი ლექსების მუსიკალურ-ინტონაციური ნიუანსების ზედმიწევნით ცოდნა და დაცვა. თარგმნა, მოგეხსენებათ, საპატიო საქმეცაა და დიდი გარსაც, განსაკუთრებით როცა პოეზიასთან გვაქვს საქმე. თარგმანის ენა ისეთივე ბუნებრივი და ექსპრესიული უნდა იყოს, როგორც ორივინალის ენაა. ეს სიძნელეები კი განსაკუთრებით იჩენს თავს გალაკტიონის ლექსების თარგმნისას, რომლებშიც „ინფორმაციის მიმმა ღვთაებრივი ღიმილი და სილამაზის თრთოლვაა“<sup>1</sup>.

ბევრმა პოეტმა გამოსცადა ეს თავისთავზე, ვინც კი მისი ლექსების თარგმნას „შეეჭიდა“. ჩვენში გალაკტიონის რუსულად ორგმნის დიდი ტრადიცია არსებობს (ი. ანტონოვსკი, ნ. ტიბონვი, ნ. ზაბოლოვცი, ა. მეუროვი, ბ. ოკუჯავა, ვლ. ლეონოვიჩი, ბ. ახმადულანა, ვლ. ვოლოვოი). აი, ეს არასრული სია რუსი მთარგმელებისა. მაგრამ მიუხედავად მათი გარჯისა, კვლავ ითვლება, რომ საკავშირო მკითხველისათვის გალაკტიონის პოეზიის გაცნობა მოშევლის საქმეა. მეტად საინტერესოა თვით გალაკტიო-

<sup>1</sup> ს. უორდანია, კრიტიკა, 1979, გვ. 3.

ნის აზრი მისი ლექსების თარგმანებზე: უნდა ითქვას, რომ პოეტი შეიცნობის სიცოცხლეში შესრულებული არც ერთი ლექსის თარგმანი არაა შემოწმებული გალაკტიონს, მათ უმეტეს, როგორც თეოთონ აღნიშნავდა, პირველად მასვე შეუგულიანებია ლ. მეუიროვი ეთარგმნა მისი ლექსები. თითქოს გალაკტიონს პასუხობდნა, მეუიროვა დაწერა: «Поэзия вовеки непереводима, родному языку верна».

შემდეგ გალაკტიონი ჯერ კიდევ ყმაშვილ ბულატ ოკუჭავას შეხმიანებია თავის თარგმანებზე, მაგრამ არც მისი ნათარგმნი მოსწონებია. გამონაკლის შეადგენს ერთი თარგმანი, რომელიც ეკუთვნის 20—30-იანი წლების ცნობილ მთარგმნელ ქალს ე. შერს (ელენე შერვაშიძეს). ესაა „ლურჯა ცხენების“ თარგმანი, რომელშიც შენარჩუნებულია გალაკტიონის ლექსის არა მარტო მხატვრულ სახეთა სისტემა, არამედ თვით ეკუთვნიაც კი, რაც ძალზე იშვიათი შემთხვევაა პოეტური თარგმანის იტორიაში!¹

მოძმე რესპუბლიკებს შორის გალაკტიონი მხოლოდ უკრაინულ ენაზეა თარგმნილი. მისი ლექსების თარგმანები ეკუთვნის ქართველ პოეტს რაულ ჩილაჩავას. როგორც რეცენზიებიდან ჩანს, თარგმანი მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული. ამაში პოეტს უდავოდ დახმარა როგორც მშობლიური ენის, ასევე უკრაინულის კარგი კოდნა.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოქლებული არ იქნება ცნობილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის მოვნობა გალაკტიონზე. თურმე ერთხელ, ვერაზე შეხვედრია პოეტს, წიგნის მაღაზიასთან, სადაც ნოდარ დუმბაძეს სუშინისა და ლერმონტოვის ქართული გამოცემები უნდა შეეძინა. ამაზე გალკტიონს უთქვას: „პუშკინი, ლერმონტოვი და ტოლსტოი რუსულად უნდა იყიდხო, ძამიკო, გალაკტიონი კი ქართულად, მხოლოდ ქართულად“.

გ. ტაბიძის პოეზიამ კარგა ხანია გალაბიჯა ჩენი ქვეყნის საზღვრებს. მისი ლექსები ითარგმნა უცხო ენებზეც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტია ნათარგმნი ფრანგულ ენაზე — 68 ლექსი და 2 პოემა (მთარგმნელი ნატალია ავალიანი). ამ ლექსების ნაწილი დაიბეჭდა უურნ. „საბჭოთა კავშირ-ბელგიაში“.

გალაკტიონის ლექსები გერმანულად თარგმნა ცნობილმა მთარგმნელმა ადოლფ ენდლერმა. საინტერესოა მისი მოსაზრება გალაკტიონის შემოქმედებაზე: „არ იცოდე ქართული ენა და მარნც

<sup>1</sup> გულბათ ტორაძე, მოგონებები...



ჩასწედე გალაკტიონის პოეზიის სიღრმესა და მშვენიერებას კავშირის  
სათვის საჭიროა ბორის პასტერნაკის მსგავსი პოეტური ენტერა-  
ციის ადამიანი<sup>3</sup>. დონალდ რეიფილდმა ინგლისურად თარგმნა ვალაკ-  
ტიონის 10 ლექსი. გალაკტიონის ერთი ლექსი უთარგმნიათ პო-  
ლანდიურ ენაზეც (მთარგმნელები ლეილენის (ნიდერლანდები)  
უნივერსიტეტის ასპირანტები: ვიმ ლუკაშენი და ალბერტ ტარე-  
ველდი). ეს ასპირანტები აფხაზურს სწავლობენ, მიტომ შეცხმერე-  
ბიათ თავიანთი ორჩევანი ლექსზე: „გამარჯობა, აფხაზეთო, უნი“.

იტალიაში პირველად 1977 წელს გაიყლა ვალაკტიონის სახელ-  
მა გამ. „უნიტას“ ფურცლებზე<sup>4</sup>. ამ გაზეთის სპეციალურ კორეს-  
პონდენტთან მოკიოვში დინო ბერნანდინთან ინტერვიუში ბელატ  
ოკუპაციამ, კითხვაზე: „ვინ მიგაჩნია ჩვენი დროის ყველაზე დიდ  
პოეტიდ“-ო, უყოფანოდ უპისუხა: „ჩვენი დროის ყველაზე დიდ  
პოეტიდ მე კოვლი გალაკტიონ ტაბიძეს“!

უკვე 1978 წელს კი იტალიელმა ქართველოლოგმა ლუიჯი მა-  
გაროტომ თარგმნა გ. ტაბიძის 19 ლექსი და დაბეჭდა კიდევ ცენ-  
ციის უნივერსიტეტის ანალებში (1978 წ. XV. IX).


დღეს ლუიჯი მაგაროტო ერთ-ერთი ჟკელაზე პოპულარული  
ქართველოლოგია ევროპაში. მან შემდეგშიც იყვრი რამ გააკეთა ქა-  
რთული ლიტერატურის შესწავლის საქმეშიც.

ლუიჯი მაგაროტო დაიბადა 1942 წლის 15 სექტემბერს, ქ. პა-  
ლუაში. იგი ამჟამად ენეციის უნივერსიტეტის დოცენტია. თავდა-  
პირველად იყო სლავისტი. მუშაობდა XX საუკუნის რუსი მწერ-  
ლების შემოქმედებაზე. მუშაობის დროს წაწყდა მიმოწერას ქარ-  
თველ მწერლებთან და დაინტერესდა ქართული ლიტერატურით.  
ასელა იგი რუსულ და ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის  
ენეციის უნივერსიტეტში. საქართველოში სტაუირების მიზნით  
ჩამოდის თრ წელიწადში ერთხელ. მისი ქართული ენის მასწავლებ-  
ლები არიან თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტები  
ნია აბესაძე და შუქია აფრიდონიძე.

ლუიჯი მაგაროტო ერთ-ერთი ორგანიზატორია ამიერკავკასიის  
კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმისა, რომელიც  
ჩატარდა 1979 წ. იტალიის ქალაქებში ბარსა და ლეჩეში. იგი

<sup>3</sup> გამ. „უნიტა“, 1977, 6 ოქტომბერი.

<sup>4</sup> „კეთილი გრძნობის პოეტი“. „ლიტერატურული საქართველო“, 1977,  
22. XI. თარგმანი ჩვენა (ს. ს.)



ლაური შაგაროტო თბილისში

ქართული ხელოვნების III სიმპოზიუმზე წარსდგა მოხსენებით:  
 „იტალიელი მხატვრები გ. ტაბიძის პოეტურ ქრომატიზმში“.

ენეციის მარჩანას ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მუშაობისას ლუიჯი მაგაროტომ მიაკვლია XVIII ს. გამოუქვეყნებელ ქართული ენის ხელნაწერ გრამატიკას, რომელიც დაიბეჭდა „იბერიულ-კავკასიურ წელიწდეულში“ 1979 წელს. მაგაროტოს შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს წთელი რიგი საინტერესო ნაშრომები, მიძღვნილი ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი, სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნა წერილები, გამოსცა ცალკეული წეგნები. მას უმუშავია ნ. ბარათაშვრლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა შემოქმედებაზე, ქართველი მხატვრებიდან კარგად იცნობს ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბეძის შემოქმედებას. ამჟამად მუშაობს რლიას შემოქმედებაზე და ემზადება ილიას იუბილეში მონაწილეობის მისაღებად. მომავალში დაგეგმილი აქვს აკაკის პოეზიაზე მუშაობა. ასე, რომ დიდი შემოქმედებითი გეგმები აქვს იტალიელ ქართველობას. ვთიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველთათვის მისი პირველი ინტერვიუ, რომელიც დაიბეჭდა „კომუნისტში“ 1977 წლის 13 მარტს. ინტერვიუ მიჰყავდა ლ. ხუბულურს.



„გადავწყვიტე ჩემი თანამემამულეებისათვის გამეცნობიგლობურა ტიონის ბოლოზია. ამ მიზნით დავიწყე ქართული ენის შესწავლა. იტალიაში ქართული ენის შესწავლა ადვილი არ არის. თბილისშივე დავიწყე გ. ტაბიძის ლექსების თარგმნა. ამ საქმეში მეხმარებოდა ნია აბესაძე. დავიწყე იგრეთვე სხვა პოეტების — ტიციან ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის ლექსების თარგმნა. ლექსების იტალიურად გაპოეტურებაში მეხმარებოდა ფარულობის დეკანი გან რობერტო სკარჩა“.

პირველად 1981 წლის იანვარში გამოჩნდა თბილისში ლუიჯი მაგაროტოსეული იტალიური თარგმანები, რომლებიც დაბეჭდილი იყო ზემოთ დასახელებულ ანალებში. ლექსების თარგმანს წინ უძლოდა მეტად საგულისხმო მეცნიერული ნაშრომი „ავანგარდიზმი და კლასიკურობა გალაკტიონის პოეზიაში“. ამით მეცნიერმა იტალიული მკითხველი შეამზადა გალაკტიონის პოეზიის გასაცნობად. გალაკტიონის რთული პოეტური სამყაროს აღსაქმელად ეს აუცილებლად ჩათვალი ლუიჯი მაგაროტომ. ნაშრომი არ სცილდება საყველთაოდ აღიარებულ მოდელს, მასში განხილულია გ. ტაბიძის შემოქმედების გენეზისი თანმიმდევრობით. ნაშრომიდან ჩანს, რომ ვიდრე ლექსების თარგმნას შეუდგებოდა, მაგაროტოს ზედმიწევნით კარგად შეუსწავლია გალაკტიონის შემოქმედება. მეცნიერს წაუკითხავს ჩვენს ლიტერატურაში არსებული კრიტიკული მასალაც ამა თუ იმ ნაწარმოებზე, რაც უდავოდ დაეხმარა მთარგმნელს თავისი საქმის აღსრულებაში. ამ ნაშრომის წერისას იგი დაყრდნობია ცნობილი გალაკტიონოლოგების შოსახრებებს, გულდასმით გასცნობია დ. ბენაშვილის, გ. ასათიანის, გ. მარგველაშვილის, ირ. კენჭოშვილის, აკ. ხინთიძისის, მ. ანთაძის, თ. ჩხერიელის, ლ. სტურუას და სხვ. შრომებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის აღლო იმ მრავალრიცხვანი, ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებებიდან გ. ტაბიძის სიმბოლისტობის შესახებ, რომელიც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ეურნალ-გაზეთებში. მის სასარგებლოდ უნდა აღვინიშნოთ, რომ აჯამებს რა ყოველივეს, იგი წერს თავის ნაშრომებში: „გალაკტიონშია ფრთხილად გაიზიარა ცისფერყანწელების იდეები და თავისი საქციელით, რაც ასე დამახასიათებელი იყო მისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე, სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა მიმართ, დაიწყო საკუთარი ავტონომიის ძიება, თითქოს გამოცალევდა, რასაც კარ-



გად შეესატყვეისებოდა ტიციონ ტაბიძის მიერ შეტქმეული ეპითეტი „მარტობის ორდენის კავალერი“. ლუიზი მაგაროტო ნაშრომში ლაპარაკობს გალაკტიონის იმ უთარგმნელ ენობრივ ფენომენზე, როგორიცაა დიალექტიზმების, ნეოლოგიზმებისა და სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხმარება. სევე საინტერესოა მეცნიერის მსჯელობა ფერებზე, რომელშიც ჩანს ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიციების ჟარგონი ცოდნა.

— „...როგორც დავით კაკაბაძის გეომეტრიული ფორმის ფასული ნები იმერეთის ციკლიდან, ისე გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება გახვეულია სუსტ ქრომატიზმში, რაც გამოხატულია მის პოეზიაში ფოლკლორულ ფერთა მუსიკით და ბგერწერის ფერადოვნებით“. შემდეგ იგი აგრძელებს მსჯელობას: „ფერი, რომელიც თან სდევდა მის პოეზიას მთელი სიცოცხლის მანძილზე, იყო ცისფერი, ალებული არა მხოლოდ სიმბოლისტთა (განსაკუთრებით მალარმე) ტრადიციისაგან, არამედ დაფუძნებული და მტკიცედ ფეხმოქიდებული ქართული ლიტერატურული ტრადიციისგან, თუმცა სულ სხვა მნიშვნელობით. მაგალითად, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ცისფერი ფიზიკური და სულიერი ტკივილის გამომხატველი ფერია, მაგრამ XV საუკუნის შემდეგ, განსაკუთრებით, ნ. ბარათაშვილის პოეზიაში, ქიმერის ფერი ხდება, აუხდენელი ოცნების, მისწრაფებების. იგი პოეტური იღეალის ფერია. ასევეა ტაბიძესთანაც, ვისთვისაც ლურჯი, ცისფერი, ლაქვარდისფერი შესაძლოა იყოს ცხოვრება და ოცნება, სიჩრუმე და მოვონება, მანდილი და ქარი და სხვ.“ ეს იყო ლუიზი მაგაროვროს პირველი ნაშრომი გალაკტიონზე. ჩანს, აეტორს კვლავ გაუგრძელებია მუშაობა, რასაც მოწმობს უკვე თბილისში, გამომცემლობა „მეცნიერებაში“ გამოსაცემი კრებულისთვის საგანგებოდ დაწერილი წინასიტყვაობა — „დაკარგული მშვენიერების ძიებაში“, აქ უკვე იგრძნობა პროფესიონალი ლიტერატურათმცოდნის სტილი, საყითხის ღრმა ცოდნა და სათქმელის ლაკონურად გამოთქმის უნარი. ჩენი აზრით, ასე ლაკონურად და სრულყოფილად გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების დახასიათება, მისი პოეტური სამყაროსათვის ნიშანდობლივი იღნიუვნით, სამაგალითოა. ამაზე ლაპარაკობს ოსტატურად მიგნებული სათაური, რაც ზუსტად გამოხატავს გალაკტიონის შემოქმედების არსის. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ციტატს წინასიტვაობიდან:

„სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა ბობოქარ და მღელვარე ცხოვრებას განრიდებული, ავანგარდისტული ექსპერიმენტების მიმართ გულვრილი, ყოველგვარი შემოქმედებითი კამათებისა და შეხლა-შემოხლისაგან განმდგარი და გამოუვალი მარტონობით ხშირად მისტიკიზმამდე მისული გალაკტიონ ტაბიძე შეუპოვრად მიიღოტვის ეპოქის ესთეტიკური და ზნეობრივი ნორმე-



ბის ერთიანობისაკენ, რადგან სიყმაწვილიდანვე დაისახა მიზნად ერთოვანული შემსრულებელი გამოიყენებოდა. მართლაც, ლექსი ხდება მისი ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრი და მესაიდუმლე. მის შემოქმედებაში ბობოქობს სრულყოფილ პოეტურ მელიტაციებში გამოვლენილი, ტანჯვა-კაეშნით ნასაზრდოები მგზნებარე, ახალგაზრდული ენებები. პირველი პოეტური ცდებით მოგვრილი მწარე ნაღველი და უსასოო სევდა გალაკტიონ ტაბიძეს იმ ბუნდოვანი, და ამავე დროს, მაცაუნებელი ესთეტიკური სამყაროსაკენ მიაქანებს, სადაც გაბატონებული იყო სპლინი, სევდა, უიმედობა და ბოროტება, მაგრამ თანდათანობით პოეტი სძლევს ბედისწერას, ახალ გზას ეძიებს და მისთვის სასიცოცხლო მხატვრულ პარმონიას აგნებს, მიზნად ისახავს მიაღწიოს კლასიკური პოეზიის ერთ-ერთ პრინციპზე — მშვენიერებაზე დამყარებულ უმაღლეს პოეტურობას...“

„...განაკუთრებით ოღნიშვნის ღირსია მეორე უმთავრესი პრინციპი, რასაც გ. ტაბიძის პოეტური სისტემა ეფუძნება — ესაა მუსიკალური ეფექტი. აყი ამის შესახებ თავადვე დაუდიანად აცხადებს „მანიფესტში“: „ვმღეროდი დამთვრალ ყვავილთა მტვერში, ვმღეროდი ტრფობის ან მტრობის ხმაზე, მსურდა ყოველში ღა ყველაფერში, მუსიკა, გრძნობა და სილამაზე“.

და მართლაც, არ შეიძლება არ დაევთანხმოთ მეცნიერს, იშვათად თუ ვინმეს მიუნიჭებია ქართული ლექსისთვის ისეთი მუსიკალობა, როგორც ეს გალაკტიონ ტაბიძემ შესძლო. მის ფრაზაში უფაქიზეს მუსიკალურ ჩხევებთან ერთად ორგანულადაა შერწყმული უნაკლო ვიზუალური ხატები, რაც ჰეშმარიტი პოეზიის ერთ-ერთ იშვიათ თვისებას წარმოადგენს. როგორი გაუგებარიც არ უნდა იყოს გალაკტიონის ლექსი, მისი შედევრები მაინც არ კარგავენ ზემოქმედების უნარს. ამის საიდუმლო კი მათ მუსიკალურობაში უნდა გვძიოთ. გალაკტიონი „აბსოლუტური სმენის“ პოეტია, მისი პოეზია მუსიკალობით ბადალია მის მიერვე ლექსებში მოხსენიებული კომპოზიტორების — ბეთჰოვენისა და მოცარტის, ვაგნერისა და ვერდის, შოპენისა და პაგანინის მუსიკალური ქმნილებებისა. ამ „აბსოლუტური სმენის“ გამო შეეძლო ისე მკაცრად მოქცეოდა ენას, როგორც კომპოზიტორი ექცეოდა ბგერებს. საინტერესოა თვითონ გალაკტიონის აზრი სკუთარი ლექსების მუსი-



კაზე: „(იგი დღიურის სახით აქვს ჩაწერილი ს. ცაიშვილს) 1961-ია  
წლის 2 თებერვალს ქართველ მწერალთა ერთ-ერთ სესიაზე, გა-  
ლაგტონს უთქვას: „ჩემი აზრით, დიდად სცდებინ ისინი, ვინც  
მე მაიაკოვსკს მადარებსო. ჩემი პოეტური ბუნება უფრო ახლოა  
ბლოკთან (დაუსახელებია კიდევ რომელიდაც ფრანგი თუ ინგლი-  
სელი პოეტი). მე ვფიქრობ, რომ საგნებს აქვთ თავისი მუსიკა და  
პოეტმა სწორედ მათ უნდა მიაგნოს და შესაფერისად აახმიანოს,  
რასაც შეძლებისამებრ მე ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ  
კიდევო. ხოლო მაიაკოვსკი, ეს მისი უეჭველი თვისება იყო, უვე-  
ლაფერს უმორჩილებდა მისსავე ხმას, საკუთარ ინტრინაციასთ“.  
პოეტის ეს მოსახრება ნიშანდობლივია და ორიენტირადაც გამოდ-  
გება მისი ლექსის მოწესრიგებულობის კვლევის დროს. ცნობილი  
მთარგმნელი ვლ. ლეონოვიჩი წერდა გალაკტიონზე: «Он создал  
музыкальную летопись эпохи». მასც ეკუთვნის შედარება:  
«У Галактиона звук целомудрен, как резец у всезнающего  
Микеланджело».

წინასიტყვაობაში ლ. მაგაროტო აღნიშნავს: „ჩენ ვცდილობ-  
დით თარგმანში გადავვეტანა რიტმის კოლორიტი და ლექსიკური  
მხარე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო და თავი აგვერიდებინა  
გ. ტაბიძისათვის დამახასიათებელი ცალკეული სემანტიკური თუ  
ფრაზეოლოგიური მიგნებების ტექსტში მექანიკურად გადატანი-  
სათვის, რაშიც მდგომარეობს პოეტის სიდიადე, და ეს იმ მიზნით,  
რომ ამ ცალკეული ეპიზოდური გადაწყვეტით ზიანი არ მიგევყენე-  
ბინა უფრო ღირებულისათვის. თარგმანის ეს გზა ავირჩიუ, რად-  
გან ეხელმძღვანელობ ჟ. მუნენის პრინციპით, რომელიც ყველა  
მთარგმნელს ურჩევს: „უპირველეს ყოვლისა, პოეზიის ერთგულე-  
ბა“. ჩვენც ამ პრინციპით შევუდგებით მაგაროტოსეული თარგმა-  
ნის ანალიზს.

ცნობილია, რომ გალაკტიონის პოეტურ სახეთა დიდი ნაწილი  
შედარების პრინციპზეა აგებული. ბევრი ლექსი სათაურშივე შე-  
იცავს შედარებას — „სილაურდე ანუ ვარდი სილაში“. ამავე  
ლექსში ბედნიერად მიგნებული შედარებაა: „დედაო ღვთისავ, მზეო  
მარიამ!“ შედარებით იწყება გალაკტიონის არაერთი ლექსი, მაგ-  
„როგორც ნისლის ნამქერი“, „ვით ცეცხლის ხეტიალი“, „რო-  
გორც ბედის ტრიალი“, ანდა „მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი,



ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“. პოეტი ხშირად ფრაზიდან გამოკვეთულ ყოფს სიტყვას და მის განსაკუთრებულ ქადაგში ახდენს მართლა ასევე გასამების ჩვეულებას, რაც ასე ფეხმოქიდებულია ქართულ ყოფასა თუ ზეპირსიტყვიერებაში, გალაკტიონის რიტმსა და სემანტიკაში კომპოზიციური ფუნქცია ქვეს დაკისრებული. ერთიმეორის მიყოლებით სამი ეპითეტი, სამი სინონიმი, სამჯერ გამორებული ერთი და იგივე სიტყვა მთლიანობისა და დასრულებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. სამწუხაროდ, ეს ხშირად გაუთვალისწინებელია თარგმანში, რითაც თარგმანი ნამდვილად ავებს. რითმას მთარგმნელი ყურადღებას არ აქცევს, ოღონდ თითქმის მის ყველა ლექსში ცდილობს შეინარჩუნოს რიტმი, რის შედეგადაც ზოგჯერ მიღწეულია „მსგავსება“ გალაკტიონის ლექსთან, რასაც, ალბათ, რტალიური ენის მუსიკალობაც უწყობს ხელს. მთარგმნელი ცდილობს შეინარჩუნოს აზრი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თარგმანი ნაკლებ პოვტური გამოდის. მაგალითად, გალაკტიონი: „სიო არხევს და ატოვებს, ჩემს სარქმლის წინ იასამანს“. ლ. მაგაროტო: „მსუბუქი ნიავისაგან ირხევიან იასამნის ტოტები“. გალაკტიონის ორი სინონიმის „არხევს“ და „ატოვებს“ ნაცვლად მხოლოდ ერთის ხმარება, რა თქმა უნდა, თარგმანს ვნებს, რადგან აქ იგი გალაკტიონისთვის უბრალო ტავტოლოგია კი არ არის, არამედ მისი პოეტიკის დამახასიათებელი ნიშანი, რაც, სამწუხაროდ, თარგმანში დაიკარგა. ასევე დაიკარგა სიტყვები „ჩემს სარქმლის წინ“.

ლ. მაგაროტო ხშირად ისტრაფვის გადმოსცეს ლექსის მუსიკა და ინტონაცია, პოეტის განწყობილება. ხინდახან შეიძლება მთარგმნელს მოუხდეს რაიმეს გამოტოვება ან სიტყვის სხვა სიტყვით შეცვლა, მაგრამ თარგმანში შექმნილი ხატი თუ სურათი ცდილობს ორიგინალის ბადალი იყოს. გალაკტიონი: „მწარე და ძეირფასი ორობის საათია“. მაგაროტო: „მწარე ცოდვის საათია“. გამოტოვებულია სიტყვა „ძეირფასი“, მაგრამ კარგად მიგნებული შესატყვისთ „ცოდვის საათია“ თარგმანი გადმოსცემს დედნის აზრსაც და განწყობილებასაც.

ლექსში „უსიყვარულოდ“, მთარგმნელს უცდია თავიდანვე დაეჭირა ლექსის ინტონაცია, ამისათვის პირველ სტრიქონს, რომელიც სათაურის გამეორებას წარმოადგენს, უმატებს სიტყვა „სინიორეს“, ამით ლექსმა მოიგო, თარგმანიც უფრო ლაღად იყითხება და თანაც სიტყვა „სინიორე“ კარგად შეეწყვილა „ამორეს“. სიტ-



ყვა „სინიორებს“ ჩამატება თითქოს აზოგადებს გალაკტიონის აზრს და ლექსს მეტ სიცხოველეს მატებს. „სიო არ დაპერის, ჰუკერის კრთება სასიჩარულოდ“ დამეთანხმებით, უცხოელისთვის ძალზე ძნელი სათარგმნია ლ. მაგაროტო ვეთავაზობს: „სიო ჩუმდება და ტყე წყვეტს ბედნიერ შრიალს“, როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, აზრობრივი სიზუსტე დაცულია, ოლონდ ნაკლებ პოეტურია. ვენეციის ანალებში გამოქვეყნებულ თარგმანებში ლექსი „მერი“-ს სა-იაური იყო „მარი“. მაგრამ ეს თავდაპირველად გალაკტიონის დედნიდან ყოფილია აღებული. პოეტს სურდა, ალბათ, ამით თავისი სულის გოდებისა და უსაზღვრო მწუხარებისათვის ზოგადსაყაცობრიო ხსიათი მიენიჭებინა და მსოფლიო სევდის სილრმედე იყვანა ივი. შემდეგ ვარიანტებში ქართულად დაწერილი სახელწოდება მიგვანიშენებს, რომ ნაციონალური ბუნების ვათვალისწინება სრულიად არ გამორიცხავდა სატრფოს დაკარგვით გამოწვეული სევდისა და მწუხარების ზოგადსაყაცობრიო მნიშვნელობას. ამით აიხსნება შემდეგ ვარიანტებში სათაურის შეცვლა. ამის შესაბამისად მეორე გამოცემაში მაგაროტოც ცვლის სათაურს. ეს ლექსი სავსეა მეტაფორული შედარებებით. უცხოელი მთარგმნელისათვის, ალბათ, ძალზე ძნელი გადასატანი იქნებოდა მის ენაზე გალაკტიონის მომხიბვლელ სიტყვათა ფერწერის მღელვარე დინამიკა, რაც ამ ლექსი ყველაზე მეტად ახასიათებს. მაგალითად, დაკარგა თარგმანში „მაგ თვალთა კვდომა“, „სანდომიან ცის ელვა და ფერი“. მაგრამ არაჩვეულებრივი ექსპრესიონა გადმოცემული იტალიურში შემდეგი ტაქტი:

„მესმოდა შენი უგონო ფიცი...  
მერი, ძვირფას! დღესაც არ მჯერა...  
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი  
ეს გლოვა იყო თუ ფერისწერა? —

აქ სიტყვა „გლოვას“ მთარგმნელი „დაკრძალვით“ ცვლის, რითაც შესანიშნავ ეფექტს აღწევს. ასე კარგადაა გადმოცემული თარგმანში ამ ლექსის ბოლო სტროფი.

„ქარი და წვიმის წვეთები ხშირი  
წყდებოდენ, როგორც მწყდებოდა გული  
და მე ავტირდი ვით მეფე ლირი,  
ლირი, ყველასგან მიტოვებული.“

„ლურჯა ცხენები“ გალაკტიონის საპროგრამო ლექსია. მასში

გამეცავნებულია რამდენიმე სახე-სიშბოლო „სამუდამო შხარეში“, „ბნელ ხელუებში სძინავთ გამოუცნობ ქიმიერებს“ და სხვ. ჩანს, მთარგმნელი გასცნობია ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში არსებულ მასალებს ამ ლექსის შესახებ და სწორად გადაუტანია თარგმანში ავტორის ჩანაფიქრი. მთარგმნელის სასარგებლოდ უნდა ითვას, რომ ამ ლექსში მთლიანად შენარჩუნებულია ორიგინალის აზრი, რიტმი, ხოლო პოლო სტრიქონში კი იგრძნობა გარკეყული ეფუძნიაც.

„ჩქარი გრგვინვა-გრიალით  
ცხრიან ლურჯა ცხენები!“

ლექსში „თოვლი“ განსაცეიფრებელი გრადაციითაა გადმოცი-  
მული სინანულისა და წარმავლობის განცდა.

„ძვირფასო, სული მეესება თოვლით,  
დღეები რბიან და მე ვგრძნობი“. და

უკუთარგმანში ასე იკითხება:

„ძვირფასო, სული საესეა თოვლით,  
დღეები რბიან და მე ვგრძნობ მათ სიმძიმეს“...

როგორც ვხედავთ, აქ აზრი მთლიანად შენარჩუნებულია, როგორც ვხედავთ, აზრი მთლიანად შენარჩუნებულია.

იგივე შეიძლება ვთქვაო ამ სტროფზეც:  
გალაკტიონი:

„მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ  
შევიღი ღღეების ცუშრი ბროლები“. და

მაგაროტო:

„მაშინ მე ვიყვავი ნაზად მთერალი,  
გარბოდნენ ბროლიეთ თეთრი ღღეები“. და

ლექსისთვის „არწივებს ჩასძინებოდათ“ მთარგმნელს სათაური შეუცვლია, მაგრამ მისი დასათაურება კარგადაა მიგნებული, იგი ზუსტად გამოხატავს ლექსის შინაარსს — „ისვენებენ არწივები“. მართლაც, თუ ლექსის შინაარს გავითვალისწინებთ, სწორი შესატყვისია. გალაკტიონი ამ ლექსის დასაწყისში ნეოლოგიზმს იყენებს, რაც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. „ბნელ ღამეს ააქარცივებს, მკივანი მიკიოტები“. აქ გალაკტიონი ჭოტის ან ბუს

ნაცელად აგრეთვე ნაკლებად ხმარებულ „მიკიოტს“ იყენებს. მთარგმნელს „ააქარცივებს“ სწორად გაუგია და მისი აღმქვატო ძოუნიხევს „ცივი, გამყინვი ქარი“. კარგად აქვს გადმოტანილი შედარება:

„ტყეს ცეცხლი ეკიდებოდა  
როგორც ძნას შემოდგომისას.“

ლექსი „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ იტალიურში ასეთი სათა-ური აქვს: „თეთრი იყო ზამთრის ბაღები“, სათაურში პოეტურობის შენარჩუნების მიზნით მთარგმნელი ხმარობს არქაიზმს, უფრო პოეტურ სიტყვას „iemali“ ნაცელად „invernali“, რაც „ზამთრისას“ ნიშნავს. ეს ლექსი მთლიანად, თავისი კომპოზიციით და ლა-იტორტივის განვითარებით დასრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებს წარმოადგენს და ეს თარგმანშიც იგრძენობა. მა ლექსში მუსიკა აძლიერებს, ავსებს და ამდიდრებს პოეტურ შთაბეჭდილებას.

ლექსში „ქარი ქრის“, პირველ ვარიანტში არ იყო განმეორებები. მეორე, „მეცნიერების“ მიერ, გამოცემულ თარგმანში გასუმორების შეტანამ გააუმჯობესა თარგმანი, ხოლო ბოლო სტრიქონმა ლექსს დასრულებული სახე მისცა, რასაც მოკლებული იყო თარგმანი წინა გამოცემაში.

ხშირად ლ. მაგაროტო ცდილობს ერთი სიტყვა ორიგინალში რამოდენიმე იტალიური სიტყვით შეცვალოს, რათა აზრი გასავერი იყოს. მაგალითად: „ბევრის ნაბიჯი არის ტატი“, სიტყვა „ტატი“ გადატანილი აქვს თარგმანში, როგორც „ბავშვის გაუბედავი ნაბიჯები“.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ლექსის „ნიკორწმინდას“ თარგმანი. თარგმანი თავიდანევ დიდი ექსპრესიით იყითხება. ეს ლექსი, როგორც ცნობილია, ტევადი სიმბოლოა უმაღლესი ეროვნული ნიკისა. აზრის ამაღლებულობა თვით ლექსის ფაქტურაში, სახეებში ვლინდება. რაც ჩვენს მთარგმნელსაც უგრძვნია და თარგმანშიც კარგად გადაუტანია. თარგმანი პარმონიაშია დედანთან და სუნთქვას გალავტონისეული ლექსის სიდიადით. ლ. მაგაროტო ცდილობს ერთგულად მიჰყვეს დედანს, მაგრამ ხანდახან უხდება ორიგინალის სიტყვის მისი მშობლიური ენისთვის უფრო ბუნებრივი ფრაზით შეცვლა, ამიტომ ხან აერცობს, ხან შლის სტრიქონთა განლაგებას, მაგრამ არ არღვევს ტექსტობრივ ქსოვილს. მაგალითად, ამ როტული სტრიქონების გადმოტანისას: „ულერს ქვის ჰარმონია,

დატობს რამდი დარი“, ლ. მაგაროტოს სიტყვა „დარობს“ გადატუნილი ქვეს: „ქვის ჰარმონიას მზე აბრწყინებს ირგვლივ“-ო.

„მიღიხარ“ — ამ ლექსით ჰკრავს მთარგმნელი სათარგმნი ლექსების რეალს და ეს სწორი მიგნებაა. ეს გალაკტიონის ბოლოდროინდელი და თანაც საუკეთესო ლექსია, რომელშიც პოეტი თითქოს ეთხვება მშეფოთვარე ყოველდღიურობას და ხალხის მარადიულ ხსოვნაში იდებს ბინას. ამ ლექსის თარგმანში დაცულია აზრობრივი სიზუსტეც და ემოციურობაც. მთარგმნელის მიერ კარგადაა დაჭრილი პოეტის განწყობილება, რაც თარგმანშიც კარგად შეიგრძნობა. ლექსი გამსჭვალულია ნაღვლიანი ემოციით, რაც იტალიურში ნელი ტვიმითაა გადმოცემული.

როგორც ლ. მაგაროტოს თარგმანების ანალიზშა გვიჩვენა, მთარგმებული კარგად იცნობს გალაკტიონის შემოქმედებას, კარგად აქვს წერილი მისი ღრმა პოეტურობის საიდუმლო. საგულისხმო და შეცდეველობაში მისაღებია ლუიჯი მაგაროტოსეული შეფასება გ. ტაბ-ის, როგორც ევროპული ტიპის შემოქმედისა.

„გალაკტიონი ჩემთვის აღმოჩენა იყო, არა მხოლოდ როგორც ფერობული მასშტაბის დიდი პოეტი, არამედ როგორც თვისობრივად ახალი ტიპი შემოქმედისა. დიდი ევროპელი პოეტების შემოქმედება, რა თქმა უნდა, არათანაბარია, მაგრამ ამ არათანაბრობის შრუდი მეტად ზომიერია — გენიალური ლექსიდან შესანიშნავ ლექსიამდე და პირიქით; გალაკტიონის ლექსის რხევის ამპლიტუდა ამ შერიე უნიკალურია გენიალური ლექსიდან სუსტ ლექსიმდე და პირიქით, გალაკტიონი სხვა მხრივაც განსხვავდება მისივე მასშტაბის ევროპელი მეტრებისაგან. ევროპელი პოეტები თავიდანვე ირჩევენ გარკვეულ შემოქმედებით მანერას და განუწყვეტლივ ანითარებენ მას გარკვეული ვარიანტებითა და ინოვაციებით. გალაკტიონის მეტაფორათა ამპლიტუდაც ვერსიფიკაციურ ფორმათა და მთელი პოეტიებს ცვლილებების თვალსაზრისით უპრეცედენტოა. ევროპულ პოეზიაში ასეთი რამ იშვიათი და უჩემდება. შეიძლება ასეთი უკიდურესობაც ქართველთა ეროვნული ხსიათიდან იღებდეს სათავეს“.<sup>5</sup>

აქვე ღლანიშნევია ერთი გარემოებაც: თარგმანის საქმეში ხშირად არის ხოლმე გადაულახავი ზღვარი. ესაა ორიგინალის ავტორისა და მთარგმნელის ინდივიდუალობის მკეთრი სხვადასხვაობა. ამ

<sup>5</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981, 19 ივნისი.

კონკრეტულ შემთხვევაშიც, ეს გასათვალისწინებულია. ლურჯისა/შეადა  
გაროტო, პირველ ყოვლისა, მეცნიერია და არა პოეტი. მან, რა  
თქმა უნდა, გარევეული დაღი დასვა თარგმანის ხარისხს.

პოეზიის მთარგმნელი ვერასოდეს ვერ ასცდება უზუსტობას, როცა ის კარგად არ ფლობს ორიგინალის ენას. ალბათ მხედველობა-  
შია მისალები ის გარემოებაც, რომ თარგმანი შესრულებულია 7-8  
წლის წინათ. თარგმანს საზოგადოდ, ისედაც თან სდევს გარევეული  
გულშევეტა. ანა კალანდაძის თქმისა არ იყოს, „თარგმნილი ლექსი  
ჩინის ქვეშ ამოდებული ყვავილია“ და ეს მით უფრო შესამჩნევია.  
ალბათ, როცა საქმე გალაკტიონის პოეზიას ეხება.

დასასრულ გვინდა აღნიშნოთ, რომ ლურჯი მაგაროტოს უც-  
დია მოენახა გალაკტიონის ლექსებისათვის რიტმულ-ინტონაციუ-  
რი გასაღები, უცდია წარმოლენა შეექმნა დედნის პოეტურ სი-  
ლაშიერებები, რაშიც უდავოდ დიდი როლი შეასრულა იტალიური ენის  
მუსიკალობამაც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს  
მთარგმნელის პირველი ცდაა, რის გამოც ნაკლებ იგრძნობა მთარგ-  
მნელის პოეტური თარგმანის დახვეწილი ტექნიკა.

ზემოჩამოთვლილი ხარვეზების მიუხედავად, ლურჯი მაგარო-  
ტოს მიერ შესრულებული იტალიური თარგმანები მნიშვნელოვანი  
კულტურული მოვლენაა გალაკტიონის ევროპაში პოპულარიზაციის  
საქმეში. ძირი ნათელი დადასტურებაა გაზ. „ავენირეს“. და უურ. „ესპ-  
რესოს“ ფურცლებზე დაბეჭდილი გამოხმაურება ამ კრებულის გამო.

გაზ. „ავენირეს“ კორესპონდენტი კრისტინა ბონჭორნი წერს:

„ბორის პასტერნაკს თავის დღიურში ჰქონდა ჩაწერილი: „ტიფ-  
ლისი, ყველა იმასთან ერთად, რაც მინახავს და რაც  
გამიგონია, ჩემთვის ისაა, რაც შობენი, სკრიაბინი, მარბურგი,  
ვენეცია, რილკე“. იტალიელები უკვე კარგახნია იცნობენ  
ამ რუსი პოეტის წერილებს ქართული მეგობრებისადმი, რომე-  
ლიც იტალიაში დასტამბა გამომცემლობა „ეინაუდბა“. ბ. პასტერნა-  
კის წერილების აღრესატები იყვნენ ახლა რომ ასე შორეულად გვეჩ-  
ენებიან,—შემქმნელი მაღალპოვტური ლიტერატურისა და მუსიკის ერთ-  
ერთი მათგანი იყო ტიციან ტაბიძე, პიძაშვილი გალაკტიონ ტაბიძისა,  
რომლის არაჩვეულებრივი ლექსების თარგმანი შეუსრულებია ჩენენს  
თანამემამულე ლურჯი მაგაროტოს და ასე კარგად გამოუცია საქარ-  
თველოს მეცნიერებათა ეკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებას“. „კა-  
ვკასიის (რატომლაც ეტორი საქართველოს ნაცვლად ტერმინ“ „კა-

ვკასიის“ ხმარობს. პუბლიკაციას სათაურიც ასეთი აქვს — „ტაბიძის კავკასია“) თანამედროვე კულტურული ცივილიზაციის ამ ბრწყინვალე წარმომადგენლის — გ. ტაბიძის (გარდაცვალა 1959 წ.) ლექსიგბის ორენოვანი გამოცემა ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კაშშირში შემავალი სხვა რესპუბლიკების კულტურის განვითარებისა და აღმავლობისა, გამომხატველი იმისა, თუ როგორ ვითარდებიან ერთმანეთის შხარდამხარ სხვა კულტურები...“ შემდეგ სტატიის აგტორი შეითხველებს აცნობს მთარგმნელს — ლუიჯი მაგაროტოს, მის დაინტერესებას ქართული ლიტერატურით. ხოლო შემდეგ განხეთის შეითხველებს მოკლე ცნობებს აწვდის საქართველოს შესახებ. წერს, რომ კავკასიის ეს სამხრეთი მხარე, უძველეს დროში ცნობილი იყო სიმღიდორით განთქმული კოლხეთის სახელით: გადმოსცემს მითს ბერძნების კოლხეთში მოგზაურობაზე ოქროს საწმინის მოსახურებლად, ბოლოს კი სოხოვს ლუიჯი მაგაროტოს — განხეთის შეითხველებს შეუსროს ცნობები იმ ქვეყნის შესახებ, ვისი ბრწყინვალე წარმომადგენელიცა ამ არაჩვეულებრივად პოეტური ლექსების კრებულის აუტორი. ლუიჯი მაგაროტი პასუხობს:

„— თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს არაერთი აოტება განუცდა გარეშე თუ შინაური მტრებისაგან, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ პატარა ქვეყანამ შეძლო შეენარჩუნებინა თავისი თეითიყფადი და ორიგინალური კულტურა. ლიტერატურა, ფაქტიურად, ქრისტიანობის გავრცელების დროიდან იწყება და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ჩეხება სასულიერო პირთა ხელში, ახალი პერიოდი კი იწყება მაშინ, როცა გაერთიანებულ და პოლიტიკურად გაძლიერებულ საქართველოში ვითარდება ამ დონის შესაფერი ბრწყინვალე რაინდული ლიტერატურა, რაც შეიცავს როგორც ქრისტიანულ, ისე მითოსურ ტრადიციებს; ეს პატარა ქვეყანა საუკუნეების მანძილზე იტანჯებოდა სპარსეთისა თუ ოშალეთის შემოსევებისგან, რომლებიც ყოველნარად ცდილობდნენ მისთვის თავზე მოეხვიათ თავიანთი სარწმუნოება. ამან თავისებური გავლენა მოახდინა, განსაკუთრებით, სახვით ხელოვნებაზე. პირებელი ნამდვილი შედევრი ქართული ლიტერატურისა — ესაა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეგნისტყაოსანი“. მისი შემქმნელი პოეტი ცხოვრობდა თამარ მეფის დროს. ეს პოემა იქცა ქართველთა ეროვნულ ძეგლად. ეს იყო დასაწყისი... საქართველოს ასევე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა იტალიასთან. საქმარისია დაეხმა-

ხელოთ, რომ 325 წელს ნიკეის მსოფლიო კრებაზე ჩვენ უკვე ვხედავთ საქართველოს წარმომადგენცლი...“

ვაზეთის კორესპონდენტის კითხვაზე, როგორ მოახერხეთ, რომ უცხოელმა თბილისში გამოეცით ასეთი მშვენიერი კრებული, ლუი-ჭი მაგაროტო პასუხობს:

— უნდა აღინიშნოს, რომ ქართველები ოდითვანებე დიდ ლტოლვას იჩენდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაკენ, მათთან კონტაქტებისაკენ. მათ ამისი დიდი ტრადიცია აქვთ. ჩემი წიგნის გამოცემაც ამ ტრადიციის გაგრძელებაა, თანაც თვითონ კრებული სა-განგებოს არაფერს შეიცავს, ეს მათი ჩვეულებრივი გამოცემაა.

ქართველები ძალზე გამდლე ხალხია. დღეს მათ ტერიტორიაზე 40-მდე ენაზე ლაპარაკობენ, ქართველმა ებრაელებმა არ იციან, რას ნიშნავს სიტყვა „დარბევა“.

— ჩვენ ვიცით, რომ არაერთხელ გამხდარა ბევრი ცნობილი და გენიალური პიროვნების შთაგონების წყაროდ ქართული პოეზია. მათ შორის ბორის პასტერნაკისაც, რომელიც ცხოვრობდა თბილისში და შესანიშნავი მთარგმნელიც იყო ქართული პოეზიისა. ასევე პუშკინი და ლერმონტოვი დატყვევებულნი იყვნენ კავკასიის მომხიბელელი ბუნებით. ეს მითი ამ მხარის შთამაგონებელ ძალაზე ქვლავაც ცოცხლობს? — ეკითხება კრისტინა ბონჯორნო.

მაგაროტო პასუხობს: „პოეტი პოეტურ სულს აუცილებლად იცნობს, რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს, მით უფრო საბჭოთა კავშირში, სადაც ფართო პრაქტიკაა პოეზიის სხვადასხვა ენებიდან თარგმანისა და ამგვარად საშუალება გექმნება გაეცნო და წიკითხოვ ყველაფერი ღირებული...“

— ალბათ ამის გამოა, რომ ასე რაფინირებული სახით გამოვიდა გ. ტაბიძის ლექსების ეს მშვენიერი კრებული? — ასკვინის კრისტინა ბონჯორნო.

— გალაკტიონ ტაბიძე ძალზე უყვართ თავის სამშობლოში. იგი შეუდარებელი პოეტია. მართალია, მან სკოლა ვერ შექმნა, მაგრამ ამის მიზეზი მისი განსაკუთრებული, ინდივიდუალური ტალანტია. გალაკტიონი მუდამ გულგრილი იყო ყოველგვარი ავანგარდისტული ექსპრესიონისტების მიმართ. მან თავიდანვე მიზნად დაისახა პოეზია ექცია თავისი ინტელექტუალური ცხოვრების ჭეშმარიტ ხატად. XX საუკუნის პოეტებს შორის მასავით არავის არ დაუმორჩილებია ქართული სიტყვა და არ მიუნიჭებია მისთვის გან-

საკუთრებული ელვარება, რაც ჩემი დიდი მონდომების მიუხედავად,  
 თარგმანში, გარევეულწილად დაკარგულია. მაგრამ მე მჯერა, ვინც,  
 ამ მაღალ პოეზიას ეწიარება, ირწმუნებს ჭერ კიდევ XVII საუკუნეში  
 ჩვენი პადრე მისიონერების დიდ სიყვარულს ამ ქვეყნისადმი, იღ-  
 ფრთვანებულნი და შთაგონებულნი რომ აღგენდნენ და ბეჭდავ-  
 დნენ ქართულ-იტალიურ ლექსიკონს, იტალიურ-ქართულ გრამატი-  
 კის და ყოველნაირად ცდილობდნენ კვლავ გაეხადათ ქართველები  
 მონაწილე მსოფლიო კრებისა, რომლის გავლენა იმ დროისათვის  
 უსაძლვრო ყყო“.

უოველკვირეული უურნალი „ესპრესო“ ბეჭდავს ჯოვანი ჭუდი-  
 ნის კორესპონდენციას, სადაც წერილის ავტორი განიხილავს შარ-  
 შან გამოსული პოეტური კრებულების თარგმანებს. სტატიაში  
 გალაკტიონზე ნათქვამია:

„დაბოლოს საგანგებო აღნიშვნის ღირსია პასტერნაკის მეგობ-  
 რის, გალაკტიონ ტაბიძის (1892—1959) ლექსების ლუიზი მაგარო-  
 ტოსეული თარგმანი — ლამაზად გაფორმებული ყდით, მშვენიერი  
 ქართული და იტალიური ასოებით, რომელიც დასტამბულია თბი-  
 ლისში, გამომცემლობა „მეცნიერების“ შიერ“.

გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ ამ პატარა კრებულის გა-  
 მოცემა კიდევ ერთი ახალი საინტერესო ფურცელია იტალია-საქარ-  
 თველოს ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში, ხოლო  
 იტალიაში დაბეჭდილი გამოხმაურება ნათლად ლაპარაკობს ქარ-  
 თული მწერლობის სიძლიერის საერთაშორისო რეზონანსზე.

## პელო ღელიყვა

„...რა მძიმე იყო ის ცრემლი“

„თავისი ხანმოკლე, სიძნელეებით იღსავსე ცხოვრების მან-  
 ძილზე ისიკავა ტაკუბოკუმ ლექსების სულ რამდენიმე მომცრი  
 კრებულის დაწერა და გამოქვეყნება თუ მოასწრო, მაგრამ პრაქტი-  
 კულად, ყველაფერი, რაც მას შეუქმნია, იაპონური პოეზიის სია-  
 მაყვედ ითვლება. როგორ უნდა მოიპოვო იმის უფლება, რომ გარ-  
 დაცვალების შემდეგ დიდ პოეტად გაღიარონ ისეთ ქვეყანაში, სადაც  
 საგანთა ფარული მშვენიერების წვდომის უნარი და პოეტური ხე-  
 ლოვნება ისედაც აუცილებლიდ მოეთხოვება ყოველ ინტელიგენტ  
 ადამიანს? ალბათ, არა მარტო ტალანტით, არამედ ლექსის ტრადი-  
 ციული სახეებისა და ფორმების ახლებური გააზრებისა და მათი ახა-  
 ლი შინაარსით გამდიდრების გზით“<sup>1</sup>.

თანამედროვე იაპონიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოეტი,  
 ისიკავა ტაკუბოკუ<sup>2</sup> დაიბადა 1885 წლის 28 ოქტომბერს ქ. მარიო-  
 კას ახლოს პატარა სოფელში, ბულისტი მღვდლის ოჯახში.

პირველი ხუთტავებიანი ლექსი — ტანკა — თხუთმეტი წლისამ  
 დაწერა. ორი წლის შემდეგ მისი ლექსები დაიბეჭდა ლიტერატურულ  
 ჟურნალ „ცისკრის გარსკვლავის“ ფურცლებზე, რომლის გამომცე-  
 მელი იყო იმ დროს კარგად ცნობილი პოეტი ესანო ტეკანი. მისი  
 რჩევით ტაკუბოკუ მიმართავს იაპონური პოეზიისათვის ახალ ჟანრს  
 „სინგაისს“, ე. წ. „გრძელ ლექსებს“, სადაც ლექსის სტრაფთა რა-  
 თდენობა შეზღუდული არ არის, რომელიც ეკროპული პოეზიის  
 გავლენით შევიდა იაპონიაში. 1905 წელს „ცისკრის გარსკვლავში“  
 გამოქვეყნდა ტაკუბოკუს ამ ჟანრის პირველი ლექსი „ტოროლა“,  
 რომელმაც იმთავითვე განადიდა პოეტის სახელი. იმედით ფრთა-  
 შესხმული პოეტი ტოვებს მშობლიურ სოფელს და საცხოვრებლად  
 გადადის ტოკიოში, რომ მთელი სიცოცხლე შესწიროს ლიტერა-

<sup>1</sup> Памятные книжные даты, 1985.

<sup>2</sup> ტაკუბოკუ ლიტერატურული ფსევდონიმია, ნამდვილი სახელია ჰაკიმე.

ტურულ საქმეს. 1905 წელს ტაკუბოკუშ გამოსცა პირველი კრიტიკული „მისწრაფებანი“, რომელსაც მოუმწიფებლობის, მიმბაძველობის იერი დაპკრავდა, მაგრამ აშკარად ჩანდა პოეტური ტალანტი. მკითხველთა აღიარებამ და პრესის გულთბილმა გამოხმაურებამ ვერ უშველა პოეტის მატერიალურ გასაჭიროს, რაც მის ოჯახს დაატყდა თავს, როცა დაქორწინდა და მამამისმა კი სამუშაო დაკარგა.

აღბათ, ამ მდგომარეობამ ამოათქმევინა პოეტს სიტყვები:

„თავი რა დიდად  
წარმოვიდგინე!  
მწამდა  
ყველაფერს მოვიძოვებდი.  
გინახავთ უფრო სულელი ბავშვი?“

იმედგაცრუებული პოეტი 1906 წელს ამომავალი მზის ქვეყანაში ცხოვრების ტალღამ გარიყა ჩრდილოეთში, კუნძულ ჰოკაიდოზე ღარიბთა, ბედუკულმართთა, ბოროტმოქმედთა და ავანტურისტთა თავშესაფარში.

ადვილი წარმოსადგენია სულით სპეტაკი, ამალებული განწყობილების ადამიანის ყოფნა ასეთ საზოგადოებაში, თანაც არც სახსარი გააჩნია, არც დრო, ემსახუროს თავის მოწოდებას. იგი იძულებულია თავის შესანახად იწოწიალოს ქალაქიდან ქალაქში, იმუშაოს ქანცის გაწყვეტამდე:

„თავაუღებლად ვიმუშავე,  
რაც კი შემეძლო — ვრმუშავე,  
ცხოვრება, მაინც არ დასტურდა,  
გაშტერებული ვუყურებდი  
ჩემს დალილ ხელებს.“

რამდენადაც ცხოვრება ამის შესაძლებლობას იძლეოდა, ტაკუბოკუ აქ პროზაულ ნაწარმოებებსაც ქმნიდა — წერდა რეალისტურ მოთხრობებს თანამედროვე იაპონის ცხოვრებაზე და უურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა, მაგრამ ამ კუნძულზე აღბათ ამის შესაძლებლობაც ნაკლები ჰქონდა, რასაც მოწმობს მისი სიტყვები:

„რად გინდა ნიჭი,  
სული მდიდარი,  
როცა ხელები  
გაქვს შებორჯილი.  
...ასე გალოოდა ერთი ჭაბუკი!“

— სიღვრებისა და მძიმე სენისაგან გატეხილი პოეტი 1908 წლის ბრუნდება: ტოკიოში, საღაც მისი ცხოვრება სულაც არაა სახარბისელი; ისევ ფიქრი ოჯახის შენახვაზე, პურის ფულის შოვნაზე, და თავის დამცირება უღირსთა წინაშე:

„ერთი უქნარა, გაფი პოეტი!  
ის კაცი გულში ისე მეძახის.  
დღეს ჩემი საქმე  
ისე წავიდა,  
სწორედ იმისგან ვისესხე ფული“.

ასე ხატოვნად გადმოგვცემს იგი თავის უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას.

მძიმე სენთან და სიღარიბესთან ბრძოლაში შექმნა მან თავისი საუკეთესო ლექსები — ტანკები, თავისებური ლირიკული დღიურები, რომელთა უმრავლესობა შევიდა კრებულში „ერთი მუჭა ქვიშა“, რომელიც იხსნება ტანკათი:

„საღაც კუნძულზე  
აღმოსავლეთ ოკანეში  
წყლის პირას ვზიდარ თვალცრემლიანი  
და პარაშინა კიბორჩხალას  
ვეთაშაშები“.

სიცოცხლის ბოლო წლებში ტაუბოკუმ შექმნა „სინგაისის“ პატარა კრებული „სტენა და სასტვენი“ (1910 წ.). წიგნის სათაური ამ კრებულს, ალბათ შეურჩია მისი ერთ-ერთი ტანკიდან, საიდანაც ჩანს, რომ ყმაწვილკაცობაში ძალზე ყვარებია მელოდიის სტენით გამოხატვა:

„ოხუომეტისა როცა ვიყავი  
სტენა იყო ჩემი სიმღერა“.

მძიმე ცხოვრებისაგან დაქანცული, ფანგატეხილი პოეტის სულიერი მდგომარეობა ნათლად ჩანს ტანკაში, რომელიც მძიმე განცდითაა დაწერილი და ასევე მძიმედ აღიქმება მკითხველის მიერ:

„პატარა ცრემლი დაეცა მიწას,  
პატარა,  
როგორც ქვიშის მარცვალი...  
მაგრამ რა მძიმე  
იყო ის ცრემლი!“

როგორც ტაკუბოკუს ქმნილებებიდან ჩანს, მის ოჯახში და მეგობართა წრეში იშვიათი არ ყოფილი საუბარი რევოლუციურ მოძრაობაზე, მუშათა უკიდურეს მდგომარეობაზე:

„ხუთი წლისაა ჩემი გოვნა  
და უკვე იცის —  
მანაც კი იცის  
სიტყვები „მუშა“,  
„რევოლუცია“,

ან კიდევ:

„პირისახეზე  
თოვლის ფიფქები  
ჩამოიწმინდა დალლილი ხელით,  
ეს კაცი ჩემი მეგობარია,  
იგი მიძყვება კომუნიზმის გზას“.

ამიტომაა, რომ მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკიდურეს რუსეთის თემას. პირველივე კრებულში, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომის დროს გამოიცა, იგი გამოიღულად უმღერის „ალ-მირალ მაკაროვის ხსოვნას“, რომელიც ამ მშენი დაილებაა. უფრო გვიანდელ ნაწარმოებებში კი გვხვდება ტურქენევის, ლ. ტოლსტოის, გორკის სახელები. იგი მიესალმება რუსეთის განმათვისუფლებელ მოძრაობას და თავის ლექსებში გამოხატავს მზადყოფნას „იბრძოლოს და მოკვდეს ამ ბრძოლაში“, რომ „ამისათვის იგი არ უნდა დაძრახონ“. ამიტომაა აქვს ასეთი სტრიქონები:

„შებინდებისას უცბად მომინდა,  
რომ დამეჭრა გრძელი ბარათი, —  
გრძელი, ისეთი —  
დელამიწაზე  
ყველას გულწრფელად შევყვარებოდი“.

მართალია მან თავისი სიცოცხლის ხანმოკლე პერიოდში — 27 წლის მანძილზე ერ მოასწრო ამ „გრძელი ბარათის“ დაწერა, მაგრამ რაც მან შექმნა, იმითაც გულწრფელად შეიყვარეს პოეზიის მოყვარულებმა დედამიწის ყველა კუთხეში. ამის ნათელი დადასტურებაა მის ნაწარმოებთა მსოფლიოს მრავალ ენაზე ამერიკულება.

იაპონიაში ტაკუბოკუს გარდაცვალების დღე — 13 აპრილი (1912) ყოველწლიურად აღინიშნება მისი პოეზიის თაყვანის მცემელთა წრე-13. მწიგნობაზი 85

ებში. მრავალჯერ გამოიცა პოეტის ლექსები, იწერება წიგნები მის ცხოვრებაზე, დგება მოგზაურობათა მარშრუტები იმ აღვილებშისაც რომელთანაც დაკავშირებული იყო პოეტის ცხოვრება, აღმართულია ძეგლები. მის ლექსებზე შეიქმნა მრავალი სიმღერა და მუსიკა.

ქართველმა მკითხველმა ისიკავა ტაკუბოკუ გაიცნო კონსტანტინე ლორთქიფანიძის თარგმანით „ასი ტანკა“, რომელიც გამომცემლობა ნაკადულმა დასტამბა 1970 წელს ქრებულში „ერთი კარგი წელიწადი“, შემდეგ კი ცალკე წიგნადაც გამოიცა.

მიმდინარე საიუბილეო წელს ისიკავა ტაკუბოკუს დაბადების 100 წლისთავი ფართოდ აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში. პოეტის 100 ტანკა ქრებულიდან „ერთი მუჭა ქვიშა“ ქართულად აამეტყველა პოეტმა ჭანსულ ჩარკვანმა, რომელსაც ბუკარედი თარგმანი მიაწოდა იაპონური ენის მცოდნემ ლიანა არეშიძემ.

ქართველი მკითხველი, ალბათ, კიდევ მიიღებს ამ უაღრესად ნიჭიერი იაპონელი მწერლის ნაწარმოებთა ნიმუშების თარგმანებს.

ଶ୍ରୀ

ବିଜୁଲିଙ୍ଗ  
ଯୁଦ୍ଧ  
ଚଲଭିତ୍ତି

ଶ୍ରୀ

ఇంద్రజిత్ పెదర్జులుడి  
సంహారించి నొచ్చ గ్రంథశాఖ, బెంగాలు  
టిప్పటించ అందాస్తులు ఉపాయా.

రెప్పు స్టోర్

## რუსთაველი რუსულ ლიტერატურაში

(XX ს.)

რუსეთის საზოგადოებრიობა რუსთაველსა და მის პოემას „საქმაოდ გაეცნო ჭერ კიდევ XIX საუკუნეში, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად ამეტყველებასა და რუს მკითხველთა წრეებში რუსთაველის პოსულარიზაციაში განსაკუთრებული წინსვლა XX საუკუნეში შეინიშნება. ამაში კი დიდი დამსახურება მიუძღვით როგორც რუს, ისე ქართველ მოღვაწეებს.

უკვე ჩევენი საუკუნის პირველ ათწლეულში რუსთაველი ხშირად იხსენიება თბილისში დაბეჭდილ რუსულ წიგნებში. შეგვიძლია დავიმოწმოთ ე. სტალინსკის მიერ შედგენილი კრებული „პოეტური კავკასია“ (1901 წ.), ვ. რომანოვსკის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“ (1902 წ.), და სხვ. ცნობები რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ გვხვდება რუსეთში დაბეჭდილ წიგნებშიც — ვ. გელიჩის თხზულებათა კრებულში (1, 1904 წ.), ე. მარკვაის „კავკასიის ნარკვევებში“ (1904 წ.) და სხვ. დასახელებული ავტორები გულთბილად წერდნენ ქართველ პოეტზე, ქებას ასხამდნენ მას, მაგრამ მეტწილად ზოგადი მსჯელობით კრაფორტულდებოდნენ. რუსთაველის სახელი ერთიორჯერ ენციკლოპედიაშიც გამოჩნდა (მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, III, 1902 წ.; დიდი ენციკლოპედია, XVI, 1904 წ.), დაიბეჭდა ნაწყვიტი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანისა, რომელიც შ. დავითაშვილს ეკუთვნოდა (1910 წ.). ცალკე უნდა მოვიხსენიოთ რ. ყინვარის ინსცენირება „ვეფხისტყაოსნის“ (1901 წ.), რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია („კავკაზსკი ვესტნიკ“, „რუსკაია მისლი“), და რუსთაველის აფორიზმების თარგმანი, რომელიც მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა (1903 წ.). რუს მკითხველებს დიდად საყურადღებო ცნობები მიაწოდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე ე. თაყაიშვილმა (1908 წ.).

ამ წლებში დაიბეჭდა ნ. მარის კაპიტალური ნაშრომები და მისი „ძველი ქართველი მეხოტენი“ (1902 წ.) და „იოანე პეტრიწი, ქართველი ნეოპლატონიკოსი XI—XII ს.“ (1909 წ.), პოლემიკური „საქართველოს ისტორია“ (1906 წ.) და განსაკუთრებით სპეციალური წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგ-ეპილოგზე ეტიუდით — ქალის კულტი და რაინდობა „ვეფხისტყაოსნში“ (1910 წ.).

პირველ წიგნში ნ. მარმა, — „ვეფხისტყაოსნისა“ და „თა-მარიანის“ „მხატვრულ-იდეური სიახლოვის გამო, — შესაძლებლად მიიჩნია მათი ავტორის გაიგივება და ერთ პიროვნებად — შოთა რუსთაველ-ჩახრუხაძე აღიარება; იქვე მან ნაწილობრივ გაიზიარა „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ალეგორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისი; მეორე წიგნში საუბარია რუსთაველის ნეოპლატონიკოსობაზე.

„საქართველოს ისტორიაში“, მართალია, გვხვდება აზრი „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულ წარმომავლობაზე, მაგრამ, ამასთანავე, აღნიშნულია, რომ „საქართველოში განსაკუთრებული შარავანდედითა მოსილი ქართული სიტყვისა და ქართული პოეტური ხელოვნების დიდოსტატის რუსთაველის უკვდავი თხზულება, რომლის მნიშვნელობა ფასდაუდებელია ქართული კულტურის ისტორიისათვის“.

როგორც აღვნიშნეთ, ამ წლების ნაშრომებში (და საერთოდ ნ. მარის რუსთველოლოგიურ მემკვიდრეობაში) განსაკუთრებით საურადლებოა 1910 წელს გამოქვეყნებული წიგნი, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ „შესწავლის ახალი ხანა შექმნა“ (ი. ჯავახიშვილი). მასში ნ. მარმა დაადგინა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგ-ეპილოგის სტროფები, დაბეჭდა მათი ქართული ტექსტი და რუსული პოზული თარგმანი, დამაჯერებლად დაადასტურა პროლოგის რუსთაველისეულობა: გააშუქა პოემის სოციალური გარემო და გაარჩეოს პატრონუმური ურთიერთობის ტერმინების შინაარსი, დაახასიათა ქალის კულტი, შეუდარა იგი „შუა საუკუნეების ეკროპული ცხოვრების ანალოგიურ მოვლენას“, განიხილა რუსთაველის პოემისა და ქართულ-უცხოური სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშების პარალელური თუ თანხვდენილი ადგილები, ყურადღება გაამახვილა ქართული სისულიერო პოეზიისა და საერთო ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებზე, გამოაქვეყნა ღვთისმშობლის შესხმა და მასი

ავტორი, — „ხალხური საზომის ლიტერატურაში გამოყენებით,“ რუსთაველის წინამორბედად გამოაცხადა.

ნ. მარმა დაასკვნა, რომ რუსთაველის „რომანტიკული პოემა“ შეიქმნა სხვადასხვაგვარი კულტურული გაელენების შუაგულში — დასაცლურ-ქრისტიანული და ომოსაცლურ-მამადიანური კულტურის გზაგვარედინზე, მაგრამ დამუშავდა არა უცხოურ, არამედ ქართულ ეროვნულ ნიადაგზე; მისი საფუძველია საქართველოს სოციალური და ეროვნული სინამდვილე. მირომაც „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ხანია იქცა ეროვნულ სიამაყედ, უფრო მეტიც — ისტორიული ცხოვრების წმინდა რელიგიიდ, სიხალხო ხატად და სალოცავად, საერთო-სახალხო ნაწარმოებად, მოსახლეობის ყველა ფენის კუთვნილებად. ქართველები აფასებენ ამ ძევლს როვორც მშობლიური სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერებისა და ბრწყინვალების კანონმდებროვეს, მასში სავსებით სამართლიანად ხელავენ ლიტერატურაში თავისი „გენის უმაღლეს გამოხატულებას“.

ათიან წლებში, — რევოლუციის წინა პერიოდში, — რუსი მკითხველის ინტერესი რუსთაველისადმი ერთგვარად შენელდა, ნაკლებს ბეჭდაედნენ ქართველი მოღვაწენიც. ამ პერიოდიდან შეგვიძლია დავისახელოთ მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი, სადაც ისენიება რუსთაველი და მისი პოემა. სახელდობრ, ვ. გურკოს „ქალის კულტი საქართველოში“ (1915 წ.) და „საქართველოს კულტურა“ (1916 წ.), ნ. რომანოვსკის „ქართველი მეცნე თამარი და მისი დრო“ (1915 წ.), ი. ყიფშიძის „ნარკევე ქართული ლიტერატურის ისტორიისა XVIII საუკუნის მიწურულამდე“ (1916 წ.) და სხვ. გაკვრით ისენიება რუსთაველი სიტყვაიზმულ მწერლობაში (ა. კუპრინი, 1915 წ.), აგრეთვე ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში (ა. ლუბიმოვი, 1916 წ.), ენციკლოპედიიბში გამოქვეყნებულ ქართული ლიტერატურის მიმოხილვაში (ენციკლოპედიური ლექსიკონი, XVII, 1912 წ.; რუსული ენციკლოპედია, VI, 1913 წ.). ასე რომ, საგანგებოდ მხოლოდ ნ. მარისა და კ. ბალმონტის ნაშრომები უნდა მოვიხსენოთ.

ნ. მარმა 1912 წელს გამოიქვეყნა ნარკევე — „კაცებისა და მისი სულიერი კულტურის ძეგლები“, რომელშიც გაიმეორა მცდარი აზრი „ვეფხისტყაოსანის“ სპარსულიდან მომდინარეობაზე, მაგრამ დასძინა, რომ „გენის მასა რუსთაველმა რომანტიკულ პოემაში მომ-



ხიბლავი მუსიკალობითა და კეთილშობილებით უმღერა თავჭანწირი რულ რაინდულ მეგობრობას („მაღალაციურობას“), ლვთაებრივ ქალთა ტიპებსა და ქალის იდეალურ სიყვარულს“. მას პარალელები ევროპაში ეძებნება, მაგრამ რუსთაველი „მშობლიური მხარის იდე-ალებითა და ხალხური პოეზიის შეატვრული ფორმებით იყო შთაგონებულიო“.

უფრო ვრცელია მონოგრაფია — „შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა“ (1917 წ.) — მოზრდილი გამოკვლევა, რომელიც მიუღებელ თვალ-საზრისს შეიცავს რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობასა და მოღვაწეობის ხანზე, აგრეთვე მესხეთში მაკმადიანობის გავრცე-ლების მნიშვნელობაზე, მაგრამ ყურადღებას იპყრობს განხილული საკითხების მრავალმხრივობით.

წიგნში წარმომადგენილია „ვეფხისტყაოსანი“ „იდეური დამოკიდე-ბულება და თვითმყოფადობა“. მკვლევარის დასკვნით, პოემა „ქარ-თულ კულტურასთანაა დაკავშირებული არა ოდენ ფორმობრივად, ენობრივად, არამედ იდეურადაც“.

საყურადღებოა 6. მარის მსჯელობა ქალის კულტზე, სოცია-ლურ გარემოზე, მიზნურობაზე, მაღალიციურობაზე — ამ „იდეის ცენტრალურ ადგილზე შოთას ქმნილებაში და განთქმული პოემის საქართველოს საზოგადოებრივ ყოფასთან ორგანულ შესისხლხორ-ცებაზე“. საინტერესოა დაკვირვება ქართულ ნეოპლატონიზმზე, პეტრიწის მემკვიდრეობაზე, რამაც ახალი პერსპექტივა გადაშა-ლა — „რუსთაველის გენიალურ შემოქმედებას დაეძებნა თვითი სრული ისტორიული დასაბუთება, ქართული ლიტერატურისა და განმანათლებლობის განვითარებაში საკუთარი მიმართულების ახს-ნაა“.

6. მარის აზრით, მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს „ხალხური წარ-მომავლობის წვლილს შოთას თხზულებაში“. მისი სიტყვით, „ვეფ-ხისტყაოსანი“ გენიალური პოეტის ნაწარმოებია, რომელიც თავისი განწყობით უდავოდ მსოფლიო მნიშვნელობისაა. მას ოდნავადაც არ ახასიათებს აკვარებული, პირადული ან ეროვნული ტენდენცია“. იგი ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული დიდებული ქმნილებაა, ხო-ლო მისი ავტორი — უდიდესი ხელოვანი, ზოგადსაკაცობრიო იდ-ების ქადაგებელი შემოქმედი.

ცნობილმა რუსმა მწერალმა კ. ბალმონტმა 1917 წელს გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანის რამდენიმე თავი, წაუმძღვარა წინასიტყვაობა და წერილები — „რუსთაველი“ და „დიდი იტალიელი და რუსთაველი“, აგრეთვე ქართული ხალხური გადმოცემა — „რუსთაველისადმი შიძლვნილი ტურნირი“. რუსმა მთარგმნელმა თანამემამულეებს წარუდგინა რუსთაველი, ზოგადად დაუხასიათა მისი შემოქმედება, მოკლედ გააცნო მისი ბიოგრაფია, შოუთხრო პოემის რუსულად ამერიკულების მიხეზვა და ვითარებაზე მისი სიტყვით „რუსთაველის სახელი ძველი და დღევანდელი საქართველოს მოწოდება და თილისმაა. შოთა რუსთაველი წმიდათა წმიდაა ყოველი ქართველისათვის, იგი საუნჯეა ქართული პოეტური სიტყვისა“.

კ. ბალმონტმა ერთმანეთს შეუდარა რუსთაველი, დანტი, პეტრარკა და მიქელანჯელო, ბევრი მსგავსება ნახა „ქალისადმი მოწირებული, მიჯნურისადმი გულისხმიდებულების თვალსაზრისით“, მაგრამ რუსთაველის მიჯნურობა უფრო აღამიანურად მიიჩნია და „ამ თანავარსკვლავედში“ უფრო ამაღლებულად ქართველი პოეტი ცნო.

რევოლუციის შემდგომ ხანაში, — 1918 წლიდან 1934 წლამდე — საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილებამდე, — რუსულ ენაზე (არც რუსეთშა და არც საქართველოში) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არაფერი დაბეჭდილა. რუს მკითხველებს საყურადღებო ვერაფერი მისცეს 0. აბულაძისა და ს. შარტის მცირე ზომის წერილებმა, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ს. შარტისეულ თარგმანთან ერთად დაიბეჭდა (1918 წ., 1927 წ.), და, თუ ვნებავთ, ვერც რუსთაველის გაკვრით მოხსენიებამ ა. ბელის თხზულებებში („ქარი კავკასიიდან“, 1928 წ.; „საუკუნის დასაწყისი“ 1933 წ.).

უფრო შეტი ცნობა რუსთაველის პოემაზე რუსმა მკითხველებმა მიიღეს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების მიმოხილვიდან, რომელიც დ. გორდევევმა გამოაქვეყნა (1918 წ.), აგრეთვე ქართველ მეცნიერთა მიერ ენციკლოპედიებში დაბეჭდილი წერილებიდან (ლიტერატურული ენციკლოპედია, 3, 1930 წ.; დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, 19, 1930 წ., მცირე საბჭოთა ენციკლოპედია, 7, 1930 წ.).

რუსთაველის წარმომავლობის, მისი ვინაობისა და შიომლშედველობის, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სა-

კითხები განიხილა ნ. მარმა პ. ინგოროვას „რუსთველიანასაბადში“ მიძღვნილ წერილსა (1927 წ.) და ნარკვევში „ჩიხშია მატერიალური ულტურის ისტორიაზი“ (1933 წ.).

1933 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ კ. ბალმინტისეული სრული პოეტური თარგმანი, რომელსაც, — გარდა წინა (არასრულ) გამოცემაში (1917 წ.) გამოქვეყნებული წერილებისა, — ასედა მთარგმნელის ახალი წინასიტყვაობა — „რუსთაველის პოემა“.

კ. ბალმინტმა ერთხელ კიდევ განიხილა „ქართველი მგონის სწორუპოვარი პოემა“ — „პოეტური სალოცავი ყოველი ქართველისა“ და უმაღლესი შეფასება მისცა მას. რუსი მწერლის სიტყვით, „როგორც პომეროსი არის ელადა, დანტე — იტალია, შექსპირი — ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი — ესპანეთი, ისე რუსთაველი საქართველოა“.

რუსთაველის პოემის იდეურ-თემატიკურ მოტივებზე მსჯელობისას კ. ბალმინტმა სრულად დაახასიათა მიკნურობა და დასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „ესაა სიყვარულის საუკეთესო პოემა, რომელიც კი ოდესმე შექმნილა ევროპაში, სიყვარულის ცისარტყელა, ზეცისა და მიწის შემაერთებული ცეცხლოვანი ხიდი“.

„ვეფხისტყაოსნისა“ და მსოფლიო ლიტერატურის ცნობილი ნიმუშების შედარების საფუძველზე კ. ბალმინტმა რუსთაველის სიდიადე და უპირატესობა აღიარა: „რუსთაველი მაღლაა და სრულ-ყოფილია ნებისმიერ ევროპელ გენიოსზე, იქნება ის სოფოკლე თუ შექსპირი, იმდენადც, რამდენადც აღმოსავლეთის ცა უფრო მდიდარია თავისი შეფერილობით, ვიდრე დასავლეთისა“.

1934 წლის 20 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის შესახებ. გაჩაღდა საიუბილეო სამზადისი, ცნობები რუსთაველზე გამოჩნდა „პრავდის“ ფურცლებზე (23. VIII. 1934), ცენტრალურ პრესაში წერილები გამოაქვეყნეს ჩენენა მოღვაწეებმა (გ. ქიქოძემ, კ. ჭიჭინაძემ, ვ. ბერიძემ, ა. სვანიძემ, კ. კიკელიძემ და სხვ.), რომელთაც რუსეთის საზოგადოებრიობას გააცნეს ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი საკითხები, ხშირ შემთხვევაში რუსთაველის ზოგად შეფასებასთან ერთად შეიწოდეს „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანი ანალიზიც. ქართველმა მწერლებმა და მეცნიერებმა კ. ჭიჭინაძემ, მ. ჯავახიშვილმა, კ. კიკელიძემ, მ. დუღუჩივაძემ, ა. შანიძემ და სხვა. წერილები გამოაქვეყნდა 202

ნეს საქართველოს რუსულ პრესაშიც, ამასთანავე, ზოგჯერ სპეციალურ, კონკრეტულ საყითხებზეც — „ვეფეხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიაზე, ხელნაწერებზე, რედაქციებზე, თარგმანებზე და ა. შ.

საქაეშირო პრესაში დაიბეჭდა რუსი მოღვაწეების და ზამლავეკის, ა. ბოლოტნიკოვის, ს. ლუნაჩარსკაიასა და სხვათა წერილები; „იზვესტიამ“ ერთ ნომერში (17. III. 1937) გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი (ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, გ. ლეონიძის და ა. ოჩხელისა); რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი წერილები უძღვნეს ვ. გოლცევმა, ქ. ზელინსკიმ, ი. ლუპოლმა, პ. ანტოკოლსკიმ, პ. პავლენკომ, ნ. ზაბოლოცკიმ, ნ. ტიბონოვმა და სხვ. რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადის აღიარება შეინიშნება არა მხოლოდ რუსეთის პრესაში დაბეჭდილ წერილების შინაარსში, არამედ იმ სათაურებშიც, რომლებითაც ავტორები თუ რედაქციები ამ წერილებს აქვთ უნდა ასეთია, მაგალითად, „ქართული ეროვნული გენია“ („იზვესტია“), „უკვდავი პოემა“ („ლიტერატურნაი გაზეტა“), „ქართველი ხალხის დიდი მხატვარი“ („ლიტერატურა ვ შეოლე“), „დიდი მესხი“ („სოვეტსკოე სტუდენტესტვო“) და ა. შ.

II საგანგებოდ უნდა მოვიხენიოთ უურნალისტ დ. ზასლავსკის „შოთა რუსთაველი“ — რუსი მოღვაწის პირველი წერილი რუსთავის ცენტრალურ ორგანოში — „პრავდაში“ (6. VI. 1936). მასში „ვეფხისტყაოსნი“, — „შესანიშნავი ქართული პოემა“, „გენიალური პოემა“, „ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო ძეგლი“, რომელიც მშობელმა ხალხმა „შესანიშნავი სიყვარულით გამოატარა ყველა ისტორიულ განსაკუდელში“, — სრულადა მიმოხილული; ნაჩენებია მისი საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა, დახსიათებულია გმირები, შეფასებულია პოემაში ასახული „იდეები და ცნებანი, წინასწარ მაუწყებელნი ევროპის კულტურული ილორძინების ეპოქისა“, აღნიშნულია მისი არაჩვეულებრივი პოპულარობა და თანამედროვე ქლერიდობა; „პომეროსი გენიალურია, მაგრამ მას სწავლობენ მხოლოდ უნივერსიტეტებში, კითხულობენ მხოლოდ სკოლებში. დანტეს არც ჟოლებში კითხულობენ. შექსპირს უფრო მეტად კითხულობენ და ისმენენ სცენაზე, ვიდრე კითხულობენ. მსოფლიო გენიოსთა ამ ოჯახში რუსთაველი ღვიძლი ძმა და შეიღია, მაგრამ მას კითხულობს და მღერის ხალხი“, — დასძენს ავტორი.

„ვეფხისტყაოსნის“ იუბილესთვის მზადების პერიოდში რუსულ ენაზე სპეციალური მეცნიერული ნაშრომები გამოაქვეყნეს

ქ. ქეჩელიძემ, ა. ბარამიძემ, მ. ჩიქოვანმა და სხვ.; ვრცელი ნარკოზი გამოვლისმთქმელი სათაურებით — „შოთა რუსთაველი — ქართული რენესანსის პოეტი“, „შოთა რუსთაველი — ქართველი დანტე“ დაბეჭდა რ. მილერ-ბულნიცყაიამ (1937 წ.); საინტერესოა ი. მარის გამოკვლევები — „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან“ (1934 წ.) და „ვეფხისტყაოსანსა“ ერთი ადგილის განმარტებისათვის“ (1934 წ.). ასე რომ, 1934—1937 წლებში რუსულ ენაშე „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე დაიბეჭდა არა მხოლოდ პოპულარული ან სამეცნიერო-პოპულარული წერილები, არამედ საყურადღებო მეცნიერული ნაშრომებიც. იმავე წლებში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსანსა“ თარგმანები კ. ბალმონტისა (1935, 1936, 1937 წწ.), გ. ცაგარელისა (1937 წ.), ნ. ზაბოლოცყისა (1937 წ.) და სხვ.

„ვეფხისტყაოსანის“ 750 წლისთვის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად 1937 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში ჩამოედა დიდი ჯგუფი რუსი მოღვაწეებისა (ნ. ასავი, დ. ბელნი, თ. გლადკოვი, ნ. ზაბოლოცყი, ი. ლუპოლი, ა. ნოვიკოვ-პრიბოი, ა. სერაფიმოვიჩი, ნ. ტიხონოვი, ა. ფადეევი, კ. ფედინი და სხვ.). თბილისის პრესაში დაიბეჭდა მათი ბევრი წერილი თუ გამონათქვამი. რუსმა მწერლებმა და მეცნიერებმა პ. ანტოკოლსკიმ, კ. ზელინსკიმ, პ. გრიგორიევმა, ი. ლუპოლმა, დ. ოსიპოვმა, პ. პავლენკომ, ა. პეტრენკომ, ი. სიმონოვმა, ი. ტინიანოვმა, ს. ლუნაჩარსკაიამ, ვ. გოლცევმა და სხვებმა საიუბილეო დღეებში წერილები დაბეჭდეს ცენტრალურ პრესაშიც.

მრავლისმთქმელის რუსული წერილების სათაურები, რომლებიც ცხადყოფენ ავტორთა თვალსაზრისს: „შოთას უკვდავება მის ხალხურობაშია“, „რუსთაველი მთელი კაცობრიობის გენია“ (თ. გლადკოვი), „რუსთაველი ჩვენთვის განსაკუთრებით ხელობელია (ი. სელვინსკი), „რუსთაველი საბჭოთა აღამიანის გულშია“ (ა. ფადეევი), „რუსთაველი დღეს მთელი კავშირის უსაყვარლესი პოეტია“ (ი. ლუპოლი), „ოქროს პოემა“ (ნ. ტიხონოვი), „უკვდავი პოემა“ (პ. ანტოკოლსკი), „მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი“ (ა. ორლოვი), „აღრეული პუმანიზმის მანიფესტი“ (პ. პავლენკო), „გენიალური ქმნილება“ (ს. ლუნაჩარსკაია), „მსოფლიო პოეზიის მაღალი ნიმუში“ (ა. პეტრენკო), „მსოფლიო მნიშვნელობის თარიღი“ (ი. ტინიანოვი), „მრავალეროვნული კულტურის ზემი“ (ა. უაროვი) და სხვ.

ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა, ხელოვნების მუშაკებმა შ. ამირანაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, ს. იორდანიშვილმა, პ. ინგოროვამ, ჭ. მამელიძემ, ლ. გუდიაშვილმა, დ. ორაყიშვილმა და სხვებმა წერალები გამოაქვეყნეს აღვილობრივ პრესაში. ქართველი მოღვაწეების კ. მაკელიძის, გ. ჭიქოძის, ი. ნიკოლაძის, ს. ჩიქოვანის, მ. ჩიქოვანის, შ. ნუცუბიძის, ა. ბარამიძის, კ. ჭიჭინაძის, ვ. გაფრინდაშვილის, შ. დადიანის, ბ. ქლენტისა და სხვათა წერილები მრავლად დაიშეჭდა რუსეთშიც.

რუსმა პოეტებმა ს. მიხალკოვმა, ი. სელვინსკიმ, ვ. ინბერმა, პ. ანტონლესკიმ და სხვებმა ლექსები უძღვნეს რუსთაველს. ბევრი რუსი მწერალი თუ მეცნიერი სიტყვით გამოვიდა სირ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე (ვ. სტავსკი, ა. სერაფიმოვიჩი, ი. სელვინსკი, დ. ბედნი, ნ. ზაბოლოვკი, ი. ლუპოლი, ი. მეშჩანინოვი, ვ. სტრუვე, ვ. ინბერი, ჭ. ალტაუზენი, პ. ანტონლესკი, ა. სურკოვი, ვ. გოლცევი და სხვ.). მოხსენებები წაიკითხეს პ. პავლენკომ („ვეფხისტყაოსანი“) და ნ. ტიხონოვმა („პოეტი და სამყარო“).

პ. პავლენკომ ჯერ კიდევ იუბილემდე „პრავდაში“ დაბუჭდა „რუსთაველის ოცნებათა ხორციელება“ (23. XII.1937), ხოლო შემდეგ გავრცობილი სახით მოხსენებად წაიკითხა მრავალეროვნულ აუდიტორიაში და მსმენელებს რუსთაველის თხზულება, — „თავისი დროის მოწინავე იდეათა დეკლარაცია“, „ახალი ეთიკისა და მორალის წიგნი“, „პირველი წიგნი შუა საუკუნეთა აღამიანის სულსა და ხასიათზე“, — წარუდგინა „აღამიანის ახალი იდეალებისათვის ბრძოლის პოემად“, წიგნად ისეთ აღამიანებზე, „რომელთაც სწამთ ბეღნიერება და იციან, თუ რა გზით შეიძლება ამ ბეღნიერების მიღწევა“.

პ. პავლენკომ გულდასმით წარმოაჩინა რუსთაველის ცოველ-მყოფელი ოპტიმიზმი და მისი პოემის „ზოგადსაკაცობრიო შინაარსი“. მისი დასკვნით, „ქართული ხელოვნების საყოველთაოდ აღიარებული და უბადლო ბელადი რუსთაველი მთელ საუკუნეზე მეტი ხნით უსწრებს იტალიის აღრინდელი პუმანიზმის პოეტთა იმედებსა და მისწრაფებებს და აღემატება მათ ჯანსალი, საეკლესიო მისტიკისა-გან თავისუფალი რეალიზმით“.

ნ. ტიხონოვმა ყურადღება გამახვილა რუსთაველის ზოგადსამართლოს მიერ მომსახულის მიერ ეროვნულ-სარწმუნობრივი შეზღუდულობის დაძლევასა და საერთაშორისო კულტურულ-ლიტერატურულ არენაზე საპატიო ადგილის მოპოვებაზე.

საიუბილეო დღესასწაულზე ჩამოსული ყველა სტუმრის, პლენუმზე გამოსული ყველა მონაწილის აზრი ერთი იყო: „რუსთაველი ყველაზე ასლობელი, საყვარელი და ძვირფასია საბჭოთა აღამიანისათვის“ (ა. ფადევვი), „რუსთაველის გენია ეკუთვნის როგორც ქართველ ხალხს, ისე მთელი საბჭოთა კავშირის, მთელი მსოფლიოს ხალხებს“ (თ. გლადკოვი); „ვეფხისტყაოსნის“ იუბილე „მთელი ჩვენი პოეზიის დღესასწაულია“ (ა. ასაევი). „ჩვენი ხალხის დიალი მეგობრობის ზეიმია“ (პ. ანტოკოლსკი).

არა მხოლოდ საიუბილეო დღესასწაულის მონაწილეთა, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის აზრი გამოხატა გაზეთმა „პრავდამ“, როცა მოწინავე წერილში — „საბჭოთა კულტურის დიალი დღესასწაული“ (26. XII. 1937) აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ დიალი მნიშვნელობა: ჩვენი თანამედროვეობისათვის, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობისათვის და კიდევ ერთხელ გამოაცხადი საჯაროდ და საქვეყნოდ, რომ „ქართველი გენისასის პოემა „ვეფხისტყაოსნი“ თავისი შეუდარებელი მხატვრული ძალით, თავისი ღრმა იდეური შინაარსით ეკუთვნის მთელ კაცობრიობას“.

„ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო დღესასწაულის მომდევნო წლებში — დიალი სამამულო ომის წინარე პერიოდში (1938—1940 წწ.) შეინიშნება რუსული რუსთაველოლოგის აღმავლობა და წინსვლა. ამ პერიოდში დაიბეჭდა საიუბილეო წელს მომზადებული არაერთი წერილი თუ კრებული. საყურადღებო წერილები გამოაქვეყნეს როგორც რუსმა მწერლებმა (ნ. ზაბოლოცქმ, ვ. გოლცევამა და სხვ.), ისე ქართველმა მეცნიერებმა (კ. კეჩლიძემ, კ. დონდუშმა და სხვ.).

რუსეთის სამეცნიერო საზოგადოებრიობის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა 1937 წელსაც მნიშვნელოვანი წერილები უძღვნეს რუსთაველს (მოვიგონოთ ი. ორბელის „დიალი მემკვიდრეობა“, ა. ორლოვის „მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი“, ი. ლუპოლის „შოთა რუსთაველის აფორიზმები“ და სხვ.), მაგრამ 1938 წელი განსაკუთრებით შედეგიანი იყო: დაიბეჭდა ვ. კომაროვის „შოთა რუს-

თაველი“, ვ. სტრუვეს „დიდი ჰუმანისტი“, მ. აზადოვსკის „რუს-თაველი პუშკინის ლექსებში“ და სხვ. საგანგებოდ უნდა მოვიხსე-ნიოთ ვ. შიშმარიოვისა და თ. ბერკოვის ვრცელი გამოკვლევები.

ვ. შიშმარიოვი ჯერ კიდევ აღრე დაინტერესდა „ვეფხისტყაოს-ნით“ და „თანაბიარობდა ნ. მარის რუსთაველოლოგიურ სტუდიებში“, ვრცელი რეცენზიით გამოქვეყნა ნ. მარის გამოკვლევის ქა-ლის კულტზე. 1938 წელს მან გამოაქვეყნა მოზრდილი ნარკე-ვი — „შოთა რუსთაველი (რამდენიმე პარალელი და ანალოგია)“, რომელშიც შეინიშნება სპარსული ლიტერატურის როლის გაზვია-დება როგორც საერთოდ ქართული კულტურის ისტორიაში, ისე „ვეფხისტყაოსნის“ შექმნაში, მაგრამ, ამასთანავე, გამოთქმულია რწმენა, რომ რუსთაველის „ნამდვილ ღირებულებასა და მნიშვ-ნელობას მალე შეიგნებს ხალხი ჩვენს საზღვრებს იქითაც, სადაც გადმოცემის ოსტატობის, სიცოცხლის მკვეთრად, რეალისტურად გადმოცემის, თავისი ჰუმანური აზრის სიფართოვის, დაძაბული ჰე-როიკისა და გრძნობათა ღრმა კეთილშობილების წყალობით შოთა შესაფერ ადგილს მოიპოვებს დიდ მწერალთა შორის“.

ვ. შიშმარიოვმა შეისწავლა და გააანალიზა რუსთაველის მსოფლ-მხედველობა და პოეტიკა, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კონსტ-რუქცია და წყაროები, ეროვნული საფუძვლები და სოციალური გარემო, ძირითადი მოტივები და სხვ. მან რუსთაველის პოეზია ქარ-თული კულტურის ფონზე განიხილა, ღირსეულად წარმოაჩინა მისი ზოგადსაყაოცბრიო მნიშვნელობა.

დიდად საყურადღებოა პ. ბერკოვის „შოთა რუსთაველი რუ-სულ ლიტერატურაში“ — პირველი სრული და საფუძვლიანი გა-მოკვლევა, რომელშიც დეტალურადაა მიმოხილული რუსულენოვა-ნი რუსთაველოლოგიური ლიტერატურა 1802 წლიდან „ვეფხისტყა-ოსნის“ საიუბილეო დღეებამდე.

რუსთაველოლოგის ისტორიაში და საერთოდ ჩვენს სამეც-ნიერო-ლიტერატურულ ცხოვრებაში უძღრესად დიდი მნიშვნელო-ბა პქონდა რუსთაველისადმი მიძღვნილი სამი რუსული კრებულის გამოქვეყნებას თბილიში, მოსკოვსა და ლენინგრადში. ერთმანე-თის მიყოლებით დაიბეჭდა „რუსთაველის კრებული“ (თბილისი, 1938 წ.), „რუსთაველის ეპოქის ძეგლები“ (ლენინგრადი, 1938 წ.), „შოთა რუსთაველი და მისი დრო“ (მოსკოვი, 1939 წ.). კრებულებში შევიდა როგორც ქართველ, ისე რუს მწერალთა და მეცნიერთა



წერილები. მაგალითად, ი. ლუპოლის „შოთა რუსთაველის სახისძიებები და იდეები“, ქ. ჩაიკინის „ქართულ-ირანული ურიანერთობიდან (სამი ცნობა)“, ნ. ტიხონოვის „პოეტი და სამყარო“ და სხვ.

1940 წელს დაიბეჭდა ვ. გოლუევის „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, რომელშიც რუსთველოლოგის მრავალი საკითხია განხილული. ესაა რუსი ავტორის პირველი მოზრდილი წიგნი რუსთაველზე, პირველი ვრცელი მონოგრაფია, რომელმაც რუს მკითხველებს შევრი ცნობა მიაწოდა „ვეფხისტყაოსანსა“ და მის შემოქმედზე.

1941—1945 წლებში რუსული რუსთველოლოგის განვითარება რამდენადმე შეფერხდა — რუსულ ენაზე შედარებით მცირე რამ დაიბეჭდა. სახელდობრ, საქართველოში გამოქვეყნდა ორიოდე სპეციალური წერილი (ი. აბულაძის, ქ. შარაშიძის, კ. კიკელიძის და სხვ.); ენციკლოპედიური ადგილი დაეთმო რუსთაველს (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, 49, 1941 წ.; მცირე საბჭოთა ენციკლოპედია, 9, 1941 წ.; ენციკლოპედიური ლექსიკონი, 36, 1941 წ.); რუსმა მკითხველებმა მიიღეს „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძისეული თარგმანი (1941 წ.), რომელსაც საკავშირო პრესა გულთბილად გამოეხმაური (ი. აბულაძე, ი. ანდრიანოვი, გ. ლეონიძე); ა. სლოვინსკიმ დაბეჭდა მოზრდილი ნაშრომის (რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შეატერული წყობა) ერთი თავი — „რეალობა რუსთაველის პოემის შინაარსში“ (1941 წ.), რომელშიც ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველი ქართული სინამდვილე იყო.

დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში, — 1946 წლიდან 1965 წლის დამდეგამდე — რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო ზემინისათვის მზადების დაწყებამდე, — რუსულენოვანი რუსთველოლოგია გამდიდრდა და მრავალფეროვანი გახდა. ქართველმა მეცნიერებმა გ. იმედაშვილმა, ვ. შადურმა, კ. კიკელიძემ, ა. ბარამიძემ, ე. მეტრეველმა, ი. ბერიტაშვილმა, ა. შანიძემ და სხვებმა წიგნებსა თუ წერილებში განიხილეს რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალი საკითხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. ნუცუბიძის „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (1947 წ.), „რუსთაველის შემოქმედება“ (1958 წ.) და ი. მეგრელიძის „რუსთაველი და ფოლკლორი“ (1960 წ.), რუსთაველს სათანადო ადგილი მიუჩინეს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ძველი ქართული ლი-

ტერატურის ისტორიის მიმოხილვაში თ. ბეგიაშვილმა (1949 წ.), ა. ბარამიძემ (1952 წ., 1958 წ.), ქართველ მკვლევართა (გ. იმედა-შვილის, ა. ბარამიძის, შ. ამირანაშვილისა და სხვ.) ნაშრომები დაი-ბეჭდა რუსეთშიც.

„ვეფხისტყაოსანს“ ადგილი დაეთმო ბევრი რუსი მოლვაშის ნაშრომებშიც. შეგვიძლია დავიმოწმოთ ვ. ურმუნსკის (1946 წ.), ვ. მიხანქოვას (1949 წ.), რ. ორბელის (1954 წ.), კ. ზელინსკის (1957 წ.), ა. ფადეევისა (1957 წ.) და სხვათა წერილები თუ წიგნები.

ცალკე უნდა გამოვყოთ „ვეფხისტყაოსანს“ ცნობილი მთარგმნელის ნ. ზაბოლოცკის „რუსთაველის სიბრძნე“ (1958 წ.), რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა.

ნ. ზაბოლოცკიმ განიხილა „ქართველი ხალხის საყვარელი წიგნი“, „პირადი თუ საზოგადოებრივი მორალი! თავისებური კოდექსი“, სწორად შენიშნა, რომ „მთელი თაობები აზროვნებდნენ რუსთაველის ზნეობრივი კატეგორიებით“ და სკადა „ვეფხისტყაოსანს“ გაუგონარი პოპულარობის ახსნა — საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება რუსთაველის მორალურ კონცეფციაზე. მისი სიტყვით, „რუსთაველი თავისი დროის მოწინავე ადამიანი იყო. მან ევროპულ აღორძინებამდე დიდი ხნით აღრე ამცნო ქვეყანას ახალი ჰუმანისტური მორალის საწყისები“. თავისი იდეალები პოეტმა წარმოადგინა არა განყენებულ მსჯელობათა სახით, არამედ „ცოცხალ ადამიანურ განსახიერებაში“, გმირებში, რომელთაც ახასიათებთ სამშობლოს სიყვარული, მოვალეობისადმი ერთგულება, უანგარო მეგობრობა, შთავონებული მიჯნურობა.

ნ. ზაბოლოცკიმ დაახასიათა „ვეფხისტყაოსანს“ მეგობრობა და მიჯნურობა, ერთმანეთს შეუპირისპირა ავთანდილი და ტარიელი, წინ წამოსწია მათი ადამიანური თვისებები, ვნებები და განცდები და დაასკვნა, რომ „ქვეყნის ბიწიერების უარყოფის ნეგატიური სიმართლე, რომლის მატარებელი ტარიელია, ეგანება ავთანდილის პოზიტიურ სიმართლეს, ცხოვრებისეულ სიმართლეს ბრძოლისა და ბოროტების აქტიური დაცლევისა. მრავალი გამოცდის შემდეგ ავთანდილის სიმართლე იმარგვებს, გონების, მეგობრობისა და სიყვარულის ძალა ზემობს: ავთანდილის დახმარებით ტარიელა უბრუნდება ცხოვრებას და პოულობს მასში ყოველივე იმას, რაც სამუდამოდ დაკარგული ეგონა“.

საინტერესო აღმოჩნდა რუსი უურნალისტის ს. ლოსევის წერილი „შოთა რუსთაველის საფლავის შესახებ“ (1960 წ.), რომელიც აეტორმა იერუსალიმიდან გამოგზავნა.

ს. ლოსევიმა გამოიყენა იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე შემონახული გადმოცემები და ქართველ და უცხოელ სწავლულთა ნაშრომები, წყაროებიდან ამოკრებილი მასალის საფუძველზე მიმოიხილა ძველი ქართული სავანის ისტორია, გაიცნო და აღწერა მონასტრის თანამედროვე მდგომარეობა, ყურადღება გაამახვილა რუსთაველის იერუსალიმში ყოფნაზე, პოეტის პორტრეტსა და საფლავზე, ამასთანავე, დაიმოწმა ერთი უცნობი წყარო — „ჯვრის მონასტრის მატიანე“, რომლის ჩვენებით, თითქოს, რუსთაველი 1192 წელს ჩაეიდა იერუსალიმში.

შართალია, ეს უკანასკნელი ცნობა არც ძველი აღმოჩნდა და არც სარწმუნო, რის გამოც ს. ლოსევის წერილს შემდგომში დაეკარგა აღრინდელი მნიშვნელობა, მაგრამ გამოქვეყნების უამს მან უთუოდ შეუწყო ხელი საზოგადოებრიობის ინტერესის ზრდას იერუსალიმის ქართული სიძველეებისა და რუსთაველის ცხოვრების ბოლო წლებისადმი.

მალე იერუსალიმს გაემგზავრა ქართველ მოლვაშეთა სამეცნიერო ექსპედიცია (ა. შანიძე, ი. აბაშიძე, გ. წერეთელი), რომელმაც გაიცნო ჯვრის მონასტრის სიძველენი და საინტერესო მასალა მოიპოვა — რაც მთავარია, რუსთაველის პორტრეტი ჩამოგვიტანა. ექსპედიციის მონაწილეებმა თავდაპირველად კოლექტური წერილი გამოაქვეყნეს — „შოთა რუსთაველი ჯვრის მონასტერში“ (22. XI. 1960). შემდეგ დაიბეჭდა ა. შანიძის „დაკარგული პორტრეტის ძიებაში“, ი. აბაშიძის „პალესტინის დღიური“ და სხვ. ამას მოჰყვა ცხოველი გამოხმაურება — გ. ბერიძის „სასურველია გაგრძელდეს კვლევა“, ე. მეტრეველის „ფრესკა ბევრს გვიამბობს“, გ. კონდრაცის „დიდ ძიებათა ნაკვალევზე“, ს. კაკაბაძის „ერთხელ კიდევ რუსთაველის პორტრეტზე“ და ა. შ. საე რომ, იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის შედეგზე, მის მონაპოვარზე რუსულ ენაზე მთელი ლიტერატურა შეიქმნა.

რუსთაველოლოგის განვითარებისათვის უთუოდ მნიშვნელოვანი იყო ნ. მარის ნაშრომების გამოქვეყნება — დაიბეჭდა „ძავ-კასიური პოეზია და მისი ტექნიკური საფუძვლები“ (1947 წ.), „ქარ-



თული ენა“ (1949 წ.), „სპურია“ (1963 წ.) და „რუსთაველის შეკრისტიანების მოქმედების სათავეებისა და პოემის შესახებ“ (1964 წ.).

პირველ ნაშრომში, რომელიც 1918—1919 წლებით თარიღდება, ნ. მარმა საკითხოდ გააფართოვა „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველი; პოემა არა მხოლოდ ადგილობრივ-ქართული, ეროვნულ-ხალხური, არამედ საერთო-კავკასიური ბუნებისაა, კავკასიის ხალხთა ერთიანი სულიერი და მატერიალური კულტურითა ნასაზრდოება. „უდიდეს ქართველ პოეტს შოთა რუსთაველს არა აქვს არც ერთი სიტყვა სა-ქართველოზე, მშობლიური მხარის ბუნებაზე, თავის თანამემამუ-ლეთა და ნათესავთა განცდების შესახებ საკუთარ საზოგადოებრივ და მატერიალურ პირობებში“, მაგრამ, ამის მიუხედავად, მის „რო-მანტიკულ პოემაში ჩვენ გვესმის კავკასიური გულის ძერა, მოქმედ პირთა ურთიერთობაში აშკარად იგრძნობა გარკვეული ეპოქის კავ-კასიური საზოგადოება, უფრო მეტი — აშკარად გვაქვს კავკასიურ ეთნიკურ კულტურასთან, ხალხურ საზოგადოებრიობასთან დაკავ-შირებული ხალხური ფსიქოლოგიის ელემენტები“. საინტერესოა ნ. მარის კატეგორიული განცხადება: „ეს ფხისტყაოსნი“ ანონიმუ-რი რომ იყოს, აუცილებლად კავკასიურად ვალიარებდით, ავტორს კავკასიელად მივიჩნევდით, რადგან მისთვის „ყველაზე უფრო შე-საფერისი გარემო საზოგადოებრივ-კულტურული და ხალხურ-ფსი-ქოლოგიური თვალსაზრისით იქნებოდა კავკასია“.

„ქართული ენა“ 1928 წელს უნდა იყოს დაწერილი. მასში საუბარია რუსთაველის ლექსის საზომის საწყისებზე სასულიერო პოეზიაში, ხალხთა ძმობა-მეგობრობაზე, „ვეფხისტყაოსნის“ ავ-ტორის ინტერნაციონალიზმზე (ნ. მარის განცხადებით, რუსთაველი „მთელ ქართულ ლიტერატურაში გამოირჩევა განსაკუთრებული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით“). საყურადღებოა ნ. მარის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ აღიარება ქართული სიტყვაკაზმული მწერ-ლობის განვითარების ბუნებრივ შედეგად. მისი სიტყვით, „ქართული პოეზიის ეს შედევრი არაა ინდივიდუალური გენიის მიერ შექმნილი სასწაული. ეს არის სიერთ პროზისა და პოეზიის განვითარების შე-დეგად მიღწეული კულტურული ტრიუმფი“.

განსაკუთრებით საყურადღებოა მოზრდილი კრებული — „რუს-თაველის შემოქმედების სათავეებისა და პოემის შესახებ“, რომელ-შიც გაერთიანებულია 1899—1931 წლების გამოუქვეყნებელი ნაშ-რომები: „კავკასიის ხალხთა ლიტერატურა“, „ლექცია ძველ ქართულ

ლიტერატურაში“, „მასალები ლექციებისათვის შოთა რუსთაველზე“, „რუსთაველის ენისა და აზროვნების ტექნიკაზე“, „ვეფხისტყაოსნის“ ს. კაგბაძისეული გამოცემის (1927 წ.) რეცენზია, დაკვირვებანი და შენიშვნები აფორიზმებზე, გამოცემებზე, თარგმანებზე, თბილისში წაკითხული ლექციის შესავალი სიტყვა — „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“ და სხვ.

ამ ნაშრომებში ვრცლადა მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პიროვნებასა და მსოფლმხედველობაზე, ენასა და სტილზე, უხვადა ტექსტოლოგიური დაკვირვებანი. ნ. მარი რუსთაველის შემოქმედების სათავეს წარმართული და ქრისტიანული ქართული კულტურის დასავლეთ-აღმოსავლეთის ხალხთა კულტურასთან ისტორიულ კავშირში ხედავდა და ადგილობრივ საფუძველს წარმოაჩენდა. მისი დასკვნით, „თუ მოაზული იდეების, მწერლური ხერხების, დახვეწილი მეტყველებისა და სიუჟეტის თვალსაზრისით შოთა უკავშირდება მშობლიურსა და უცხო მწერლობას, ბერა, რიტმა, მისი პოემის სულის პულის ეხმაურება ქართულ ხალხურ მუსიკას, ხალხურ მეტყველებას. ამასთანავე, პოემა აღსავსეა კავკასიური ყოფით, ქართველ ფეოდალთა რაინდული ინტერესების მატერიალური ხალხურობით“.

1961 წელს ვ. შადურმა და გ. ბებუთოვმა გამოაქვეყნეს ორტომიანი კრებული, — „ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის მატიანე ძველი დროიდან ჩენს დღეებამდე“, რომელშიც დაბეჭდეს დიდაღლი მასალა რუსთაველზე — XIX—XX საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწეების ე. ბოლხვოვიტინოვის, ი. პოლინსკის, კ. ბალმონტის, ნ. ტიხონოვის, პ. პავლენკოს, კ. ფედინის, ნ. ასაევის, ი. სელვინსკისა და სხვათა წერილები, ლექსები, გამონათქვა-მები და ა. შ.

უკანასკნელად ისც უნდა აღნიშნოთ, რომ ბევრჯერ დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძისა და ნ. ზაბოლოცის თარგმანები. გამოვიდა იგრეთვე გ. ცაგარლის თარგმანიც (1953 წ.); ენციკლოპედიებში რუსთაველს მიეძღვნა სპეციალური წერილები, რომელშიც რუსთველოლოგიის თანამედროვე დონის შესაბამისად გაშუქდა ქართველი პოეტის ცხოვრება-შემოქმედების საკითხები.

1965 წლის დამდეგს გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რუსთაველის დაბადების 800 წლისთვის საზეიმოდ აღნიშვნის შესახებ. მთელ

საბჭოთა განშალა საიუბილეო სამზადისი, ახალი ძალით გაჩიტურებული რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება ჩეცნს რესპუბლიკაში. არსებითად 1965—1966 წლები რუსთველოლოგის აღმართობისა და რუსთაველის საერთაშორისო არენაზე დამკვიდრების წლები იყო.

ქართველმა მოღვაწეებმა ი. აბაშიძემ, ს. ჭილაიამ, მ. ჩიქოვანშა, რ. ბარამიძემ, ლ. ანდლულაძემ, ე. გირსალაძემ, ს. ხუციშვილმა, ა. ბარამიძემ, პ. ინგოროვამ, ა. შანიძემ, შ. ნუცუბიძემ და სხვებმა თბილისში გამოაქვეყნეს არაერთი საყურადღებო წერილი. აქვედაიბეჭდა წიგნებიც (ა. ზურაბაშვილი, შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია, 1966 წ.; ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966 წ.).

ქართველმა მწერლებმა და მეცნიერებმა კ. გამსახურდიამ, ი. აბაშიძემ, ა. ბარამიძემ, ვ. შადურმა და სხვებმა ცენტრალურ ჟურნალებში განიხილეს რუსთველოლოგის აქტუალური პრობლემები. რუსმა მკითხველებმა მიიღეს ქართველი ავტორების მოსკოვში გამოცემული წიგნებიც (ა. ბარამიძის „შოთა რუსთაველი“, 1966 წ. და ს. ცაიშვილის „შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი“, 1966 წ.).

დამოწმებულ წერილებსა და წიგნებში სრულადაა მიმოხალული „ვეფხისტყაოსანი“, უხვადა ცნობები მის გენიალურ შემოქმედზე. ქართველმა ავტორებმა რუსეთის ფართო საზოგადოებრიობას მიაწოდეს როგორც სამეცნიერო-პოლულარული წერილები, ისე რუსთველოლოგის თანამედროვე დონეზე შესრულებული საცეცნიერო ნაშრომებიც.

რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის სამზადისში აქტიურად ჩაეხა რუსეთის სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებრიობაც. რუსეთსა და საქართველოში დაიბეჭდა წერილების სერია ნ. ტიხონოვისა: „მარგალიტი წყობილი“, „პარეტის უკვდავება“, „უკვდავი რუსთაველი“, „ადრეული რენესანსის მომღერალი“, „მსოფლიო მნიშვნელობის ეპონი“ და ა. შ., და პ. ბერკოვისა: „შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისათვის“, „ლმერთი“, „სამყარო“ და „ხალხი“ რუსთაველის პოემაში, „ვეფხისტყაოსანის კომპოზიციის შესახებ“, დ. ლეონიდოვის—„შოთა რუსთაველი“, ვ. როედესტვენსკის—„უკვდავი პოემა“ ი. სელვინსკის—„მაღალი ადამიანურობა“, ა. ანტონოვსკაიასა და ბ. ჩორნის—„მესხი მიჯნური“ და სხვ. დაიბეჭდა აგრეთვე რუსი პოეტების ი. სერგეევას, ვ. როედესტვენსკისა და სხვათა ლექსები, ა. ტოლსტოის „რუსთაველის პოემის ახალი თარ-

გმანი“, ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვასა და შ. შოლოხოვის დეპუტატის მიერთების და ა. შ.

6. ტიხონოვმა თავის მრავალრიცხოვან წერილებში ვრცლად განიხილა „დიდებული ქმნილება“, „უკვდავი პოემა“, რომელიც სამშობლოში „შეუსისხლებული ხალხის ცხოვრებას“, ხოლო მის ფარგლებს გარეთ „უდიდეს სიერცეებს გადასწედა“ და „მსოფლიო პოეზიის საგანძურებელო“ დამკვიდრდა საპატიო ადგილზე. რუსი პოეტის სიტყვით, გენიალური ქართველი შემოქმედი, „სიტყვის უდიდესი ოსტატი“, „აღმოსავლეთის აღორძინების მაუწყებელი“, რომელმაც „აღმოსავლეთის აღორძინების პირველი საგალობლები თქვა“, იყო „რაინდი რაინდთა შორის, მეცნიერი მეცნიერთა შორის, პირველი მგოსანი მგოსანთა შორის“. იგი ახლაც ჩვენთანაა, ჩვენი თანამედროვეა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს გვინერგავს, ერთგულებისა და მამაკონისაკენ, პატრიოტიზმისა და მეგობრობისაკენ მოვევიწოდებს.

„ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე ქლერიდობაზე, მისი იდეოლოგის ძალაზე გაამახვილა ყურადღება ე. ჭერიმ (ს. როსტოვსკიმ). რუსთაველის ჰუმანისტურ ტენდენციებზე მსჯელობისას მან ქართველი პოეტი აღიარა „მსოფლიო მასშტაბის ჰუმანისტად“, რომელმაც „ორსაუკუნენახევრით გაუსწრო აღორძინების ეპოქის გენიალურ ხელოვანთ“ და „თავისი სულისკვეთებით ჩვენს საუკუნეებთან უფრო ახლოა, ვიდრე შუა საუკუნეებთან“.

ცალკე უნდა მოვიხსენით 6. მარის წიგნი „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ საკითხები“, რომელიც 1966 წელს დაიბეჭდა. მასში გამოქვეყნდა 1887—1917 წლებში შესრულებული ნაშრომები, რომლებშიც განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და მხატვრული სტილის საყითხები (წაყითხვათა გასწორება, შედარება, სახეები, ლექსის ზომა, რითმი და სხვ.), აგრეთვე „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. აქ ერთხელ კიდევ დაიბეჭდა „ქავებასიური პიეზია და მისი ტექნიკური საფუძვლები“, აგრეთვე ამონაწერები „ვეფხისტყაოსნიდან“ — ბუნების აღწერა, მუსიკალური ტერმინები, სახელმწიფოებრივი ტერმინები, ოფიციალური გამოთქმები, შედარებები, რითმები, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ ზიარი (საერთო) ელემენტები და სხვ. ესაა ბანგრძლივი მეცნიერული დაკვირვების შედეგად მოპოვებული მასალა, ზოგჯერ სათანადოდ გააზრებული და შეფასებული.

რუსთაველის საიუბილეო დღეების წინ მკითხველებმა მიიღეს კარგი საჩქარი — გამოქვეყნდა გ. ბებუთოვის მიერ შედგენილი კრებული — „რუსული კულტურის მოღვაწეები შოთა რუსთაველის შესახებ“ (1966 წ.), რომელშიც დაიბეჭდა დიდიალი მასალა „ვეფხისტყაოსანზე“ და მის ავტორზე (ე. ბოლხოვიტინვილან მოყოლებული 1966 წლამდე). კრებულმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა ყოველთვის იჩენდა ინტერესს „ვეფხისტყაოსნისადმი“.

1966 წლის სექტემბრის მიწურულში რუსთაველის დაბადების 800 წლისთვისადმი მიძღვნილ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ეწვია რუს მოღვაწეთა დიდი ჯგუფი: მ. ალექსეევი, კ. ზელინსკი, ნ. კონრადი, გ. მარკოვი, ვ. უირმუნსკი, კ. სიმონოვი, ს. სმირნოვი, ა. სურკოვი, ნ. ტიხონოვი და სხვ. როგორც ადგილობრივმა, ისე საკავშირო პრესამ დიდი ადგილი დაუთმო მათ წერილებს, გამოკვლევებს, გამონათქვამებს. ისინი გამოვიდნენ სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა პლენუმზე (ნ. აბალკინი, მ. ალექსეევი, ნ. ტიხონოვი — 26. IX. 1966), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე (ნ. კონრადი, ვ. უირმუნსკი — 28.IX.1966), საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახეიმო სხდომაზე (ვ. სტოლეტოვი, ნ. ტიხონოვი, ე. ფურცევა, ა. შაპოშნიკოვა, ნ. ხრისტოფოროვი --- 30. IX. 1966).

რუს მოღვაწეთა აზრის ნათელსაყოფად ჩვენ მხოლოდ ორით დე გამონათქვამს დავიმოწმებთ: „ლრმად ეროვნული ძეგლი“ (კ. სიმონოვი), „კაცობრივი მეცნიერების, სათნოებისა და ხალხთა მეცნიერების ჰიმნი“ (ა. სურკოვი), „პოეტური შემოქმედების ჟუშმარიტი შედევრი“ (კ. კორონკოვი), „მთელი პროგრესული კაცობრიობის სიმაყუე“ (გ. მარკოვი), „უბერებელი გენიოსი“ (ი. სელვინსკი) და ა. შ. საგანგებოდ გამოვყოფთ ერთ მოხსენებას და ორ სიტყვას.

ნ. ტიხონოვის მოხსენებაში — „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ — ერთგვარად განსაზღვრა არა მხოლოდ მწერალთა ფორუმის, არამედ საერთოდ საიუბილეო ზეიმის განსაკუთრებული ჟღერადობა. მასში მყაფიოდ იყო წარმოჩენილი რუსთავი-

ლის ზოგადსაქაცობრით მნიშვნელობა, მისი პოემის მხატვრული სტილი და დიადე და ღრმაიდეურობა.

6. ტიხონოვის სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური გენის სრულყოფილი ქმნილებაა, იგი შედის მსოფლიო კლასიკური პოეზიის უდიდეს ნაწარმოებთა საგანძურში“. მასში „ჩაქსოვილია ღრმა ინტერნაციონალური გრძნობები, მასში ცოცხლობს მგზნებარე პატრიოტიზმის სულისკვეთება, რომელიც დღესაც ამოძრავებს კაცობრიობას“. რუსთაველის პოემამ სწორედ ამიტომ „მოიხვეჭა უკვდავება“. „იგი ბუნებრივად შეერწყა ხალხის ცხოვრებას“ და „მოელი კაცობრიობის კუთვნილებად“ იქცა.

6. კონრადმა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურის მნიშვნელოვან მწერლებსა და ძეგლებთან მიმართებაში განიხილა და იგი საქართველოში რენესანსის გაფურჩქნის პერიოდის — XII საუკუნის ღირსეულ პოეტურ შედევრად წარმოაჩინა. მართალია, 6. კონრადმა ზუსტად ვერ გაითვალისწინა ქართული ლიტერატურის ტიპოლოგიური ბუნება, მაგრამ სწორად შენიშნა „ვეფხისტყაოსანის“ მაურორული ულერადობა და თავისებური ფინალი, რომლითაც ქართული პოემა გამოიჩინა შუა საუკუნეების ანალოგიური ძეგლებისაგან.

ვ. უირმუნსკიმ დაბეჭითებით განაცხადა, რომ რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი „არა მარტო ქართველი ხალხის დღესასწაულია, არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დღესასწაულია — ეს დღესასწაულია მთელი კაცობრიობისა, რომლის კულტურულ, ლიტერატურულ განვითარებაში ქართველმა ხალხმა ასეთი შესანიშნავი წევლილი შეიტანაა.“

ეს აზრი კიდევ უფრო სრულად და ნათლად გამოითქვა „პრავდის“ მოწინავეში — „ხალხთა მეგობრობა, კულტურათა მეგობრობა“ (25.IX.1966), რომელშიც აღინიშნა, რომ „რუსთაველის პოემის გმირული პათოსი, მასში ასახული პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეები მახლობელია საბჭოთა აღამიანების, დედამიწის თავისუფლებისმოყვარე ხალხების სულიერი სამყაროსათვის“. „ვეფხისტყაოსანის“ იდეურ-მხატვრული სიმღიდრე — პუმანიზმისა და კაცომოყვარეობის, პატრიოტიზმისა და ხალხთა ძმობის წმიდათაწმიდა იდეალები, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ოპტიმიზმი კაცობრიობის გულწრფელ აღტაცებას იწვევს. მიტომაც, —

ეროვნულ კულტურათა დაახლოების შედეგად, — რუსთაველის მცილე საყოველთაო ზეიმად იქცა.

რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულის ბუნებრივი გაგრძელება იყო ქართველი პოეტის ძეგლის გახსნა და საზეიმო საღამო მოსკოვში (25. X. 1966), სადაც კიდევ ერთხელ იღინიშნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „მთელ კაცობრიობას ეკუთვნის. იგი უმღერის საშობლოს სიყვარულის უკვდავ გრძენობებს, ნამდვილ პატრიოტიზმს, ხალხთა ძმობას, მეგობრობას, გაბედულ, კეთილშობილურ და ძლიერ დღამიანთა სიყვარულს, ერთგულებას, მეგობრობას“ (ნ. ტიხონოვი).

რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულის მომდევნო წლებში შევლევართა ინტერესი „ვეფხისტყაოსანისადმი“ ოდნავაც კი არ შენელებულა, პირიქით, რუსულენოვანი რუსთველოლოგია ახალი მეცნიერული ნაშრომებით გამდიდრდა. სახელდობრ, საყურადღებო წერილები გამოაქვეყნეს პ. ინგოროვაშ, ა. ბარამიძეშ, ა. აბრამიშვილმა და სხვ. მოზრდილი წიგნი დაბეჭდა თ. ვირსალაძემ (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა და შოთა რუსთაველის პორტრეტი, 1973 წ.); რუსთველოლოგის ცალკული საკითხები განიზილეს ა. ლოსევგა (ალორძინების ესთეტიკა, 1978 წ.) და ე. მელეტინსკიმ (შუასაუკუნოებრივი რომანი. ტიპოლოგიის საკითხები, 1982 წ.), რუსთაველსა და მის პოემს სპეციალური წერილები უძღვნეს რ. სამარინმა (რუსთაველის პოემა და XII—XIII ს. მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, 1967 წ.) და ა. ბელენიცევიმ (ორი წატოვანი გამოთქმის შესახებ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, 1978 წ.) გამოჩენილი საბჭოთა გეოლოგის ა. ფერსმანის გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი გააცნო საზოგადოებრიობას ე. ფინმა (შოთა რუსთაველი და ქვის „მაგია“, 1970 წ.). საინტერესო მასალები მიაწოდა მკითხველებს ი. სტოვბუნმა (შოთა რუსთაველის ფრესკა, 1979 წ.) და ა. შ. საგანგებოდ შევჩერდებით მხოლოდ რ. სამარინის წერილზე.

რ. სამარინმა გაითვალისწინა რა „საერთაშორისო ინტერესი“ „ვეფხისტყაოსანისადმი“ და „ტრიუმფალური გამარჯვება“, რომელიც ქართულმა პოემამ მოიპოვა XX საუკუნეში, თემა — „რუსთაველის მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურაში“ ამოუწურავად შიიჩნია და იიჩია მხოლოდ ერთი საკითხი, რომელიც წარმოადგინა ასეთი ფორმულირებით — „რუსთაველის პოემა და XII—XIII



სს. მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“. მან ენერგიულად დაშერიცხა მათ წინააღმდეგ, ვინც შუა საუკუნებს „წყვდიადის სამეფოლ“ მიიჩნევდა, ამ ეპოქის მნიშვნელოვან ძეგლებს ხელოვნურად უკავშირებდა გვიან ხანას და რენესანსის წინამორბედად აღიარებდა. მისი სიტყვით, „არც მაღალი ოსტატობა, არც თავისებური ჰუმანიზმი ჯერ კიდევ არ აყენებენ არც კრეტიენ დე ტრუას და არც ვოლფრამ ფონ ეშენბახს აღორძინების პოეტების რიგში“.

მკვლევარმა ერცულად დაახასიათა XII საუკუნე — „საოცარი და განუმეორებელი ეპოქა მსოფლიო კულტურის ისტორიაში“, მიმოიხილა „კულტურული პროცესის მრავალსახეობა“, გაითვალისწინა კრეტიენ დე ტრუას, ვოლფრამ ფონ ეშენბახის, ჰარტმან ფონ აუესა და ნიზამი განჯელის მემკვიდრეობა და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ამ დიდებულ ფონზე შეაფისა. მისი დასკვნით, „დადი ქართველი პოეტის მსოფლიო მნიშვნელობა, უბირველეს ყოვლისა, ემყარება იმ თავისებურ ადგილს, რომელიც მას საკუთარი ეპოქის ლიტერატურაში უკავია“. რუსთაველმა ითვისა ადგილობრივ-ეროვნული და დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციები, შექმნა „ღრმად ნოვატორული ნაწარმოები, რომელიც ამოზრდილია ხალხურ საფუძველზე და რომელიც ამასთან ითვალისწინებს მაშინდელი მსოფლიოს ძალზე მოწინავე ტრადიციებს“. „მისი პოემა მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი მონაპოვარია“, მასში შეჯამებულია „მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის მიღწევები“ და „მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილება“.

„ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-აზრობრივი სილრმის ჩვენებისა და მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროს მიმოხილვის შემდეგ რ. სამარინმა რუსთაველი აღიარა უდიდეს შემოქმედად, რომელმაც „ახალ საფეხურზე იყვანა ქართული ლიტერატურა და მიანიჭა მას მსოფლიო მნიშვნელობა“.

დასასრულ უნდა აღვიშნოთ, რომ რუსთაველის იუბილის მომდევნო წლებში თბილისში, მოსკოვსა და ლენინგრადში რამდენჯერმე გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი ვრცელი შესავალი წერილებით, თბილისში დაიბეჭდა რუს მოლვაწეთა რუსთველოლოგიური ნააზრევი. სახელდობრ, 1967 წელს განმეორებით გამოვიდა ვ. შადურისა და გ. ბებუთოვის მიერ შედგენილი კრძაბული — „ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის მატიანე ძველი დროიდან ჩვენს დღეებამდე“ — შექსებული როგორც 1987,

ასე განსაკუთრებით 1966 წლის საიუბილეო მასალებით; 1974 წელს  
ს. ჯორბენაძის წიგნში — „საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადე-  
მიის დაწესებულებაზე და თბილისის უნივერსიტეტი“ — გამოქ-  
ვეყნდა ვ. შიშმარიოვის, ი. მეშჩანინოვისა და ვ. სტრუვეს სიტყვები  
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის  
ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სა-  
მეცნიერო სესიაზე (3. I. 1938); 1978 წელს ვ. გურგენიძემ „საის-  
ტორიო მოამბეში“ დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისად-  
მი მიძღვნილი საიუბილეო დღეების სსრ კავშირის მწერალთა კავ-  
შირის გამგეობის პლენუმის მასალები.

## ვახტანგ მეექვსე, ეს მრავალმხრივი მოღვაწე<sup>1</sup>, ქართული სიტყუ- ვაკაზმული მწერლობის ერთ-ერთი დიდი და ლირსშესანიშნავი წარ- მომადგენელია. იგი წლების განმავლობაში ხვეწდა და სრულყოფ- და თავის პოეტურ ქმნილებებს. მისი პოეტურ თხზულებათა უმრავ- ლესობა ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი და მეტი რედაქციული სა- ხესხვაობით არის დამუშავებული და ჩვენამდე მოღწეული.

სამწუხაროდ, დღემდე არ გაგვაჩნია ვახტანგ მეექვსის პოეზი-  
ის სრული გამოცემა. ვახტანგ მეექვსის ცალკეული ნაწარმოები  
გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას-  
თხზულებათა სრული კრებულის გამოსაცემად პირველი ნაბიჯი  
გადადგა ალექსანდრე ბარამიძემ. მან ზოგიერთი, უფრო ავტორიზე-  
ბული ხელნაწერების შესწავლის შედეგად, ორჯერ (1947 და 1975  
წელს) ერთი რედაქციის მიხედვით გამოსცა ვახტანგის თითქმის-  
ყველა ნაწარმოები, რომელიც კი იმ დროს მეცნიერებისათვის იყო  
ცნობილი ან თვითონ მოიპოვა.<sup>1</sup>

მკედლევარი ძირითადად ეყრდნობოდა სსრ კავშირის მეცნიე-  
რებათა აქადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინ-  
გრადის განყოფილებაში დაცულ M—3 ნუსხას, რომელიც, მისი  
აზრით, აუტორის ბოლო ნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო-  
ამავე დროს, დამატების სახით რედაქციული სახესხვაობით დაბეჭ-  
და ლექსი „ქართანი“ და ამით აჩვენა ის რედაქციული ნაირფეროვ-  
ნება, რომელიც ვახტანგის თხზულებებს აქვს ხელნაწერებში.

ამის შემდეგ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი ახა-  
ლი მასალის გამოვლენას, უშუალოდ მისი პოეზიის გამოცემისათ-  
ვის მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. ვახტანგის პოეტურ

<sup>1</sup> ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით  
და შენიშვნებო, 1947, 1975.



თხზულებათა უმრავლესობა თავმოყრილია ცალკეულ ხელნაწერის კრებულში. ნაწილი სხვადასხვა ხელნაწერშია გაფანტული. აშეა-  
მად ხელთა გვაქვს 14 სრული თუ ნაკლული კრებული. აქედან სა-  
მეცნიერო ლიტერატურაში განხილულია 4—5, უფრო ავტორიზე-  
ბული და მასთან ახლო მყოფი ხელნაწერი კრებული.

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. კიბელიძის სახე-  
ლობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S — 4500 ნუსხა, როგორც კრე-  
ბულის 280—291 გვერდებზეა მითითებული, გადაწერილია ვახტან-  
გის ცნობილი მღივან-მწივნობრის მელქისედეგ კავკასიძის მიერ მოს-  
კოვში. გადაწერა დასრულებულა 1733 წლის 19 ივნისს. აქ შესუ-  
ლია „სიბრძნე მალეობელი“, „ამირ-ნასარინა“, „სალბუნად გუ-  
ლისა“, „სატრფიალონი“, „კაეშანი“, „ყველის ქება“, „შეგონება“,  
ანბანთქებანი და წალმა-უკულმა საკითხები ლექსი. ტექსტი ნასწო-  
რებია ავტორის მიერ. ეს ხელნაწერი ოლწერილი აქვთ ექვთიმე-  
თაყაიშვილსა და მზექალა შანიძეს.

2. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორმოსავლეთმცოდ-  
ნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების M — 3 ნუსხა  
(ძველი ნომრები G — 83, M — 6) უთარიღოა. ეს კრებულიც გა-  
დაწერილია მელქისედეგ კავკასიძის მიერ. ხელნაწერს ბოლოს აქვს  
ვახტანგის ხელით მიწერილი წამლის შემადგენლობა: „ამით პირი  
რომ გამოირეცხო ნუზლას გასწმენდს: გუნდა წილი (ბ); კოჭი წი-  
ლი (ა), თუთუბო წილი (ბ) წმინდად დანაყე, შეინახე; როდესაც  
გინდოდეს, თითი დაისველე, დაწუვე და კბილებს, ლრჯილებზე წა-  
ისვე, იყარყარე და გამოირეცხე“ (ფ. 195). აქედან უნდა დავისკვნათ,  
რომ იგი ვახტანგის სიცოცხლეშია გადაწერილი. იმდენად ეს ხელნა-  
წერიც პოეტის ავტორიზებულ ნუსხად უნდა იქნეს მიჩნეული. ოლ-  
ბარამიძე წერს: M — 3 „ხელნაწერი... სულთად გადაოთხრებული  
საავტორო ეგზემპლარია, რედაქციულად ნაგვიანევი და სრული, შე-  
იძლება ითქვას,... წარმოადგენს ვახტანგის პოეტური თხზულებების  
თავისებურ ხელნაწერ გამოცემას“ (გვ. 162, ხაზგასმა ავტორისაა).

მასშიც განსხვავებული რიგით იგივე თხზულებებია შესული,  
რაც წინა ნუსხაში.

3. ქ. კიბელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S — 171  
ნუსხა უთარიღოა. გადაწერილია სულხან-საბა რბელიანის ძმის,  
პოეტ დემეტრე ორბელიანის მიერ. ტექსტი ნასწორებია ვახტანგის  
მიერ. აქაც იგივე თხზულებებია, რაც პირველ თრში, თუმცა რი-

გით არც ერთს არ ემთხვევა. ამრიგად, ეს კრებულიც ვახტანგის  
სიცოცხლეშია გადაწერილი.

ალ. ბარამიძე შენიშვნავს: S—171 „რედაქციულად ცალკე დგას  
და ერთ-ერთი ნაგვიანევი ხელნაწერია. შესაძლებელია (იგი) იყოს  
ყველაზე გვიანდელი რედაქციული ტექსტის შემცველი“ (გვ. 162).  
მაგრამ საბოლოოდ გვიანდელობის, ავტორის ბოლო ნების თვალ-  
საზრისით უპირატესობას მაინც ლენინგრადულ ნუსხას ანიჭებს:  
„დასახელებული ძირითადი რედაქციებიდან, — წერს იგი, — უფ-  
რო გვიანდელია, და პოეტური თხზულებების მხრივ უფრო სრულია  
M—3 და S—171. ოღონდ S—171 ხელნაწერი თავისი ხასიათით  
უფრო ავტოგრაფულ შავს წარმოადგენს. ამ ხელნაწერზე ვაქტანგის  
დიდი რედაქციული ოპერაციები უწარმოებია“ (იქვე, გვ. 162). ამას  
მოსდევს მსჯელობა, რომ ლენინგრადული ხელნაწერი არის „სუფთად  
გადათეთრებული საავტორო ეგზემპლარი“ და „თავისებური ხელ-  
ნაწერული გამოცემა“.

4. იმავე ინსტიტუტის ნუსხა Q—548 მე-18 საუკუნისაა. კრე-  
ბულს ახლავს მელქისედეგ კავკასიძის ანდერი. ამიტომ იგი მიაჩნ-  
დათ კავკასიძის გადაწერილად (გვ. 119г). მაგრამ, როგორც ლ. ძო-  
წენიძემ და დ. ბრეგაძემ შენიშვნეს, ხელი განსხვავებულია, ანდერი ძე  
მექანიკურად გადატანილია მელქისედეგ კავკასიძის გადაწერილი  
ნუსხიდან.

თხზულებათა შედგენილობით ეს ხელნაწერიც ისეთივეა, რო-  
გორც პირველი სამი. დადგენილია მისი განსაკუთრებული სიახ-  
ლოვე S—4500 ხელნაწერის პირვანდელ ტექსტთან.

5. იმავე ინსტიტუტის A—1776 ნუსხაც მე-18 საუკუნისაა.  
წარმოადგენს სხვადასხვა ავტორთა ლექსების კრებულს. განსხვავე-  
ბით წინა ხელნაწერებისაგან, მასში არ შესულა „სიბრძნე მაღალო-  
ბელი“ და „ამირ-ნასარიანი“. დამატებულია ლექსი „კვლავ მიხმეს  
ისევ ისპაანს“.

6. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის ნუსხა  
№ 138 მე-18 საუკუნისაა. შედგენილობით ემთხვევა A—1776  
ხელნაწერს. ილწერილია ს. კაკაბაძის მიერ.

7. იმავე არქივის № 297 ხელნაწერი მე-18 საუკუნის ბოლოსი  
თუ მე-19 საუკუნის დასაწყისისა. შედგენილობით მიპყვება წინა  
ორ ნუსხას.

8. ქ. ქველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S—1624 ნუსხა №—18 საუკუნისაა, ნაკლულია.

9. იმავე ინსტიტუტის ნუსხა H—957 მე—18 საუკუნის ბოლო დროისაა. ზაალ ავალიშვილის დაკვეთით გადაუწერია დავით თუშ-მალიშვილს, ნაკლულია.

10. იმავე ინსტიტუტის ნუსხა H—21 გადაწერილია 1805 წელს. ჭირნიშანი — 1804 წ.

11. იმავე ინსტიტუტის ნუსხა H—1048 გვიანდელია — განეკუთვნება მე—19 საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარს. ჭირნიშანი — 1822 წ.

12. იმავე ინსტიტუტის ნუსხა S—526 მე—18 საუკუნის დასაწყისისაა, ნაკლულია. ვახტანგის თხზულებათა გამოცემისას ყურადღება მიაქცია და გამოიყენა ილ. ბარამიძემ, რომლის შესახებაც იგი წერს: ეს ნუსხა „მომდინარეობს ბაქარ მეფის ძის, ალექსანდრეს კუთვნილი ძეველი ნუსხიდან და ამდენადვეა საყურადღებოც“ (გვ. 161).

13. იმავე ინსტიტუტის H—153 ნუსხა განეკუთვნება მე—19 საუკუნეს.

14. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ნუსხა № 208 347-6 (შემოსვლის ნომერი — 016133) გვიანდელია. ხელის მიხედვით გადაწერილი ჩანს მე—19 საუკუნის ბოლოსა თუ მე—20 საუკუნის დასაწყისში.

ამ ხელნაწერებიდან რედაქტული თეალსაზრისით ზოგიერთია შესწავლილი, ისიც უმთავრესად „სიბრძნე მალაობელის“ მიხედვით. სხვა ნაწარმოებთა მონაცემები სულ არა, ან ნაკლებ არის გათვალისწინებული. ხელნაწერებში ტექსტების გაცნობა კი გვიჩვენებს, რომ პოეტს ყველა თხზულება ერთნაირად არ დაუმუშავებია. თუ ზოგიერთი ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ორ რედაქტიად შეუქმნია, ზოგიერთი მათგანი სამ და მეტ რედაქტის იძლევა. ამიტომ ვახტანგის ხელნაწერული მემკვიდრეობის რედაქტული შესწავლა ცალქეული თხზულებების მიხედვით უნდა მოხდეს.

განვიხილოთ ორი ნაწარმოები — „შეგონება“ და „სალბუნად გულისა“.

## I. შეგონება

ეს ერთსტროფიანი ლექსია, რომლითაც იხსნება ჩვენს მიერ მითითებული გამოცემა. სათაური გამომცემელს, ალ. ბარამიძეს ეკუთვნის. ხელნაწერ კრებულში უსათაუროა და მოთავსებულია შუაში, წალმა-უკულმა საკითხავ ლექსია („იმატა ასეთი...“) და „კაეშანს“ შორის.

ერთი შეხედვით, შეიძლება ეჭვი აღგვერძას, — არის თუ არა ის დამოუკიდებელი ლექსი, ხომ არ არის რომელიმე ნაწარმოების ნაწილი? მაგრამ ხელნაწერთა მონაცემები ამგვარ ეჭვს აქარწყლებენ.

ეს ლექსი ორი რედაქციით არსებობს. ერთი, როგორც ეს გამოცემაშია დაბეჭდილი:

„კაცმნ უნდა თავის საქმე ყველა ღ(მ)თითა მოივარგოს,  
ამ სოფელსა კული პყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,  
მოყვარეთ და ამხანგთა თავის რიგით ჩამე არგოს,  
და სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს!“

ასეა ყველა ხელნაწერში, გარდა S—171 ნუსხის. ხელნაწერებში ორიოდე უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობა გვაქვს.

მეორე რედაქციას იძლევა S—171 ხელნაწერი:

„რაცა საქმე სავარგელი, უნდა ღ(მ)თითა მოივარგოს,  
კული ყაროს საწუთროსა, საუკუნოდ დაიბარგოს,  
მოყვასთა და ამხანგთა რიგიანდ გამოირგოს,  
და სახელის საჩრდილობი წყაროზედა შემოარგოს!“ (გვ. 15)

როგორც ვხედავთ, ამ ლექსის ორივე რედაქციაში განვითარებულია ერთი და იგივე აზრი ადამიანის დანიშნულების შესახებ. პოეტი შესანიშნავი გამომსახველი, ხატვანი ენით ქადაგებს ღვთის, როგორც ყოვლის გამრიგესადმი, მორჩილების, მოყვასისადმი სიყვარულისა და სიკეთის მიგების, ორივე სამყაროს — სამჯობაროსა და საიქიოსადმი, — ზრუნვის ქრისტიანულ თვალსაზრისს.

სალვონა და საეროს მორიგება, ამქვეყნისა და იმქვეყნისადმი ზრუნვა — ეს არის ვახტანგის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და ეს ლექსშიაც გამოჩნდა.

ეს ორი რედაქცია ერთმანეთისაგან მხოლოდ სტილით განსხვავდება. სხვა თხზულებებში უფრო ხელშესახებია, მაგრამ თუ დაგუკვირდებით, იქაც ჩანს ის პრინციპები, რომლის მიხედვითაც ავ-



ტორი ტექსტს ცვლის: 1. აზრი განზოგადებულია. თუ პირველში მომართა შეგონება კაცს, აღამიანს ეხება, მეორეში მისამართა მოძლილია და მსჯელობა ზოგადია. 2. სიტყვათა რაოდენობა შემცირებულია, რის გამოც ავტორი ხშირად სიტყვათა ხელოვნური ფორმების შექმნასც არ ერიდება. მაგალითად, თუ პირველი ვარიანტის ფრაზაში „თავის რიგით რამე არგოს“ ოთხი სიტყვაა, მეორეში ორ სიტყვაზეა დაყვანილი — „რიგიანად გამოარგოს“, სადაც სიტყვის წარმოება „გამოარგოს“ ხელოვნურია. ბოლო სტრიქნი პირველ ვარიანტში შვიდსიტყვიანია, მეორეში — ოთხსიტყვიანი. „ხე“ სიტყვის ამოღებით კონკრეტული, „ვიწრო შინაარსის“ მხატვრული სახის „სახელის ხის საჩრდილობლის“ ნაცვლად მივიღეთ უფრო განზოგადებული, აბსტრაქტული და შთამბეჭდავი სახე — „სახელის საჩრდილობი“.

ამ სტილური ნიშნით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განჩილული ლექსი S—4500-სა და მის მომდევნო ხელნაწერებში პირველი რედაქციისაა, S—171 ხელნაწერში — მეორე რედაქციისა. ამ ნუსხებს შორის ეს რედაქციული მიმართება უფრო თვალსაჩინოდ, დოკუმენტურად მტკიცდება სხვა თხზულებებში.

## 2. „სალაშვილ გულისა“

ეს ლექსი ვახტანგ მეექვსის ერთ-ერთი ძეელი და ვოცელი ორიგინალური ნაწარმოებია. S—171 ხელნაწერის სათაურის მიხედვით, იგი დაწერილია ისპაპანში, სხვა ხელნაწერთა ასევე სათაურის ცნობით — ქირმანში. ისპაპანში პოეტი იმყოფებოდა 1712 წლის 4 ივლისიდან 1714 წლის 10 მარტამდე. აქედან 1716 წლის 1 ივნისამდე ქირმანშია. აღნიშნულ სათაურსა და ტექსტებზე დაყრდნობით, აგრეთვე „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული ანდერძის მიხედვით, კ. კაპელიძეს სარწმუნოდ მიაჩნია S—171 ხელნაწერის ჩვენება. ჩვენი აზრით, შესაძლებელია ორივე ცნობა სწორი იყოს, პოეტი ისპაპანსა და ქირმანშიაც, ორივეგან, მუშაობდა ამ თხზულების შექმნაზე.

ნაწარმოებში აღწერილია და ერთმანეთს უპრისპარდება საქართველოში გატარებული ბეღნიერი დღეები, ლხინი და შვება და უცხოეთში მყოფი პოეტის მიმე სულიერი განცდები, მწუხარება და უიმედობა.

თხილება შესულია ყველა დასახელებულ ხელნაწერ კონფიდენციალური ში.

„სალბუნდ გულისხმ“ რედაქტორული თვალსაზრისით ეხება მხოლოდ კ. კეჩელიძე, რომელიც სამ რედაქტორს გამოყოფს. პირველადად ისახელებს S—4500-ის ტექსტს. ბოლო ორ რედაქტორი — S—171 ნუსხას. „ამ ნაწარმოებებს, — წერს მკვლევარი, — ჯერ კიდევ ვახტანგის სიცოცხლეში და მისივე ხელით სამი რედაქტორი განუცდია... პირველი რედაქტორი მოთავსებულია S—4500 ხელნაწერში. ორი რედაქტორი გვაქვს S—171 ხელნაწერში. აქ ჯერ მოყვანილი ყოფილა ერთი რედაქტორი, რომელიც მერე თვითონ ვახტანგს საყუთარი ხელით შეუსწორებია“. სანიმუშოდ დამოწმებულია პირველი სამი სტროფი.

პირველი სამი და კიდევ რამდენიმე სტროფი S—171 ხელნაწერში მართლაც ორ რედაქტორს იძლევა, მაგრამ არა მთლიანი ნაწარმოები. ვახტანგს ამ ხელნაწერის ტექსტის სტროფება ენერგიულად დაუწყია, მაგრამ შემდეგ ასე არ გაუგრძელებია. მაგალითად: პირველ სტროფში ვადაუკეთებია პირველი სტრიქონი, მეორე და მესამე სტრიქონებში — ერთი-ორი სიტყვა; მეორე სტროფის პირველ სტრიქონში ერთი სიტყვა, ბოლო სტრიქონი მთლიანად; მესამე სტროფში — მესამე და მეოთხე სტრიქონების პირველი ნახევრები; მეოთხე სტროფში — მეორე სტრიქონის ბოლო და მეოთხე სტრიქონის პირველი ნახევრები; მეხუთე სტროფში — მხოლოდ ბოლო სტრიქონის პირველი ნახევარი და მეექვეს სტროფში — ბოლო სტრიქონი თითქმის მთლიანად. ამის შემდეგ მხოლოდ აქა-იქ გაუკრაეს რედაქტორული ჩარჩო. მნიშვნელოვნად შეუცვლია 31-ე სტროფი. სხვაგან რამდენიმე ფრაზა, უფრო თითო-ორილა სიტყვაა გადაკეთებული.

ვახტანგი ამავე ხელნაწერში არშიებზე 19, 22 და 24 სტროფების შემდეგ უმატებს 3 სტროფს:

- 191: „შევსა მელნისა ტბაზედა ინდონი დარაზმებული,  
ორსა სისხლისა გუბესა შიგ ბროლი დასვეტებული,  
ზედა დრენგილის ფიცარსა ყორანი დაბუღებული,  
და მევ ორი ლალი უგდია ალმასი შამოვლებული“. (გვ. 3)

- 221: „ეკამკამს ტბაზედა წითელი ნინოცი იყვავებია,  
გამავიზებებინ საქმინი, ბუნება გასხვავებია,  
ივი სიცხესა გა(ე)გადებს, რა გვამსა განვავებია,  
და მეს შამოაქვეს სახმილი, გულისა საწვავებია“. (გვ. 3)

241: „సాంకోస థి(ఱ)ర్వోస గార్యేరిం గోథిస ల్యోర్మిసా థిల్లామాన్,  
శింగుబాహీసా లాశ్చొర్మా శ్యే థిండ్ఫోసిం డాశ్చీటోల్లామాన్,  
ఎం థిమోయాం సింబోల్లా శాఫోపోశ్చోబుల్లా కొండోల్లామాన్,  
డా గుల్లా శాపింప శ్చుపాల్పా శ్యోమా సింపోసా సింపోల్లామాన్“ (గ్ర. 4)

అంట గాంసింబోల్పాగో స — 171 క్రేల్నాశ్చేరోస ద్వేల్లా త్యిష్టిసి  
ప్రెలింగ్ భా. రింగార్చి వ్యేద్యాగా, ఏబాల్లి ర్యేదాజ్యప్రింటి ఎం చ్ఛారిమండగ్యెనొ-  
ల్లాం మపిర్చ బాషిల్లి డా ఏం థిల్లింపాని బాషింమంప్రోబి.

„సాల్బున్సాడ గుల్లిసా“ టాగ్విల్లా థంలోమధై ఇంల్యువా నం ర్యేదాజ్య-  
ప్రింటి. ప్రాల్ప్య డగాస స — 171 క్రేల్నాశ్చేరో డా ప్రాల్ప్య డా శ్రీతాడ —  
శ్యేల్లా డానాంకింబి క్రేల్నాశ్చేరో.

స్త్రిరంగ్యుల్లి శ్యేధ్యునిలొబిసి మెర్రిం ఎమ నం ర్యేదాజ్యప్రింటిసి  
గాంస్కోవ్యోగా శ్యేమ్యుగ్గింపి: స — 171-షి 22-౨ స్త్రిరంగ్యిసి శ్యేమ్యుగ్ శ్యొమ్చ్చేదా  
మంతో డా 81-౨ స్త్రిరంగ్యిసి శ్యేమ్యుగ్ నంరి స్త్రిరంగ్యిం:

222: „క్రెప్లుప్రంబింం ర్యుబ్బెనొం శ్యే-శ్యేంతా గామంక్రెనొనొ,  
మింగార్మోం డాల్లుశ్చేబుల్లసా ఎశ్చొప్పుస గాంస్చుమొనొనొ,  
ప్రంమిల్తా మింగుల్లోబింతా డల్లుస గామిశొగుశ్చేబ్బెన శ్యొనొనొ,  
డా శ్యేదసా మింఫ్యేచ్చెన శ్యేగొమొ, మింగుప్పెస మంసాల్చెనొనొ“ (గ్ర. 3)

223: „ఎండ్లస కొల్లి శ్యుప్పొర్కో, బాంటాంబొనొసా ల్యాల్పెబిం,  
డాంబొంతొబ్స శింగుబాహీసా డానంతెంబొల్లా తంబానొబిం,  
శ్యుగుస శ్యోస్చెపి రాగుల్లింపి, డాంబొప్పొర్చుల్ల వింగెబిం,  
డా శాంపొన్నెల్లాం డాంబాంబాతొసా ల్యాంచా డాశ్చెర్తాన్చెబిం“ (గ్ర. 3—4)

224: „కొంపాల్లి గాట్పోర్కెబుల్లా, మ్యుష్టాం లింబింగెస్ మ్యురాల్పంబసా,  
మాంకిం సిస్కెల్లసా ఆంపింగెస్, శ్యే గ్రండ్స్, శ్యుప్సా మ్యురాల్పంబసా,  
శ్యొరా క్రొవ్స సామ్యంబార్జెబసా, మంత్రాల్చి ల్యెప్పెసా మ్యొల్లొంబసా,  
డా మింగార్మో శాంపొబ్రాం మంఖుప్రాంబిం, శ్యురొంతా మింపుచ్రొల్పంబసా“ (గ్ర. 4)

225: „జ్యోమింగ్బెసా శ్యేప్రాకొర్, క్రొస మ్యేల్నిం డా డాసాంత్యేమ్పెల్లాం,  
శ్యో శ్యేగొల్లాం మింబొల్లుల్లి గామిమేశ్చొర్మిసి డాశ్చుఫ్మెల్లాం,  
ఎంబిం డా రాగుల్లింపి, మాంగాల్పిం సిస్కెల్తా మ్యెమ్పొల్లాం,  
డా శంటొ-శ్యుప్రొ మింబొల్లాం శాంపింగొర్మిసా శ్యేసామ్పెల్లాం“ (గ్ర. 4)

221: „మంచిం ప్రొసా శ్యేపొల్లాం మింపొంతొగ్గిసి గాంసార్పుంర్పొల్లాం,  
శ్యుల్లా క్రొరొంతా డామింపుల్లాం సాంబొనొసా ఎంఫంపొల్లాం,  
గామిపుండా (!) డాస్తాంబిం, సాంపుల్లాం గాంసాంపొల్లాం,  
డా డాయొర్కింమొల్లొం శ్యుమెల్లాం, గాంసాంపొల్లాం“ (గ్ర. 11)

222: „గ్రెట్లస శ్యేదా డానామ్చండమి, మింపాం డా మాంగొల్లాం,  
శ్యేప్పిం మిగ్లా అశ్చొబుల్లాం, గాంసార్పొల్లాం డాప్రోతొల్లాం,  
ఎంబింగ్ గాంఫమిబ్రున్డా, డాంబానాంబా డాప్రోతా త్యోల్లాం,  
డా మిం శ్యుం గామిమింగొల్లాం సాంబొనొసా డాప్రోతొల్లాం“ (గ్ర. 11)



ეს სტროფები S—171 ხელნაწერში გადამწერის, ღვთაესთა მიერ მოძელიანის ხელით არის შესრულებული და ძირითად ტექსტშია შესული. თუ ამას დავუმატებთ ვახტანგის ხელით არშიებზე მიწერილ ზემოთ აღნიშნულ სამ სტროფს, მივიღებთ, რომ S—171 ხელნაწერში 9 ახალი სტროფი გვაქვს.

წაკითხვების მიხედვით სხვაობის საჩერენებლად ნიმუშისათვის მოვიყვანთ თითო სტროფს თხზულების სხვადასხვა ნაწილიდან:

სტრ. 5. S—4500-სა (გვ. 246) და M—3-ში (გვ. 8) იკითხება:

„ჩემთა ნათქეამთა მოწოდება კულავ ლექსმა მიუსოს მაჯამა,  
ცოდნებთა ნაკადმან აკასო, ნახეთ, გაციობოს მაჯამა,  
დამწერა სოფლისა საცოტრმა, ვეღარა სცემოს მაჯამა;  
და უკეთ არ მწამდე იმისგან, მკითხოს მერიტმა, მაჯამა“.

S—171-ის წაკითხვა (გვ. 1):

„გამონათქეამთა მმავასა მემოწერებიან მაჯამა,  
გუგათა გრძმოდენილ ველარ იტია მაჯამა,  
დამასნეულა სოფლებმა, შეგატყობინოს მაჯამა,  
და ვერ შეგიდაროს სარწმუნოდ გასამეჩიტმა, მაჯამა!“

სტრ. 27 M—3-სა (11-ი) და Q—548 (გვ. 11) ხელნაწერებში (S—4500 დაზიანებულია):

„რა სკობს მაისში ტფილისა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,  
მევანედ ღელავდეს გარემო, ცვარი ცის მაზედ ესხასა,  
თუ არ უშემაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა,  
და მე ასე მითქვამს, უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხას!“

S—171 (გვ. 4):

„სა[ა]მოვნოა ტფილისად განვარდებსა ესხასა,  
გამწევანებული გარემო, მანანა გამოესხასა,  
უშმაგოსაგან ძნელია საზედაობით ესხასა,  
და მას სავაუკაცოდ შემკულსა გარდაქცევია ეს ხასა!“

სტრ. 45 S—4500 (გვ. 252) და M—3 (13 უ) ხელნაწერებში:

„რა გათავდეს ეს შექცევა, კვლავ მოვიდენ ისევ ტფილის [ს],  
აბანოსა განისევენონ, ქებაც ითქმის მცირე ძილის;



სანუკარი მრავალფერი, სიმრავლეა უცხო ხილის, გიგანტურია და იშვებდნენ და იხარებდნენ, გის რა პეონდეს, თავის წილის“.

### S — 171 (გვ. 7):

„ტფილისისაკენ მომართონ, საშვებსა, გასახარებსა, აბანოთ განსვენებულთა, სიამით დასაქმარებსა, სანუკარისა სიმრავლეს, ხილებსა შეუდარებსა, და შენაქცევარი ლალობდენ ტურფასა არემარებსა“.

სტრ. 65 S—4500 (გვ. 255) და M—3 (16 r) ხელნაშერთა მიხედვით:

„მიუნდობო საწუთოთო, მოყვსისთვისც ხარ მიწყივ კრული, ჩალხისებრივ ბოლოს თავსა, თავს ბოლოს პყო მოარული; თევით, ეს ყოფა კაცსა ჰქონდეს და შექმნდეს დაკარგული, და როგორ გასძლოს მან სიცოცხლე, თუ არ ჰქონდეს სალებრ გული?“

### S — 171 (გვ. 9):

„საწუთოა მიუნდობი, მოყვსისათვის დასაკრული, ჩალხისებრივ დაუდგომად თავსა ბოლოდ მოარული; ქონებოდეს ესე ყოფა, გაგეკადოს დაკარგული, და გაუძლია უქონელად განასალი კლდეებ ღეღია.“

სტრ. 85. S — 4500 (გვ. 260), M — 3 (18v):

„ეერ მიცეც, რაცა მემართა, ხარჯი სოფლისა მე ცალა, მოვიდა ქარი ხორშავი, ანაზღად სამე მეცა და, ვერ მოვიტარე საფარი, დამწევა სხევებთანა მეცა და, და რა მწევე მიჯობდა სიბრძნითა თავი სხვარიგად მეცადა.“

### S—171 (გვ. 12):

„მიუცემელად დავაგდე სახადილონი მე ცალა, მოვიდა ქარი ხორშავი, ანასტეულად მეცა და, მოუფარები საფრისა სხევასთანა ვიწვი მეცა და, და მიჯობდა გონიერებით თავი სხევებარად მეცადა“

დასასრულს, ბოლო 105 სტროფი. S — 4500 (გვ. 265), M — 3 (21 r):



„ვინც მთხრებლსა სოხრის, ამას ცდილობს, თვით იქნების ჩიგარდნილი, უკიდურესი გაუსტელად, ვინც აყეთოს მიწყვი მიღლივ არ დახუჭო, ეს ცცოლე, არ მოგვია თვალთა ძილი; და რაც ვინმე ქნას, მისა მსგავსად გაიტანოს მისი წილი“

### S — 171 (გვ. 14):

„ჭისა დალმა ამომთხრელი შეიქნება ჩიგარდნილი, ვერ მორჩება გაუსტელად, გააკეთოს ვინცა მიღლივ დაუხუჭვად, საძნელოა, მოყაფიდეს თვალთა ძილი, და ნაქმარისა მოსაქმემან გაიტახოს მისი წილი!“

ანალოგიური ტექსტობრივი განსხვავება გვაქვს მთელი თხზულების მანძილზე. ყველაზე ნაკლები სხვაობა შეიმჩნევა 41, 67—68, 77, 79 სტროფებში. ნიმუშისათვის ვაჩვენებთ ერთ-ერთ მათგანს, 77-ე სტროფს:

### S — 4500 (გვ. 258), M — 3, (17 V):

„ყმაზე წამიქდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები, ამხანაგთხედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები, ძმათა და თვისთა მოყვსობა, რამ ჩემგან მოსასურები; და გაწმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მოძაწურები“.

### S — 171 (გვ. 11):

„ყმაზე წამიქდა წყალობა, სხვაზედა სამსახურები, ამხანაგთხედა სიკეთე, მნახავთა შესაშურები, ძმინთა მომეყვსობა, ჩემგამო მოსასურები; და უბრალოებით გამაძეს ცრემლისა მომაწურები“.

მთელი ამ რედაქციული სხვაობის გაცნობა გვიჩვენებს, რომ, როგორც სხვა თხზულებებში, აქაც მხოლოდ სტილისტურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. პოეტი ეძებს შესაფერის სიტყვებსა და გამოთქმებს, რომ აზრი უფრო ზუსტად, ლაკონიურად და პირდაპირ გამოთქვას. მაგალითად, ავტორს პირველად დაუშერია:

„მშეო, შენს გარდამკიდესა მჭირს ასე ძნელი ჭირები“.

მეორე რედაქციაში იგივე აზრი უფრო მარტივად და ნათლიად არის გამოხატული:

„მშეო, შენს გარდამკიდესა გამძნელებია ჭირები“.

ტექსტის დამუშავებისას ხშირად გაძლიერებულია სათქმეში და ახალი ვარიანტი უფრო შთამბეჭდავია. პირველ რედაქციაში იყითხება:

„კეპლუცა შეგან მყოფელი გავხარ მის შესაღარებსა“.

მეორე რედაქციაში სურათი უფრო ჰიპერბოლურია და ისეა წარმოდგენილი, სატრაკო თავისი სიმშენიერით არა თუ ედარება სხვა კირლუცებს, ყველას აქირებებს:

„კეპლუცა შენი შევნება ამეტებს შესაღარებსა“.

ზოგჯერ ტექსტი შეცვლილია სცეციუიკური სიტყვებითა და გამოთქმებით. პირველ რედაქციაში არის:

გაშალოს ვარდის კუკური, ჩემშია მისი დარგული“.

მეორე რედაქციაშია:

„გაბურტნოს ვარდის კუკური, მისივე დანერგულები“.

ან კიდევ, პირველ რედაქციაშია:

„განაფხულშე დიდგორს ჩირთი არა ჰქონდეს განაშალი“.

მეორე რედაქციაში ვერ დაუწერია:

„დიდგორშედა კუკურები დარჩომოდეს გაუშალი“.

შემდეგ ესეც გადაუხაზავს და უფრო მოქნილი და ხატოვანი წინადაღება შეუქმნია:

„დიდგორს ჩირთი და კუკუროს, დარჩომოდეს გაუშალი“.

პირველ რედაქციაში არის:

„წულის პირსა მდგომისა სათიბსა ნიავი სძრევდეს ანაო“.

„სათიბის დგომა“ ვერც რეალური და ვერც მხატვრული თვალსაზრისით სინამდვილეს კარგად ვერ ასახევს. უფრო მხატვრული და ზუსტია მეორე რედაქციული წაკითხვა:

„სათიბსა და ფერებულსა ნიავი სძრევდეს ანაო“.

ტექსტის სტილის დამუშავებისას აქაიქ აზრიც არის შეცვლილი და დაზუსტებული. პოეტს პირველად დაუწერია:

„უკითლად ყვაოდეს ბაია, ნარგიზი ვერ ედარსა“.

აქ აქცენტი გადატანილია ბაიას ფერზე და ნათქვამია, რომ იგი ისეთი ყვითელია, მას ნარგიზი ვერ შეედავება, ვერ შეეღრება. აზრი, ცოტა არ იყოს, ამსტრაქტულად არის გამოთქმული და ძნელი აღსაქმელია. მეორე რედაქციაში იგი უფრო მარტივია, სადაც შესაღარებლად, განმსაზღვრელად ნარგიზია წარმოდგენილი:

„გაჟვეოთლებული ბაია ნაჩვისა დაედაროსა“.

პოეტი ტექსტზე მუშაობისას ყურადღებას აქცევს ფაქტობრივ სიზუსტეს და ამ თვალსაზრისითაც ასწორებს მას. პირველ რედაქტორი წერია:

„ჩრდილოს ვარსკვლავი მის აღვილს ზის, არა, არ აკლებისა,  
 უოვლი მნათობი მთიებნი გარშემო მას ევლებისა...“

მეორე რედაქტორი, ნაცვლად ჩრდილოეთის ვარსკვლავისა, მნათობები ღერძის გარშემო ბრუნავენ:

„ლერძისა თავი ადგილად მდგომობით დაუკლებარი,  
 მნათობელი მთიებნი გარშემო შემომელებარი...“

ერთი და უმთავრესი სტილური ნიშანი ტექსტის სწორებისა, რომელიც მეცნიერებაზე ჩანს როგორც ამ ნაწარმოებში, ისე სხვებში, არის სტრიქონებში სიტყვათა რაოდენობის შემცირება, მეორე — ცალკეულ, კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებზე გარევეული პირობით გამოთქმული აზრის განწოვაცება, აფორიზმული გამოთქმის დონეზე აყვანა. ეს ზემოთ დამოწმებულ მაგალითებშიც გამოჩნდა, მაგრამ საკითხის სიცადისათვის დამატებით ნიმუშებს კიდევ მოვიყვანთ. პირველ რედაქტორი არის:

„რად არ ვწყვალები მიწნური, შეშეამოს უდროდ მიწამა!“

მეორე რედაქტორია:

„მიწნური ვებრალებოდეს, არ წაახილოს მიწამა!“

თუ პირველ ვარიანტში აზრი რიტორიკული შეკითხვით არის გამოთქმული, რომელსაც კატეგორიულობა აკლია, და 7 სიტყვა-საგან შედგება, მეორე შემთხვევაში იგი შეუვალ ჭეშმარიტებად და მოთხოვნად არის დასახული და ორი სიტყვით ნაკლებია.

პირველი რედაქტორი:

„სოფლის მიმწოლთა ყოველთა სკონა, როგორა სჭირს ძალები!“

მეორე რედაქტორი:

„ვინ ემოვესები სოფელსა, დაგემართების ძალები!“

პირველი რედაქტორი:

„იაღონისა მოწყენა ხამს ვარდსა დაეზაროსა!“

მეორე რედაქტორი:

„იაღონისა მოწყენა ვარდსაცა დაეზაროსა!“

პირველი რედაქტორი:

„კაცს, სოფლის ზრუნვის ესე სჭირს, აროდეს გაახარებსა!“

## მეორე რედაქცია:

„შერწყვა სოფლისა მიმდევსა არათი გაახარებსა!“

პოეტი ტექსტის სწორებისას ხშირად იყენებს სხვა სიტყვებსა და გამოთქმებს, როდესაც ერთი სიტყვა რამდენიმეს ცვლის. პირველ რედაქციაში არის:

„დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონაძები“.

მეორე რედაქციაში იგივე აზრი გამოთქმულია სხვა სიტყვებით:

„დავაგდე სამკვიდრებელი, მოყვასი, მონაძებია“.

უმეტეს წილად სტრიქონებში სიტყვების შემცირება ხდება სიტყვათა ამოღებითა და დატოვებული სიტყვების და გრძელებით, სხვადასხვა გრამატიკული მაწარმოებლების, სართების დართვით. ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი წარმოება ნაძალადევია და ხელოვნურ სიტყვებსა და ფორმებს იძლევა. მაგალითად:

პირველ რედაქციაში გვაქვს:

„სახმილი მათრად მგზებარი არ ადნობს ისრეც ცვილებსა“.

მეორე რედაქციაში ხაზგასმული სამი სიტყვის ნაცვლად დატოვებულია ერთი სიტყვა, ზმნა, რომელსაც გრძელი ზმნისწინი „გარდამო“ ერთვის:

„ან სახმილი მგზებარე გარდამოად ნობს ცვილებსა“.

პირველ რედაქციაში იკითხება:

„ის ს ხლის ცრემლსა გაეწნას, გუგა საბრალოდ სატევად“.

მეორე რედაქციაში აღნიშნული ორ-ორი სიტყვის ნაცვლად ნახმარია თითო სიტყვა, რომლებიც აშკარად ხელოვნურია:

„გასაცრემლავად გაეწნას გასაგუგები სატევად“.

პოეტი ანალიგიურ სიტყვათწარმოებას იმ შემთხვევაშიაც მიმართავს, როდესაც პირველ ვარიანტს სხვა სიტყვებით ცვლის. კერძოდ, ამგვარია ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გამოყენებული სიტყვები „მოსაზმანაო“, „ჭიქაბი“ და სხვა.

აღნიშნული რედაქციული ცელილებების შედეგად, როგორც ვთქვით, ტექსტი ბევრ შემთხვევაში გასწორებული და გაუმჯობესებულია, მაგრამ არა ყოველთვის. ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოეტი ხელოვნურ სიტყვათწარმოებას მიმართავს, და-



კარგულია ტექსტის თავდაპირველი გამჭვირვალობა და ანრი ბერებულის უფრო სადა, ხალხურ, სასაუბრო მეტყველებასთან ახლოს დგას, ვიდრე მეორე რედაქციისა, რომელიც ბევრად მძიმე და მწიგნობრულია, თუმცა შინაარსობრივად, აზრობრივად და მხატვრულადაც ხშირად უფრო მდიდარი და ღრმაა. ეს ზემოთ დამოწმებულ მონაწერებშიაც ჩანს, მაგრამ სანიმუშოდ რამდენიმეს კიდევ განვიხილავთ.

### პირველ რედაქციაში გვაქვს:

„ცოტას ხანსა მოისვენონ ყარაისთვის განახელთა, დროთ მისწერონ ყოვლთა წიგი ამ საქმეზედ მათ მხმობელთა.

მოკრეს ჭარი სატურფალი, „ვახი“ ჰქონდეს მუნ მშერეტელთა, და გაემართნენ მხიარულნი, მიგრაჟნიდენ მთა და ველთა“.

### მეორე რედაქციაშია:

„ეამობამდი მოისვენონ ყარაისთვის განახელთა, დროიანად მწიგნობარნი მიღწერდენ სახმობელია, დაივარნენ მოდგომილი, სახარელი შემჭერეტელთა, და გამოვიდენ მხიარული დარაშმული მინდობრ-ველთა“.

აშკარაა, პირველი ვარიანტის ტექსტი უფრო ბუნებრივი და გასაგებია, ვიდრე მეორისა. წინადაღება „ცოტა ხანსა მოისვენონ“ კონკრეტული შინაარსისა და უკეთ გამოხატავს სათქმელს, ვიდრე განუსაზღვრელი „ეამობამდე მოისვენონ“. მომდევნო სტრიქნის მეორე ვარიანტიდან გაუგებარია, ვის იხმობენ, ვინ არიან „სახმობელთა“, მაშინ როდესაც პირველი ვარიანტიდან ჩანს, რომ ისინი „ამ საქმეზედ“ ყარაიაში სანადიროდ დაძახილები არიან. ფრაზა „მოკრეს ჭარი სატურფალი“ მეტი სინათლის შემცველია, ვიდრე „დაივარნენ მოდგომილი“, რომელსაც ხელოვნურობის დაღი დაპკრავს. ამ გამოთქმით ისე გამოდის, თითქოს მოწვეულები მოსვლის შემდეგ „დაივარნენ“. თხზულებაში კი ჩანს, ჭარის, უამრავი ხალხის მოსვლა იგულისხმება. მართალია, მესამე სტრიქნის „სახარელი“ (სასიხარულო) უფრო პირდაპირ და გასიგებად გამოხატავს აზრს, ვიდრე შორისძებული „ვახი“, მაგრამ პირველი ვარიანტის „მშერეტელთა“ სიტყვასთან შედარებით „შემჭერეტელთა“ ნაძალადევია. მხატვრულობისა და, საერთოდ, გამოსახვის თვალსაზრისით ბევრად მაღლა დგას პირველი რედაქციის წაკითხვა „მიგრაგნიდენ მთა და ველთა“, ვიდრე მეორე რედაქციის წაკითხვაა — „დარაშმული მინდობრ-ველთა“, ოღონდ პირველი ორიგინალური სა-



ხე არ არის, მოდის ვეფხისტყაოსნიდან, სადაც ვახტანგისეფლაკაზაშვილი  
მოცემის მიხედვით იყითხება:

„შევსოვალე, ფიცხლევ წამოდით, მოგრაგნეთ მთა და ვეღია“.

„მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია“.

ალბათ ამის გამო თუ შეცეალა ვახტანგმა პირვანდელი ტექსტი,  
თუმცა ხატოვანებით ან ორიგინალობით არც მეორე ვარიანტი გა-  
მოიჩინევა.

ავიღოთ მომდევნო სტროფი. პირველ ვარიანტში გვაქვს:

„ლოჭინს შექეცნენ კაკაბსა, სად ნადის მცირე წყალია,  
საკოვას ჰალს მივიდენ, ცეცხლს ჰქონდეს მაღლა ალია,  
მეორეს დღესა ხოხობსა დამართონ დიდი ძალია,  
და ტყე მოირცონ, ნადირთა გაავლონ ერთბის ხალია“.

მეორე რედაქციული ვარიანტი:

„ლოჭინს შექეცევისაგან კაკაბი შესაწყალია,  
საკოვაშიგა ცეცხლებსა და მაღლების ალია,  
საღილაოთა ხოხობთა გაუმრავლდების ძალია,  
და ტყების გამორევითა ნადირთ გაავლონ ხალია“.

აქაც ერთბაშად თვალში საცემია, რომ პირველი ტექსტის აზ-  
რობრივი სიცხადე და სინათლე მეორეში დაქვეითებულია. თუ  
პირველ ვარიანტში აქცენტი მონადირეთა მოქმედების ჩვენებაზეა  
გადატანილი, აზრი პირდაპირ და მეაფიოდ არის გამოთქმული და  
სურათი დინმიკური და ერთიმეორისაგან გამომდინარეა, მეორე  
ვარიანტში იგივე შემოვლით არის გამოხატული; აღმარტილია არა  
უშუალოდ მონადირეთა მოქმედება, არამედ მათი შედეგები — რა  
გასაჭირი დაადგათ ფრინველთა და ნადირთ.

მეორე რედაქციაში წერია:

„მიუწდომსა საწადელსა სოფელია მამისარავს“.

პირველი ვარიანტის გარეშე ამ სტრიქონის აზრი გაუგებარია.  
არ ჩანს, ვინ ვის იპარავს. პირველ რედაქციაში ყველაფერი ნათ-  
ლიდ არის გამოთქმული:

„ეერ ვეწიო საწადელსა, ვად, სოფელი დღესა მპარავს!“

პირველ რედაქციაში არის:

„ვიყავ მოყვესისა სიმაღლე, მტერთა დამცემი, მხარეები“.

აზრი ნათელი და გასაგებია. მეორე რედაქტიაში სტრიქონი ასეა გადაკეთებული:

„ვიყავ მოყვესისა სიმაღლე, შენამტერა ლთა მხარეები“.

აშკარაა, „შენამტერალთა“ — ამ ხელოვნურმა ფორმაში აზრი დაბნელა.

იქვე, მესამე სტრიქონად პირველ ვარიანტში იყითხება:

„საცოდითო ვიცოდი, საეროც, მექმენ აწ ზურგი მხარეები“.

მეორე ვარიანტშია:

„საცოდითოსა მცოდნესა გამოემცხადენ მხარეები“.

„საცოდითოს მცოდნე“ ზოგადი გამოთქმაა და მყითეცელს გარკვეულს არაფერს ეუბნება, აბნევს მას. სულ სხვაა პირველი ვარიანტი, კონკრეტული და გასაგები — „სამღლითო ვიცოდი, საეროც...“

მეორე რედაქტიაში წერია:

„ძმისა მძულთა მეცნისა სიყვარულსა დაუგმობენ“.

ძნელია ამ წინადადებიდან აზრის გამოტანა. სათქმელი ერთბაშად ნათელი ხდება, როგორც კი პირველ ვარიანტს ვეცნობით:

„ვისცა ძმა სძულს, სიყვარული ღმრთისა მწმდეს მათგან რათი!“

ამგვარი ნიმუში მრავალია. ।

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიდან საქარისად და გარკვევით ჩანს, რომ S—4500, M—3 და მათი მიმყოლი ხელნაწერების ტექსტი პირველადია, ხოლო S — 171-ის ტექსტი — მეორადი, პირველის მიერ შემდეგ ნასწორები და შეცვლილი. ჩანს სწორების მიზანიც და შედეგიც.

S—4500 და M—3 ნუსხები არსებითად ზედმიწევნით მიჰყვება ერთმანეთს, მათ შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, უფრო ორთოგრაფიული და გრამატიკული ხასიათისა. მიუხედავად ამისა, მაინც გვაქვს ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელიც მათ შორის დამოკიდებულებას აზუსტებს.

77-ე სტრიფის პირველი სტრიქონი S — 4500 და M — 3-ში ასე იყითხება:

„ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები“.

უკალა დანარჩენ ხელნაწერში, მათ შორის Q—548-ში, აღნიშვნა მოიხსენია ნულ სიტყვათა ნაცვლად არის „ბატონშე“ ირკვევა, თავიდან ასევე იყო S—4500-შიც, რომელშიც აღრინდელი ნაწერი ამოფხეკილია და „ცუდ რაცა“ შემდეგ არის ჩაწერილი.

ასევე 83-ე სტროფის მესამე სტრიქონშიც. S—4500, M—3 და ზოგიერთ სხვა ხელნაწერში იგი ასე იკითხება:

„ცრემლი მომდის უფრო მისგან, რა ს ე ლ ი ქნან განახადად“.

Q—548, S—1624, H—153 და ლიტერატურული მუშეუმის ნუსხაში „სელი“-ს მაგივრად წერია „სული“. S—4500 ხელნაწერ-შიც თავიდან „სული“ ყოფილა. „უ“ „ე“-დ შემდეგ არის გადაეკ-თებული.

სხვა თხზულებებში უკეთ ჩანს, მაგრამ ვფიქრობთ, ამ მაგა-ლითებით აქაც გამოჩნდა, პირველი ის, რომ S—4500 ხელნაწერ-თან შედარებით M—3-ის ტექსტი შემდეგდროინდელია: ამ უკანასკნელში გათვალისწინებულია პირველის შესწორებანი, ხოლო, ბერძე. — Q—548-ის ტექსტი, რომელიც განსაკუთრებულ სიახ-ლოვეს ამჟღავნებს — S—4500-ის თავდაპირველ ტექსტთან. მომ-დინარეობს ამ ნუსხიდან; გადაწერა უშუალოდ თუ შუალობით მომხ-დარა მანამდე, ვიდრე მასში შესწორებები იქნა შეტანილი.

როგორც უკანასკნელ მაგალითშიაც გამოჩნდა, გარკვეული ერ-თიანობა და მსგავსება არსებობს Q—548, H—153, ლიტერატუ-რული მუშეუმისა და S—1624 ხელნაწერებს შორის, განსაკუთ-რებით პირველ სამს შორის.

ამრიგად: „სალბუნად გულისა“ ვახტანგ მეექვსეს ორი რედაქ-ციული ვარიანტით შეუქმნია. პირველი რედაქცია დაცულია S—4500, M—3 და უკალა დანარჩენ არავტორიზებულ ნუსხაში, მეორე რედაქცია S—171 ნუსხაში, რომელშიაც ახალი რედაქცი-ული ფენა ცოტაა. S—4500-თან შედარებით M—3 შემდეგ-დროინდელია. S—1624, ლიტერატურული მუშეუმისა და H—153 ხელნაწერთა ტექსტი ორგანულად უკავშირდება Q—548 ხელნა-წერის ტექსტს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ახლოს დგას S—4500-თან. გარკვეული ნათესაობა ჩანს ცენტრალური არქივის № 297, H—957 და H—1048 ნუსხათა ტექსტებს შორის.

## თამარ გომართიშვილი

### ნარჩინანის ზიგნის მაღაზია

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად კიდევ უფრო გაძლიერდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში. სკოლებში იყრდალი ქართული ენის სწავლება, სკოლებიდან განდევნებს ადგილობრივი მასწავლებლები. იყრდალა სიტყვა „საქართველოს“ ხმარებაც კი. ।

პოეტი დავით გიგაშვილი იგონებდა: „სკოლაში ქართული წიგნების კითხვას მე ძლიერ მიგსდევდი. ჩემს მშობლებს ამაზე ჯვრი მოსდიოდათ. ამიტომ ამ სკოლიდან გადამიყენეს შტაბში, რუსის პირებს მიმაბარეს, რომ ეგები იმათთან რუსული ისწავლოს და ქართულს თავი დანებოს. ჩემი დედმამის გარდა სხვანიც ასევე იყვნენ მაშინ დაშაბამულები“.<sup>1</sup>

ჭერ კიდევ ადრე ილია ჭავჭავაძე უსაყვედურებდა ქართველებს მშობლიური ენის დავიწყების გამო:

„თქეენ არა ხართ ისა, რომ დეიძლი ენა,  
 ბრძანებით დასმეთ აღმოსავეთთ,  
 შიშით არც კარში და არც სახლში  
 მას ალარ ხმარობო თქეენდა სარცხვენალ“\*.

ქართული პრესა გან. „დროება“ და უურნ. „ცისკარი“ შინაურ მიმოხილვებში ხალხს მოუწოდებლნენ არ დაევიწყებინათ ქართული ენა, ეკითხათ ქართული წიგნები.

1860 წელს უურ. „ცისკარში“ აკაკი წერეთელს დაუბეჭდავს ასეთი ლექსი:

<sup>1</sup> ციტატი ამოღებულია წიგნიდან: ჟ. ჭიჭინაძე, ბეჭდეთი ხელოვნების ისტორიიდან. ქართული წიგნის მაღაზის დაარსების 40 წლისთვის. 1925 წ.


\* იქეთ.

„ქართულზედ რომ ხელს იღებენ,  
ეცდარც რუსულს ახერხებენ,  
ქართულ ენს არად ხდიან,  
შეიღებს კარგად არა ზრდიან,  
ტრედიაკოვსკის აქებენ  
და რუსთაველს დასცინიან“.

ასეთ პირობებში მართლაც დიდი და გაბედული ნაბიჭი იყო გრი-  
გოლ ჩარკვიანის მიერ ქართული წიგნის მაღაზიის გახსნისათვის  
ზრუნვა.

როგორც ზ. ჭიჭინიძე იღონებს, გრ. ჩარკვიანის თხოვნა მაღა-  
ზიის გახსნის თაობაზე პირველად წარუმატებლად დამთავრებულია.  
მაგრამ შემდეგ, ქართველ პროგრესულ საზოგადო მოღვაწეთა იცობ  
კოგებაშვილისა და ილია  
ჭავჭავაძის ჩარევით, საქმე  
გარიგებულია. ი. ჭავჭავაძის  
ქვისლის, ენერგიულ სტარ-  
სელსკის შუამდგომლობით  
პრაგერმართებელს 1878  
წლის 10 მარტს გრ. ჩარკვია-  
ნისათვის მაღაზიის გახსნის  
ნებართვა მოუცია, ხოლო  
15 მაისს უკვე მაღაზია გახ-  
სნილა.

მაღაზიის გახსნის მიზანი  
იყო ქართული წიგნების ერ-  
თად შექრება და ამ გზით  
ქართული წიგნების გავრ-  
ცელებისათვის ხელისშეწყო-  
ბა. მაღაზიას იმთავითვე  
მიზანიდ დაუსახავს ქართუ-  
ლი სახალხო წიგნების გა-  
მოცემაც. გაზ. „ივერია“<sup>2</sup>  
წერდა: „მაისის 15-ს გაიხსნა ქართული წიგნის მაღაზია. სადაც  
მსურველთ შეუძლიათ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და  
ახლი წიგნები. მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ  
დუქნებში, № 2“<sup>2</sup>.



გრიგოლ ჩარკვიანი

გამოხმაურებია ამ ფაქტს. იგი  
წერდა: „მაისის 15-ს გაიხსნა ქართული წიგნის მაღაზია. სადაც  
მსურველთ შეუძლიათ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და  
ახლი წიგნები. მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ  
დუქნებში, № 2“<sup>2</sup>.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1878 წ., 1 ივნისი.

მაღაზიას ამშენებდა წარწერა: „ქართული წიგნის მიღლაშვილია გრიგოლ გასილის ძე ჩარკვიანისა“. მას მაღაზიაში შეამხანავებული პყოლია ზაქარია ჭიჭინაძე და ანთიმოზ ჭულელი. გრ. ჩარკვიანისა და ზ. ჭიჭინაძეს წინასწარ შეუგროვებით ქართული წიგნები, უურნალ-გაზეთები. ამავე დროს, ზ. ჭიჭინაძეს ნაბეჭდის გარდა ხელნაწერი წიგნებიც შეუგროვებია, რომელთაგან ბევრი ეტრატზე ყოფილა გადაწერილი.

მაღაზია მაღე გამხდარა ქართული მოწინავე ინტელიგენციის თავშეყრის ადგილად და აზრთა ურთიერთგაზიარების კერად ქცეულა.

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე საუბრობდა საქართველოს ისტორიაზე, — იგნორებს ზ. ჭიჭინაძე, — რ. ერისთავის მუდმივი საზრუნავი იყო ძველი და ახალი პოეზიის საკითხები. ამ პერიოდში დაწერა მან ისტორიული პოემა „ასპინძის ომი“. ქართული სწავლა-განათლების მოამაგვ ი. გოგებაშვილი დაუინებით ამტკიცებდა კარგი სახელმძღვანელო წიგნის ბეჭდვის აუცილებლობას. პ. უმიკაშვილი დაინტერესებული იყო ძველი ქართული წიგნების შეკრებისა და გამოცემის საკითხებით.

ა. ყაზბეგი ამ პერიოდში თეატრით ყოფილა გატაცებული და მისი ნაწარმოებები პიესად პქონია დაწერილი, ხოლო შემდეგ გადაუკეთებია პროზად. ნ. ღოლობერიძის სალაბარიაკ თემა კი ქართული წიგნის ლამაზად გაფორმება და გამოცემა იყო.

მაღაზიის ხშირი სტუმრები ყოფილან ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ა. ფურცელაძე და სხვები. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ აგრეთვე ახალგაზრდა მწერლები და პოეტები. როდესაც ვაჟა ფშაველა თბილიში ჩამოვიდოდა, მუდამ ამ მაღაზიაში იღებდა ბინას. ბევრი ხელმოკლე მოლვაწეც აქ აფარებდა თავს. ,

მაღაზიის ავტორიტეტი იმდენად პოპულარული გამზდარა, რომ ერთხელ სამი გენერალი — პოეტი გრ. ორბელიანი, მთავარმართებლის ხელქვეითი ლ. მელიქიშვილი და კაზაკთა ატამანი გ. ერისთავი სტუმრებია. ისინი დიდხანს დარჩენილან. ბევრი უსაუბრიათ, დამარტინებულთა ინიციატივა შეუქიათ და შემდგომი წარმატებები უსურვებიათ ამ საქმის მოთავეთათვის.

მაღაზიის გახსნის შემდეგ მეტი გასაქანი მიეცა წიგნის გამოცემას, ვინაიდან მან დიდხალი ხალხი მიიშიდა. აქ მოღიოდნენ



სხვადასწერა ისაკის ხალხი, სემინარიის მოსწავლეები, მუშები, არაუგუალი ლოსნები, შეგირდები. ზოგჯერ უსახსრო მყიდველს ნისიად ან საჩუქრადაც ძლევდნენ წიგნებს.

მაღაზიამ იმავე წელსვე შესძლო გაეღო ხარჯები ქართული სიმღერების ნოტების გამოსაცემად: „სახალხო ხმები ყმაწვილთათვის გადაღებული ნოტებზე ერთ, სამ და ოთხ ხმად მიხეილ მაჭავარიანისა, გამოცემა გრ. ჩარკვიანისა, 1878 წელი“.

წიგნების გამოცემა რომ დიდად გაიზარდა, ეს ჩანს თვით გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული კატალოგიდან: „გრიგოლ ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიის კატალოგი. 1878-1888 წწ. ამ კატალოგში 100-ზე მეტი დასახელების წიგნია აღნუსხული.

გრ. ჩარკვიანმა მალე საკუთარი სტამბის დაარსებაც გადაწყვიტა, გან. „დღროება“ წერდა: „ჩვენ გვიამბეს, რომ ერთად-ერთის შანთულის წიგნების მაღაზიის პატრონს პ-ნს გ. ჩარკვიანს განუზრახავს თავისი მაღაზიის გავრცელება და რიგიანად მოწყობა... ვინ იცის, რა მნიშვნელობა აქვს კარგად და წესიერად დაწყობილ წიგნებით ვაჭრობის საქმეს, მეტადრე იმგვარ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი ქვეყანაა... არ შეიძლება თანაგრძნობა არ მიეგებოს გრ. ჩარკვიანის განზრახვას, რომელსაც ამასთანავე სტაბის გამართვაც მოუსურებია, განსაკუთრებით ქართული წიგნების საბეჭდავად“.<sup>3</sup>

გრ. ჩარკვიანის ამ წამოწყებას გან. „ივერიაც“ გამოხმაურებია. იგი იუწყებოდა: „გრ. ჩარკვიანი და ამხ. ამ მოკლე ხანში სტამბის გახსნას აპირებს, რომლისთვისაც ისოები, დაზე და სახლი უკვე მზადა აქვს. მაშასადამე, საქმე მხოლოდ მმართველობის ნებართვაზედ ყოფილი დამოკიდებული. ამ სტამბას, როგორც ვითხოვთ, თოვების მარტო ქართულის წიგნების გამოსაცემად თფურნებს ზემოსსენტრული მაღაზია, რომ ამით უფრო იაფად დაიჯინოს თავის საკუთარი გამოცემანი და ხალხსაც უფრო იაფად მიჰყიდოს... კარგი მიზანია, თუ ღმერთმა პქნა და მარტო მაღაზიის საკუთარის და ზოგიერაის სხვების ქართულ გამოცემებით გასძლო ამ სტამბამ“<sup>4</sup>.

როგორც ზ. ჭიჭინაძე იგონებს, პირველად ამ სტამბაში გრ. ჩარკვიანს კედლისა და ჭიბის ქართული კალენდრები გამოუკია,

<sup>3</sup> გან. „დღროება“, 1878 წლის 23 ნოემბერი.

<sup>4</sup> გან. „ივერია“, 1880 წელი, 29 აგვისტო.

ଧରିଦର୍ଶକ ବିବରଣୀ

1878 F. ଫେବୃଆରୀ ମାସରେ ପ୍ରମୁଖ ବିବରଣୀ 1888 F.

# ପଦତିଥ ବିଜ୍ଞାନ

ବିଜ୍ଞାନ ପାଠ୍ୟକାରୀ ଓ ବିଜ୍ଞାନ ପାଠ୍ୟକାରୀ ଏବଂ ବିଜ୍ଞାନ ପାଠ୍ୟକାରୀ ଏବଂ ବିଜ୍ଞାନ ପାଠ୍ୟକାରୀ

ଶାସ୍ତ୍ରବିଜ୍ଞାନରେ

ପଦତିଥ ବିଜ୍ଞାନ

1888 F.

ବିଜ୍ଞାନରେ

ବିଜ୍ଞାନରେ ବିଜ୍ଞାନରେ ବିଜ୍ଞାନରେ

ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ


ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ

ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ

ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ

ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ

ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ



ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ

ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ

ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ

ବିଜ୍ଞାନ-ବ୍ୟାଖ୍ୟାନରେ





რაც პირველი შემთხვევა იყო საქართველოში. შემდეგ წლიურად მიმზიდებდა აფორმებდა კალენდრებს ფერადი სუ-რათებით — აქ მოცემული იყო ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ყველა კუთხის ტიპი.<sup>5</sup>

როგორც გან. „დროების“ ერთი ცნობილან ჩანს, გრ. ჩარკვიანს დაუწყია ქართველი მწერლების ნაწარმოებთა კრებულების გამოცემა: „ჩენ შევიტყვით, რომ გრ. ჩარკვიანი აპირებს ჩვენი პატივცემული მწერლის თ. რაფ. ერისთავის თხზულებათა გამოცემას. სულ ოთხ წიგნად გამოვა ეს თხზულებანი. პირველ წიგნად ლექსები, მეორე — სცენები, მესამე — დრამატული თხზულებანი და მეოთხედ — პროზაული.

ურიგო არ იქნება, რომ ყველა ჩვენი ახლანდელი მწერლები იზრუნავდნენ შეაგროვონ, შეასწორონ და გამოსცენ თავიანთი თხზულებანი თავის სიცოცხლეშივე“<sup>6</sup>.

1887 წელს გრ. ჩარკვიანს გამოუცია შ. რუსთაველის „ვიზ-ხისტყაოსანი“. აღსანიშნავია, რომ მისი ერთი ეგზემპლარი „ვიზ-ხისტყაოსანის“ ინგლისურად მთარგმნელის მარჯორი უორდროპის კუთვნილება ყოფილა, რომელიც ამჟამად ოქსფორდის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში ინახება წარწერით: „პირადი ეგზემპლარი ქალბატონ უორდროპისა“. წიგნში ჩაწყობილია ვაშემარი ყვავილები, რომელთაც მარჯორი კრეფლა, როცა საქართველოში ცხოვრობდა, იგი განსაკუთრებული შემთხვევის გარეშე მკითხველზე არ გაიცემა!<sup>7</sup>

ასევე დაუბეჭდიას გრ. ჩარკვიანს თავის სტამბაში გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“, ვასილ აბაშიძის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ცოლი თუ გინდა ეს არის“, „მოთხრობები ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი“. ვიორგი თუმანიშვილის „ქართული თეატრის საქმე“, ალმანახი „თბილისი“, დ. გივიშვილის ლექსი „ბრძოლის ველზედ გარდაცვლილ თ. ი. ზ. ჩოლავაშვილზე“, საერთო კალენდარი (შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ). ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, ამ გამოცემებს ერთობ კარგი გავლენა მოუხდენია ქართველ საზოგადოებაზე.

<sup>5</sup> ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშრომი.

<sup>6</sup> გან. „დროება“, 1881 წელი, 6 ოქტომბერი.

<sup>7</sup> ა. მელო სტურა, Время по Гриневичу и по существу, Известия, 1969 г.

1866 წელს გრ. ჩარქვიანს გამოცეცია „ლექსინი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“. „ეს მესამე გამოცემა — ვკითხულობთ ამ კრებულის წინასიტყვაობაში, — ჩვენი გამოჩენილი და უდროოდ გარდაცვლილი პოეტის ნ. ბარათაშვილის ლექსებისა... ამით შევასრულეთ სურვილი და წყურვილი საზოგადოებისა ბარათაშვილის თხზულებისადმი. ამ გამოცემას დაემატა კიდევ ლექსები და მიწერ-მოწერა პოეტისა, რომელიც დღემდის თუმცა დაბეჭდილი იყო, მაგრამ გაბნეული ცალკეულ გაზეთებში. ახლა მის თხზულებათა კრებულში პირველად შეერთდნენ პოეტის სხვადასხვა ნაწარმოები. ამ პატიარა კრებულში ამჟამად შესულია: „შემოღამება მთაწ-მინდაზედ“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“, „როს ბეღნი-ერი ვარ შენთან ყოფნითა“, „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, „იდუმა-ლი ხმა“, „ჩინგურს“, „ჩემი მეგობარი“, „ბულბული და მწირი“, „მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლიისა“, „ჩინარი“, „ღამე ყაბაზზედ“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემს ვარსკვლავს“, „საყურე“, „თავადის ვავ... ის ასულ ეკა... ნას“, „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი“, „ნაპოლეო-ნი“, „ქეთევანი“, „ბულბული ვარდზედ“, „გზა იღუმალი“, „ჩემი ვარსკვლავი“, „ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი“, „მიყ-ვარს თვალები მიბნედილები“ და სხვ.

გრიგოლი დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა ილია ჭავჭავაძისა და საქმიანი ურთიერთობა ქ'ონია მასთან. გრიგოლს ილიას ნაწარმო-ებებიდან განსაკუთრებით მოსწონდა პოემა „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი, ყაჩალის ცხოვრებიდნ“. როდესაც ამ პოემის დასტამბვა გადაწყვიტა, შეთანხმებია ერთ-ერთ მხატვარს დასურათებაზე. მხატ-ვარს კაკო თეთრ ცხენზე მჯდარი დაუხატავს. ილიასათვის იგი სტამ-ბაში უჩევნებიათ. ილიას გაღიმებია და დინჯად უთქვამს: „ეგ, ჩე-მი კაკო არ არის! ჩემი კაკო თეთრი ცხენით არ დადიოდაო“. მართ-ლაც, თეთრი ცხენით ყაჩალი ხომ შორიდანაც ადვილი შესამჩნევი იქნებოდა.

გრ. ჩარქვიანს მაღაზიასთან გაუხსნია იგრეთვე ქართული ხელ-ნაწერი წიგნების ბიბლიოთეკა, რომლის წესდება დ. ბაქრაძეს შე-უდგენია. ბიბლიოთეკას მიზანი ყოფილა „ქართველთა შორის წე-რა-კითხვის გამაცრცელებელი საზოგადოების“ მიერ ხელნაწერი წიგ-ნების შექრება და დაცვა.

გრიგოლ ჩარქვიანის სტამბას კარგახანს უარსიბია. 1905 წლის

რევოლუციის დროს, მეფის მთავრობას ცარიზმის საწინააღმდეგოება  
პროელამაციის დაბეჭდების გამო მისი სტამბა დაურბევია. თვით  
მწიგნობარი რამდენჯერმე დაუპატიმრებიათ, ერთხელ გაუსახლები-  
ათ კიდეც თბილისიდან. გრ. ჩარკვიანი ბოლოს და ბოლოს იძუ-  
ლებული გამხდარა საგამომცემლო საქმიანობა შეეწყვიტა. მაგრამ  
მოამგეს გული მაინც მშრომელი ხალხის სამსახურისაკენ მიუწევ-  
და. მას ავლაბარში მამაპაპეული კარმიდამო გაუყიდია და ახალ  
უბანში — ნაძალადევში დასახლებული მეუღლის იგადმყოფობის  
საბაზით (ხუდელოვის ტყის პირას უკეთესი, საგარაკო ადგილია).  
ამ კეთხეში, — წერდა ზ. ჭიჭინაძე, — ფეხს იდგამდნენ და სახ-  
ლდებოდნენ რკინიგზის სახელოსნოების მუშები და ხელოსნები,  
რომელთა დაახლოება და დამზეზბლება გრიგოლ ჩარკვიანის დი-  
დი ხნის ოცნება ყოფილა. მას ქართული წიგნის მაღაზიაც ნაძალა-  
დევში, სასულიერო სემინარის ახლოს გადაუტანია.

სულ მოკლე ხანში გრ. ჩარკვიანი და მისი მეუღლე ნაძალა-  
დევში ყოველი ახალი საქმის მოთავენი გამხდარან. მათ სახელთა-  
ნაა ლაკავშირებული ნაძალადევში ქართული სახალხო თეატრის  
დაარსება, აგრეთვე ჭრა-ქერვის სკოლის, ქართული რეალური სას-  
წავლებლის დაარსება და სხვ.

მაგრამ მისი მოღვაწეობის გვირგვინს ქარმოადგენს ქართუ-  
ლი წიგნის მაღაზიასა და სტამბის გახსნა, რითაც ქართველ მშრო-  
მელ ხალხს ფასდაუდებელი ამავი დასღო — გაუაღვილა და ხელმი-  
საწვდომი გახადა მათთვის საინტერესო წიგნების შეძენა.

სამრო-მხატვრულ თეატრებათა ხელნაწილი  
 პრეზულის „შეხვეძილიანის“ აღდერები, თეატრული  
 ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის გიგანტი

განსრულდა წიგნი ესე – როსტომიანი, ბაამანიანი, ყარამანიანი, ამირანდარევანიანი, ვეფხისტყაოსანი, ომაინ-ჭაბუქიანი, მცირე ბარამანიანი, ბარამ-და-გულიჯვანიანი, დიდი ბარამიანი, მირიანი, ჩარ-დავრიშვიანი, თიმისარიანი, სიბრძნე-სიცრუვე, სარკე თქმულთა, ან-ბანოქება, კრების ამბავი, შემოდგომა-გაზაფხულის ბაასი, ხეხილთ ქება და ბაასი ვარდ-ბულბულისა. შამი-ფარვანასი, მაჯამა მუნასიბი, წამება ქეთევან დედოფლისა, ქრისტიანისაგან თათართ ბაასი.

ესენი აღვხერებ მე, ცოდვილმან ჩაჩიკაშვილმან მღდელმან ნიკოლოზ. რიგი არ იყო ჩემგან ამისი წერისა, მაგრამ ამ მიზეზით, რომ, დიალ, შეწუხებული ვიყავ და მწუხარებისგან გული, დიალ, შეპყრობილი მქონდა ჩემის სასურველის შვილების და მეუღლის ამიერ სოფლით გარდაცვალებით. იმას უკან პატრონი და ნუგეში არავინ მყვანდა და მარტოობით ვაღამებდი და მათვის ვსწუხდი. მამული-დამ მტრისაგან გამოვარდნილი ვიყავ და სამწესო და საყდარი არა მქონდა, რომ მით შეექცეოდი და მემუშავა. ავდევ და ეს გულს დაკოდილს მალამოდ დავადე და ამით უკუვიყრიდი და მწუხარება გამეყრებოდა ხოლმე.

ახლა ამას გევედრებით: ვინც იხილოთ ეს ჩემი [წუთი] წლის ნაშრომი, ნე შძრახავთ და ნუცა მწყევთ, ამად რომე ბევრი კარგი საღმრთოც და საეროც არის კაცთა შესამატად. ვინც იყითხოთ და ამ წიგნს შეექცეთ, ჩემთვის შენდობა ბრძანეთ, რამეთუ ნაშრომი ესე დარჩების და ჩვენ წარვალთ. გევედრებით, რომ ეს წიგნები ერთმანეთს არ მოაშორვოთ.

ღმერთო, მშვიდობაში ახმარე ამის პატრონს, ძესა ჩემსა კორნილიეს და ძმასა მისსა თომასა და ცოლთა და შვილთა მისთა, რომ ჩემად სახსენებლად და იადგრად ჩემდა დარჩეს და ამაზედ მომიგონონ და არ დაიკარვოს ჩემი გვარი და სახელი.

\* ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი არის XVIII საუკუნის ცენტობილი მწიგნობარი და კალიგრაფი, რომელმაც 50-მდე ძველქართული ხელნაწერი წიგნი გადაწერა. გარდაიცვალა ლრმად მოხუცებული 1810 წლას. აქ ვაკვეყნებთ მის ერთ-ერთ ანდერძს, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული მწიგნობრობის ისტორიისათვის.



წყეული იყოს ის კაცი თუ ქალი, რომელმაც თხოვნით წარდგენ  
და ამის პატრიოთს დაავიწყდეს და აღარ გამოუჩინოს. წყეულ იყოს  
[ის], რომელსაც აქედამ ამბავი მოწონოს და ან რეეული ამოგლი-  
ჯოს, და ან ფურცელი ამოხიოს, და ან უძრალოდ არშიაზე ბრავეა  
დაუწყოს ან ფინთად და უნაღვლელად და ნისიად ისმაროს. ამისი  
მსმენელი კურთხეულ იყოს და იხარებდეს კითხვითა და მის ანპის  
სმენითა უკუნისამდე! კურთხეულ იყოს, ვინც ამისხანა, თუ სხვა  
რიგი ანბის წიგნები ნახოს და ის გარდაწეროს და იმაზედ იჭირნა-  
ხულოს, რომ ქვეყანაზე პირველი ანბავი არ ამოვარდეს და მათ  
ფალავანთა ანბავი კი გააახლოს.

შესაძლევრადაც, დიალ, კარგია და ყმაწვილმანც რომ კითხვით  
ამგვარი წიგნები გატეხოს, მრავალს შეიმატებს და კაი სწავლულიც  
შეიქმნება, მრავალს ადგილს გამოიყენებს საღმრთოთა თუ საეროთ,  
ხელმწიფებთან თუ ამსანაგთან. უამი მოხვდება, რომ მრავლის წიგ-  
ნის კითხვა დიდად გამოადგეს.

ამ წიგნში ზოგი ანბავი სრულია და ზოგს ანბავს აკლია, ამათ  
რომე, რომელიც დედანი ვიშოვე, ნაკლები იყო და მერმე ცდით  
ბევრს ვეცადე და შესათავებელი დედანი ველარსად ვიშოვე, თორემ  
მსუროდა ამათი შესრულებით ყოფა...

გასრულდა იანვარს კდ [24], ქსპ № 7287-5508 = 1779], ნდოთ  
[1779]".

ამას მოხდევს 16-მარცვლოვანი შაირით დაწერილი ანდერძი,  
რომლისაგან გადარჩენილია მხოლოდ ოთხი სტროფი.

(A 860 ფ. 408v — 409v. შდრ.:  
M. ჯანაშვილი, Описание  
рукописей церковного музея, III,  
1908, с. 87—89).

## СОДЕРЖАНИЕ

ТАМАР ЦХВЕДИАНИ  
Кандидат исторических наук

Книга В. И. Ленина «Две тактики «социал-демократии» в демократической революции»

В статье рассказывается об исторических событиях 1905 года и о тех разногласиях между большевиками и меньшевиками по тактике социал-демократической партии в демократической революции, которые выявились на III съезде РСДРП и конференции меньшевиков, после чего В. И. Ленин написал книгу «Две тактики «социал-демократии» в демократической революции». Книга В. И. Ленина имеет огромное историческое значение и в настоящее время играет большую роль для развивающихся стран (стр. 5).

ТЕНГИЗ БУАЧИДЗЕ  
Профессор

«Слово о полку Игореве»

Статья посвящается 800-летию памятника древнерусской литературы — поэмы «Слово о полку Игореве». Автор освещает основные исторические аспекты создания поэмы, рассказывает о художественных особенностях и общем историческом значении памятника, о поэтическом и прозаическом переводах поэмы на грузинский язык. Точный научный перевод поэмы принадлежит самому автору статьи, Тенгизу Буачидзе (стр. 15).

НОННА ҚАЛАНДАРИШВИЛИ  
Главный редактор издательства «Накадули»

Детям — чарующий книжный мир

В июне 1985 года в Тбилиси проводилось совместное заседание советов детской и юношеской литературы Госкомиздата СССР и Союза писателей СССР, которое способствовало активизации процесса развития детской юношеской литературы, решению задач коммунистического воспитания молодого поколения.

Беседа журналиста Отара Хуцишвили с главным редактором издательства детской и юношеской литературы «Накадули» Нонной Каландарishвили касается конкретных задач издательства «Накадули» в свете решений ЦК Компартии Грузии и Совета Министров ГССР «О дальнейшем улучшении издания детской и юношеской литературы» (стр. 41).

АКАКИЙ ГЕЦАДЗЕ

Писатель

### Своеобразный обелиск

Статья писателя Акакия Гецадзе написана под впечатлением книги Отара Гиоргадзе «Боевая песня осталась павеки» о молодом поэте-солдате Георгии Напетваридзе, погибшем в Великой Отечественной войне. Читая отрывки фронтовых записей, автор статьи с болью в сердце размышляет о талантливом поэте, оставившем после себя только маленький сборник стихов (стр. 49).

Г. И. МЯМЛИН

Искусствовед (Ленинград)

### Размышления об экслибрисе

В декабре 1985 года в Тбилиси была организована выставка экслибрисов художников Закавказских республик. К открытию выставки были приглашены художники и искусствоведы из разных городов Советского Союза.

Искусствовед из Ленинграда Г. И. Мямлин с читателями «Мциргпобари» делится своими впечатлениями о выставке и размышлениями о настоящем и будущем экслибриса (стр. 57).

МАРИНА ГОГБАИДЗЕ, ГЕОРГИЙ ДЖАВАХИШВИЛИ

1. Журналист. 2. Кандидат филологических наук

### Женщины- книжники из Телави

Телави — древний культурный город Грузии — может гордиться женщинами- книжниками, деятелями грузинской культуры конца XIX и начала XX столетия. Получив высшее образование, эти женщины активно участвовали в общественной и культурной жизни страны. Они были пропагандистами книги и знания, открывали бесплатные кружки и школы для детей бедных, имели богатые личные библиотеки, коллекции которых сегодня украшают полки общественных библиотек города (стр. 65).

ГИВИ ГЕЦАДЗЕ

Журналист

Страстный книголюб

В статье рассказывается о личной библиотеке ткибульского библиофила Павла Берекашвили. Директор школы и учитель грузинского языка и литературы Павел Платонович еще в детстве страстью полюбил книгу и будучи учеником четвертого класса начал собирать свою личную библиотеку, книжный фонд которой сегодня уже превышает 10 тысяч экземпляров. Библиотекой неутомимого пропагандиста книги пользуются все желающие. Людям может служить только прочитанная книга, а не та, которую неподвижно держат на книжной полке, словно лишив свободы, — говорит Павел Платонович (стр. 89).

НАНА ДУНДУА

Журналист

Истинный библиофил

Статья о библиофоне Бениамине Гоготишвили, участнике Великой Отечественной войны, заслуженном педагоге из села Натаеби Махарадзевского района. Книга была его верным другом и в детстве, и в юности, и в трудные дни войны, когда он даже на фронте, между ожесточенными боями находил время для чтения.

Двери богатой личной библиотеки Бениамина Гоготишвили открыты для всех, кто проявляет интерес к знаниям и кому дорога книга (стр. 101).

НАНА ГВИНЕПАДЗЕ

Заслуженный журналист

Фрагменты из архива писателя

Статья знакомит читателей с богатым неопубликованным материалом личного архива известного ученого и писателя, литературоведа и критика профессора Шалва Радиани. Перед читателями раскрываются неизвестные до сих пор страницы жизни писателей М. Джавахишвили, К. Гамсахурдия, Г. Табидзе, И. Гришашвили, Г. Кучишвили и др. (стр. 111).

ВЕНЕРА ХУНДАДЗЕ  
Старший редактор Республиканского  
правления ДОК ГССР

Экслибрис подружил их

Статья о содружестве грузинских и польских художников-графиков, которые обмениваются экслибрисами, устраивают выставки в разных городах как Грузии, так и Польши. Инициаторами этого содружества являются польский график Чеслав Родзевич, грузинские художники сестры Тамар, Нино и Варвара Канделаки и председатель республиканского клуба экслибрисов при РП ДОК ГССР Борис Лазаревич Поляк (стр. 127).

НУГЗАР ЦЕРЕТЕЛИ

Большой форум книги

На V Московской международной выставке-ярмарке книги, которая проходила под девизом: «Книга на службе мира и прогресса», всеобщее одобрение заслужили изданные на уровне мировых стандартов грузинские книги.

В статье рассказывается, какие предварительные работы были проведены для подготовки к ярмарке, как работал павильон Грузинской ССР, какие деловые встречи были у нашей делегации и какие договоры были заключены с зарубежными издателями по выпуску произведений грузинских авторов (стр. 139).

СЕРГО ТУРНАВА  
Кандидат филологических наук

«Беди Картлиса» («Судьба Грузии») —  
пропагандист грузинской культуры

В 1948 году в Париже вышел первый номер грузинского литературно-политического журнала «Беди Картлиса» («Судьба Грузии»). Особенным авторитетом пользуется журнал с 1957 года, после того, как он получил научное направление и выпускается на французском языке. В редакционную коллегию журнала вошли всемирно известные ученые: Р. Лафон, Ж. Гарит, И. Асфальг, М. Ланг, Г. Печ, Г. Форт и др.

В статье рассказывается о создателях журнала, двух грузинских патриотах, супругах Калистратэ Салия и Нино Курциашвили, об их боль-

шой, Бесскорыстной организационной и научной деятельности, о тесном сотрудничестве в журнале европейских и советских грузинологов, о той огромной роли, которую журнал сыграл в деле развития французско-грузинского литературного и научного содружества (стр. 150).

**ЗАИРА СТУРУА**  
Старший научный сотрудник института истории  
грузинской литературы

**Луиджи Магарото — переводчик Галактиона**

Имя великого грузинского поэта Галактиона Табидзе впервые в итальянской прессе появилось в 1977 году. Уже в 1978 году один из самых популярных европейских грузинологов, доцент Венецианского университета, преподаватель грузинского языка и литературы Луиджи Магарото напечатал переводы 19 стихотворений Галактиона. В 1985 году в Тбилиси издательство «Мещникереба» («Наука») выпустило стихотворения Г. Табидзе на двух языках — грузинском и итальянском. Книга вызвала большой интерес грузинских и итальянских читателей.

Статья рассказывает о жизни и творчестве Луиджи Магарото (стр. 172).

**ПЕЛО ГЕЛЕКВА**  
Старший редактор РП ДОК ГССР

**«Тяжелые были слезы эти»**

В статье даются некоторые сведения о жизни и творчестве известного поэта современной Японии Искава Такубуку, о переводах его поэзии на грузинский язык (стр. 190).

**ЛЕВАН МЕНАБДЕ**  
Профессор

**Руставели в русской литературе**

С поэмой великого Руставели «Витязь в тигровой шкуре» русская общественность познакомилась в XIX веке, но особой популярностью среди русских читателей поэма стала пользоваться в начале XX столетия.

Статья знакомит нас с первыми отзывами о поэме Руставели в русской прессе, статьями и исследованиями известных русских ученых и писателей, опубликованными за годы Советской власти.

Подробно рассказывается о юбилейных празднествах 750-летия поэ-



мы (в 1937 году) и 800-летия со дня рождения Шота Руставели (1966 году), в которых активное участие принимали русские писатели: Н. Асаев, Д. Бедный, Ф. Гладков, Н. Заболоцкий, А. Серафимович, Н. Тихонов, А. Фадеев, К. Федин, П. Антокольский, К. Симонов и многие другие, статьи высказывания и исследования которых широко освещались во всесоюзной прессе (стр. 197).

БОРИС ДАРЧИЯ  
Кандидат филологических наук

Редакции рукописных сборников поэзии  
царя Вахтанга VI

Царь и поэт Вахтанг VI — один из выдающихся представителей грузинской художественной литературы XVIII века. Поэт неоднократно возвращался к своим поэтическим творениям, обрабатывая и совершенствуя их. До нас дошли разные редакции рукописных сборников его стихов. Автор статьи подробно анализирует эти рукописи и с научным обоснованием утверждает, что самой последней редакцией можно считать рукопись, которая хранится в Ленинградском отделении Института востоковедения Академии наук СССР (стр. 220).

ТАМАР ГОМАРТЕЛИ  
Заслуженный журналист

Книжный магазин Григола Чарквиани

В 1878 году известный грузинский общественный деятель, большой знаток книжного дела Григол Чарквиани, собрав множество грузинских книг, журналов и газет, открыл в Тбилиси книжный магазин, в котором, кроме печатной продукции, можно было приобрести и рукописные книги. Рядом с магазином была открыта библиотека, где собирали рукописные книги для «Общества распространения грамотности среди грузин».

Магазин стал местом собраний передовой грузинской интеллигенции. Сюда заходили люди разного возраста и разных специальностей, рабочие и ремесленники, студенты и учащиеся. Несостоятельные покупатели получали книги в кредит и даже в подарок.

Через некоторое время Г. Чарквиани открыл типографию, где печатались недорогие книги для трудящихся. Во время революции 1905 года за печатание революционных прокламаций Г. Чарквиани неоднократно подвергался аресту. В конце концов ему пришлось отказаться от издательской деятельности, закрыть типографию, а магазин перенести в новый район города, который в ту пору заселялся рабочими и ремесленниками железнодорожных мастерских (стр. 238).

## చిందినిటి

తామిలు ప్రాచీనాన్ని, వ. గ. లైబ్రరీసు సామ్పొల్-ఫ్రెంచ్‌స్టోర్సు " నుండి  
 దుప్తిగూ ఇంగ్లీష్‌టోర్లు ర్యామాల్‌ప్రోఫెసర్" . . . . . 5

### ఇంధని ఇం డాక్టరుపాఠా

ట్రోపికల్ ప్రోటోఫిల్, మాథిడ్సు ఉపాంగిలు లాప్టోంపిల్లసు . . . . .	15
చిన్నా క్రాల్ ఆంధ్రాకుష్మార్లు, దుప్తిగూపులు — చిందిని ఘాషానిట్రోఫిస్ సామ్పొ- ర్యాల్, ఇంగ్లీష్ నుండి క్రెప్చుల్లో . . . . .	41
అందులో చెంతించు, ఇంగ్లీష్ తాపిక్సెప్చర్సు లింపోల్సిస్సు . . . . .	49
శంఖాలు మించుండులు, ఫ్రెంచ్‌ప్రోఫిల్ ప్రైస్‌పిల్సిస్సు . . . . .	57

### ప్రింటింగ్‌టాపిల్లి ఇం గింటింపిల్లింగ్

చిందిని వ్యాపారాలు, చిందిని ప్రాచీనాన్ని శంఖాలు, తండ్రాప్రోల్లో బ్రెంగ్‌మెంబాల్లి ప్రైస్‌పిల్లి . . . . .	65
ప్రాచీన చెంతించు, చిందిని మించులు . . . . .	89
చిన్నా ల్యాంగ్‌ల్యాంగ్, క్రెప్చు ఘాషానిట్రోఫిస్ లాప్టోంపిల్లి . . . . .	101
బింబిల్సించుప్రోఫిల్ భా సింబల్‌ప్రోఫిల్లోపిల్లి . . . . .	107

### చిందిని ఇం ప్రింటింగ్

చిన్నా ఇంగ్లీష్ చెంతించు, ఫ్రెంచ్‌ప్రోఫిల్లి ప్రైస్‌పిల్లి అంక్యోపిల్లి . . . . .	111
---	-----

### ప్రాణికి ఇం ప్రాణికి

ప్రాణికి చెంతించు, ప్రైస్‌పిల్లిస్‌పిల్లి దామ్‌గ్రేఫ్‌పిల్లి . . . . .	127
ప్రాణికి ప్రాణికి ప్రాణికిప్పిల్లి ప్రాణికిప్పిల్లి . . . . .	139
ప్రాణికి చెంతించు, దుప్తిగూ ప్రైస్‌పిల్లి ప్రైస్‌పిల్లి . . . . .	150
ప్రాణికి చెంతించు, దుప్తిగూ ప్రాణికిప్పిల్లి — గాల్పింగ్‌పిల్లి ప్రాణికిప్పిల్లి . . . . .	172
ప్రాణికి చెంతించు, దుప్తిగూ ప్రాణికిప్పిల్లి . . . . .	190

### ప్రాణికి ప్రాణికి ప్రాణికిప్పిల్లి

ప్రాణికి చెంతించు, దుప్తిగూ ప్రైస్‌పిల్లి ప్రైస్‌పిల్లి ప్రాణికిప్పిల్లి . . . . .	197
ప్రాణికి చెంతించు, దుప్తిగూ ప్రైస్‌పిల్లి ప్రైస్‌పిల్లి ప్రాణికిప్పిల్లి . . . . .	220
ప్రాణికి చెంతించు, దుప్తిగూ ప్రైస్‌పిల్లి ప్రైస్‌పిల్లి ప్రాణికిప్పిల్లి . . . . .	238

### ప్రాణికిప్పిల్లి

ప్రాణికి చెంతించు, దుప్తిగూ ప్రైస్‌పిల్లి ప్రైస్‌పిల్లి ప్రాణికిప్పిల్లి . . . . .	124
ప్రాణికి చెంతించు, దుప్తిగూ ప్రైస్‌పిల్లి ప్రైస్‌పిల్లి ప్రాణికిప్పిల్లి . . . . .	147
ప్రాణికి చెంతించు, దుప్తిగూ ప్రైస్‌పిల్లి ప్రైస్‌పిల్లి ప్రాణికిప్పిల్లి . . . . .	250

Общество любителей книги Грузинской ССР  
**МЦИГНОБАРИ**  
 (На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»  
 Тбилиси, Марджанишвили, 5  
 1987

გამომცემლობის ოფიციალური ე. ტანდოლხეი  
 მხატვრული ოფიციალური აკ. თევზაძე  
 ტექნიკური ოფიციალური ნ. ალხაჩვა  
 კორექტორები: ნ. თავაძე, ე. ევანია  
 გამომშევები მ. შეიდლიძე

გადაეცა წარმოებას 20. 11. 85. ხელმოწერილია დასახელდად  
 22. 01. 87. უე 01217. საბეჭდი ქაღალდ № 1 60×841/16.  
 გარნიტურა ენა. ბეჭდების ხერხი მაღალი. პირობ. ნაბ. თაბახი  
 14.08 პირ. სალებავ. გატარება 15,46 საალრ.-საგამომცემლო  
 თაბახი 11,99. ტირაჟი 15.000. შეკვ. № 1723.

ფასი 65 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
 თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წილელი  
 დროშის ორფენსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства  
 ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

2007/15

